ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიულ-პოლიტიკური ძიებანი

ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიულ-პოლიტიკური ძიებანი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2025

ნაშრომში, დოკუმენტური წყაროებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, შესწავლილია საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ცალკეული საკითხები. განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური პროცესები. ნაჩვენებია ქალის მდგომარეობა ისლამურ სამყაროში. წარმოჩენილია ნაკლებად ცნობილი რელიგიური სექტის – „სკოპცების“ ადგილი რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში. ხაზგასმულია საქართველოში ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში. ყურადღება გამახვილებულია ეთნიკური უმცირესობის მდგომარეობაზე ესპანეთში და საკუთარი ხალხისთვის გენოციდის მოწყობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა კამბოჯაში XX საუკუნის 70-იან წლებში.

ცალკე ადგილი ეთმობა ნეიტრალიტეტისა და მილიტარიზმის თანხვედრის მნიშვნელობას შვეიცარიის მაგალითზე.

ნაშრომი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი

© ა. სონღულაშვილი, 2025

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2025
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-521-32-4

AVTANDIL SONGULASHVILI

HISTORICAL-POLITICAL SEARCHES

Publishing House **“UNIVERSAL”**

Tbilisi 2025

With the consideration of documentary sources and rich scientific literature, the work studies individual issues of Georgian and world history; discusses political processes of international relations. Described is women's life in the Islamic world. Presented is the place of the lesser-known religious sect, the Skoptsy, in the life of the Russian Empire. Emphasized is the importance of national movement in Georgia under the Soviet period. The focus is the condition of ethnic minorities in Spain and committing genocide against local people, which took place in Cambodia in the 1970s.

A separate place is allocated to the importance of coexistence of neutrality and militarism on the example of Switzerland.

The work is intended for a wide audience.

Editor: Doctor of Historical sciences, Professor

Niko Javakishvili

Reviewers: Doctor of Historical sciences, Professor Alexander Daushvili

Doctor of Historical sciences, Professor Eldar Bubulashvili

© A. Songulashvili, 2025

Publishing House "UNIVERSAL", 2025

4, A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi, Georgia ☎:5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-521-32-4

შინაარსი

პროსტიტუცია ანტიკურ პერიოდში 7

ისლამი და ქალის უფლებები 37

სკოპცების რელიგიური სექტა 59

1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში და ბოლშევიკური რეპრესიები 83

ქართული ენის სტატუსი და ეროვნული მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 70-იან წლებში 130

საბჭოთა კავშირის დაშლის წინაპირობები და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 160

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები და შეფასებები 188

ესპანეთის ეროვნული უმცირესობა 215

ნეიტრალიტეტი თუ მილიტარიზმი? (შვეიცარიის მაგალითზე) 247

კამბოჯის ტრაგედია..... 288

CONTENT

Prostitution in Antique Epoch 7

Islam and Women's Rights 37

The Skoptsy Religious Sect 59

The August 1924 Uprising in Georgia and Bolshevik Repressions 83

The Status of Georgian Language and the National Movement in Georgia in the 1970s 130

Preconditions for the collapse of the Soviet Union and the Restoration of Georgia's Independence 160

The Results and Assessments of the 2008 August War between Russia and Georgia 188

National Minority of Spain 215

Neutrality or Militarism? (on the example of Switzerland) 247

The Tragedy of Cambodia 288

პროსტიტუცია ანტიკურ პერიოდში

ისტორიული პერიოდიზაციის თვალსაზრისით ანტიკურ ეპოქაში მოიაზრება ძველი ბერძნული ან რომაული კულტურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი წყობა და სხვ.

ანტიკური ბერძნები თავისი საამაყო ცივილიზაციით, ასევე გამოირჩეოდნენ აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრებით. მათი ლეგენდები და მითები ღმერთების პანთეონის შესახებ სავსეა გარყვნილების ამსახველი ფაქტებით. ე.ი. გამოდის, რომ, როგორი ,,ცხოვრების“ წესიც ჰქონდათ ღმერთებს, მის გამოძახილს წარმოადგენდა მათი მორჩილი ადამიანების ცხოვრებაც.

არ არსებობს ისეთი სექსუალური ანომალიები და გადახრები, როგორიც არ აღინიშნებოდეს ბერძნული ღმერთების პანთეონში: ინცესტი, ზოოფილია, ჰომოსექსუალიზმი... ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი მათი გმირობისა.

ბერძნების ერთ-ერთი პირველი ღმერთი კ რ ო ნ ო ს ი დაუდარაჯდა მამას – უ რ ა ნ ო ს ს და, როცა მშობლები სექსით იყვნენ დაკავებული ძირში მოაჭრა მამას სასქესო ორგანო. სისხლისგან დაცლილი ურანოსის ადგილი კრონოსმა დაიკავა.კრონოსი შვილმა ზ ე ვ ს მ ა ჩამოაგდო და ოლიმპის სათავეში აღმოჩნდა. ახალმა ხელისუფალმა ერთდროულ-

ად სამი ცოლი მოიყვანა: მეტიდა, თემიდა და ჰერა. სიძეს პირველი ორი დეიდად ეკუთვნოდა, ხოლო მესამე ღვიძლი და იყო. ამასთანავე ზევსი სისტემატურად ,,გულაობდა“. ზოგჯერ გადაიქცეოდა ხარად, გედად, ოქროს წვიმად და ,,შეაცდენდა“ ხან ქალღმერთებს, ხან ჩვეულებრივ მოკვდავთ. ამ დროს, მხოლოდ ქალებით არ შემოიფარგლებოდა, რომანები ჰქონდა ახალგაზრდა ვაჟებთან. არც პედოფილიას უკადრისობდა!

ზევსს ცოლებიც არ რჩებოდნენ ვალში. აჩენდნენ ,,ღმერთის“ შვილებს ვისთანაც იქნებოდა. მაგალითად, ჰერამ ყვავილებიდან გააჩინა ბავშვი (არ იკითხოთ ეს როგორ მოხდა). . .

ოლიმპიელ მამას არ ჩამორჩებოდა ღმერთი აპოლონიც: აცდენდა ხან ვაჟებს და ხან გოგონებს. მოკლედ, ყველგან ,,ტოლერანტული სექსუალობა“ ზეიმობდა. . . ქორწინების ერთ-ერთი ღმერთი – ჰიმენეი რატომღაც ჰომოსექსუალისტი იყო, ხოლო ზღვის ტალღებისგან დაბადებული სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე (რომაული ვარიანტით ვ ე ნ ე რ ა), მთელი რიგი წყაროების მოწმობით ორსქესიანი იყო და პერიოდულად გამოხატავდნენ მამაკაცის ორგანოებით. მოგვიანებით მის შვილს ეროსს (სიყვარულის ღმერთი) და ჰერმესს ჰერმაფროდიტად აღიქვამდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ აფროდიტეს ტაძრები მთელი ხმელთაშუაზღვის სანა-

პიროებზე, საბერძნეთში, იტალიაში წარმოადგენ-დნენ წმინდა პროსტიტუციის ცენტრებს [1, 33].

ათენში აფროდიტესადმი მიძღვნილ დღესას-წაულებზე სრულიად დასაშვები იყო ე რ ო ს უ ლ ი სილაღენი; მრავლად იყო დიქტერიონად წოდებუ-ლი საროსკიპოები, რომლებსაც კერძო მფლობელე-ბი ჰყავდათ და სახელმწიფოც მფარველობდა [2, 193-194].

საინტერესოა, რომ ბაბილონში ყველა ქალი მდიდარი იყო თუ ღარიბი ცხოვრებაში ერთხელ უც-ხოელს უნდა დანებებოდა ქალღმერთის ტაძარში, ხოლო რელიგიური პროსტიტუციის შედეგად აღებ-ული ფული ქალღმერთისათვის უნდა მიეძღვნა. ტაძრის მიმდებარე წმინდა ტერიტორია სავსე იყო ქალებით, რომლებიც თავის რიგს ელოდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი წლობით იცდიდა, რათა თავი-სი ,,ვალდებულება“ შეესრულებინა. სირიაში კი გა-სათხოვარი და გათხოვილი ქალები ღვთაებისადმი ერთგულებას გამოხატავდნენ უცხოელ მამაკაცთან სქესობირვი კავშირის დამყარებაში.

ტრადიციის თანახმად კვიპროსში ქალი გათ-ხოვებამდე უნდა დანებებოდა უცხოელ მამაკაცს ქალღმერთის ტაძარში. მსგავსი წესი გავრცელებუ-ლი იყო დასავლეთ აზიის მრავალ ხალხში. აღნიშ-ნულ ტრადიციაში მოსახლეობა არავითარ უზნეობ-

ას არ ხედავდა, პირიქით, მათ მიაჩნდათ რელიგიურ მოვალეობად.

ამორეველთა კანონის თანახმად, ქალიშვილებს შვიდი დღის განმავლობაში სქესობრივი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ მამაკაცებთან ტაძრის შესასვლელში. ლიდიაში აღმოჩენილი ბერძნული წარწერა გვიჩვენებს, რომ სატაძრო პროსტიტუციის პრაქტიკა შემორჩენილი იყო ახ.წ.-ის II საუკუნემდე [3, 312-313].

ანტიკური ავტორების ცნობით, კულტმსახურ ქალთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ არმენიელთა უწარჩინებულესი გვარების წარმომადგენლები, რომლებიც ა ნ ა ი ტ ი ს ი ს ქალღვთაების ტაძრისათვის იყვნენ შეწირულნი. ამასთან დაკავშირებით ს ტ რ ა ბ ო ნ ი აღნიშნავს, რომ ,,მათში კი კანონი იყო, რომ დიდხანს უნდა ემეძავნათ ქალღმერთის (მსახურებაში) მყოფთ. ხოლო ამის შემდეგ შეეძლოთ ქორწინება“ [4, 86-87].

რაც შეეხება ტერმინს პ რ ო ს ტ ი ტ უ ც ი ა ს – თანამედროვე განმარტება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან Prostituere, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია. ფართო გაგებით პროსტიტუცია წარმოადგენდა რთულ სისტემას სექს მუშაკების იერარქიით, რომელთაც გააჩნდათ ავტონომიის სხვადასხვა დონე და პატივისცემა.

ძველ ბერძნულ სამყაროში პროსტიტუცია ფართოდ იყო გავრცელებული, მიღებული იყო, როგორც ცხოვრებისეული ფაქტი და აუცილებლობა. სახელმწიფო არეგულირებდა ამ ,,დარგს“ და ,,კომერციული სექსისადმი“ განწყობილი იყო, როგორც ნებისმიერი სავაჭრო საქმიანობისადმი.ჯერ კიდევ სოლონის (639-559წწ. ჩვენს ერამდე) არქონტობის დროს ათენში მოქმედებდა საროსკიპოები. აქ მოქმედი კანონის თანახმად, როსკიპები (ჰეტერები)[1] დადგენილი ფორმის ჭრელ ტანსაცმელს ატარებდნენ, რათა ადვილად გამოსაცნობი ყოფილიყვნენ სხვა მოქალაქეებისაგან.

საბერძნეთის ცნობილი ორატორი დ ე მ ო ს თ ე ნ ე (384-322წწ. ჩვ.წ.აღ. მდე) ნ ე რ ა ს წინააღმდეგ წარმოთქმულ საბრალმდებლო სიტყვაში ამბობს: ,,ჩვენ გვყავს ჰეტერები, რათა სიამოვნება მივიღოთ, საყვარლები, რომლებითაც ყოველდღე ვსარგებლობთ, და ცოლები, რომელთა დანიშნულება ისაა, რომ შობონ კანონიერი შვილები და თვალყური ადევნონ ჩვენს ოჯახს“ [5, 111].

ბერძნული სექსუალური სპექტრის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ მეძავთა სახლების მსახურნი, რომელთაც ევალებოდათ მიეზიდათ ქუჩაში კლიენტები. ეს მსახური ქალები ძირითადად იყ-

[1] ჰეტერა – (ბერძ. Hetaira) – განათლებული გაუთხოვარი ქალი, რომელიც თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა.

ვნენ მონები და არა ელინები. ამიტომ ბერძნების თვალში ისინი აღიქმებოდნენ, როგორც არაცივილიზებული უცხოელები.

იერარქიული კიბის შემდეგ საფეხურზე იდგნენ ,,დამოუკიდებელი მეძავები“, რომლებიც ნებაყოფლობით ყიდდნენ საკუთარ სხეულს, რეკლამას უწევდნენ ქუჩაში მომსახურებას, პირველ რიგში ისეთ კლიენტებს, რომლებსაც არ სურდათ ბორდელში რიგში დგომა. ზოგიერთ წყაროში მითითებულია ,,სარეკლამო გზაზე“, რომელსაც იყენებდა თავის მუშაობაში მეძავების ნაწილი. ასეთი ,,თანამშრომლები“ იცვამდნენ სპეციალურ ფეხსაცმელს, რომელიც მიწაზე კვალს ტოვებდა და აჩვენებდა გზის მიმართულებას, რომელსაც კლიენტი უნდა გაყოლოდა.

კურტიზანთა[2] შორის უმაღლეს კასტას წარმოადგენდნენ ჰეტერები. ერთი მხრივ ეს ქალბატონები შეიძლება ყოფილიყვნენ პროფესიონალი მეძავები და ჰყოლოდათ ოჯახი, და ასევე ქალები, რომლებიც ცხოვრობდნენ და ეძინათ მამაკაცებთან, მაგრამ არ იყვნენ გათხოვილები. ამ ქალების უმრავლესობა ერთობოდა ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან საღამოობით მაგიდასთან დროსტარებისას. ბორდელის მეძავებისაგან განსხვავებით, ჰე-

[2] კურტიზანი (ფრანგ. Courtsane) – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც მღალ საზოგადოებაში ტრიალებდა.

ტერებს უფლება ჰქონდათ უარი ეთქვათ კლიენტებისათვის სექსმომსახურებაზე, რამდენადაც ასეთი ურთიერთობა ყოველთვის არ შედიოდა მომსახურების სფეროში. აღნიშნული წრის ქალები ხშირ შემთხვევაში იყვნენ განათლებული და მსახიობური ნიჭით დაჯილდოებულები. ძველ საბერძნეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჰეტერა იყო გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის პ ე რ ი კ ლ ე ს შეყვარებული ა ს პ ა ს ი ა.

ათენი, როგორც ძველბერძნული სამყაროს ცენტრი და საზღვაო ქალაქი, უცხოელი მეზღვაურებისა და ვაჭრების ხშირი სტუმრობისა და დასვენების ადგილს წარმოადგენდა. ასეთი სტუმრების გართობის მთავარი საშუალება იყო სექსუალური მომსახურება. ამ დროიდან პროსტიტუცია გახდა ნამდვილი ინდუსტრია, როგორც ,,მეძავთა სახლების“ მფლობელებისათვის, ასევე, თავად ,,მომსახურე“ პერსონალისათვის [6, 28].

ათენში პროსტიტუციის აყვავებამ ქალაქს პოპულარობა მოუპოვა. ვაჭრებსა და უცხოელ მოგზაურებს საშუალება მისცა აქ დარჩენილიყვნენ გარკვეული დროის მანძილზე. ეს ყველაფერი თავის მხრივ ავსებდა ქალაქის ბიუჯეტს. სწორედ, ბერძნები იყვნენ პირველი, რომლებმაც საროსკიპოებს დაუწესეს ოფიციალური შემოსავლიდან გადასახადი. სექსუალური მომსახურების საფასური შეადგენდა

დ რ ა ჰ მ ი ს[3] ერთ მეექვსედს, რაც მუშის დღიური ანაზღაურების ექვივალენტი იყო [6, 29].

ასეთი სახის შემოსავალს თუ, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის, შედარებისთვის მოვიტანოთ ახ.წ.-აღ-ის XIV საუკუნის მაგალითი ეგვიპტის ცხოვრებიდან. ხელისუფლებამ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა გადასახადების გაზრდით სცადა. გადამხდელთა რიგებში მოექცნენ მუსიკოსები და მომღერლები და, რაც მთავარია მ ე ძ ა ვ ე ბ ი. აღნიშნული პერიოდის ეგვიპტეში პროსტიტუცია საკმაოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით ზემო ეგვიპტესა და დელტაში. ქალაქების მთელ რიგ უბნებში ფუნქციონირებდა ბორდელები. მეძავები იძულებული იყვნენ ყოველდღიურად განსაზღვრული თანხა შეეტანათ ხაზინაში. ერთ-ერთი წყაროს ცნობით: თუ უცნობი მამაკაცი ბორდელის სიახლოვეს შემთხვევით გაივლიდა, მეძავები მას თავს ესხმოდნენ და აიძულებდნენ თანხა გადაეხადა, მიუხედავად იმისა თავდასხმის ობიექტს ჰქონდა თუ არა სურვილი მეძავებთან ურთიერთობისა. სგვაგვარად, ღატაკი მეძავები ყოველდღიური გადასახადის ,,ამოღებას“ ვერ შეძლებდნენ [7, 354].

ძველ საბერძნეთში ქალთა თავისუფალ ცხოვრებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ოჯახები გვიან იქმნებოდა. გარდა ამისა ქვეყნის ზოგიერთ

[3] ვერცხლის ფული ძველ საბერძნეთში

ნაწილში საზოგადოება, როგორც წესი, არ იცნობდა ქორწინებას სიყვარულის საფუძველზე. ცნობილმა კინიკმა ფილოსოფოსმა დ ი ო გ ე ნ მ ა დაწერა წიგნი სიყვარულზე, სადაც სიყვარულს უწოდებს ბუნების ბოროტებას და უსაქმურთა საქმეს [8, 106-107]. კინიკები უარს აცხადებდნენ სახელმწიფოსა და ოჯახზე. მოითხოვდნენ ცოლებისა და ბავშვების საერთოობას (ე.ი. ჯგუფურ ქორწინებას [8, 135]. ამავე დროს მოითხოვდნენ ქალების ემანსიპაციას, მამაკაცებთან მათ გათანაბრებას [8, 67].

ასეთივე შეხედულებისა იყო დიდი იდეალისტი ფილოსოფოსი პ ლ ა ტ ო ნ ი. მას მიაჩნდა, რომ ,,ქალები უნდა საერთო იყვნენ ყველა მამაკაცებისათვის, საერთო უნდა იყვნენ შვილებიც, ასე რომ მამას არ ეცოდინებოდა – რომელია მისი შვილი და შვილს მამა“ [9, 84].

უსიყვარულოდ ოჯახის შექმნის მომხრეებს, მოწინააღმდეგეებიც ჰყავდათ. მაგალითად, ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ეგვიპტის მეფის ბელოსის ვაჟი დანაოსი უფროსი ძმის ეგვიპტოსის 50 ვაჟისგან თავისი 50 ასულის დაცვის მიზნით შვილებიანად არგოსში გადასახლდა. ეგვიპტოსის ვაჟებმა მიაგნეს დანაოსს და აიძულეს მიეთხოვებინა მათთვის თავისი ქალიშვილები. სასოწარკვეთილი დანაოსი თითქმის გამოსავალს პოულობს, მისი რჩევით ორმოცდაათივე ქალიშვილი ფარულად მახ-

ვილით აღიჭურვა, რომ პირველსავე ღამეს განეგმირათ ქმრები. ის ღამეც დადგა. შურისგების ჟამი მოახლოვდა. ორმოცდაცხრა გამძვინვარებულმა დანაიდმა მამის დარიგება პირნათლად შეასრულა: სისხლის გუბეში ცურავდა ორმოცდაცხრა ეგვიპტიდი. მხოლოდ ერთმა – ჰიპერმენსტრამ დაბლა დაუშვა შურის საგებლად აღმართული მახვილი: სიყვარულით შეპყრობილი დასცქეროდა მძინარე ლინკევსს, წეღან რომ სასიკვდილოდ ემეტებოდა. ქალიშვილმა ვერ აღასრულა მამის ბრძანება . . . [10, 49].

დიდმა ბერძენმა დრამატურგმა ე ს ქ ი ლ ე მ ,,ეგვიპტიდებში“ სამსჯავროზე გაიყვანა მამის ურჩი ასული, სადაც თვით სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე გამოცხადდა და გაამართლა ჰიპერმენსტრა. ესქილეს აზრი ასეთია: ,,განა დღევანდელ სახელმწიფოს შეეფერება არაფრად ჩააგდოს მოქალაქის პირადი არჩევანი, პირადი გრძნობა და ინიციატივა? ჰიპერმენსტრას ლინკევსი შეუყვარდა. საფუძველი ეყრება სიყვარულზე დაფუძნებული, ძალდატანებისაგან თავისუფალი ოჯახის შექმნას. ფეხქვეშ არ ითელება ქალიშვილის სპეტაკი გრძნობა“ [10, 50-51].

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ბერძნული სამყარო თავისი ტრადიციებითა და კანონმდებლობით ერთიანი არ იყო. ცალკეული პოლისები და მხარეები განსხვავებული ზნე-ჩვეულებებით გამოირჩეოდნენ.

ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს გადმოცემით ლიდიელი ქალები გათხოვებამდე მეძაობას ეწეოდნენ და ასე იგროვებ-დნენ მზითევს. აღსანიშნავია, რომ ქალიშვილების მეძაობას მშობლებიც უწყობდნენ ხელს [11, 72].

მცირე აზიის დასავლეთით ჩვ.წ.აღ.-მდე VII-VI საუკუნეებში ეგეოსის ზღვის სანაპიროზე კუნძულ ლ ე ს ბ ო ს ზ ე, სადაც დაიბადა პირველი ევროპელი პოეტი ქალი ს ა ფ ო (630წ.), სხვა ვითარება იყო ქალის უფლებებთან დაკავშირებით, განსხვავებით ათენისაგან. ადგილობრივი ტრადიციებიდან გამომდინარე ქალები არ იყვნენ შეზღუდული კანონმდებლობით. მათ აძლევდნენ განათლებას, ასწავლიდნენ რიტორიკას, ეუფლებოდნენ ტანვარჯიშის ილეთებს, სპორტულ თამაშობებს, ეჩვეოდნენ კარგ მანერებს. ლესბოსზე მაღალ დონეზე აფასებდნენ სილამაზეს და ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას [12, 38]. სწორედ აქ გავრცელდა ერთნაირსქესიანთა სიყვარული, რომელიც კუნძულის სახელის მიხედვით ,,ლესბოსური სიყვარულის“[4] სახელით არის ცნობილი. ლესბოსელთა დედოფალს, საფოს, თავისი ეროტიკულ-ფილოსოფიური პოეზიით, ტოლს არ უდებდნენ ყმაწვილების მოტრფიალე მითოლოგიური ღმერთები და ღმერთკაცები, თუ არამითოლოგიური მამაკაცები – იმდროინდელ ბერ-

[4] ლესბოსური სიყვარული – ქალის არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა ქალისადმი.

ძენთა უმრავლესობა ამაში დასაძრახს ვერაფერს ხედავდა [2, 193-194].

მილიტარისტულ სპარტაში კი ინერგებოდა მამათმავლობის წესი. ბრძოლაში მხარდამხარ იბრძოდნენ შეყვარებულ ვაჟთა წყვილები, გააფთრებით იცავდნენ ერთმანეთს მტრისგან, ერთი მათგანის ლაჩრობისთვის სპარტელები ორივეს კლავდნენ.

ამასობაში სპარტელი გოგონების აღზრდის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ფიზიკური ვარჯიშია, მისი ტანი მაქსიმალურად უნდა დაემსგავსოს ვაჟისას. ქორწინების დღეს მას თმასაც შეუკვეცავენ, რათა მის მეუღლეს მასზე, როგორც ვაჟზე ჰქონდეს რეაქცია. სპარტელებისათვის ცოლი გამრავლების საშუალება იყო. უცოლო სპარტელი იკიცხებოდა, როგორც კონვენციის დამრღვევი [13, 30].

ლ ი კ უ რ გ ე ს მმართველობის პერიოდში ქალიშვილების გასაკაჟებლად შემოღებულ იქნა მათთვის სირბილი, ჭიდაობა, შუბისა და დისკოს ტყორცნა. ქალიშვილებს ეკრძალებოდათ ნებივრობა, სახლში ჩაკეტვა და ფუფუნებით ცხოვრება. ისინი მიაჩვიეს ზეიმზე ჭაბუკებივით გაშიშვლებული მისულიყვნენ და ზოგიერთ წმინდა დღესასწაულზე დედიშობილა ეცეკვათ და ემღერათ ახალგაზრდა ბიჭების თვალწინ. ქალიშვილების სიშიშვლე სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. აწყვეტილობასა და შეუფერებელ საქციელს აქ ადგილი არ ჰქონდა.

მორცხვობა და მოკრძალება სპარტელთა ქალიშვილებს ყოველთვის მოსდგამდათ. სიშიშვლე კი ქალიშვილებს აჩვევდა უბრალოებას, უღვიძებდა მათ საკუთარი სხეულის გაკაჟებისა და გამოწრთობის სურვილს. სწორედ ეს სიშიშვლე უნერგავდა ქალთა სქესს ვაჟკაცურ სულს და ამტკიცებდა, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლებად როდი შეეძლოთ სახელის მოხვეჭა და სიქველის გამოჩენა. ასეთი ვაჟკაცური აღზრდა სპარტელი ქალების სიტყვასა და აზრს დიდ ძალას ანიჭებდა [14, 113].

,,სპარტელები ცოლს ირთავდნენ მოტაცებით. მოტაცებულ პატარძალს ჩააბარებდნენ ეგრეთ წოდებულ ნ ი მ ფ ე ვ ტ რ ი ა ს. იგი პატარძალს თმას ძირამდე შეუკრეჭდა, მამაკაცის ტანსაცმელსა და ფეხსამოსში გამოაწყობდა და ბნელ კუთხეში ჩალისაგან გამზადებულ ლოგინზე მარტოდმარტო დააწვენდა. ნეფე, რომელიც არც მთვრალი იყო და არც ლხინისაგან აღგზნებული, არამედ ჩვეულებისამებრ ფხიზელი, როგორც ფიდიტიებზე ნავახშმებ კაცს შეეფერებოდა, პატარძალთან შედიოდა, სარტყელს შემოიხსნიდა, ხელში აიყვანდა და საქორწინო სარეცელზე დააწვენდა. იგი ცოლთან მცირე ხნით რჩებოდა. მერე კი მოკრძალებით ბრუნდებოდა მისთვის მიჩენილ ოთახში, სადაც სხვა ყმაწვილ კაცებთან ერთად იძინებდა. შემდგომშიც ქმარი დღესა და ღამეს თავის ტოლებთან ატარებდა,

ცოლთან კი დიდი სიფრთხილით და მალულად დადიოდა...“ [14, 114-115].

ზოგადად, სპარტაში შენარჩუნებული იყო ცოლ-ქმრობის ისეთი ურთიერთობა, რომელიც ბევრ რამეში კიდევ უფრო არქაული იყო, ვიდრე თვით ჰომეროსის მიერ დასურათებული ურთიერთობანი. რამდენიმე ძმას შეეძლო ერთი საერთო ცოლი ჰყოლოდა: მამაკაცს, რომელსაც თავისი მეგობრის ცოლი მოეწონებოდა, შეეძლო მას ჩაზიარებოდა. ურიგო საქმედ არ იყო მიჩნეული, ქმრის მიერ თავისი ცოლის ჯანიანი ,,ულაყისათვის“ – როგორც ამას ბისმარკი იტყოდა, – დათმობა, თუნდაც იგი თანამოქალაქე არ ყოფილიყო. სულ სხვა მდგომარეობა იყო იონიელებში. ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე იხსენებს მილოსის ძაღლებს, რომლებიც ჰყავდათ ცოლქმრული ერთგულების დამრღვევთა დასაშინებლად. აზიის ქალაქებში ქალების სამეთვალყურეოდ საჭურისები ჰყავდათ, რომელთაც უკვე ჰეროდოტეს დროს კუნძულ ქიოსზე ამზადებდნენ გასაყიდათ [15, 71].განსხვავებით ბერძნებისაგან მამაპაპის რჯული ებრაელ ერს წინასწარმეტყველმა მოსემ, რომ დაუტოვა ითვალისწინებდა: უკეთუ დედათა სქესისაგან, მით უფრო გვირგვინდაუდგმელ ქალწულს, ფეხი გადაუცდებოდა და მამაკაცთან წოლის რაიმე ნიშანს აღმოუჩენდნენ, ის ჯერ სინაგოგისაგან უნდა მოეკვეთად, ხოლო შემდეგ ქვებით ჩა-

ექოლათ [16, 23].იგივე მოსეს რჯულის თანახმად, დაუოჯახებელი უმრწმესი ძმა მოვალე იყო, გარდაცვლილი უფროსი ძმის ქვრივი ცოლად შეერთო, უკეთუ ქალს პირველი ქმრისაგან შვილი არ დარჩა და, ამგვარად, როგორც კანონში სწერია, ,,გარდაცვლილ უფროს ძმას თესლი შეუნახოს“ [16, 49].თავისუფალ ებრაელ მამაკაცს გათხოვილ ქალთან ცხოვრებისათვის ჩაქოლვა ელოდა, მაგრამ თუკი ის მხევალთან ცხოვრობდა, სხვისი უფლების დარღვევას ადვილად ანაზღაურებდა გარკვეული თანხით [17, 177].

,,ნუ იმრუშებ“, – ებრაული კანონის თანახმად ნიშნავს: ნუ შეაცდენ გათხოვილ ან დანიშნულ ქალს, მას შემდეგ რაც მისი ,,სასყიდი“ უკვე გადახდილია. გასათხოვარი ან მხევლის შეცდენა – ეს მრუშობა არ არის. საქმე ეხება არა მორალს, არამედ საკუთრების უფლების დარღვევას. მხევლის შეცდენის შემთხვევაში მის მეპატრონეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ფულადი ანაზღაურება [17, 198].

ზოგადად, ცოლ-ქმარს შორის ღალატი, გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი, სისხლის აღრევით ქორწინება და განქორწინება მკაცრად იკრძალებოდა, რათა შეზღუდულიყო ვენერიული დაავადებების გავრცელება, შემცირებულიყო გენეტიკურად განპირობებული თანდაყოლილი მანკების რიცხვი და ანტისოციალური ქმედება. კანონი, რო-

მელიც არეგულირებდა ბავშვის დაბადებასა და სქესობრივ კავშირებს, მკვეთრად ამცირებდა ქალის სასქესო ორგანოების ინფიცირებას და დაორსულებას უწყობდა ხელს [18, 23-24].

როგორც პლუტარქე მოგვითხრობს ,,რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე რომაელებმა ქალებს მრავალი პატივი დაუწესეს, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: ქალის თანდასწრებით უწმაწურ სიტყვებს არ ამბობდნენ, მის წინაშე გაშიშვლებულები არ გამოჩნდებოდნენ. არ შეიძლებოდა ქალების მიცემა სასამართლოში მკვლელობის ბრალდებით და სხვ. [14, 78].

ძველი მწერლების გადმოცემით რომის ლეგენდარულმა დამაარსებელმა რ ო მ უ ლ უ ს მ ა გამოსცა კანონი, რომელიც ცოლს უკრძალავდა მიეტოვებინა ქმარი. ხოლო ქმარს უფლება ეძლეოდა გაეძევებინა ბავშვების მოწამვლაში, საკეტების შეცვლასა ან ღალატში შემჩნეული ცოლი. თუ ქმარი სხვა რაიმე მიზეზით განუტევებდა ცოლს, კანონი ,,უბრძანებდა“ ქონების ნაწილი ქალისთვის მიეცა [14, 81]. მაგრამ ეს იყო მეფობის ხანაში. მოგვიანებით, რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა.

ჩვ.წ.აღ.მდე III საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის პირველ ნახევარში ხდება ქალების ერთგვარი ემანსიპაცია. რომში დაქორწინების უძველესი ფორ-

მა რელიგიური წესით სრულდებოდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ დიდი პონტიფიკი, იუპიტერის ფლამინი და ორი მოწმე. საქმრო და საპატარძლო ღმერთებს მსხვერპლად ასლის პურს სწირავდნენ. ლათინურად ,,ფარ“ – ს, აქედან ამ წესს ,,კ ო ნ ფ ა რ ე ა ც ი ო“ ეწოდებოდა. არსებობდა ქორწინების საერო ფორმაც, რომელიც სასიძოსთვის საპატარძლოს მიყიდვაში მდგომარეობდა. სრულდებოდა მ ა ნ ც ი პ ა ც ი ი ს წესი და ქალი ქმრის ძალაუფლებაში გადადიოდა. ყოფილა შემთხვევებიც, როცა დაქორწინებას არავითარი წესი არ ჰქონდა. ცოლი, რომელიც ქმრის სახლში ერთ წელს გაატარებდა, ქმრის ხელქვეითი ხდებოდა. ამ პერიოდში კი ქმრის უფლება ცოლზე შესამჩნევად მცირდება და მყარდება ისეთი ქორწინება, როცა ცოლის მიმართ ქმრის ხელისუფლება იზღუდება და თანდათან იცვლება აგრეთვე ცოლ-ქმარს შორის ქონებრივი ურთიერთობა [19, 141].

აღსანიშნავია, რომ რომაელები სიშიშვლეს სირცხვილად არ თვლიდნენ. უფრო მეტიც, ისინი არ ერიდებოდნენ სექსუალურ ურთიერთობას ბავშვების თანდასწრებით. სირცხვილის გამოხატვა ამ თემაზე, უარყოფით ეჭვებს იწვევდა მოქალაქეებისგან. საუკუნეების მანძილზე სექსუალურ რეკლამირებას მეტწილად ქალები ეწეოდნენ საკუთარი თავის მორთვით, რისთვისაც ფერად ტანსაცმელსა და

ძვირფასეულობას იყენებდნენ და სახეს მოიხატავ-დნენ [20, 251].

ჩვ.წ. აღ-მდე I საუკუნის 50-იანი წლებიდან რომში სულიერი დეგრადაციის ხანა იწყება. ,,აფ-როდიტემ და დიონისემ მ ე ნ ა დ ე ბ ი ს[5] ბრბოთი დაიპყრეს რომი“. მის ქუჩებში დღე და ღამე არ წყდებოდა გიჟმაჟი და თავაწყვეტილი პროცესიები, რომლებიც ზეიმზე და გარყვნილებაზე იწვევდა კა-ცებსა და ქალებს, პატრიციებსა და თავისუფალ ად-ამიანებს, მონებსა და მოქალაქეებს, მდიდრებსა და ღარიბებს [21, 47]. მაღალი კლასები, დიდებულები და მდიდრები წარმოუდგენელ გარყვნილებაში ცხოვრობდნენ. ბანკეტებს, ორგიებს, ღამის ზეიმებს აწყობდნენ ან დედაქალაქში, ანდა თავიანთ მამუ-ლებში და აგარაკებზე.

ცოლები აკოტრებდნენ თავიანთ ქმრებს და ეძ-ებდნენ საყვარლებს, საკმარისად მდიდრებს, რომ-ლებიც მათ დაასაჩუქრებდნენ ძვირფასი ქსოვილე-ბით, მდიდრული ტახტრევნებით, ლამაზი, კარგად დავარცხნილი და ჩაცმული მონებით. განსაკუთრე-ბით კი მარგალიტები და ძვირფასი ქვები იზიდავ-დათ, ისეთივე საუცხოო, როგორიც მითრიდატეს ძვირფასი ქვებია, რომელთა სანახავადაც ისინი დარ-ბოდნენ კაპიტოლიუმის იუპიტერის ტაძარში.

---

[5] მენადა – ძველ საბერძნეთში ღვინისა და დროს ტარების ღმერთის – ბაკქის (დიონისეს) ქურუმი ქალი; ბაკქელი ქალი.

რაც შეეხება მათ ქმრებს, უკეთესად ის ითვლებოდა, ვინც ბერძნული ღვინის უკეთესი მარნის მფლობელი იყო, საუკეთესო მზარეულები და ყველაზე მოდური საყვარელი ჰყავდა, ჰქონდა ყველაზე მდიდრული ვილები, უფრო დიდი ბიბლიოთეკა და ყველაზე იშვიათი და ძვირფასი სკულპტურები და ოქროს ნივთები.

ყველაზე უარესი ახალი თაობა იყო, ცინიკური, ავხორცი, ფუქსავატი; ისინი, გაურჯელად წარმატების მიღწევის და გამდიდრების მსურველები, პატივს არ სცემდნენ არანაირ ავტორიტეტს, არც ღმერთებს, არც მშობლებს [21, 49]. ამიტომაც იყო, რომ ქალთა გარყვნილ ცხოვრებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგალითად, ცნობილი სარდლის ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსის ცოლი კ ლ ო დ ი ა საკუთარ ძმებთან ცხოვრობდა. ლუკულუსს არც მეორე ცოლთან – ს ე რ - ვ ი ლ ი ა ს თ ა ნ გაუმართლა ბედმა. მართალია სერვილია ძმებთან ურთიერთობისაგან თავს იკავებდა, თორემ სხვა მხრივ ისეთივე ავხორცი და გარყვნილი გამოდგა, როგორც კლოდია [14, 228]. როგორც ჩანს მრავალი მამაკაცი მტკივნეულად იტანდა ცოლის ყოფა-ქცევას. მაგალითად, იტალიიდან დაბრუნებულმა ლ ე პ ი დ უ ს მ ა თავი სარდინიას შეაფარა. მაგრამ სულ მალე ავად გახდა და დარდისაგან მოკვდა. მისი დარდის მიზეზი საქმის წაგება როდი იყო, არამედ ის, რომ შემთხვევით წააწყდა ერთ პატარა ბარათს, სა-

იდანაც ცოლის მრუშობის ამბავი შეიტყო [14, 307]. კეისრის ეპოქაში ქალები, რომლებიც მანკიერები, გარყვნილები და თავაშვებულები არ იყვნენ, პოლიტიკური პროცესების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ასეთი პატიოსანი ქალების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ტ უ ლ ი ა , კ ო რ ნ ე ლ ი ა, პუბლიუს კრასუსისა და პომპეუსის ქვრივი და კიდევ რამდენიმე სხვაც, უცნობებად დარჩენილნი მსხვერპლად რომ შესწირეს თავიანთმა მშობლებმა პოლიტიკურ პატივმოყვარეობას. სწორედ მათ მიუსაჯეს, გაეთხოვებინათ, მერე ქმრებს მიეტოვებინათ, მერე კი ისევ გაეთხოვებინათ და ასე წლიდან წლამდე, თანაც საქმროს არც ასაკს ექცეოდა ყურადღება და არც ზნეობას; პოლიტიკის შეცვლასთან ერთად, იცვლიდნენ სახლს, მსახურებს, საზოგადოებას; ხშირად დედობის გრძნობასაც იყვნენ მოკლებულნი, ქმრის სახლში თავიანთ უფროს გერებს აღმოაჩენდნენ ხოლმე და მიტოვებულებიც რჩებოდნენ ჰეტერებისა და გააზატებული ქალების გამო. ეს დროის სიავე გახლდათ, არეულობის ერთ-ერთი სავალალო და გარდაუვალი სიმპტომი, გამოწვეული ცივილიზაციის დიდი ცვლილებით [21, 272-273].

ასეთი ქორწინებით აღშფოთებული კ ა ტ ო ნ ი ხმამაღლა აცხადებდა: ,,აუტანელი ამბავია მაჭანკლობის შემწეობით ძალაუფლების მოპოვება და ქალების საშუალებით პროვინციათა და მხედრობათა გამგებლობაში ერთმანეთის გაყვანაო“ [14, 483].

პოლიტიკური მოტივით იყო გამოწვეული, როდესაც ლუციუს კორნელიუს ს უ ლ ა მ და მისმა მეუღლემ მ ე ტ ე ლ ა მ პომპეუსს შეაგონეს განშორებოდა კანონიერ ცოლს ა ნ ტ ი ს ტ ი ა ს და ეთხოვა სულას გერი, მეტელასა და ს კ ა ვ რ უ ს ი ს ასული ე მ ი ლ ი ა, თუმცა მას უკვე ჰყავდა ქმარი და ფეხმძიმედაც იყო.

ამ ქორწინებას მეტად ტირანული ელფერი დაჰკრავდა და სულას ხანას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე პომპეუსის ხასიათს.

სხვის მიერ დაფეხმძიმებული ემილია პომპეუსს მიჰგვარეს, ანტისტია კი სამარცხვინოდ და საცოდავად სახლიდან გამოაძევეს. სულ მალე პომპეუსის სახლში მშობიარობის ჟამს გარდაიცვალა ემილია [14, 298-299].

ასევე პოლიტიკური მოტივით, ყველასათვის მოულოდნელად პომპეუსმა ცოლად შეირთო კეისრის ასული ი უ ლ ი ა, რომელიც დანიშნული იყო ც ე პ ი ო ნ ზ ე და რამდენიმე დღის შემდეგ კიდეც უნდა გაჰყოლოდა მას. გამწყრალი ცეპიონის დასამშვიდებლად პომპეუსმა პირობა დადო, რომ მას მიათხოვებდა თავის ქალს, რომელიც აგრეთვე დანიშნული იყო სულას ვაჟზე ფ ა უ ს ტ უ ს ზ ე. თვითონ კეისარმა კი ცოლად შეირთო პიზონის ასული კ ა ლ პ უ რ ნ ი ა [14, 344].

პარალელურად, რესპუბლიკაში პროსტიტუცია აყვავებას განიცდიდა. სექსუალური მომსახურება რომში ხდებოდა არა მხოლოდ ბორდელებში, არამედ სასაფლაოებზე სპეციალობით ,,მომტირალ“ ქალებთან, სასტუმრო-სამიკიტნოებში და ა.შ.

სექსმომსახურის პროფესიის დაწყება ადვილი იყო: საკმარისია მსურველი მისულიყო ე დ ი ლ თ ა ნ (ძველ რომში: ტრიბუნის თანაშემწე, რომელსაც ევალებოდა ტაძრების, გზების, ბაზრებისა და სხვ. მეთვალყურეობა, ქალაქის მომარაგება სურსათით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვ.) და რეგისტრაცია გაევლო. ამის შემდეგ მოგეხსნა მეძავის ,,იარლიყი“ აღარ შეიძლებოდა. რეგისტრაციის შემდეგ ქალს კანონით მინიჭებული უფლებების ნაწილი ერთმეოდა. მას აღარ შეეძლო სასამართლოში მოწმედ გამოსულიყო, რადგან ითვლებოდა სულიერად დაავადებულად.

იმისათვის, რომ გაერჩიათ მეძავები ოჯახის ქალებისაგან, მათ უნდა ეტარებინათ მოკლე, ,,მყვირალა“ ფერის გამჭვირვალე ტუნიკა, თეთრთმიანი პარიკი და სქლად შეღებილი სახე კოსმეტიკური საშუალებებით [22, 13].

უკვე იმპერიის შექმნის საწყის ეტაპზე, საიმპერატორო კარის ცხოვრება ორგიებით იყო განთქმული. მაგალითად, იმპერატორ კ ლ ა ვ დ ი უ ს ი ს მეუღლე მ ე ს ა ლ ი ნ ა-ს შესახებ ასეთი ხმები ვრცელ-

დებოდა: ,,ერთხელ მესალინას სანაძლეო დაუდვია რომის ცნობილ მეძავთან, ვინ უფრო მეტ მამაკაცს ,,მოემსახურებოდა“ ერთი დღის განმავლობაში. გამოჩენილმა მეძავმა 25 მამაკაცს ,,უმასპინძლა“, ხოლო იმპერატორის მეუღლემ ორჯერ მეტი დააკმაყოფილა“ [23, 28].

იმპერატორმა ტ ი ბ ე რ ი უ ს მ ა ბრძანა ოჯახის გარყვნილი ქალები (მატრონები), რომელთათვისაც საზოგადოებრივი ბრალმდებელი არ მოიძებნებოდა, წინაპართა წესისამებრ, ახლო ნათესავებს გაესამართლებინათ [24, 158]. ძველად კი მამას უფლება ჰქონდა მრუშობისათვის ქალიშვილი სიკვდილით დაესაჯა. აღნიშნული კანონი ოქტავიანე ავგუსტუსმა აღადგინა [24, 107, სქოლიო 86].

ტიბერიუსმა ასევე გამოსცა კანონი, სადაც ნათქვამი იყო: „რომაელი მხედარი, რომელმაც ოდესღაც ფიცი დადო, რომ ცოლს არასოდეს გაეყრებოდა, შემდეგ კი სიძესთან მრუშობაზე წაასწრო მეუღლეს, ფიცისაგან განთავისუფლებულიყო“.

იყვნენ ისეთი ურცხვი ქალებიც, რომლებიც ოჯახის დედის უფლებებსა და ღირსებებზე უარს ამბობდნენ და თავს მეძავებად აცხადებდნენ, რათა კანონით გათვალისწინებული სასჯელი აერიდებინათ [24, 159]. მოქმედ ძველ კანონს კი როსკიპებისათვის საკმარის სასჯელად მიაჩნდა საკუთარი

გარყვნილების აღიარება და ამას სჯერდებოდა [24, 159, სქოლიო 41].

ტიბერიუსმა ასევე აკრძალა უცხოტომელთა ღვთისმსახურება, განსაკუთრებით ეგვიპტური და იუდაური წეს-ჩვეულებები [24, 159]. ეგვიპტური კულტების აკრძალვის საბაბად ისიდას ტაძარში მომხდარი დანაშაული გამოიყენა, როცა ერთი რომაელი მხედარი ღმერთის სახით გამოეცხადა რომაელ ქალს და გააუპატიურა [24, 159, სქოლიო 43].საინტერესოა, რომ რომაელთა ძველი კანონი კრძალავდა დამნაშავე ქალწულების მოხრჩობით მოკვდინებას. ამიტომ ტიბერიუსის განკარგულებით არასრულწლოვან გოგონებს სიკვდილით დასჯის წინ ჯალათი აუპატიურებდა [24, 175].

კ ა ლ ი გ უ ლ ა მ ახალი სახის გადასახადი დაუწესა მეძავებს. ისინი იხდიდნენ ერთი სქესობრივი კავშირის საფასურს; კანონის ამ მუხლის დამატების მიხედვით, გადასახადი ეკისრებოდა მათაც, ვინც ადრე მეძავეობით ან შუამავლობით ირჩენდა თავს, თუნდაც მერე კანონიერად დაოჯახებულიყვნენ [24, 214].

მოგვიანებით პალაციუმზე საროსკიპო მოაწყო: სასახლის ბრწყინვალებით მორთულ და მოწყობილ უამრავ ოთახში გათხოვილი ქალები და კეთილშობილი ჭაბუკები საკუთარ თავს სთავაზობდნენ მსურველებს, ხოლო ბაზრებსა და ბაზილიკებში მაცნეები

დაგზავნა, რათა მოხუციც და ახალგაზრდაც განცხრომის საგემებლად მიეწვიათ [24, 215].

რომის იმპერიის მდგომარეობა გაძლიერებული პართიისა და მოზღვავებული გერმანული ტომების გამო კიდევ უფრო რთულდებოდა და ეს მაშინ, როცა რომში ერთმანეთს პედერასტი, ტრანსვესტიტი და მამათმავალი იმპერატორები ცვლიდნენ! ასე მაგალითად, ოცდამეორე იმპერატორი კარაკალა (211-217 წწ.) და ელგაბალუსი (218-222 წწ.) გარყვნილებაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. მაგრამ ელაგაბალუსმა, რომელიც მცირეაზიელი ტრანსვესტიტი იყო, თვით ნერონსა და კალიგულასაც კი გადააჭარბა – რ ო მ ი ს ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი გ ა თ ხ ო ვ დ ა. ელაგაბალუსი თავისი „ქმრებით“ იწონებდა თავს. იგი თავის კუროებთან ერთად ჯარისკაცების წინაშეც კი კოხტაპრუწაობდა... რომში იმპერატორი ყველას ეზიზღებოდა და წყევლიდა... ბოლოს მას შეთქმულება მოუწყვეს და დაამხეს [25, 99].

ახ.წ. – აღ-ის III საუკუნის ბოლოს იმპერატორი დ ი ო კ ლ ე ტ ი ა ნ ე შეეცადა გაემკაცრებინა საქორწინო სამართალი. მის დროს დასჯადი გახდა ორცოლიანობა და ცოლქმრული ღალატი. იმპერატორის ედიქტი კრძალავდა ქორწინებას ნათესავებს შორის. 295 წელს გამოცემული კანონი ქორწინების

შესახებ, ადასტურებს იგივეობას ძველ რომაულ სამართალთან, რელიგიასა და მორალთან [26, 65].

უკვე, იმპერატორ კონსტანტინეს დროს 326 წელს მიღებული კანონით, ქმრის მოღალატე ცოლს სიკვდილი ემუქრებოდა. იმპერატორმა ძალაში დატოვა ძველი კანონი, რომელიც კრძალავდა თავისუფალი მოქალაქისა და მონის ქორწინებას. თავისუფალი ქალის სასიყვარულო კავშირი თავის მონასთან ასევე სიკვდილს ითვალისწინებდა [26, 145].

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო ზნეობრივმა კრიზისმა. ქრისტიანობა შეეცადა ამ პრობლემის მოგვარებას, თუმცა თავდაპირველად ქალის როლსა და უფლებებს საზოგადოებაში სკეპტიკურად განიხილავდა. კერძოდ, ქრისტიანთა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნიკეაში 325 წელს ერთ-ერთ საკითხად განიხილეს ქალის ადამიანობის პრობლემა. მხოლოდ ხმათა მცირე უპირატესობით გადაწყდა, რომ ქალიც ადამიანია და არა ეშმაკი. მაკონის საეკლესიო კრებაზე (VI ს.) სადავო შეიქმნა სულის არსებობა ქალის პიროვნებაში, რაც ერთი ხმის უპირატესობით გადაწყდა დადებითად. ამავე საუკუნის დასასრულს (585წ.) გალიის ეპისკოპოსებმა ქალაქ მესონში სპეციალური საეკლსიო კრება მოიწვიეს, რო-

მელზედაც განიხილეს საკითხი: არის თუ არა ქალი ადამიანური არსება, თუ ცხოველთა სამყაროს მიეკუთვნება [15, 59]. აქვე აღვნიშნავთ, რომ მართალია ა პ ო ლ ო ნ ი ო ს რ ო დ ო ს ე ლ ი წინამორბედი მწერლების მონაცემთა გათვალისწინებით ქართველი ტომის მ ო ს ი ნ ი კ ე ბ ი ს შესახებ მიუთითებს, რომ ,,...მამაკაცს არ სცხვენია ქუჩაში მეუღლესთან ყველას თანდასწრებით დაამყაროს სქესობრივი კავშირი“ [27, 108], მაგრამ მთლიანობაში ანტიკური ავტორები ქართველი ტომებისა და კულტურისადმი დადებით შეფასებას გვაძლევენ. განსხვავებით საბერძნეთისა და რომისაგან ქართული წარმართული პანთეონი სიწმინდით გამოირჩეოდა, რაც ჩვენი წინაპრების ეროვნულ ხასიათზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ქართლის სამეფოს მთავარი ღმერთი ა რ მ ა ზ ი, ბრძოლისა და ვაჟკაცობის ღვთაება იყო, რამაც მოგვიანებით მონოთეისტურ რელიგიაზე გადასვლას უმტკივნეულოდ შეუწყო ხელი. ამიტომაც, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ახალი სარწმუნოება ეროვნული, ქართული ერთღმერთიანობის სიმბოლოდ იქცა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Е. Зимин, Небожители легково поведения, Журн. ,,Загадки истории“, 2020, №10
2. თამარ-ბარბარე თომაძე, პლატონი, თბ.,2019

3. Джеимс Джордж Фрезер, Золотая ветвь, (перевод с английского), М., 1986
4. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994
5. თ. შავიშვილი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბ., 1975
6. А. Шепель, Гетеры древней Греции, Журн. „Загадки истории“, 2020,№47
7. Тильман Нагел, Тимур-заваеватель, перевод с немецкого Ясинской Л. И. Ростов-на-Дону., 1997
8. И. М. Нахов, Философия киников, М., 1982
9. ავგუსტ ბებელი, დედაკაცი და სოციალიზმი, ბათუმი., 1912
10. ვ. ბააკაშვილი, ესქილე, თბ., 1975
11. ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1975
12. А. Стрелкова, Десятая Муза Греции, Журн. „Загадки истории“, 2019,№11
13. ს. ლობჟანიძე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2006
14. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ, I, თბ., 1975

15. ა. სონღულაშვილი, პანკები, ჰიპები, მეტალისტები... და ქალები, თბ., 1996
16. რ. ჯაფარიძე, გზა გოლგოთისაკენ, თბ., 1992
17. ა. დონინი, ადამიანები კერპები და ღმერთები, თარგმანი იტალიურიდან, თბ., 1965
18. რასელ თომსენი, ბიბლიის სამედიცინო სიბრძნე, თბ., 1991
19. ალ. წერეთელი, ძველი რომის იმპერია, თბ., 1992
20. ალან პიზი, ბარბარა პიზი, სხეულის ენა, თბ., 2016
21. გულელმო ფერერო, იულიუს კეისარი, თბ., 2016
22. Н. Котомкин, Что дозволено юпитеру?, Журн. „Загадки истории“, 2020, №46
23. Л. Бударин, Нерон должен умереть!, Журн. „Загадки истории“, 2019, №32
24. გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი, კეისრები, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. გიორგაძემ, თბ., 2011
25. დ. ჩუბინიძე, მსოფლიო იმპერიები, თბილისი, 2021
26. გ. ქავთარია, კონსტანტინე დიდი, თბ., 2020
27. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი ა. გელოვანისა, თბ., 1975

PROSTITUTION IN ANTIQUITY

Summary

The term prostitution has a rich vocabulary in classical languages. The modern definition comes from the Latin word Prostituere, which has several meanings. Broadly speaking, prostitution was a complex system with a hierarchy of sex workers who had varying levels of autonomy and respect. In ancient Greece, even during the archonship of Solon (639-559 BC), there were saroskipos in Athens. According to the law in force here, Roskips (Haters) wore colorful clothes of a prescribed form so that they could be easily recognized by other citizens. Roman Emperor Caligula imposed a tax on prostitutes. According to the law, the tax was also imposed on those who previously supported themselves by prostitution or mediation, even if they later legally married. Such laws were also applied in the states under the influence of Rome.

ისლამი და ქალის უფლებები

რელიგია აყალიბებს მცნებებს, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს – თუ რა უნდა აკეთოს და რა არ უნდა აკეთოს ადამიანმა. ძველი აღთქმიდან ცნობილია ათი მცნება. მათგან სანიმუშოდ გამოვყოთ რამდენიმე: „არა კაც-ჰკლა“, „არა იქურდო“, არა ცილი სწამო“ და „არა იმრუშო“. ეს შეგონებები საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საერთოდ ყოველგვარ მორალს. ისინი, საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად იქცნენ. მათ შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა [1, 51].

ისლამის დამოკიდებულება ქალისადმი მეტად მკაცრია. ამ საქმეში იგი მხარში უდგას სხვა რელიგიებს. თუ მორწმუნე ებრაელი დილის პირველი ლოცვით მადლობას სწირავს ღმერთს, რომ ქალად არ გააჩინა, ისლამი უფრო შორს მიდის. იგი ქალს უკიდურესად დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს სპეციალური აღმოსავლური დესპოტიზმი. ქალი პატარაობიდანვე ვაჭრობის საგნად არის გადაქცეული. იგი შეიძლება იყიდო, გაყიდო, გაასაჩუქრო. ყურანი ქალს მამაკაცთან შედარებით დაბალ არსებად თვლის: „თქვენი ცოლები მინდორ თქვენდა არიან. თქვენ მინდორზე გადით, როგორც გნებავდესთ“. ისლამი ქალს უწოდებს „შეზღუდული ჭკუის არსებას, რომე-

ლიც უდიდესი სასჯელია მამაკაცისთვის“ და ა. შ. ქალი საზოგადოების წევრადაც არ ითვლება, იგი მხოლოდ მონაა, რომელმაც ჩადრით უნდა იაროს. ქალები ჯოჯოხეთში იცხოვრებენ; სამოთხეში მხოლოდ ქალიშვილები იქნებიან მამაკაცის გასართობად [2, 79-80].შარიათის მიხედვით ქალი დაბალი დონის არსებაა; როდესაც მაჰმადიანს გოგონა შეეძინება მას „სახე შავი უხდება და დამწუხრებულია“ [3, 149].

ჯერ კიდევ ისლამამდელ არაბ ტომებში ქალიშვილის დაბადება უბედურებად ითვლებოდა: მისგან ნაკლებ სიკეთეს ელოდა მოხეტიალე და მძარცველური ყოფის მატარებელი ტომი. ამიტომ არაბები სალოცავებისადმი მსხვერპლშეწირვის დროს „უპირატესობას“ გოგონებს აძლევდნენ, ან ცოცხლად მარხავდნენ [4, 11].

ზოგადად, ყველა მომთაბარე ხალხში ქალი არ იყო გათანაბრებული მამაკაცთან. მომთაბარეთა სამეურნეო ცხოვრებაში ქალის როლი საკმაოდ დაბლა იდგა. იმისათვის, რომ ტომს თავისი ტერიტორიის საზღვრები გაეფართოებინა საჭირო იყო პირველ რიგში მებრძოლი მამაკაცი და არა ქალი [5, 16].

არაბ მომთაბარეს შეეძლო ჰყოლოდა შეუზღუდავი რაოდენობის ცოლები, და ასევე, ხარჭა განუსაზღვრელი რაოდენობით. გოგონას დაბადება კი

აღიქმებოდა უბედურებად. ასეთი ფაქტები, მხოლოდ წარმართი არაბებისათვის არ იყო დამახასიათებელი. მსგავსი დანაშაული დღესაც წარმოადგენს ტრაგიკულ სინამდვილეს: ინდოეთში ახალდაბადებულ გოგონას ზოგჯერ კლავენ, რამდენადაც ეშინიათ სიღარიბისა და სირცხვილისა, როცა მათი გამზითვების დრო დადგება. ჩინეთში, სადაც კანონით აკრძალულია ერთ შვილზე მეტის ყოლა, ქალები ხშირად აბორტს იკეთებენ, როდესაც გაიგებენ, რომ ქალიშვილი შეეძინებათ [6, 226].

ქალებზე დამამცირებელი წარმოდგენა მუსლიმანურ რელიგიაში ნასესხებია წარმართობის დროინდელ არაბთა ყოფა-ცხოვრებიდან. ბედუინ არაბს ყოველთვის თავი მოჰქონდა ვაჟიშვილებით; როგორც აღვნიშნეთ, მისთვის ქალიშვილის დაბადება უბედურება იყო. როდესაც არაბეთში იქმნებოდა მრავალღმერთიანობის კულტიდან ერთღმერთიანობის კულტი და გაბატონდა ღმერთი ალაჰი, ალაჰმა დაამცირა და მოიძულა არაბისათვის „არასრულფასოვანი“ ქალის არსება. ფეოდალური საზოგადოების მმართველმა წრეებმა კი ალაჰის სახელით, ყურანით დააკანონეს ქალების უთანასწორობა. საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში მას მიაკუთვნეს არასრულფასოვანი, მორჩილი და დამცირებული ადგილი. ყურანის თანახმად მემკვიდრეობის განაწილებისას „მამაკაცს იმდენი უნდა ერ-

გოს, რამდენიც ორ ქალს, ანდა, თუ მიცვალებულს მემკვიდრედ ვაჟი არა ჰყავს, ქალი მემკვიდრეები მაინც ვერ მიიღებენ მამის მთლიან ქონებას. უფალი განმარტავს ამას, რომ თქვენ არ გადაცდეთ. ღმერთმა იცის ყველა საგანი“ [7, 118-119]. რელიგიური დოგმებით „ქალი ეშმაკის მარყუჟი და სიყვარული მიწიერისადმი ყველა ცოდვათა საფუძველია...“ [7, 55]. ყურანის მეორე სურის 228-ე აიათში აღნიშნულია: „ქმრებსა აქვთ ხარისხი თავიანთი ცოლთა უმაღლეს“ [8, 34].

ქალის უფლებების შეზღუდვას ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ ისლამი ოფიციალურად ნებას რთავს მამაკაცს ოთხი ცოლი იყოლიოს. ასევე ხშირია მცირეწლოვანთა გათხოვება. მაგალითად, ახალი რელიგიის ფუძემდებელმა, წინასწარმეტყველმა მუჰამედმა ცოლად შეირთო მომავალი ხალიფა აბუ-ბექრის 7 წლის ქალიშვილი აიშა [4, 75]. ამ დროს მუჰამედი 54 წლის იყო. ვიდრე აიშა წამოიზრდებოდა მუჰამედი ხის თოჯინებით ეთამაშებოდა. ამავე დროს, მუსლიმებში ჩვეულებრივი მოვლენაა ბიძაშვილების, დეიდაშვილების და ბიძაშვილ-მამიდაშვილის ურთიერთზე დაქორწინება [9, 12, სქოლიო 24].

როგორც ცნობილია ახლო ნათესავებს შორის ქორწინების ფაქტები დადასტურებულია ისლამამდელი პერიოდის ირანელებშიც. კერძოდ, ზოროას-

ტრელთა ორ საღვთო წიგნში: შ ა ი ა ს თ ლ ა-შ ა ი ა თ ს ა დ ა დ ი ნ კ ა რ ტ შ ი, სადაც ასეთი კავშირი დასაშვებად და მოსაწონად არის მიჩნეული. ზოროასტრელებისათვის ახლო ნათესავებს შორის ქორწინება ითვლებოდა წმინდა საქმედ. შაიასთ და შაიასთის განმარტების მიხედვით ღმერთი ეუბნება ზოროასტრელთ..., რომ სწორია მისი მოქმედება, ვინც ურყევია ღმერთის (აჰურამაზდას) თაყვანისცემაში და განამტკიცებს ღვთისმოყვარეობას თავის ახლო ნათესავთან ქორწინებით [10, 101-102].

შაჰ-თამაზ I დროს (1524-1576 წწ.) ირანის ქალაქებში პროსტიტუცია ფართოდ გავრცელდა. აქედან მიღებული შემოსავლის ნაწილს მეძავები სახელმწიფოს უხდიდნენ. პროსტიტუციის ბუმმა მრავალი ადამიანი დაავადმყოფა. ვენერიული დაავადება მოედო მოსახლეობას. შაჰი იძულებული გახდა მკაცრი ზომები მიეღო. „სადაც გამოჩნდებოდა ასეთი დედაკაცი ბრძანებდა საშინელი წამებით მოეკლათ იგი“ [11, 44]. მოგვიანებით, შაჰის ხელისუფლებას შემოსავლის წყარო რომ არ დაეკარგა, მ ა-შ ა ლ დ ა რ ბ ა შ ი ს („მეჩირაღდნეთა უფროსი“), სხვა ფუნქციებთან ერთად მის კომპეტენციაში შევიდა და დაექვემდებარა ისპაჰანში მდებარე საროსკიპოები [12, 146].

სეფიანი შაჰების ჰარამხანა (საქალებო) დიდი და რთული დაწესებულება იყო. იგი ზოგჯერ მნიშ-

ვნელოვან, არაიშვიათად კი, გადამწყვეტ როლს თამაშობდა იმპერიის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. აქ ცხოვრობდნენ შაჰების როგორც ახლო ნათესავები (დედები, დები, ქალიშვილები, ბიძაშვილები და სხვ.), ისე მათი ცოლები, ხარჭები და მხევლები, ზოგჯერ ათასამდე სული [13, 304].

შაჰის ცოლებს მეტი ძალაუფლება ჰქონდათ სამეფო კარზე, ვიდრე დედებს. პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ა ვ ა ლ ე ს ცნობით, მეფის სისხლით ნათესავ ქალებს სეფიანთა ხანაში ბ ე გ უ მ ი ს წოდებით იხსენიებდნენ, ხოლო სხვა ცოლებს, რომელნიც შაჰის ნათესავები არ იყვნენ (ირანის შაჰის ცოლებში ცოტა როდი იყო თვითონ შაჰის სისხლით ნათესავი, ვთქვათ, ბიძაშვილი), ხანუმს უწოდებდნენ [13, 305].

კ ე მ პ ფ ე რ ი ს ცნობით, მის დროს (1683-1685 წლებში) „ჰარამხანაში პირველი ადგილი შაჰის დედას უჭირავს“ [13, 304].

ირანის შაჰს ბ ა ბ ა-ხ ა ნ ს 300-ზე მეტი კანონიერი ცოლი ჰყავდა. მის ჰარემში დაახლოებით 700 ქალი ყოფილა. ხელმწიფეს 60-მდე ვაჟიშვილი და 50 ქალიშვილი ჰყოლია. საერთოდ კი, ფ ა თ ჰ ა ლ ი - შ ა ჰ ი ს მემკვიდრეებს ორი ათასამდე ანგარიშობენ: 200 შვილი, 600-მდე შვილიშვილი და დანარჩენი შვილები [14, 48].

ზოგადად, მთელ მუსულმანურ სამყაროში ფართოდ გავრცელდა მცირეწლოვანი ბავშვის გათ-

ხოვება ასაკოვან მამაკაცზე. მათი რწმენით ასეთ საქციელს გამართლება ჰქონდა თვით მუჰამედისა და აიშას ქორწინების მაგალითით [15, 35].

ბაბა-ხანის დროს ირანში გავრცელებული ყოფილა ერთი მეტად მანკიერი წესი. ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან შაჰს უგზავნიდნენ ხოლმე ახალგაზრდა ქალიშვილებს. შაჰი მხოლოდ ერთ ღამეს ატარებდა მათთან და შემდეგ გადასცემდა თავის ერთ-ერთ დიდებულს ან მაღალ სამხედრო პირს, რომელიც ამას უდიდეს პატივად თვლიდა და ასეთი შემთხვევის აღსანიშნავად დიდ წვეულებას მართავდა; ამ წვეულებას თვით შაჰიც ესწრებოდა [14, 48, სქოლიო 8].

მეჩეთებში ქადაგების დროს ხშირად მოუწოდებდნენ შემდეგი სიტყვებით: „ვინც არ უნდა გახდე, როგორი განათლებაც არ უნდა მიიღო, თქვენ დაბადებიდან მუსულმანები ხართ და უნდა შეასრულოთ თქვენი ხალხისა და წინაპრების ვალდებულება [16, 50].

ყოფაში, ოჯახში შედარებით ნათლად მჟღავნდება ქალის უუფლებობა. ქალისადმი დამოკიდებულებაში სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები, რაც მოცემულია ყურანსა და შარიათში, გამოხატავს რეალურად არსებულ ფეოდალურ-პატრიარქალურ დამოკიდებულებას „მუსულმანურ სამყაროში“.

ყურანზე დაფუძნებული ისლამის მორალი ბღალავდა ქალის უფლებებსა და ღირსებას, მას განიხილავდა, როგორც ნივთს, როემლიც შეიძლება გაყიდო, იყიდო, გააჩუქო. უარყოფით როლს თამაშობდა მაჰმადიანი ქალის მდგომარეობაზე ოჯახსა და საზოგადოებაში ყურანის მითითება ქალის „ჩაკეტვაზე“ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რიტუალურ ტანსაცმელზე (ჩადრი და სხვ.).

ქალის იზოლირებაზე მითითებამ თავი იჩინა მუსულმანური დასახლებების მშენებლობაში: სახლები შემორტყმული იყო მაღალი ღობით, აშენებდნენ სპეციალურ შიდა ეზოებს, სადაც იმყოფებოდნენ ქალები და სადაც უცხო მამაკაცს შესვლის უფლება არ ჰქონდა. ფანჯარა გადიოდა არა ქუჩის მხარეს, არამედ ეზოში, და თუ ქუჩას უყურებდა მაშინ წვრილი ბადით იყო გადავსებული, რომლის მიღმა ატარებდნენ მთელ თავის ცხოვრებას ქალები. საუკეთესო ქებას იმსახურებდა მამაკაცი, რომლის მეუღლის, დის, ქალიშვილის სახეს ვერ ნახავდა უცხო ადამიანი [16, 56].

„ყაბუს-ნამეში“ (XI ს.) აღნიშნულია, რომ „თუ გეყოლებათ ქალიშვილები... მოუყვანეთ აღმზრდელი, რომ ასწავლოს ნამაზი, მარხვა და შარიათის პირობები... მაგრამ არ ასწავლოთ წერა. ხოლო როდესაც გაიზრდება, ეცადეთ სწრაფად გაათხოვოთ. ისე უკეთესია ქალიშვილები არ გყავდეთ, და თუ მა-

ინც გეყოლებათ უკეთესია გათხოვილი იყვეს ან საფლავში იწვეს“ [16, 57].

ქალის უფლებებთან დაკავშირებით, შედარებისთვის მოვიტანოთ ერთი მაგალითი ინდოელი ქვრივი ქალის ცხოვრებიდან: ინდოელი პროგრესული მოღვაწეების ძალისხმევით ინგლისის ხელისუფლებამ 1829 წელს კანონით აკრძალა ს ა ტ ი ქალის თვითმკვლელობა (დაწვა) გარდაცვლილი ქმრის ნეშტთან [17, 68].

ძველი ტრადიციების გადმონაშთების თანახმად ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქვრივი არ მონაწილეობდა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად დღესასწაულებში და რელიგიურ ცერემონიებში, რათა არ მოეტანა უბედურება, ქვრივს მშობლებთან დაბრუნება არ შეეძლო... მას ეძინა ცარიელ მიწაზე, საკვებს იღებდა დღეში ერთხელ, არ შეეძლო ეჭამა თაფლი, ხორცი, გამოეყენებინა მარილი, დაელია ღვინო და ა. შ. უფლება არ ჰქონდა ეტარებინა ძვირფასეულობა, ღია ფერის ტანსაცმელი, შეეღება თმები. უფრო ადრე პერიოდში თავს იპარსავდნენ. ქვრივი ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას: კითხულობდა დაუსრულებელ ლოცვებს და აწყობდა რიტუალებს ქმრის ხსოვნასთან დაკავშირებით... გასაკვირი არ არის, რომ ისინი თვითმკვლელობას მიმართავდნენ... [17, 69].

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში დეკლარირებულია ოჯახსა და საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის უფლებების ფორმალური თანასწორობა. მაგრამ სინამდვილეში ირანელმა ქალებმა დაკარგეს ბევრი ის უფლება, რაც მათ მონარქიული რეჟიმის დროს მოიპოვეს. ისლამურმა ხელისუფლებამ კვლავ აღადგინა პოლიგამია, რაც მეტად ამცირებს ქალის ღირსებას. ქალს კვლავ დაუბრუნეს ჩადრი, რომელიც აკრძალული იყო მონარქიულ ირანში. მას უკვე აღარ შეუძლია დაიკავოს მნიშვნელოვანი თანამდებობები სახელმწიფო აპარატში, ეკრძალება საზოგადოებრივ ადგილებში (მაგალითად, საპარიკმახეროებში, რესტორნებში და სხვ.) მოემსახუროს მამაკაცს და ა. შ. ყოველივე ეს კონსტიტუციურ დაპირებათა მიღმა რჩება [18, 179].

ირანის ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით „ზნეობის პატრულებს“. როდესაც შენიშნავენ ქალს, რომლის ტანსაცმელიც მათი აზრით, ისლამის ნორმებს არ შეესაბამება, აკავებენ მას და იქვე უწყობენ „ტრიბუნალს“ მოლას მონაწილეობით. თუ ქუჩაში კაცმა ქალს ხელი ჩამოართვა, „ტრიბუნალი“ მაშინვე იქვეა.

სასჯელი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: გაკიცხვიდან ცემამდე. იყო შემთხვევები, როცა სასამართლომ სოფლის მოლას თავმჯდომარეობით

ქალებს – ფეხმძიმეებსაც კი – სიკვდილი მიუსაჯა. ისინი ქვებით ჩაქოლეს. იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა მუსულმან ფანატიკოსთა ჯგუფები „ზნეობის პატრულების“ მოხალისე თანაშემწეები სერავენ არამუსულმანური ნორმებით ჩაცმულ ქალებსა და გოგონებს, მათ ხელკეტებით სცემენ, სახეში ქერძაფს ასხამენ.

ნორმები მკაცრია. ავტობუსებში, კინოთეატრებში, რესტორნებში ადგილები გაყოფილია კაცებისა და ქალებისათვის. ოჯახში, სამუშაოზე, საზოგადოებრივ ადგილებში ქალი აღიარებულია „მეორეხარისხოვან“ არსებად. მისთვის აკრძალულია ბევრი პროფესია, წართმეული აქვს სამსახურში დაწინაურების შესაძლებლობა. სასამართლოშიც კი არ სარგებლობს თანაბარი უფლებით. ერთი მამაკაცის მოწმობა გათანაბრებულია ორი ქალის მოწმობასთან. ყოველგვარ ძალმომრეობას ქალთა უფლებების მიმართ ირანში ღვთისმეტყველი კანონმდებლები განამტკიცებენ. მათი მტკიცებულებით „გოგონას შეუძლია 9 წლიდან გათხოვდეს“, – და ათასობით ბავშვისათვის სამუდამოდ იკეტება სკოლის გზა. სხვა მითითებით „ქალთა სპორტი შეუთავსებელია ისლამთან“, – და აუზები, სტადიონები, ჩოგბურთის კორტები ნორჩი სპორტსმენი გოგონებისათვის აკრძალულ ადგილად იქცევა [19].

საინტერესოა, როგორი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მაჰმადიან მოსახლეობაში ქალის უფლებების მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში და ზოგადად საქართველოში ისლამის აღმსარებელთა ცხოვრება თავისებურებებით გამოირჩეოდა.

ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის საწყის ეტაპზე მუსულმანური სამართალი „კანონგარეშე“ მაინც განაგრძობდა არსებობას, გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები და განაჩენი შარიათისა და ადათის მიხედვით. მოწმის სტატუსის განსაზღვრისას ერთი მამაკაცის ჩვენება სასამართლოში თანაბარი იყო ორი ქალის ჩვენებისა.

ყადის (მოსამართლის) გადაწყვეტილებით ქალი ისჯებოდა, თუ ქუჩაში ჩადრის გარეშე გამოვიდოდა, უცხო მამაკაცს დაელაპარაკებოდა ან უარს იტყოდა ცოლად გაყოლოდა იმ პიროვნებას, რომელზეც ბავშვობაში იყო დანიშნული. ამავე დროს ყადი დასაშვებად თვლიდა არასრულწლოვანის გათხოვებას, სკოლაში სიარულზე უარის თქმას და ა. შ. [16, 14]. შარიათიდან გამომდინარე 9 წლის გოგონას კალიმის (გამოსასყიდის) შემდეგ ხშირად ათხოვებდნენ მოხუცზე, რომელსაც უკვე ჰყავდა რამდენიმე ცოლი. კალიმის გადახდის შემდეგ „მამაკაცი სრულუფლებიანი მბრძანებელი ხდებოდა მეუღლეზე“ [16, 57]. ტაჯიკეთში ბევრი მამაკაცი იძულებ-

ული ხდებოდა ცოლად შეერთო ახლო ნათესავი, რადგანაც ასეთ შემთხვევაში კალიმს გადაიხდიდა მცირე რაოდენობით ან საერთოდ გადახდის გარეშე გადარჩებოდა [20, 19].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში ისლამის გავრცელებას სხვადასხვა ხალხებში მოჰყვა ამ რელიგიის ადგილობრივი ფორმების თავისებურებათა აღმოცენება. მაგალითად, რწმენა და რიტუალები აზერბაიჯანში განსხვავდება უზბეკეთში ანალოგიური ტრადიციებისაგან.

შუა აზიაში და აზერბაიჯანში ისლამი უკრძალავდა რელიგიური წამოსასხამის გარეშე გავლას. ეს წესი კი მომთაბარე მუსლიმანებში, მაგალითად, ჩრდილო კავკასიასა და ბაშკირეთში, სავალდებულოდ არ მიიჩნეოდა, რადგან იგი ხელს უშლიდა მათ სწრაფ მოძრაობაში, რაც ამ ხალხის ტრადიციულ თავისებურებას წარმოადგენდა;

საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილსა და ციმბირში მუსლიმანობა ქალებს მეჩეთში სალოცავად სიარულის ნებას რთავდა, ხოლო კავკასიაში მცხოვრებ ქალებს ეკრძალებოდათ ამგვარი რამ; უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და სხვა რესპუბლიკებში მუსლიმან ქალებს ეკრძალებოდათ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მიღება. იგივე წესი კი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში მცხოვრებ კულტის მსახურ ქალებს არ

უკრძალავდა სასაფლაომდე მიეცილებინათ მიცვალებული [7, 86].

პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები მიცვალებულისთვის ამოთხრიდნენ საფლავს ორი მეტრის სიღრმეზე და შეჭრიდნენ გვერდიდან. ქალის საფლავი მამაკაცის საფლავზე 10 სანტიმეტრით ღრმად ითხრებოდა. მათი რწმენით „ქალისა და მამაკაცის სული საიქიოში ერთმანეთს არ უნდა შეხვდეს. ცხოვრებაში ქალისაგან შეწუხებულმა მამაკაცმა სამარეში უნდა დაისვენოს და ქალთან მიმავალ ეშმაკს დაუდარაჯდეს და მუდმივი მფარველი იყოს მისი“ [21, 196].

ჩეჩენი ქალი დაქვრივების შემდეგ იშვიათად ინარჩუნებდა ქმრის გვარს. შვილებს ბებია-პაპას უტოვებდა და მშობლიურ ოჯახში ბრუნდებოდა; ერთ-ორ წელიწადში კი აუცილებლად ახალ ოჯახს ქმნიდა [21, 198].

შუა აზიაში რესპუბლიკების ცხოვრებაში უარყოფით როლს თამაშობდა ქალისადმი აგდებული დამოკიდებულება, ფეოდალურ-ბეგური ურთიერთობის რეციდივები. ქალები დილიდან დაღამებამდე მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ. ხშირად გადაჰქონდათ მძიმე ტვირთი და ამავე დროს უძღვებოდნენ საოჯახო საქმეს. უზბეკეთის სახალხო მწერალი ა. ი ა კ უ ნ ო ვ ი სამართლიანად წერდა ამასთან დაკავშირებით, რომ: „დღეს ჩვენი მამაკაცები რომ-

ლებმაც უარყვეს „წარსულის გადმონაშთები“, უპ-ირატესობა მიანიჭეს ნაკლებად დამღლელ სამუშა-ოს. ივლისში ისინი მუშაობენ მწონავებად. და, რო-გორ მძიმეა უყურო, როდესაც ქმარი ასწორებს სას-წორს, როცა წელში მოხრილ ცოლსა და შვილს წინ-საფრით მოაქვს ბამბა“. აღნიშნულ რეგიონში გოგო-ნას ხელს უშლიდნენ სწავლაში, ძალით ათხოვებ-დნენ მშობლები მათთვის სასურველ კანდიდატუ-რაზე, ცემენ, აბუჩად იგდებენ, რის გამოც ასობით თავს იწვავდა უზბეკეთში, ათობით – ტაჯიკეთში...“ [22, 118].

მიუხედავად იმისა, რომ ისლამს ასეთი მკაცრი დამოკიდებულება აქვს ქალისადმი, სექტანტ წმინ-დანთა შორის შერაცხული ჰყავთ ქალებიც. ერთ-ერთ ასეთ წმინდანს წარმოადგენს საქართველოში, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში დ ე ლ ი-ე თ ა რ ი ს (ეთერი) საფლავი. ეს ქალი ყოფილა მი-ურიდი და გამოირჩეოდა განსაკუთრებული რელი-გიურობით, რის გამო, სუნიტმა მორწმუნეებმა ის წმინდანად ჩათვალეს. ასეთივე წმინდანადაა ჩათ-ვლილი აგრეთვე აზერბაიჯანში ვინმე ს ე ი დ ნ ი-გ ა რ ი. მის საფლავზე მიდიან სხვადასხვა ვითარე-ბის გამო, აღთქმის შემთხვევაში, უმეტესად – უშვი-ლო ქალები [23, 19-20].

და მაინც, ქალის უფლებების დარღვევის მთა-ვარი მაგალითია არაბული სამყარო. საილუსტრა-

ციოდ მოვიტანთ შემდეგ მაგალითს: საუდის არაბეთში XX საუკუნის 70-იან წლებში არცერთ ქალს არ ჰქონდა უფლება მიეღო უმაღლესი განათლება. მიუხედავად ამისა მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ ს ა უ დ ი ს შვილიშვილი მ ი შ ა ა ლ ი მრავალრიცხოვანი დაცვისა და მსახურების თანხლებით 1977 წელს 19 წლის ასაკში გაემგზავრა არა ევროპაში, არამედ, მრავალკონფესიურ ისლამურ ქვეყანაში – ლ ი ბ ა ნ შ ი. პრინცესას შეუყვარდა ლიბანში საუდის არაბეთის ელჩის ვაჟიშვილი ხ ა ლ ი დ ა ლ-შ ა ი რ ი, რაც მიუღებელი აღმოჩნდა სამეფო ოჯახისათვის. სამშობლოში დაბრუნებულ მიშაალს სიკვდილი ელოდა. მან გაქცევა სცადა, თუმცა უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ ადათობრივი სამართლის მიხედვით არ აღმოჩნდა ოთხი მოწმე, ვინც დაადასტურებდა პრინცესას სასიყვარულო ურთიერთობას, მაინც მიესაჯათ ორივეს სიკვდილი.

მიშაალი და ხალიდი სახალხოდ დასაჯეს 1977 წლის 15 ივნისს. პირველი იყო მიშაალი. ქალი, რომელსაც ბრალად ედება მრუშობა, ქვებით ქოლავენ. პრინცესას მიმართ გამონაკლისი დაუშვეს. სწრაფად, რომ მომკვდარიყო მუხლებზე დააჩოქეს და კეფაში ესროლეს. ხალიდს აყურებინეს სატრფოს დასჯა. ხალიდს თავის მოკვეთა მიუსაჯეს. ასეთი განაჩენი სისრულეში მოყავს პროფესიონალ ჯალათს, რომელსაც შეუძლია ერთი დარტყმით თავი მოაც-

ილოს ტანს და ამით შეუმსუბუქოს ზედმეტი ტანჯვა დამნაშავეს. ხალიდის შემთხვევაში პროფესიონალი ჯალათი არ იყო. ხმალი გადასცეს სამეფო ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც ბუნებრივია არ ჰქონდა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება. მან მხოლოდ მეხუთე დარტყმაზე შეძლო ახალგაზრდისთვის თავის მოკვეთა. ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორი ტანჯვით გარდაიცვალა ახალგაზრდა, რომელიც პრინცესასადმი სიყვარულს შეეწირა.

1980 წელს ინგლისელებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „პრინცესას სიკვდილი“, რასაც საერთაშორისო სკანდალი მოყვა. საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ფილმის ჩვენება ჩათვალა ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად. ერ-რიადიდან გააძევეს ბრიტანეთის ელჩი, ხოლო საუდის არაბეთში დაბრუნდნენ ინგლისში სხვადასხვა მიზეზით მყოფი სამეფო ოჯახის წევრები... [24, 31].

მიუხედავად ქალისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, ზოგიერთ ისლამურ სახელმწიფოში შედარებით რბილი კანონები მოქმედებს. ასეთ ქვეყნებში, რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა ქალებს შეუძლიათ მოწმედ გამოვიდნენ სასამართლოში, ჰქონდეთ საკუთრება და მიიღონ მემკვიდრეობა გარდაცვლილი მშობლებისგან, ნათესავებისა და მეუღლისაგან. ამიტომ ქმრის ხელისუფლება არ ვრცელდე-

ბა ცოლის საკუთრებაზე. ქალის ღირსებაზე თავ-დასხმა მკაცრად ისჯება [25, 24].

ზოგადად, ისლამი, იუდაიზმისა და ქრისტიან-ობის მსგავსად, აბრაამისტული რელიგიაა, ანუ საკუთარ თავს ძველი აღთქმის ერთ-ერთი პატრიარ-ქის, აბრაამის რწმენის მემკვიდრედ მიიჩნევს. მას შემდეგ, რაც (ისლამის შეფასებით) იუდეველებმა და ქრისტიანებმა დაამახინჯეს აბრაამის რწმენა, ღმერთი მუჰამედს შემდეგს ავალებს: „დაიცავი აბ-რაამის რელიგია, რომელიც ჭეშმარიტი რწმენა იყო“ (ყურანი 16:123)

„უფალმა აბრაამი გამოარჩია თავის მეგობ-რად“ (ყურანი 4: 125). ეპითეტი „უფლის მეგობარი“ მხოლოდ აბრაამის მიმართ არის გამოყენებული ყურანში. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენე-ბულია გამოთქმა „მონა ღვთისა“.

ფაქტია, რომ არაბი მუსლიმები საკუთარ თავს მიიჩნევენ აბრაამის არა მხოლოდ სულიერ მემ-კვიდრეებად (მსგავსად ქრისტიანებისა), არამედ სა-კუთარ სისხლისმიერ წინაპრადაც (იუდეველთა მსგავსად) თვლიან ისმაილს, აბრაამისა და აგარის ვაჟს. სწორედ ამიტომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანულ ლიტერატურაში მუსლიმები ხშირად იწოდებოდნენ აგარიანებად, ისმაილიტებად, ან სარკინოზებად [26, 182-183].

ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში მუსლიმანური თემები გავრცელებული იყო მსოფლიოს 120-ზე მეტ სახელმწიფოში და დაახლოებით 800 მილიონ მოსახლეს შეადგენდა. 35 ქვეყანაში მაჰმადიანები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო 18 ქვეყანაში – გავლენიან უმრავლესობას. 28 სახელმწიფოში ისლამი სახელმწიფო რელიგიის რანგშია აყვანილი [27, 7].

მიუხედავად გლობალიზაციისა და მმართველობის დემოკრატიული პრინციპების გავრცელებისა, ისლამის აღმსარებელ უმეტეს სახელმწიფოებში, ქალისადმი დამოკიდებულება კვლავ ტრადიციულ ნორმებს ემყარება და მათი უფლებების შეზღუდვას აანონსებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბილისი, 2005
2. ორი მორალი, თბილისი, 1978
3. История и Теория атеизма, М., 1990
4. В. Ирвинг, Жизнь Магомета, М., 1987
5. В. П. Панова, Ю. Б. Вахтин, Жизнь Мухаммеда, М., 1990
6. Таня Ал Харири-Вендель, Символы ислама, М-П., 2005

7. ბ. დავითაძე, მოდერნიზმი – ისლამის ამაო იმედი, ბათუმი, 1989
8. ყურანი, თბილისი, 1906
9. მ. ძნელაძე, ემირ დოსთ მუჰამედის ბრძოლა ავღანეთში ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“, თბილისი, 1983
10. მ. მეტრეველი, ირანული გავლენა დრუიზმზე, კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“, თბილისი, 1983
11. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბილისი, 1974
12. ნ. სურგულაძე. სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბილისი 1990
13. მ. თოდუა, დედოფლის ინსტიტუტი სეფიანთა ირანის სამეფო კარზე, კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 1991
14. ზ. შარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისი, 1994
15. Густав Эдмунд Фон Грюнебаум, Классический ислам, пер. С английского, М., 1988
16. Ислам в ссср, М., 1983
17. В. Я. Ивбулис, Моя золотая бенгалия, пер. С Латиш. М., 1988

18. გ. ჭიპაშვილი, ირანის სახელმწიფო წყობილება, თბილისი, 1990
19. კომუნისტი, 1984, 29 აპრილი
20. Д. Валентей, монолог о челавеке и препонах экономического развития, сб., „СССР: Демографический диагноз“, М., 1990
21. ლ. მარგოშვილი, პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2006
22. Ю. И. Римаренко, По следам „снежного человека“, М., 1989
23. რ. ანდრიაშვილი, ისლამის გადმონაშთები საქართველოში, თბილისი, 1983
24. Н. Артонкина, Аладин и Жасмин XX века, журн. „Загадки истории“, 2021 №43
25. Алим Ахмедов, Социальная доктрина ислама, М., 1982
26. დ. თინიკაშვილი, ზ. ჯაში, მსოფლიო რელიგიები, თბილისი, 2012
27. Алим Ахмедов, Ислам в современной идейно-политической борьбе, М., 1985

RELIGION AND WOMEN'S RIGHTS (ON THE EXAMPLE OF ISLAM)

Summary

Each religion determines the place and destination of man in the world, how and for what he should live. It even requires the establishment of certain moral norms, the observance and observance of which will lead a person to the desired goal. Nearly one-fifth of the world's population (more than a billion people) is Muslim. There are more than 20 million adherents of Islam in Western Europe and the United States, and their number is growing systematically. According to believers, Islam is the second religion in the world after Christianity. Islam's attitude towards women is very strict. In this case he supports other religions, though he goes further. It puts a woman in an extremely humiliating situation, which is further reinforced by a special oriental despotism. Women have been traded since childhood. It can be bought, sold, gifted. The Qur'an considers women to be inferior to men. Restrictions on women's rights are also due to the fact that Islam officially allows men to have four wives. In life, a woman's rights are relatively clearly manifested in the family. The legal and moral norms regarding women, as given in the Qur'an and Sharia, reflect the actual feudal-patriarchal remnants of "Muslim law.

სკოპცების რელიგიური სექტა

ყოველი რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის იცხოვროს. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე.

ანტიკურ პერიოდში და ფეოდალური საზოგადოების დროს, რელიგიური თვითშეგნება ხშირად გამოდევნის ეთნიკურ თვითშეგნებას. შუა საუკუნეებში ხდებოდა ისეც, რომ რელიგიური სხვაობა ეროვნულადაც თიშავდა ახლო მდგომ ხალხებს, ზოგჯერ იმდენად, რომ მათ ერთმანეთში ომებიც კი ჰქონდათ სხვადასხვა რელიგიური მრწამსის გამო.

დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მისი აღიარება არ არის სავალდებულო. ეს პიროვნების კერძო საქმეა. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის თავისუფლება, რომლის მიხედვით, მას შეუძლია აირჩიოს ის რელიგია, რომელიც ყველაზე მისაღებად მიაჩნია ან საერთოდ უარი თქვას რელიგიაზე [1, 55].

ევროპაში აგორებულმა პროტესტანტიზმის ტალღამ, ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ, ხელი შუწყო რელიგიური სექტების აღორძინებას. პროტესტანტიზმი (ლათინურად – პროტესტანს –

ვინც დავობს, პროტესტს აცხადებს) – მესამე მთავარი მიმდინარეობაა ქრისტიანული რელიგიის, კათოლიციზმის და მართლმადიდებლობის შემდეგ. არის მრავალი სექტისა და განშტოების მქონე. ეს იყო დიდი საყოველთაო მოძრაობა კათოლიკური ეკლესიის მსახურთა თვითნებობის წინააღმდეგ, რომელსაც ეკლესიის მოღვაწეები ამხელდნენ და ითხოვდნენ კულტის უბრალოებისაკენ დაბრუნებას. ამასთან ეკლესია არ მიაჩნდათ შუამავლად ღმერთსა და ადამიანს შორის.

ბურჟუაზიამ ომი გამოუცხადა ფეოდალიზმის მადიდებელ კათოლიციზმს. უარყოფდა მღვდლობას, სალხინებელს, ფუფუნებას. ძველი ცოდვების გამოსყიდვის საშუალებად მიიჩნევდა პირად რწმენას, სიქველეს, კეთილი საქმეების კეთებას და არა განდეგილობას. პროტესტანტიზმმა წამოაყენა სამი ახალი პრინციპი: პირადი რწმენით ხსნა, ყოველი მორწმუნის (მონათლულის) სიწმინდე (მღვდლობა) და ბიბლიის თარგმანში გააძლიერა ლუთერმა პავლე მოციქულის სიტყვები: „განმართლება კაცისა სარწმუნოებითა თვინიერ საქმეთა სჯულისათა“ (რომაელთა მიმართ, 3, 28), ე. ი. კანონთა მიუხედავად, მორწმუნეს რწმენა ამართლებს [2, 143].

პროტესტანტიზმი შემდეგ გავრცელდა შვეიცარიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ჩეხეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. XVII

საუკუნიდან მან შეაღწია ევროპის სახელმწიფოების კოლონიებშიც.

რეფორმაციამ ევროპაში ძლიერ შეარყია ფეოდალიზმი და მისი დასაყრდენის – კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლება. არა მარტო ბურჟუაზია, არამედ გლეხობა და ქალაქის გაღატაკებული მასები მხარს უჭერდნენ პროტესტანტიზმის იდეოლოგიას, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმისა და მისი ერთ-ერთი დასაყრდენის, კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. მოგვიანებით, პროტესტანტიზმი დაიშალა მრავალ ეკლესიად და მიმდინარეობად. პროტესტანტიზმის საწყისი ფორმებიდან (ლუთერანობა, ანგლიკანობა, კალვინიზმი, ცვინგლიანობა და სხვა), აღმოცენდა მრავალი რელიგიური მიმდინარეობა: მეთოდისტები, რეფორმატიზმი, პრესვიტერიანელობა, კონგრეგაციონალიზმი, ადვენტიზმი, ორმოცდაათიანელები, ბაპტიზმი და სხვ.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში 3000-მდე დიდი და მცირე რელიგიური სექტა მოქმედებდა, რომელთაგან ზოგი საყოველთაოდ ცნობილია (მაგალითად, იეღოვას მოწმეები, კრიშნაიზმი, ბახაიზმი), ზოგი – ნაკლებად (მაგალითად, ინგლისური სატანიზმი, ღვთის შვილები, საკურთხევლის რწმენა) [3, 17]. მაგრამ რა არის რელიგიური სექტა? – ზოგიერთი პოლიტიკოსის მოსაზრებით, რელიგიური დაჯგუფება სექტა არ

არის. ლექსიკონების დიდი ნაწილის მიხედვით „სექტა“ ქვეყანაში მოქმედი ძირითადი კონფესიის შედარებით მცირერიცხოვანი რელიგიური დაჯგუფებაა. ეს განმარტებაც მთლად სრულყოფილად ვერ გადმოგვცემს ტერმინის შინაარსს.

თუ რელიგია ხასიათდება ღმერთთან კავშირისაკენ სწრაფვით, სექტათა უმრავლესობა ამკვიდრებს ბრმა მორჩილებას, თაყვანისცემას ლიდერისადმი, რომლებიც იყენებენ პიროვნებაზე ძალადობის, ჰიპნოზის, შთაგონების სპეციალურად შემუშავებულ მეთოდს, რათა შეინარჩუნონ ლიდერისა და თემის დოქტრინისადმი მათი მორჩილება [4, 111-112].

სექტა (ლათ. Secta „მოძღვრება, სკოლა“) გაგებულია ისეთ რელიგიურ მიმდინარეობად, რომელიც არ სცნობს საკუთარი რელიგიის სჯულის კანონს და აღიარებს მხოლოდ წმინდა წერილს, ისიც მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაციით. უფრო სწორად, მორწმუნე ადამიანთა გაერთიანებებს, რომლებიც გამოეყვნენ და დაუპირისპირდნენ გაბატონებულ კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს, აქვთ წარმოშობისა და განვითარების თავიანთი ისტორია, ორგანიზაციული სტრუქტურა და შემუშავებული რელიგიური დოგმატიკა რელიგიური სექტები ეწოდება [5, 79].

რელიგიური სექტანტობა რელიგიური იდეოლოგიისა და ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. იგი დამახასიათებელია ყველა, მსოფლიო და ეროვნული რელიგიისათვის. იუდაიზმში, ქრისტიანობაში, ბუდიზმში, ისლამში, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობა და სექტა ჩამოყალიბდა. ამავე დროს, მორწმუნე სექტანტები ხშირად შეურაცხყოფად იღებენ მათთვის სექტანტის წოდებით მოხსენიებას. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე რელიგიური მიმართულება ერთ სახელმწიფოში სექტის სახელწოდებით არის წარმოდგენილი (მაგ. ბაპტიზმი ყოფილ საბჭოთა კავშირში), მეორე სახელმწიფოში კი იგივე რელიგიური ორგანიზაცია გაბატონებულ რელიგიად არის აღიარებული (იგივე ბაპტიზმი აშშ-ში).

სექტანტური რელიგიური მოძღვრება ორი სახისაა – ბიბლიური და სახარებისეული. ხოლო სექტების მიერ რელიგიური სიმართლის ათვისების საშუალებების მიხედვით არსებობენ ე. წ. რაციონალისტური და მისტიკური სექტები. რაციონალისტურ სექტებს მიეკუთვნებიან მოლოკნები, ხოლო მისტიკურს – დუხობორები.

პირველები ჭეშმარიტების შეცნობის გზად მიიჩნევენ გონებას, ხოლო მეორენი, ანუ მისტიკური სექტები გვასწავლიან, რომ ადამიანმა ჭეშმარიტება

შესაძლებელია შეიმეცნოს გონების გვერდის ავ-ლით, საიდუმლო და გამოუთქმელი გზით, რომელ-საც სექტანტები ხშირად წმინდა წერილზე მაღლა აყენებენ.

ეს შეხედულება გამომდინარეობს ყველა მის-ტიკური რწმენისათვის დამახასიათებელი შესაძ-ლებლობით ადამიანის უშუალო კავშირისა ღმერ-თთან, რომლის ძალითაც ადამიანი თავის თავში ღებულობს ღმერთს და თვითონაც ღმერთი ანუ ქრისტე ხდება.

ამ შეხედულებასთან დაკავშირებით, მისტიკუ-რი სექტების დოგმატიკაში განსაკუთრებულ თავი-სებურებას იძენს მოძღვრება ღმერთისა და იესო ქრისტეს ხორცშესხმის შესახებ, რომელიც გაიგება არა როგორც ისტორიული მოვლენა, ერთადერთი და განუმეორებელი, არამედ როგორც განუწყვეტე-ლი ხორცშესხმა და გარდასახვა ქრისტესი ცალკე-ულ პიროვნებებად, რაც დამოკიდებულია ადამიან-ის ზნეობრივ სრულყოფილებაზე [6, 273-274].

საქართველოში ქრისტიანული სექტების მრა-ვალსახეობის არსებობა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობით არის განსაზღვრული, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რჯულთშემ-წყნარებლობა. ჩვენთან ქრისტიანული სექტების გავრცელება, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავე-ბით, განპირობებული არ ყოფილა სოციალურ-ეკ-

ონომიკური პირობებით. ეს მოვლენა ძირითადად, განსაზღვრულია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების სარწმუნოებრივი თავისებურებებით, მორწმუნეთა სამისიონერო საქმიანობით [5, 80-81].

ქრისტიანული რელიგიის სექტანტური ჯგუფების მრავალსახეობა დღის წესრიგში აყენებს მათი კლასიფიკაციის დაზუსტების აუცილებლობას. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს რელიგიური სექტანტობის კლასიფიკაციის რამდენიმე მოდელი, მაგრამ საქართველოსთვის ყველაზე მისაღებია ქრისტიანული სექტების ორ ძირითად ჯგუფად დაყოფა. პირველ რიგში უნდა გაერთიანდნენ ის „რუსული წარმოშობის“ სექტები, რომლებიც გამოხატავდნენ ბატონყმობის, ცარიზმის, რუსული მართლმადიდებელი ეკლსიის კანონით შემზღუდველი ბატონობისადმი წინააღმდეგობას, მათი გავლენისაგან თავდახსნის ძიებას. ასეთებია: დუხობორები, მალაკნები, სტაროაბრიაცები და სხვები.

მეორე ჯგუფის ქრისტიანული სექტები საზღვარგარეთული, პროტესტანტული წარმოშობის სექტებია. ისინი კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში და „იმპორტის ფორმით“ გავრცელდნენ, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. ასეთებ-

ია: ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, იეღოველები და სხვები.

პირველი რუსი რასკოლნიკები, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ სკოპცები (ევნუხები, საჭურისები) იყვნენ. მათი მოღვაწეობა ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ეპოქაში იღებს სათავეს. სკოპცები იყვნენ ფრიგიული წარმოშობის ქალღმერთის – კ ი ბ ე ლ ე ს ქურუმები საბერძნეთში. ასევე, ფინიკიელების მთავარი ქალღმერთის ა ს ტ რ ა ტ ა ს და ინდოეთში ღმერთ ვ ი შ ნ უ ს მსახურები. ნარატიული წყაროების მოწმობით სკოპცების არსებობა ბიზანტიაშიც დასტურდება, სადაც სარდლობდნენ ფლოტს, გაყავდათ არხები და ა. შ. სკოპცებმა – ე ვ ს ე ვ ი მ და პ რ ო ბ ა ც ი უ ს მ ა არიანობა ლამის აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გადააქციეს [7, 29].

საინტერესოა, რომ კასტრაცია 2000 წელს ჩვენს ერამდე ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა მეცხოველეობასა და სამხედრო საქმეში. უფრო მეტიც, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში ეგვიპტელთა მიერ ლიბიის დალაშქვრის შემდეგ, გამარჯვებულთა ნადავლის ჩამონათვალში მოიხსენიება 13 ათასი პენისი. ჩვეულება, დამარცხებული ქვეყნის ტყვეებისათვის მამაკაცური ორგანოების მოკვეთისა დაუწერელ კანონად იქცა და ფართოდ გავრცელდა სემიტებში, ეთიოპიაში, ინდოეთში, ბაბილონში,

სპარსეთში და სხვა ქვეყნებში. ამ საქმეში არ ჩამორჩებოდა ძველი საბერძნეთი და რომი.

თავიდან კასტრაცია გამოხატავდა დამარცხებული ტომების დამცირების საშუალებას. მოგვიანებით, 700 წელს ჩვენს ერამდე, როდესაც შუამდინარეთში გამოჩნდა პირველი ჰ ა რ ე მ ე ბ ი საჭურისებისათვის გაჩნდა სამსახურიც. 1500-ზე მეტი წელი მეფეთა ცოლების რეზიდენციას იცავდნენ და ემსახურებოდნენ მამაკაცები, რომელთაც მამაკაცური ორგანოები ამოკვეთილი ჰქონდათ.

კასტრირებულები იყოფოდნენ ორი ტიპის საჭურისებად: პირველი, ვისაც აცლიდნენ სათესლე ჯირკვლებს და მეორე, აჭრიდნენ პენისსაც. სწორედ მათ უწოდებდნენ სკოპცებს [8, 28-29].

მართლმადიდებლობას, როგორც ნებისმიერ კონფესიას ყავს თავისი დისიდენტები. რუსულ მართლმადიდებლობაში სხვაგვარად მოაზროვნეები, დოკუმენტების თანახმად დაფიქსირებულია დაახლოებით 1645 წელს. სკოპცების მიმდინარეობა სათავეს იღებს ხ ლ ი ს ტ ე ბ ი ს სექტიდან, ამიტომ მოკლედ შევჩერდებით მათზე.

ერთ-ერთ მძლავრ რელიგიურ სექტად რუსეთში ითვლებოდნენ ხლისტები. უკვე XVII საუკუნეში ისინი ყველაზე პოპულარული გახდნენ მოსახლეობაში. აღსანიშნავია, რომ ხლისტებს უერთდებოდნენ მონასტრები თავისი ბერებით. სექტა ითვლე-

ბოდა „დახურულ“ სისტემად. ლიდერები ქადაგებ-დნენ უკიდურეს ასკეტიზმს. მოძღვრის მოწოდებით ვინც ქორწინებაში იყო უნდა განქორწინებულიყო, ხოლო დასაქორწინებლებს არ უნდა შეექმნათ ოჯა-ხი. ვისაც განქორწინება არ უნდოდა, ცოლთან ისე უნდა ყოფილიყო, როგორც დასთან. რიტუალის შესრულების დროს მორწმუნეები გუნდთან ერთად სწრაფად უვლიდნენ წრეს და ლოცვებს წარმოთ-ქვამდნენ სიმღერით. ეფექტის გაძლიერების მიზ-ნით, განმეორებითი მოძრაობებით ტანზე ირტყამ-დნენ წკეპლას სისხლდენამდე, რის გამოც უჩნდე-ბოდათ იარები. სავარაუდოდ, ამ რიტუალიდან გა-მომდინარე ეწოდათ მათ ხლისტები, რაც „წკეპ-ლას“ „შოლტს“ ნიშნავს [9, 32].

ლიდერის ანდერძი სექტანტებს საიდუმლოდ უნდა შეენახათ. ასეთ შემთხვევაში მათ სამოთხე ელოდათ. დანილა ფილიპოვიჩი სიკვდილამდე ღმერთად ითვლებოდა. მაგრამ, რომელი ღმერთი იქნებოდა შვილის გარეშე. ამიტომ გამოჩნდა ძე-ღმერთიც „ქრისტე“ – ივან ტიმოფეევიჩ სუსლოვი სოფელ მაქსაკოვიდან. ამის შემდეგ მოვიდა ახალი „ქრისტე“ და ა. შ. ხლისტები თავის თემს „ხო-მალდს“ უწოდებდნენ.

1739 წელს დაიწყო ხლისტების სასტიკი დევ-ნა. მათ წვავდნენ და ფერფლს ქარს ატანდნენ. მი-უხედავად ამისა ვოლგისპირეთში მთელი რიგი მო-

ნასტრები „ხლისტობაზე“ მოექცნენ. ყოველ „ხომალდზე“ უკვე ყავდათ საკუთარი „ქრისტე“, თავისი ღვთისმშობელი და თავისი წინასწარმეტყველი [9, 33].

აზრიც კი კასტრაციის შესახებ, ბუნებრივია აშინებს ნებისმიერ ნორმალურ, ჯანმრთელ მამაკაცს. უძველესი დროიდან ეს ითვლებოდა მტკივნეულად, დამამცირებელ პროცედურად, რომელსაც ძირითადად მიმართავდნენ მონების, დამნაშავეების მიმართ. აღმოსავლურ ჰარამხანებშიც ევნუხები იშვიათად თანხმდებოდნენ კასტრაციას ნებაყოფლობით.

ოფიციალური ვერსიის თანახმად ხლისტების ერთ-ერთი ლიდერი ორლოვსკის გუბერნიაში კ ო ნ - დ რ ა ტ ე ს ე ლ ი ვ ა ნ ო ვ ი შოკში აღმოჩნდა სექტანტების აღრეული სქესობრივი ურთიერთობით, რომელიც ხდებოდა „მხიარული შეხვედრების“ დროს. სელივანოვმა წინადადებით მიმართა ხლისტებს გადაედგათ რადიკალური ნაბიჯი ცოდვებისაგან განთავისუფლების მიზნით. პირადი მაგალითის ჩვენებით ჩაიტარა კასტრაცია გავარვარებული რკინით. ხლისტების უმრავლესობა შეძრწუნებული დარჩა სელივანოვის საქციელით. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დაეტოვებინა თემი. ამავე დროს, ზოგიერთი ხლისტის ცნობიერებაზე სელივანოვის „გმირობამ“ უდიდესი შთაბეჭდილება მო-

ახდინა და მის მაგალითს მიბაძეს. ამდენად, დღე, როდესაც კონდრატე სელივანოვმა „დაწვა ცოდვის გველი“, შეიძლება ჩაითვალოს ახალი სექტის – ს კ ო პ ც ე ბ ი ს დაბადების თარიღად [10, 42]. ეს კი მოხდა 1760-იან წლებში. სექტის ძმებად გამოაცხადეს ყველა რუსი იმპერატორი და დედოფალი, სუვოროვი, ნაპოლეონი, მოციქულები და იესო ქრისტეც.

ტამბოვიდან 80 კილომეტრში არის პატარა ქალაქი მ ა რ შ ა ნ ს კ ი. 200 წლის წინ ეს იყო რესპექტაბელური და მდიდარი სავაჭრო ქალაქი. და კიდევ – რუსეთის ტერიტორიაზე ყველაზე მდიდარი, საზარელი და არაადმიანური სექტის შტაბი. სექტანტების თვითსახელწოდება გახდა „თეთრი მტრედები“. „დასაჭურისებას“ უწოდებდნენ „გათეთრებას“.

„მტრედების ძმობის“ წევრები მოკრძალებული ცხოვრების წესს მისდევდნენ. თავს იკავებდნენ ხორცის ჭამისა და სპირტიანი სასმელებისგან, არ ეწეოდნენ, არ იგინებოდნენ, გაურბოდნენ მხიარულებას, რეგულარულად დადიოდნენ ეკლესიაში. სიტყვიერად ცდილობდნენ თავი მოეჩვენებინათ მართლმადიდებლებად. ერთმანეთთან საუბარში სექტანტები ეკლესიას უწოდებდნენ თავლას, ხოლო ეკლესიის მსახურებს „მოჭიხვინეებს“. მსახურებას სკოპცები საიდუმლოდ ატარებდნენ. საერთო

ლოცვის შემდეგ ცეკვავდნენ ისე, რომ უკიდურეს ტრანსში ვარდებოდნენ.

ბუნებრივია, ისინი მთლიანად უარყოფდნენ ქორწინებას. საშვილოსნო ორგანოებს სატანის გასაღბეს და ჯოჯოხეთის უფსკრულს უწოდებდნენ. ბავშვებს თვლიდნენ გაღატაკებისა და უბედურების მთავარ ფაქტორად.

სექტას დიდი რაოდენობით უერთდებოდნენ გლეხები. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ მეშჩანები და მდიდარი ვაჭრები, რომლებიც ამ გზით ფიქრობდნენ სამოთხეში შესვლას. პარალელურად სექტანტები ვარაუდობდნენ გამდიდრებას, რადგან მათ არ ყავდათ მემკვიდრები (ისინი წყვეტდნენ ოჯახთან კავშირს, ხოლო შვილების ყოლა უკვე აღარ შეეძლოთ). სექტის წესდების თანახმად ერთ-ერთი სკოპცის სიკვდილის შემთხვევაში, გარდაცვლილის ქონება სხვა სექტანტს გადაეცემოდა. ამდენად, სექტამ გაიჩინა მძლავრი ფინანსური რესურსები. კასტრირებულებმა ნებსით თუ უნებლიეთ მთელი ძალები მიმართეს ბიზნესის საწარმოებლად და არცთუ იშვიათად დიდ წარმატებას აღწევდნენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სექტა გამოირჩეოდა მძაფრი პროზელიტიზმით – ისწრაფოდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მიეზიდა თავის რიგებში. ადამიანების მოტივაცია, დამშვიდობებოდნენ ბუნებრივ მდგომარეობას, კარიერისა და პოპუ-

ლარობის გარდა, ბუნებრივია, იყო რელიგიური ფანატიზმი.

დაუწერელი კანონებიდან გამომდინარე, სკოპცები თავს უფლებას აძლევდნენ სხვა ადამიანები ჩაეთვალათ მეორე ხარისხის მოქალაქეებად, რომლებიც შეიძლებოდა მოეტყუებინათ და გაექურდათ. ძმობას გააჩნდა სკოლები, სადაც ამზადებდნენ კარტის მოთამაშე თაღლითებს... სექტანტებს ბუნებრივია არ ყავდათ მემკვიდრეები, ამიტომ დაგროვილი ქონება ძმობის კუთვნილება ხდებოდა, რაც საგანგებოდ ამდიდრებდა მათ. თანხას იყენებდნენ ხელისუფლების მოქრთამვისათვის. გარდა ამისა ფული წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტიმულს ახალი წევრების სექტაში მისაღებად, რომლებიც შეიძლება მოკლე დროში ზღაპრულად გამდიდრებულიყვნენ.

სექტაში ხვდებოდნენ გაუსაძლისი პირობებიდან გამომდინარე, მონებად ქცეული ადამიანები, საბუთების გარეშე მცხოვრებნი, უსახლკარონი, რომელთაც გაწყვეტილი ჰქონდათ კავშირი ნათესავებთან. შორეული ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსულები თანახმანი იყვნენ, ლუკმა-პურისა და თავშესაფრის სანაცვლოდ დასაჭურისებას დათანხმებოდნენ და თემის წევრები გამხდარიყვნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში ძველი მეთოდები, როცა უბრალო მანიპულაციებით სკოპცები ახალ

წევრებს იღებდნენ სექტაში, საკმარისი აღარ აღ-მოჩნდა. ამიტომ, პრაქტიკაში შემოვიდა დანაშაულ-ებრივი გზით წევრებად ჩარიცხვა. კერძოდ, ადამი-ანების გატაცება, ძალადობრივი კასტრაცია [8, 29].

ამავე დროს თვითკასტრაციას ეწეოდნენ ჯა-რისკაცები, პატიმრები, მოსახლეობა. იდეა იყო ელ-ემენტარული: იკვეთდა რა გამრავლების ორგანო-ებს, „ავტომატურად ჯავშნიდა“ ადგილს სამოთხეში – „ცოდვის“ ჩადენა მას ხომ აღარ შეეძლო.

არსებული ფაქტების შესახებ იცოდა სასულიე-რო წოდებამ, საზოგადოებამ, პოლიციამ, ადგი-ლობრივმა ადმინისტრაციამ, რომელიც ქრთამის გამო თვალს ხუჭავდა. მოსახლეობა ჩუმად იყო, რადგან გრძნობდა დაუცველობას.

სკოპცები ანსხვავებდნენ ორი სახის კასტრაცი-ას: „დიდი და პატარა ბეჭედი“. დასაჭურისების პროცესი რამდენიმე სტადიას გადიოდა. ყოველი მათგანი საშინლად მტკივნეული იყო. „პატარა“ ანუ „პირველი ბეჭედი“ – ეს იყო სათესლე ჯირკვლების ამოკვეთა. ამპუტაციის დაწყებამდე „კვერცხებს“ ჩა-ქუჩით „უჭეჭყავდნენ“ და შემდეგ აჭრიდნენ. მოგვი-ანებით ამ პრაქტიკაზე ხელი აიღეს და იყენებდნენ მხოლოდ ბასრ იარაღებს და გაცხელებულ რკინას ჭრილობების ამოსაწვავად. უნდა ითქვას, რომ ოპ-ერაციის შემდეგ ზოგიერთი მამაკაცი ინარჩუნებდა ურთიერთობის შესაძლებლობას. ამიტომ ისინი მი-

აჩნდათ ცოდვისგან არასრულყოფილად განწმენ-დილებად.

ამის შემდეგ, ვისაც სურდა დაეკავებინა სექტის იერარქიაში მაღალი მდგომარეობა, აუცილებელი იყო გადასულიყო „მეორე“, ანუ „სამეფო ბეჭედზე“. ეს კი ნიშნავდა, რომ მთლიანად ამოეკვეთა სასქესო ორგანოები. ამ შემთხვევაში სკოპცები იყენებდნენ სპეციალურ ხელსაწყოებს, რომლის მეშვეობით შარდსადენ არხს „საცობს“ უკეთებდნენ. ზოგიერთ თემში არსებობდა „მესამე ბეჭედიც“, რაც სასქესო ორგანოების მთლიანად ამოღებას ითვალისწინებ-და.

ქალები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით (მა-გალითად, ქმრის მიბაძვით) შედიოდნენ სექტაში, ასევე საფრთხეში იგდებდნენ თავს და თანხმდე-ბოდნენ მტკივნეული ოპერაციის ჩატარებაზე. მათ კვეთავდნენ მკერდს, ხოლო ზოჯგერ სასქესო ორგა-ნოებს უწვავდნენ, რაც აფერხებდა ბავშვის გაჩენას. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ქალები ტოვებ-დნენ სექტას, თხოვდებოდნენ და აჩენდნენ შვი-ლებს.

სკოპცების მოძრაობა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ხელისუფლება შეშფოთდა. სექტანტე-ბის პირველი სასამართლო პროცესი ჩატარდა 1772 წელს. დაახლოებით 300 სექტანტი ციმბირში გადა-ასახლეს. სელივანოვი გაიქცა, მაგრამ ორი წლის

შემდეგ დააპატიმრეს და გაამათრახეს. თავისი ცხოვრების შემდგომი ოცი წელი მან ირკუტსკში გაატარა. სკოპცები კანონგარეშე გამოაცხადეს, მაგრამ სექტანტების რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. მათ შორის გავრცელდა ინფორმაცია, რომ კონდრატე სელივანოვი შემთხვევითი პიროვნება კი არ იყო – არამედ თავად პეტრე მესამეა, რომელიც გარყვნილმა დედოფალმა ეკატერინე მეორემ ციმბირში გადაასახლა და სწორედ ამიტომ თავი დაისაჭურისა.

ეს მოსაზრება სექტანტებში კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, როდესაც ეკატერინე დიდის გარდაცვალების შემდეგ პავლე პირველმა კონდრატე გადასახლებიდან დააბრუნა. მართალია თუ არა ძნელი სათქმელია, მაგრამ მრავალი ისტორიული წყარო ამტკიცებს, რომ იმპერატორმა მას აუდიენცია დაუნიშნა, რის შემდეგ სელივანოვი გაგზავნეს შეშლილთა სახლში.

სექტანტებისთვის ოქროს ხანა დადგა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ალექსანდრე I. სელივანოვი კვლავ თავისუფლებას დაუბრუნდა. ის შეიფარა პოლონეთის ყოფილი მეფის დიდმოხელემ ა ლ ე ქ ს ე ი ე ლ ი ა ნ ს კ ი მ. მალე ისიც სკოპცი გახდა. სელივანოვმა და ელიანსკიმ შეადგინეს პროექტი სახელმწიფოს ახალი მოწყობის შესახებ. პროექტის მიხედვით მთელი რუსეთი უნდა გადაქცეული-

ყო სკოპცების „ხომალდათ“. ანუ კასტრაციას უნდა დაქვემდებარებოდა ყველა – იმპერატორით დაწყებული უკანასკნელი ყმა-გლეხის ჩათვლით. ამის შემდეგ რუსეთი გახდებოდა სამოთხე. პროექტის მიხედვით ალექსანდრე პირველის სულიერი მოძღვარი უნდა ყოფილიყო სელივანოვი, ხოლო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ელიანსკი. პროექტის წაკითხვის შემდეგ იმპერატორმა ელიანსკი გადაასახლა, სელივანოვს კი რატომღაც ხელი არ ახლო.

სელივანოვზე თვალთვალი და სახლის ჩხრეკა პოლიციას აეკრძალა. ყოველკვირეული რიტუალების დროს კონდრატე საკუთარი ხელით ასაჭურისებდა ბავშვებს და მოზრდილებს. ერთ-ერთ რიტუალს 1805 წელს დაესწრო თავად იმპერატორიც. მართალია, „ამოეწვა ცოდვის გველი“ არ მოისურვა, მაგრამ მისი ვიზიტის შემდეგ, ბუნებრივია, უფრო მეტად გაიზარდა სექტისადმი ინტერესი პეტერბურგის თავადაზნაურთა შორის.

მხოლოდ 1820 წელს შეიცვალა ვითარება. ალექსანდრე I-ის ფავორიტმა სანკტ-პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა მ ი ლ ო რ ა დ ო - ვ ი ჩ მ ა გაიგო, რომ სკოპცების რიტუალებს ესწრებოდნენ მისი ძმისწულები, მაშინვე დაიწყო გამოძიება. გაირკვა, რომ სელივანოვი ასაჭურისებდა არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ, ჯარისკაცებსა და

მეზღვაურებს. დასჯის დროს მილორადოვიჩი იყო სასტიკი: ცოტა ხანში უმაღლესი ინსტანციის ნებართვით, საქმე სასამართლომდე მივიდა. კონდრატე გაგზავნეს სუზდალის ერთ-ერთ მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1832 წელს.

ერთია, რომ მისი დაწყებული საქმე, კვლავ ცოცხლობდა. რუსეთში სკოპცების რაოდენობა ათი ათასობით განისაზღვრებოდა. სელივანოვის გარდაცვალების შემდეგ სექტის ერთ-ერთი ლიდერი გახდა პირველი გილდიის ვაჭარი მ ა ქ ს ი მ პ ლ ო ტ ი ც ი ნ ი. მრავალმა სექტანტმა თავისი ქონება მას ანდრძით გადასცა. თანამედროვე ჟარგონი რომ გამოვიყენოთ ის იყო „ობშჩიაკის“ მცველი [10, 43].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი რუსი სექტანტები ვინც საქართველოში ჩამოასახლეს სკოპცები იყვნენ. მათი შემოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე დაიწყო XIX საუკუნის 20-იან წლებში [11, 558]. 1822 წლიდან სკოპცებს უმთავრესად რედუტ-კალეში და სოხუმში ასახლებდნენ. 1825 წლიდან მათ გზავნიდნენ მდინარე რიონთან მდებარე სოფელ მარანში დასასახლებლად. მალე აქ თავი მოუყარეს 0, 3 ათასამდე კაცს. სკოპცების ერთი ჯგუფი შემდეგში დაასახლეს სოფელ კოდორში. მათ დაევალათ სამხედრო ტვირთისა და ამუნიციის ტრანსპორტირება ყულევიდან (რედუტკალედან) რიონით – მარანამდე. ამ მძიმე შრომამ და მრავალგვარმა გაჭირვებამ

გამოიწვია მნიშვნელოვანი სიკვდილიანობა. მათი რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა, რადგან სექტანტების შეხედულებათა შესაბამისად კასტრაციის გამო სკოპცების ბუნებრივი გამრავლება არ ხდებოდა [12, 129].

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური მ ო რ ი ც ვ ა გ ნ ე რ ი აღნიშნული სექტის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „რუსეთში არის სექტა – სტაროვერცი, ე. ი. ძველმოწრმუნენი – რომლის მიმდევრები ბიბლიის ერთი ადგილის მცდარად გაგების გამო გარკვეულ ასაკში ისაჭურისებენ თავს. მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის ბევრ ქალაქში, თვით რიგაშიც კი ცხოვრობენ ეს იშვიათი ფანატიკოსები, რომლებიც სხეულის სამარცხვინო დამხინჯების საშუალებით იმედოვნებდნენ ზეცაში დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი. რუსეთის მთავრობამ მისთვის ჩვეული სიმკაცრით სცადა ამ ფანატიკოსთა სექტის დათრგუნვა, მაგრამ რელიგიური ფანატიკოსების წინააღმდეგ ისეთივე წარმატებას ვერ მიაღწია, როგორც პოლიტიკურ შეურაცხადებთან, დასჯის მიზნით ბევრი ეს საჭურისი გამოამწყვდიეს ნაცრისფერ მუნდირებში, ბევრი კავკასიაში გადაასახლეს, სადაც მათ შექმნეს სამხედრო კოლონიები. მე საკმაო რაოდენობით ვიხილე ეს ხალხი, რომლებიც ერთი გერმანელი ექიმის მტკიცებით, სხვა ინდივიდებთან შედარებით უფრო მეტად დაავ-

ადებულნი ენდემური ავადმყოფობებით წვანან ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში. მკრთალი მიწისფერი, სიგამხდრე და საზიზღარი ქალური გამომეტყველება უწვერო ქოსა სახეებისა ამ საჭურისებს სხვა რუსი ϰარისკაცებისაგან ერთი შეხედვით გამოგვარჩევინებს“ [13, 115-116].

1855 წელს მარანსა და კოდორში ჩასახლებული სკოპცების რაოდენობა განახევრდა. ცოტა ხანში კი საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

რუსეთში სკოპცების დევნა კვლავ გრძელდებოდა. 1869 წელს, უკვე ალექსანდრე II-ის დროს, ზემოთ ნახსენები მაქსიმ პლოტიცინი დააკავეს მაღალი თანამდებობის პირისაგან ქრთამის აღებაზე. ჩხრეკისას მისი ბინიდან ამოღებული იქნა 30 მილიონი მანეთი. ხელისუფლებამ ბოლოს გააცნობიერა, რა სახის სექტასთან ჰქონდა საქმე და თემის წევრები კონტროლზე აიყვანა. ცოტა ხანში სასამართლოს წინაშე წარდგნენ პლოტიცინი და სექტის 40 წევრი. სამედიცინო შემოწმებით გაირკვა, რომ ყველა ფიგურანტს ამოჭრილი ჰქონდა სასქესო ორგანოები. თავად მოძღვარს კი, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს „მამაკაცის დამადასტურებელი მოწმობა ადგილზე აღმოაჩნდა“. მას ბრალი წაუყენეს ასოთა მოკვეთაში, ერესში და სხვ. ჩამოერთვა ყველა უფლება და გაასახლეს ციმბირში. პლოტიცინის თანამოაზრეებთან საუბარი ძალიან მოკლე იყო: აღიარებ, რომ შენ ხარ

სექტანტი? – „გაემგზავრე“ ციმბირში ზედმეტი ლა-პარაკის გარეშე. სკოპცების ძირითადი ნაწილი გადა-ვიდა არალეგალურ ცხოვრებაზე, თუმცა ძველებუ-რად ინარჩუნებდნენ გავლენას.

1917 წელს სკოპცების ლიდერებს ჩაუტარდათ ექსპროპრიაცია. დოკუმენტების თანახმად, ვაჭარ ბურცევისგან „ამოიღეს“ ოთხი მილიონი მანეთი ოქროთი, ძმები ნიკიფოროვებისგან – მილიონი, ხოლო დები სმირნოვებისგან – 500 ათასი. გამორ-ჩეულად ხმაურიანი სასამართლო ჩატარდა 1929 წელს. სოფლის სკოპცები საბჭოთა ხელისუფლების მტრად აღიარეს და გადაასახლეს ციმბირში, ქა-ლაქში მცხოვრები სექტის წევრები კი ციხეში ჩას-ვეს. თითქოს მომხდარს ჯვარი დაესვა, მაგრამ... პროცესი სკოპცებთან დაკავშირებით განახლდა 40-იანი წლების ბოლოს. ითვლებოდა, რომ სექტა გა-უჩინრადა 1970-იან წლებში, თუმცა ცალკეული ჯგუ-ფების შესახებ ცნობები გამოჩნდა 1990-იან წლებ-შიც. გამოცანად რჩება, სად არის და ვის ხელშია მა-თი მილიონები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. ერქომაიშვილი. ფილოსოფია, თბილისი, თსუ, 2005
2. ა. გელოვანი. რწმენა, ღმერთები, ადამიანები, თბილისი, 1990

3. ს. სიგუა. კულტუროლოგიის საფუძვლები, II, თბილისი, 2012
4. ლ. მღებრიშვილი. თანამედროვე ეთნო-რელიგიური პროცესები მცხეთის რაიონის სოფლებში, „მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია“, თბილისი, 2000
5. დ. გეგეშიძე. საუბარი ათეიზმსა და რელიგიაზე, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988
6. ლ. მჭედლიშვილი-ნაკუდაიძე. დუხობორების ისტორიიდან ამერიკაში, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, №2, თბილისი, უნივერსალი, 2007
7. Э. Шауров. жизнь после смерти, журн. „Загадки истории“, №1-2, 2023
8. Э. Шауров. Рай без гениталий, журн. „Загадки истории“, №18, 2023
9. Е. Филимонова. Карабль хлистов, журн. „Загадки истории“, №14, 2023
10. А. Лешуконский. Скопцы – тайные правители России, журн. „Секретные архивы“, №11, 2022
11. ა. სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, თბილისი, უნივერსალი, 2018
12. ნ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973

13. მორიც ვაგნერი. საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2002

THE RELIGIOUS SECT OF SKOPTSY

Summary

The first Russian Raskolniks who came to Georgia were Skoptsy (eunuchs). Since 1822, the Skoptsy were resettled mainly in Redut-Kaleh and Sukhumi. In 1825, they were sent to settle in the village of Maran, located by the river Rioni. Soon about 0.3 thousand people gathered here. One group of Skoptsy was later settled in the village of Kodori. They were assigned to transport military cargo and ammunition from Kulevi (Redutkale) Marana through Rioni. This hard work and many hardships caused significant mortality because the natural reproduction of the Skoptsy did not take place due to the graceful castration according to their sectarian views.

In 1855, the number of Skoptsy settled in Maran and Kodori was halved. After a while, it ceased to exist altogether.

The sect was active in Russia for a century and a half and was destroyed only during Soviet rule.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ბოლშევიკური რეპრესიები საქართველოში

1921 წლის შავმა თებერვალმა საქართველოს მოუტანა ოკუპაცია და ფაქტიური ანექსია. ის ყველაფერი, რასაც რუსეთში სამი წელიწადი დასჭირდა, ბოლშევიკებმა საქართველოში რამდენიმე კვირაში „ჩაატიეს“. მათ 1921 წლის 24 მარტს დაშალეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, შემდეგ კი მართლმსაჯულების ყველა ინსტანცია გააუქმეს. აპრილში მიწა უკვე მთლიანად იყო ნაციონალიზებული და „მშრომელი ხალხის“, ანუ რევკომის, საკუთრება გახდა... 1921 წლის მიწურულს ჩატარებულ „არჩევნებში“ არამშრომელ ელემენტებსა და არაკომუნისტურ პარტიებს მონაწილეობის მიღება აუკრძალეს. 1922 წლის მარტში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ეწოდა [1, 497].

შოკიდან გამოსულმა ქართველებმა დემონსტრაციების გამართვა დაიწყეს. 1922 წლის 24 მაისს თბილისი გაიფიცა. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავზე, მთავრობამ სკოლები დაკეტა, მოსწავლეები და მასწავლებლები მატარებელში შეყარა და ქუჩები წითელარმიელებით გაავსო. გორში რკინიგზელები გაიფიცნენ; რეკავდა ეკლესიების ზარები. ქუჩებში გასული მოსახლეობა დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო

ჰიმნს – დიდებას მღეროდა. ჩეკისტებმა ცეცხლი გახსნეს [1, 499].

საბჭოთა ხელისუფლებამ აშკარად აჩვენა, როგორი დაუნდობელი ძალა მოვიდა და იარაღის ძალით დამკვიდრდა. ერთი მაგალითის მოტანაც საკმარისია, თუ რა ზნეობის ხალხთან გვქონდა საქმე: ბანძის რაიონში, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის მცდელობის დროს დაატუსაღეს ბავშვები, რომლებიც სასტიკად აწამეს. „გამოტეხის მიზნით, ერთი მათგანი თავდაღმა ჭაში ჩაკიდეს, ხოლო მეორე ორ სკამზე დააკრეს ფეხებით და გასაგლეჯად გასწიეს, მაგრამ მაინც ვერ გასტეხეს. გონება წართმეული ბავშვები სარდაფში ჩაყარეს“ [2, 335].

ხალხის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოს ანექსია, მას შემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა „დე იურედ“ ცნო დამოუკიდებელი რესპუბლიკა და დადო მასთან ხელშკრულება, – აი, რამ აღაშფოთა ხალხის მასები საქართველოში და ეს იყო გამოსვლების მთავარი მიზეზი.

ს. ორჯონიკიძე აღიარებდა: „1921 წელს შევედით საქართველოში, ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა თითქმის მთელი მოსახლეობა“ [3, 2]. ამ პერიოდის საქართველოში ს. ორჯონიკიძეს მიიჩნევდნენ ახალ გენერალ ციციანოვად, რომელიც ასი

წლის წინ უპყრობდა რუსეთის იმპერიას კავკასიის სამეფოებს და სახანოებს [4, 83].

1921 წლის აპრილში რევკომმა პოლიტიკური პარტიების ამნისტია გამოაცხადა. იმ დროინდელ ხელმძღვანელობას ეს დეკრეტი პოლიტიკური დაძაბულობის შესასუსტებლად ჰქონდა გამიზნული. მან იცოდა რომ არაპროლეტარული პარტიები საოკუპაციო რეჟიმს ვერ შეეგუებოდნენ და მათთან ბრძოლა გარდაუვალი გახდებოდა. მაშინ, შეიძლება ჩავთალოთ, რომ ეს იყო როგორც პარტიების, ისე მათი წევრების ლუსტრაციის მცდელობა, რათა შემდეგ ადვილად გასწორებოდნენ.

საქართველოს კომპარტიამ ეს ბრძოლა თვითონ წამოიწყო იმით, რომ ალექსანდრე გეგეჭკორზე ქუთაისში მოწყობილი თავდასხმის ინსცენირების შემდეგ ხელი მიჰყო მასობრივ დაპატიმრებებს. ქალაქების ციხეები აივსო პოლიტიკური პატიმრებით. პატიმართა ერთი დიდი ჯგუფი გაასახლეს რუსეთში, მეორე საზღვარგარეთ (გერმანიაში). განუკითხავად იქცეოდნენ შინაგან საქმეთა კომისარიატის და საგანგებო კომისიათა ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც პატიმრებს უმრავლეს შემთხვევაში ძიება-სასამართლოს გარეშე სპობდნენ ფიზიკურად [5, 4]. საგულისხმოა, რომ ძალოვანი სტრუქტურები ძირითადად არაქართველებით იყო დაკომპლექტებული.

აქვე გავიხსენოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: კომუნისტური ოკუპაციის გამარჯვებით დაგვირგვინებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის მოსახლეობის ზედმეტად მრავალეროვანმა შემადგენლობამაც, რაც ამ ქალაქს ეროვნულ სახეს უკარგავდა. საქართველოს ეროვნული უმცირესობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის დროზე თუ აშკარად არა, საკმაოდ გულგრილად შეხვდა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფაქტს და ლოდინის პოზიცია დაიკავა. მათთვის ძალიან ბევრი მიზეზის გამო ინტერნაციონალისტი-კომუნისტები უფრო მისაღები იყვნენ, ვიდრე ეროვნული იდეების მოტრფიალე ქართველი სოციალ-დემოკრატები. ისინი მიჩვეული იყვნენ რუსულ დიქტატს და აფრთხობდათ ახალი – ქართული ხელისუფლების გაძლიერება. სწორედ ამიტომ, თბილისის არაქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ლოიალურად შეხვდა კომუნისტურ გადატრიალებას და სწორედ მათი რიგებიდან კომპლექტდებოდნენ, მეტ-ნაკლებად, პარტიული და საბჭოთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კადრები; განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში [6, 16].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ე. წ. „უკლონისტები“ ხელმძღვანელობდნენ, შედარებით ლოიალური

იყო არაპროლეტარული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები. 1922 წლის შემოდგომისათვის რამდენიმე ათეული ქართველი სოციალ-დემოკრატი იჯდა ციხეში (ისიც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დაჟინებით დაპატიმრებული), მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა პარტიის არსებობაში. ჯერ ერთი, დაპატიმრებულებს მთლიანად ჰქონდათ უზრუნველყოფილი კავშირი ციხისგარეთა ცხოვრებასთან და მეორეც, დაპატიმრებულთა შეცვლა ადვილად შეიძლებოდა.

უკლონისტების გადადგომის შემდეგ ახლად არჩეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები...]7, 44].

1921-1922 წლების აჯანყებანი სვანეთსა და ხევსურეთში სტიქიურობით ხასიათდებოდა. მართალია იგი საყოველთაო ორგანიზებულ მოძრაობაში ვერ გადაიზარდა, მაგრამ გამოსვლები იმდენად ძლიერი იყო, რომ ის შეიტყვეს ევროპის წამყვანი ქვეყნების მესვეურებმაც [8, 52-53].

გამოსვლების ჩაქრობის შემდეგ დააპატიმრეს სამი ათასამდე ადამიანი. ბევრი მათგანი ჯერ გამოუშვეს, მერე ისევ დაიჭირეს, ზოგი დახვრიტეს.

საქართველოში დარჩენილი პოლიტიკური, ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პარტიები იმედს არ კარგავდნენ, რომ შეძლებდნენ დიდი განმათავი-

სუფლებელი მოძრაობის ორგანიზებას და მოახერ-ხებდნენ ბოლშევიკების ძალაუფლების დამხობას.

აჯანყების მოსამზადებელ საქმიანობას ხელ-მძღვანელობდა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ იგივე „დამკომი“, რომელიც სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებისგან ჯერ კიდევ 1922 წლის დამ-დეგს შეიქმნა. ამის შემდეგ, იმავე 1922 წლის ზაფ-ხულში დაფუძნდა „პარიტეტული კომიტეტი“, რო-მელიც 47 კაცს აერთიანებდა და მისი შემადგენლო-ბა მოიცავდა ყველა არაპროლეტარული პარტიების წარმომადგენლებს, როგორც რესპუბლიკის, ისე საზღვარგარეთიდან [9, 730-731]. იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული პარიზში მყოფ ემიგრანტულ მთავ-რობასთან. აჯანყების მოსამზადებლად პარიტე-ტულმა კომიტეტმა გამოყო „სამხედრო კომისია“.

„პარიტეტულმა კომიტეტმა“ შექმნა და ინახავ-და შეიარაღებულ რაზმებს: კახეთში – ქ. ჩოლოყაშ-ვილის, ქართლში – ლაშქარაშვილის, ბორჯომის რაიონში – კასრაძის, სვანეთში – გარდაფხაძის, გუ-რიაში – მათითაიშვილის და სხვათა ხელმძღვანე-ლობით. მთელ სამხედრო მუშაობას აჯანყების მო-სამზადებლად სათავეში ედგა „სამხედრო კომი-სია“, რომელიც ეყრდნობოდა თბილისში სამხედ-რო ქვეკომისიას, პერიფერიებში – საოლქო პარიტე-ტულ კომიტეტებთან არსებულ სამხედრო ორგანი-ზაციებს, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობდნენ –

საგანგებო სამხედრო რწმუნებულებს [4, 79]. მანამდე აჯანყებისათვის ხალხის დარაზმვას და მომზადებას ასრულებდა „სამხედრო ცენტრი“, რომელიც 1922 წლის მარტში შეიქმნა გენერალ კოტე აფხაზის ხელმძღვანელობით. „ცენტრი“ შემდეგ შეცვალა „სამხედრო კომისიამ“.

1923 წლის თებერვალში დასმენის შედეგად დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ მთელი შემადგენლობა. ამავე წლის 20 მაისს „ჩეკას“ დადგენილებით დახვრიტეს: კ. აფხაზი, მ. ზანდუკელი, ს. ბაგრატიონ-მუხრანელი, ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, ფ. ყარალაშვილი, ს. ჭიაბრიშვილი, ა. მაჭავარიანი, ე. გულისაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, დ. ჩრდილელი, გ. ხიმშიაშვილი, ი. კერესელიძე, ივ. ქუთათელაძე. ოფიციოზის მიხედვით „მათ ბრალი ედებოდათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში“ [10]. ამ 15 რეპრესირებულიდან იყო: ოთხი გენერალი, ოთხი პოლკოვნიკი, სამი ოფიცერი და ოთხი სახელმწიფო მოხელე.

ეს დანაკლისი ქართველმა ხალხმა ღრმად განიცადა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა გადაწყვიტა ქაშუეთის ეკლესიაში სამი წირვა გადაეხადა. ეს ხმა უცებ მთელ თბილისს მოედო და პირველ კვირას აუარებელი ხალხი მივიდა წირვაზე დასასწრებად. „გამობრძანდა კათალიკო-

სი თუ არა სალოცავიდან, ხალხი მუხლმოდრეკილი ქვითინით შეხვდა თავის სულიერ მამას. კათალიკოსი აღელდა, თვალები ცრემლით აევსო, გადახედა ყველას და წარმოთქვა: „ვინა სთქვა, რომ ქართველმა ხალხმა რწმენა დაკარგაო?!“ ამ სიტყვების თქმასთან გული წაუვიდა...“ [11, 17-18].

ჯერ კიდევ 1923 წლის 10 თებერვალს გურიაში სამი ჩეკისტი მოკლეს. საპასუხოდ ოგპუ-მ 92 გურული დახვრიტა და დაიმუქრა, რომ არეულობის გაგრძელების შემთხვევაში ყველა პატიმარს კედელთან მიაყენებდა. ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის გამო მილიონ-ნახევარ ქართველს გაჟუჟავდა [1, 503].

1923 წლის აგვისტოში თვითლიკვიდაცია გამოაცხადეს ანტიბოლშევიკურმა პარტიებმა. სინამდვილეში ეს პარტიები დაიშალა ძირითადად ძალის გამოყენებით და არა ნებაყოფლობით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათი დაშლის შემდეგ უმრავლესობა იატაკქვეშეთში გადავიდა და ისე იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის უკვე არალეგალური ცენტრალური კომიტეტი მუშაობას განაგრძობდა არალეგალური ბეჭდვითი ორგანოს „ჩვენი ერთობის“ მეშვეობით [4, 80].

მიუხედავად არსებული ვითარებისა გადაწყდა, რომ აჯანყება 1924 წელს დაიწყებოდა. აჯანყე-

ბის იდეა და გეგმაც ემიგრანტული მთავრობიდან მოდიოდა. მათ იმედი ჰქონდათ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებისა. ახლა განვიხილოთ, თუ რამდენად სწორად იყო შერჩეული დრო, და რამდენად ობიექტურად აცნობიერებდნენ პოლიტიკურ პროცესებს ორგანიზატორები.

ლენინის გარდაცვალებას (1924 წლის 21 იანვარი) მოყვა კრემლში ბრძოლა ძალაუფლებისათვის. როგორც თბილისში, ისე პარიზში ჩათვალეს, რომ აჯანყებისათვის შესაფერი დრო დადგა და საჭირო იყო სამხედრო მომზადების დაჩქარება. აჯანყების რომანტიკამ შეაპირობა დამპყრობი ძალის შეუფასებლობა. საბჭოთა რუსეთი, რომელმაც სამოქალაქო ომში გამარჯვებით სული მოითქვა, საქართველოს არავითარ შემთხვევაში არ დათმობდა. საქართველო უკვე ჩართული იყო ერთიანი რუსეთის სამეურნეო ცხოვრების სისტემაში, კრემლი მას თვლიდა სოციალისტური რევოლუციის ფორპოსტად აღმოსავლეთში. ამ ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებელი გამოსვლა, მისი ძალების სრული კონსოლიდაციის ვითარებაშიც კი განწირული იყო. იგი საბჭოთა რუსეთს იარაღით ვერ გაუმკლავდებოდა [5, 5].

გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის მაისიდან ტროცკიმ შეძლო წითელი არმიის რაოდენობა 300 ათასიდან წლის ბოლომდე თითქმის მილიონ-

ამდე გაეზარდა [12, 21]. 1920 წლისთვის წითელი არმიის რიგებში 4, 5 მილიონი ჯარისკაცი ირიცხებოდა [13, 12]. 1921 წელს არმია შეამცირეს 5 მილიონ 300 ათასიდან 600 ათასამდე [14, 261]. „რევოლუციის დემონი“, როგორც ტროცკის უწოდებდნენ წერდა, რომ „არ შეიძლება არმიის მშენებლობა რეპრესიების გარეშე. არ შეიძლება ადამიანთა მასები სიკვდილზე გაუშვა, თუ არსენალში არა გაქვს სიკვიდლით დასჯის ბრძანების გაცემის უფლება“ [14, 141]. და ჰქონდა ყველაფრის უფლება ბოლშვიკურ ხელისუფლებას.

აჯანყების მოსაწყობად 1924 წელი კიდევ იმიტომ იყო არახელსყრელი, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება სწრაფად უმჯობესდებოდა. მართლაც, უკვე 20-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო ეკონომიკის გამოცოცხლება საბჭოთა კავშირსა და კერძოდ საქართველოში. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებამ და საერთაშორისო კონფერენციებმა გარკვეულწილად განაპირობეს ეკონომიკური ბლოკადის ნაწილობრივ მოხსნა. ხელი მოეწერა 40-მდე საერთაშორისო ხელშეკრულებას, რამაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო კონცესიების შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის არ იყო დამყარებული, 20-იან წლებში ამერიკელი მაგნატები – არმანდ ჰამერი, ფორდი, როკფელერი,

ჰარიმანი და სხვ. აღმოჩნდნენ მსხვილი საკონცესიო ობიექტების სათავეში. მაგალითად, როკფელერის მიერ ბათუმის ტერიტორიაზე დაიწყო ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, ხოლო ჰარიმანის საქმიანობა ჭიათურაში ყველასათვის ცნობილია [15, 262-263].

ხაზგასასმელია, რომ 1922-1923 წლებში სპეციალურმა კომისიამ საქართველოში დაარეგისტრირა 64 სავაჭრო და 15 საწარმოო უცხოური ფირმა [15, 264].

ასევე, საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც უკეთესობისაკენ იცვლებოდა: გერმანიამ, იტალიამ, პოლონეთმა, ბალტიის ქვეყნებმა, თურქეთმა და სპარსეთმა დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. როგორც ჩანს ქართველ პოლიტიკოსებს აღარ ახსოვდათ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: საქართველოს ერთა ლიგაში მიღებაზე უარის თქმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბოლშევიკური რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში ორგანიზაცია ვერ დაეხმარებოდა ჩვენს ქვეყანას მტერთან ბრძოლაში. მხოლოდ 1920 წლის 12 იანვარს მიიღეს ჩხეიძემ, წერეთელმა და პარიზში მყოფი ქართული დელეგაციის სხვა წევრებმა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოსაგან საქართველოს მთავრობის დ ე ფ ა ქ ტ ო აღიარება, რასაც ისინი ერთი წლის განმავლობაში ესწრაფოდნენ. 19 იანვარს კი

გადაწყვიტეს პარიზში მოკავშირეთა მთავრობების მეთაურებმა, რომ სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკების შეჭრის ასაცილებლად ჯარი არ გაიგზავნებოდა – მხოლოდ იარაღი, საბრძოლო მასალა და საკვები [16, 325].

ინგლისის რა იმედი უნდა გქონოდა, როცა 1920 წელს ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს ძირგამომთხრელ საქმიანობას აწარმოებდა ბათუმის ინგლისელი გუბერნატორი გენერალი კ უ კ- კ ო ლ ი ს ი. ინგლისელთა მხრიდან მტრული საქმიანობა იმაშიც გამოიხატა, რომ მათ აჭარიდან თავისი ჯარების გაყვანის წინ ააფეთქეს ბათუმის პორტი. მთლიანობაში, აჭარაში ყოფნის პერიოდში ინგლისელები ქმნიდნენ ისეთ ეკონომიკურ წინაპირობებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა, ახალგაზრდა, დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკაზე [17, 37].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, როდესაც რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის წინ, 1921 წლის 19 იანვარს პარიზში ანტანტის უმაღლესი საბჭოს სპეციალური სხდომა ჩატრადა. მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც დაფიქსირდა დასავლეთის წამყვანი ქვეყნების, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის პოზიცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჩაიწერა: „საქართველოს საკითხი ჩაითვალოს რუსეთის შიდა საქმედ“. ყურადღება მივაქციოთ სხდომის წევრების

შემადგენლობას: თავმჯდომარე, საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო; წევრები – ინგლისის პრემიერი ლოიდ ჯორჯი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, გენერალი ჰენრი ვილსონი, ფრანგი მარშალი ფოში, ჟიულ კამბინი, გენერალი სერტელო, იტალიის პრემიერი ფრანჩესკო ნიტი, სკილოჯა და სხვები. ასევე ქართველებისა და აზერბაიჯანის დელეგეციები [17, 51]. ალბათ ყველაფერი ნათელია.

1921 წელს ევროპაში ჩასულ ემიგრანტულ მთავრობას დახმარებას აღუთქვამდნენ დასავლეთელი ლიდერები, რაც მხოლოდ სიტყვიერი დაპირება იყო. იმავე 1921 წელს ა რ ი ს ტ ი დ ბ რ ი ა ნ ი ჟორდანიას მიმართვადა: „თქვენი პროპაგანდით ბოლშვიკების წინააღმდეგ თქვენ სარგებლობა მოუტანეთ არა მარტო თქვენ საქმეს, არამედ ჩვენსაც. დარდი ნუ გაქვთ, გქონდეთ იმედი ჩვენი დახმარებისა“ [18, 6].

ვისგან ელოდნენ აჯანყების ორგანიზატორები დახმარებას? ნუთუ საფრანგეთში მყოფმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა არ იცოდნენ, რომ არც პარიზი და არც ლონდონი თითს არ გაანძრევდნენ საქართველოს დასახმარებლად? ნუთუ მათ არ ახსოვდათ, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ბათუმში ისხდნენ, შავ ზღვაში

მცურავ ფრანგულ სამხედრო გემებს ერთი ყუმბარაც არ გაუსვრიათ „წითელი არმიის“ წინააღმდეგ, ხოლო ინგლისელებმა კავკასიიდან ფეხი საერთოდ ამოიკვეთეს? [19, 73-74].

1921 წლის 16 მარტს, დაიდო ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება, რაც ლონდონის მიერ საბჭოთა რუსეთის აღიარების ტოლფასი იყო. ხელშეკრულებაში შევიდა „წმინდა პოლიტიკური პუნქტი“, სადაც ჩაიწერა, რომ რუსეთის მხრიდან ინდოეთისა და ავღანეთის საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულების სანაცვლოდ: „ბრიტანეთის მთავრობა იღებს ასეთსავე განსაკუთრებულ ვალდებულებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინაშე იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილებს და ახლა დამოუკიდებლები გახდნენ“.

ეს გარიგება საქართველოსაც ეხებოდა, რომელიც გეოპოლიტიკურ დაფაზე პაიკივით გაიცვალა! პატარა სახელმწიფოებისათვის სამწუხაროდ, ასეთი გეოპოლიტიკური გაცვლები ზესახელმწიფოებს შორის იმ დროს (და შემდგომშიც!) ჩვეულებრივი ამბავი იყო.

დიდი ბრიტანეთი საბჭოთა რუსეთს ცნობდა რუსეთის იმპერიის სამართალმამკვიდრედ და გულგრილად შეჰყურებდა მის ხელახალ ექსპანსიას თვითშემოხაზულ გავლენის სფეროში. ლონდონი-

სათვის მთავარი იყო, რომ მოსკოვს არ დაერღვია საზღვარი ავღანეთთან, რომელიც წარმოადგენდა ბუფერულ სახელმწიფოს ბრიტანეთის ინდოეთსა და რუსეთს/საბჭოთა კავშირს შორის.

რაც შეეხება იმ დროისათვის უმდიდრეს და უძლიერეს სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისმა, რესპუბლიკური პარტიის კონტროლქვეშ მყოფმა სენატმა საერთოდ არ ისურვა „ძველი სამყაროს“ საქმეებში ჩარევა და არ მისცა იმდროინდელ, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს სომხეთის დახმარების უფლება, რაც ამ უკანასკნელს ძალიან ეწადა. საქართველოთი კი პრეზიდენტი საერთოდ არ დაინტერესებულა.

ლონდონსა და ვაშინგტონს ვერ დავადანაშაულებთ საქართველოს მიმართ „ღალატსა“ და „სიტყვის გატეხაში“: მათ სიტყვა არც მოუციათ! საგარეო პოლიტიკა საკუთარ ქვეყანას ემსახურება და, თუ წინასწარ არ გაფორმდა, ქვეყანას არავითარი ვალდებულება არა აქვს სხვა ქვეყნის წინაშე: არ მჭირდები! [19, 68-69].

გამოდის, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიპლომატია რეალურად ვერ აფასებდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას: 1) არავითარი

საფუძველი არ არსებობდა იმისათვის, რომ ინგლისს თავისი მრავალწლიანი ანტიქართული პოლიტიკა გადაესინჯა და საბჭოთა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა შეეცვალა; 2) პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც საიმედო მოკავშირე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. გერმანიისათვის ინგლისთან და ერთდროულად რუსეთთან დაპირისპირება დამღუპველი იქნებოდა; 3) ილუზია იყო საბჭოთა რუსეთზე გარკვეული „პოლიტიკური წრეებით“ (ე. ი. ქვეყნის შიგნით არსებული ანტისაბჭოური ძალებითა და ანტისაბჭოთა ემიგრაციით) გავლენის მოხდენა. კიდევ უფრო დიდი ილუზია იყო რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შცვლის (ე. ი. საბჭოთა წყობილების დამხობის მოლოდონი).

ამრიგად, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური კურსი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღგენისათვის ბრძოლაში არ იყო რეალური. 20-იანი წლების პირველ ნახევარში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რეალური მოკავშირის პოვნა არ შეეძლო.

აღნიშნული პერიოდისათვის გარკვეული იყო, რომ დასავლეთ ევროპის არც ერთი სახელმწიფო, პირველ ყოვლისა, ინგლისი და საფრანგეთი, რუსე-

თის მიერ დაპყრობილი საქართველოს განთავისუფლებისათვის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას დახმარებას არ აღმოუჩენდა. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური წრეების თანადგომა აღშფოთება-თანაგრძნობას არ სცილდებოდა [20, 629].

სწორედ ამიტომ, საქართველოში საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები ემიგრანტული მთავრობისაგან მეტ მტკიცებულებას მოითხოვდნენ დასავლეთის დახმარების შესახებ. საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ საქართველოში არალეგალურად მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წერილი ემიგრირებული მთავრობისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენ გადაჭრით იმ გზას ვადგავართ, რომ სანამ მტკიცე გარანტიები არ გვექნება. მანამ ჩვენ ხალხს ვერ მოვუწოდებთ აქტიურ გამოსვლებისაკენ. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის დაქცევა და პარტიის გაჟლეტა. ... ჩვენ დაიმედება არ გვესაჭიროება, გვინდა ვიცოდეთ საქმის ნამდვილი ვითარება. ... თქვენ გინდათ აქტივობა გამოვიჩინოთ. ... მარტო ჩვენი ძალების ამარა ჩვენ „წაბიძგება“ „ავანტიურის“ დაწყებათ მიგვაჩნია“ [21, 163].

1924 წლის 1 თებერვალს საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო ინგლისის მთავრობის ოფიციალური ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინგლისი დე იურე ცნობდა საბჭოთა კავშირს „ყოფი-

ლი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომელ-ნიც ცნობენ მის ხელისუფლებას“. ინგლისის ხელი-სუფლების ნოტიდან გამომდინარეობდა შემდეგი: თუ საქართველო არ ცნობდა საბჭოთა რეჟიმს, მა-შინ ინგლისი საქართველოში მოსკოვის საოკუპაც-იო რეჟმის არსებობას ანუ საქართველოს ყოფნას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დე იურე არ ცნობდა. ამდენად, საქართველოს უნდა დაედასტუ-რებინა, რომ არ ცნობდა კრემლის დიქტატს. ინ-გლისის ხელისუფლების ნოტის ამ ნაწილმა იმედე-ბი აღუძრა საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას და პარალელურად გამოიწვია ეროვნული მოძრაობ-ის დიდი აღმავლობა საქართველოში. მოგვიანებით საფრანგეთმა საბჭოთა კავშირი ცნო დე იურე იმავე პირობით, რა ფორმითაც ინგლისმა.

ობიექტურად თუ შევაფასებთ აღნიშნულ ფაქ-ტებს უნდა ითქვას, რომ ინგლისისა და საფრანგე-თის მიერ საბჭოთა კავშირის დე იურე ცნობის თავი-სებური ფორმულირება პრაქტიკულად არაფრის მომტანი იყო არც ქართველი და არც საბჭოთა რუ-სეთის მიერ დაპყრობილი სხვა ერებისათვის [20, 633-634]. მაგრამ ორგანიზატორები ასე არ ფიქრობ-დნენ. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებს 1939-1991 წლებში დასავლეთი არ ცნობდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ ამით რა იცვლებოდა?

ცხადია, იმის დასადასტურებლად, რომ საქართველო არ ცნობდა საბჭოთა კავშირის მთავრობას, ყველაზე უკეთესი არგუმენტი მოსკოვის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება იყო. მათი აზრით, ეს საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას საშუალებას მისცემდა გაეძლიერებინა დიპლომატიური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით [20, 632-633].

1924 წელს საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციები მთლიანობაში მოითვლიდნენ 15 ათასამდე კომუნისტს, მაშინ როცა რესპუბლიკაში 125 ათასი, მხოლოდ თავადი და აზნაური იყო აღრიცხული, 10 ათასზე მეტი კი კადრის ძველი ოფიცერი; ასევე, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ინტელიგენციის დიდი რაოდენობა. სოფლის მოსახლეობა განიცდიდა მძლავრ ნოსტალგიას დამოუკიდებლობის პერიოდისადმი. ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ, ეროვნული ძალები ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ ემიგრანტულ მთავრობას „აჭარის მეშვეობით“. ბოლშევიკურ მმართველობაში შემორჩნილი იყო სოციალ-დემოკრატთა მცირე რაოდენობა [22, 32].

ამავე დროს საქართველოში ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია, რომ ბათუმსა და ფოთში გადმოსხეს ინგლის-საფრანგეთის დესანტი, რომ ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიას საყოველთაო

აჯანყების ალი მოედო. გაიჟღერა ასევე ცნობამ, რომ მოსკოვში მოკლეს ტროცკი და რიკოვი, ხოლო თბილისში ჩამოვიდა ჟორდანია. [3].

უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში აჯანყების მოწყობის თაობაზე გამოხატეს კარლო ჩხეიძემ, ირაკლი წრეთელმა, სპირიდონ კედიამ და სამსონ ფირცხალავამ [17, 66].

ემიგრანტული მთავრობის მეთაურის ნ. ჟორდანიას მითითებით, აჯანყებულებს კავკასიის მთავარი უღელტეხილის ხელში ჩაგდებით საქართველო უნდა მოეწყვიტათ რუსეთისაგან, ამავე დროს მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ სათანადო ძალებთან ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში. ეს მისია დაკისრებული ჰქონდა ხომერიკს, რომელმაც სათანადო რწმუნებები მიიღო საზღვარგარეთ მყოფი მუსავატელებისაგან, მაგრამ მისი აღსრულება არ დასცალდა მოულოდნელი დაპატიმრების გამო [4, 80].

აჯანყებისათვის მზადების პროცესში მისი ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელს მიაგნო ხელისუფლებამ. 1924 წლის თებერვალში საქართველოს საგანგებო ორგანოების მიერ დაპატიმრებულთა საქმეზე ძიების შედეგად დადგინდა, რომ მზადდებოდა აჯანყება. საქართველოს საგანგებო კომისიის სამაზრო ორგანოების უფროსებს და „მაზრკომის“ მდივნებს 14 მარტს გაეგზავნათ და-

შიფრული დეპეშა ბერიას ხელმოწერით იმის შესახებ, რომ 26 მაისს მზადდებოდა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აუცილებელი იყო ადგილობრივი საბჭოთა ძალების მობილიზება და წინასწარი მუშაობა ანტისაბჭოურ ძალთა ლიკვიდაციისათვის [9, 221].

26-მა მაისმა მშვიდად ჩაიარა. ამის შემდეგ მამობილიზებელი განწყობილება ერთგვარად შენელდა, მაგრამ საგანგებო კომისია აჯანყების ხელმძღვანელ ძალებს ზედიზედ აპატიმრებდა. სწორედ ამის გამო წერდა ცინიკურად მ. კახიანი: „მეტად ძნელია აჯანყების მოწყობა, როდესაც ჩეკას სარდაფებში ზიხარ“. პარალელურად კომუნისტური მთავრობა მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებდა, რათა გამოსვლების შემთხვევაში უკეთ მომზადებული ყოფილიყვნენ. ამას ისახავდა მიზნად წითელი არმიის „წმენდა“. როგორც ჩანს, არმიის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი გულგრილი არ იყო მოსალოდნელი აჯანყებისადმი. ამიტომ ს. ორჯონიკიძის ინიციატივით ქართული წითელი არმიის 300-მდე მეთაური დაითხოვეს ან გაანთავისუფლეს (თანამდებობიდან). მათი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა კადრებმა [4, 82]. ასე რომ აღნიშნულ პერიოდში იყვნენ ადამიანები, და არცთუ ისე ცოტა, რომელთაც სჯეროდათ ბოლშევიკური

იდეოლოგიისა და მათ მიერ ჩამოყალიბებულ სისტემას თანაუგრძნობდნენ [17, 13].

1924 წლის აპრილის შუა რიცხვებში საზღვარგარეთიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდა სახალხო გვარდიის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ვალიკო ჯუღელი (მას სამხედრო განათლება საფრანგეთის სენ-სირის ეროვნულ სამხედრო სასწავლებელში ჰქონდა მიღებული). თბილისში ჯუღელის ჩამოსვლა იცოდა ამხანაგების ვიწრო ჯგუფმა, რომელთაგან ერთ-ერთმა გასცა. 6 აგვისტოს ჯუღლი დააპატიმრეს. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საკანში (№19) ღამით 7 აგვისტოს ჯუღელმა თავის მოკვლა განიზრახა. ექვს ადგილას გადაიჭრა ძარღვები მარცხენა ხელზე, ამავე დროს ჭრილობები ჟანგით ამოავსო, მაგრამ გადაარჩინეს [4, 81].

ასევე დააპატიმრეს გიორგი წინამძღვრიშვილი, ნოე ხომერიკი, გოგიტა ფაღავა, გიორგი ჯინორია, ბენია ჩხიკვიშვილი... ზოგადად უნდა ითქვას, რომ ემიგრაციიდან ჩამოსული თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი საქართველოში გამოჩენიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ ჩეკა-ს ხელში ხვდებოდა [7, 39], რაც ნიშნავს, რომ ემიგრანტთა რიგებში საკმაოდ იყვნენ ჩანერგილი საბჭოთა აგენტები. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა 1930 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის

(ბოლშვიკების) ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის ლავრენტი ბერიას გამოსვლა, სადაც აღნიშნა, რომ 1924 წლის აჯანყების დროს „დიდი სამსახური გაგვიწია უთანხმოებამ, რომელიც... ორ ანტი-საბჭოურ პარტიას შორის არსებობდა“. მხედველობაში იყო ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. „მათი მეშვეობით შევძელით ჩვენ – მიუთითებდა მომხსენებელი – ჯუღელის დაჭერა და სწორედ მათ მოგვაწოდეს ჩვენ ფოსტით შეთქმულების გეგმა, რისი დახმარებითაც ჯუღელს ყველაფერი ვაღიარებინეთ“ [17, 181]. ეს ყველაფერი თუ სიმართლეს შეეფერება, ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა ყოფილიყო?!

24 აგვისტოს ამხანაგებისადმი გაგზავნილ ღია წერილში ვ. ჯუღლი თანამოაზრეებს მოუწოდებდა ხელი აეღოთ შეიარაღებულ გამოსვლაზე, რომელიც არსებულ ვითარებაში უგუნურება იქნებოდა. ამ წერილმა, რომელიც გაზეთებში გამოქვეყნდა, დიდი არევ-დარევა და შეშფოთება შეიტანა შეთქმულთა რიგებში [4, 81]. „თვითმკვლელობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ჯუღელი ო გ პ უ-ს აგენტებმა თითქოს ცოცხლად დაწვეს [1, 505].

ხელისუფლებამ თბილისის გამაგრება, გზების შეკვრა, ღამის საათებში პატრულირება და საეჭვო სამხედროების დაპატიმრება დაიწყო. ბათუმში დაა-პატიმრეს გენერალი ფურცელაძე, რომელსაც აჯ-ანყებაში აჭარის ჩართვა ევალებოდა. გურიაში გე-ნერალი ყარალაშვილი აიყვანეს... დამკომის თავმ-ჯდომარე იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით ითხოვდა აჯანყებას, რომელიც, მისი აზრით, დაწყებული იყო და ახლა შეჩერება მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. მან მოითხოვა მთავარსარდლის სპირიდონ ჭავჭა-ვაძის გადაყენება და მის ადგილზე ქაქუცა ჩოლო-ყაშვილის დანიშვნა, რაზედაც თანხმობა ვერ მიი-ღო [23, 146].

აჯანყების ორგანოების ჩავარდნისა და ხელი-სუფლების მხრივ ენერგიული ღონისძიებების შემ-დეგ აჯანყება განწირული ჩანდა. მიუხედავად ამისა „პარიტეტული კომიტეტის“ 1924 წლის 22 აგვისტოს შეკრებაზე გადაწყდა აჯანყების დღედ დაენიშნათ 28 აგვისტო. საგანგებო ორგანოებს არც ეს გამოპარ-ვიათ მხედველობიდან. 27 აგვისტოს დაშიფრული დეპეშით ყველა მაზრის ხელმძღვანელი ორგანო ინფორმირებული იყო მოსალოდნელი აჯანყების შესახებ და წინასწარ ემზადებოდა მისი ჩახშობი-სათვის.

გამოსვლები დაიწყო 28 აგვისტოს დილის 4 საათზე ჭიათურაში. მაღაროელთა ქალაქი ერთი

ტყვიამფრქვევით (რომელიც დროდადრო იჭედებოდა) და 112 ამბოხებულით თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება. მათ დაიკავეს რკინიგზის სადგური და ხიდები... [1, 505]. ჭიათურელებმა შექმნეს „საქართველოს დროებითი მთავრობა“.

ოზურგეთში აჯანყებულებმა ვერ მოასწრეს ქალაქის დაკავება, რადგან მას იცავდნენ ბათუმიდან გაგზავნილი შეიარაღებული ძალები. ნატანებში იდგა ჯავშნიანი მატარებელი და 400 კაციანი რაზმი აჯანყებულთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. მიუხედავად ამისა, გურიის სოფლებში აჯანყებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. გამოსვლებს მეთაურობდნენ ს. მათითაიშვილი, გ. მუხაშავრია, ღლონტი, კვაშალი და სხვები.

სვანეთში გამოსვლების ცენტრს წარმოადგენდა იფარის, კალას, უშგულის, პარისა და ცხმარის სოფლები. კომუნისტურ რაზმებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ სვანეთში შეღწევა. პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანი ნავერიანი ურჩევდა ს. ორჯონიკიძეს აჯანყებულთა რაზმების განიარაღებისათვის საპატიმროებში მძევლებად აეყვანათ ის 500-მდე სვანი, რომლებიც სამუშაოდ იყვნენ გადასული ჩრდილოეთ კავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ მათ აჯანყებაში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული [24, 10].

ზუგდიდის მაზრაში გამოსვლებს ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა რაიონში. მონაწილეთა რიცხვმა მაზრის მასშტაბით 2769 მიაღწია. აჯანყებულები სუსტად იყვნენ შეიარაღებული. ზოგიერთებს 3-5 ტყვიაზე მეტი არ ჰქონდათ. მრავალი მათგანი საერთოდ უიარაღო იყო. შეტაკების შედეგად კომუნარებისა და მილიციის მხრიდან დაიღუპა 13 და დაიჭრა 15 კაცი. აჯანყებულთაგან 100 კაცამდე იყო მოკლული და დაჭრილთა სახით [25, 77].

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთი ინტენსიურ ინფორმაციას იღებდა აგვისტოს მოვლენების შესახებ. „აჯანყების დროს სტამბოლიდან თითქმის ყოველდღე იგზავნებოდა ამბები პარიზში, თუ ევროპის სხვა კუთხეებში. განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა ჟენევას, სადაც იმ დროს ერთა ლიგის კრებები იყო და საქართველოში მომხადრი აჯანყების შესახებ სწორი ცნობების მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ [26, 42].

ბუნებრივია კრემლი თავისებური ინტერპრეტაციით ასევე ამცნობდა გარე სამყაროს საქართველოში მომხადრი გამოსვლების შესახებ. 1924 წლის 31 აგვისტოს მოსკოვის ტელეგრაფის სააგენტომ მიაწოდა ცნობები ევროპის პრესას, რომ „საქართველოში აჯანყება მოახდინა კონტრ-რევოლუციური მიზნით, მცირერიცხოვანმა ბანდამ, რომელიც შედგებოდა მხოლოდ ძველი ოფიცრების, თავადებისა

და მსხვილი ვაჭრებისგან. ყველა მეთაური დაიჭირ-ეს და ეს აჯანყება მცხოვრებთა მიერ საჩქაროდ იქ-ნა ჩაქრობილი“ [26, 41-42].

აჯანყებულები დიდ იმედებს ამყარებდნენ ქა-ქუცა ჩოლოყაშვილზე, რომელიც იმ დროისათვის დუშეთის მაზრაში მოქმედებდა. „პარიტეტულ კო-მიტეტს“ იგი დაპირებას აძლევდა, რომ აჯანყების დაწყებამდე გამოიყვანდა 600 კაციან რაზმს, მაგრამ დანაპირები ვერ შეასრულა.

იმ მაზრებში, სადაც აჯანყებულებმა მოკლე დროით ხელში აიღეს ძალაუფლება, გამოაცხადეს: „ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლო-ბას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და კერძო საკუთ-რებასო“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯანყებულებს ად-გილობრივი ხელისუფლების წევრები არსად სიკვ-დილით არ დაუსჯიათ და ისინი უვნებლად გამო-ვიდნენ სატუსაღოებიდან და თავლებიდან. ამას-თან დაკავშირებით კომპარტიის მდივანი მ. კახია-ნი ცინიკურად აცხადებდა: „უხერხემლო მენშევი-კებმა დატუსაღებული ერთი ჩვენი ამხანაგის დას-ჯაც ვერ გაბედეს, მაშინ, როდესაც მათი ამხანაგები ათასობით დავხვრიტეთო“ [27, 281].

ი. ბ. სტალინი აგვისტოს აჯანყებას ხელოვ-ნურს, არახალხურს უწოდებდა [28, 351]. თუმცა, იქ-ვე იძულებული იყო აღენიშნა, რომ საქართველოში

„ვერ შენიშნეს ჩვენმა ადამიანებმა, რომ გლეხები რაღაცისათვის ემზადებოდნენ, რომ მათში უკმაყოფილება იყო, რომ ეს უკმაყოფილება დღითი-დღე გროვდებოდა, ხოლო პარტიამ ამის შესახებ არაფერი იცოდა“ [28, 252].

მარცხს არ დაუხანებია: რამდენიმე დღეში საბჭოთა ძალებმა მძვინვარე იერიში წამოიწყეს და დაუნდობლად ჩააქრეს აჯანყების კერები. პოსტსაბჭოთა პერიოდის ზოგიერთ ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველი კომუნისტები დაინტერესებული იყვნენ ანტისაბჭოთა აჯანყებით – რადგან „სჭირდებოდათ ქვეყანაში გარკვეული შიშის სინდრომის დამკვიდრება, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე, როგორც ისინი ფიქრობდნენ, გაეტეხათ „კლასობრივი მტრის“ წინააღმდეგობა და შეუქცევადი გაეხადათ საბჭოთა სისტემის ბატონობა... საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა საბაბი მასობრივი ტერორის განსახორციელებლად და პოლიტიკური სივრცის გასანეიტრალებლად“ [8, 54].

შეიძლება მართლაც იყვნენ ასეთი სურვილის მქონე ქართველი კომუნისტების ნაწილი, მაგრამ როდის იყო, რომ ბოლშევიკები საბაბს ეძებდნენ სისხლიანი კალოს მოსაწყობად. ბოლშევიკთა მაშინდელ განწყობას კარგად ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერის ნიკოლოზ ბუხარინის სიტყვები: „ჩვენ ვახორციელებთ უმწეო ად-

ამიანების მასობრივ მოსპობას თავიანთ ცოლებთან და შვილებთან ერთად... მაგრამ დინება იმ მიმართულებით მიემართება, რომლითაც უნდა მიემართებოდეს...“ [29, 144]. იგივე ავტორი ჯერ კიდევ 1920 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“ აღნიშნავდა: „დახვრეტები წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფორმას“ [4, 85]. სწორედ ამ იდეოლოგიის მქონე, გადაგვარებული ფსიქიკის ადამინების მაგალითს წარმოადგენდა სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმის მეთაური დავითაია, რომელიც მოხსენებაში აღნიშნავდა: „თვითეულ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლი“ [5, 5].

შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რეპრესიები დაიწყო წინასწარ 27 აგვისტოს. აჯანყების წინა დღეს მეტეხის ციხიდან გაიყვანეს და ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოს განაჩენის გარეშე ერთდროულად დახვრიტეს 182 კაცი, რომელთაგან უმრავლესობა ეჭვის ნიადაგზე იყო დაპატიმრებული. მათ შორის იყვნენ სრულიად უდანაშაულო მუშები და გლეხები, რომელთაც არავითარი მონაწილეობა აჯანყების მომზადებაში არ მიუღიათ.

მოსკოვში გაგზავნილი სოციალ-დემოკრატი მძევლები როსტოვის მახლობლად დახვრიტეს. იმერელი ამბოხებულები გაძეძგილ ვაგონებში შეყა-

რეს და ზესტაფონის მახლობლად, საძმო სასაფალოსკენ წაიყვანეს: იქ ზოგი მაუზერით დახოცეს, ზოგიც – ტყვიამფრქვევით და გვამებს კირი დააყარეს. სოფელ რუისში მთელი ოჯახები დახვრიტეს (პატარა ბავშვების ჩათვლით), სენაკში კი 500 აჯანყებული მეგრელი [1, 506]. ზუგდიდის მაზრის ჭაქვინჯის თემის მცხოვრებმა ევგენი შენგელიამ, როდესაც გაიგო აჯანყების დამარცხების ამბავი, თვითმკვლელობით დაამთავრა სოცოცხლე. ასევე, სოფელ ხორგის მკვიდრმა დურუ ლეფონავამ ნაგანით მოიკლა თავი [4, 84].

მართალია თელავისა და სიღნაღის ტერიტორიებზე გამოსვლები ნაკლები ინტენსივობით გამოირჩეოდა, მაგრამ სამაზრო ციხეები სავსე იყო პატიმრებით. სისტემატიურად გაჰყავდათ დასახვრეტად თავადები, აზნაურები, მღვდლები, მსხვილი ვაჭრები. აწიოკებდნენ მათ ოჯახებს... ბაკურციხეში დაჭრილები ქვებით ჩაქოლეს. დაარბიეს გიორგი ვაჩნაძისა და დათა პეტრიაშვილის კარმიდამო. ადამიანის ყვირილს ერთვოდა საქონლის და ცხენების საზარელი ბღავილი. დახოცილები წნელებით შეკრეს და გომარეთში ეკლესიასთან ჩაფლეს მიწაში. ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მონაწილე, შემდეგში მეცნიერ-მუშაკი საზოგადოებათმცოდნეობაში არც მალავდა და დამსახურებულადაც მიიწერდა, რომ ამ

დღეს ნაჯახით გაუპო თავი ვაჩნაძიანთ ბავშვს აკ-ვანში.

სიმკაცრე ითვლებოდა ხელისუფლების ერ-თგულების სინონიმად. ამიტომ ყველა ოპერატიუ-ლი მუშაკი მეტის მეტად აქტიურობდა და მოგონი-ლი საბაბით (გაქცევის მცდელობა და სხვ.) ჯგუფ-ჯგუფად ხვრეტდა პატიმრებს [24, 11].

ტყავის ქურთუკსა და რუსულ ჩექმაში გამოწ-ყობილი ჩეკისტები ასაკის მიუხედავად ხვრეტდნენ ყველას, ვისთვისაც „საქართველო უპირველეს ყოვ-ლისა“ გახლდათ. მათი უმთავრესი სამიზნე სასუ-ლიერო პირები, ინტელიგენცია და თავადაზნაურო-ბა იყო, განსაკუთრებით კი უკანასკნელთ ემტერე-ბოდნენ. ამ რეპრესიებს სერგო ორჯონიკიძე უბრა-ლოდ „თავადაზნაურობის გამოშიგვნას უწოდებ-და“ [2, 340]. ბარბაროსული აქტის მიზანი პირველ რიგში თავად-აზნაურთა რაოდენობის შემცირება და საკავშირო მაჩვენებელთან მისი გათანაბრება იყო. კავშირის მასშტაბით მათი რაოდენობა მთე-ლი მოსახლეობის 3 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი, თით-ქმის 5 ან 7 პროცენტს აღწევდა [29, 113-114].

აღმოსავლეთ საქართველოში განადგურებულ იქნა თითქმის მთელი თავად-აზნაურობა, მეტისმე-ტად დაღლილი და ინერტული, რათა რაიმე პოლი-ტიკურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო.

დაიღუპა, აგრეთვე, ქართველი ოფიცრების დიდი უმრავლესობა, რომელიც ნაწილობრივ აჯანყებაში იყო ჩაბმული, ან მას აშკარად თანაუგრძნობდა, ხოლო ნაწილობრივ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე იდგა [4, 84].

გურიას ელოდა უფრო მძიმე მსხვერპლი, ვიდრე გაიღო 1923 წელს, რადგან ასეულობით პატიმარი, – აჯანყების მონაწილენი, ყოფილ ეკლესიებში გამომწყვდეულნი, განწირულნი იყვნენ დასახვრეტად. ამ დროს ჩავიდა იქ, ფილიპე მახარაძე, რომელმაც განკარგულება გასცა ასე განუკითხავად დაპატიმრებულნი გაეთავისუფლებინათ [24, 11].

საქართველოში გატარებული რეპრესიები იმდენად ფართო მასშტაბის აღმოჩნდა, რომ კრემლიც კი შეფიქრიანდა. ამასთან დაკავშირებით სერგო ორჯონიკიძის სახელზე მოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ა. რ ი კ ო ვ ი ს დეპეშა დახვრეტების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ორჯონიკიძემ თანამებრძოლთა „ვიწრო“ თათბირი მოიწვია და განუცხადა: „ჯერჯერობით ამ დეპეშას ყურადღება არ მივაქციოთ და ენერგიული ზომები გავატაროთ, რათა საქართველო რაც შეიძლება მაქსიმალურად გავწმინდოთ კონტრრევოლუციური უწმინდურობისაგან“. ასე რომ, მაშინ, როდესაც სოფელ არგვეთასთან ვა-

გონებში გამომწყვდეულები დახვრიტეს, რიკოვის დეპეშა უკვე დიდი ხნის მიღებული იყო [30, 359].

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ბოლშევიკური პროპაგანდით გაბრუებული ღარიბი გლეხების ნაწილი თვითნებურად ანადგურებდა ყოფილ თავად-აზნაურთა სახლ-კარს. ყოველგვარი გასამართლების გარეშე ხოცავდა ყოფილ მოხელეებსა და თავად-აზნაურებს. დანარჩენებს კი გლეხთა სათემო კრებების დადგენილებით ერეკებოდნენ სოფლებიდან და ახდენდნენ მათი ქონების – მიწის, საქონლისა და სახლ-კარის კონფისკაციას. მხოლოდ გორის მაზრიდან განდევნეს თავად-აზნაურთა 131 ოჯახი, ასეთივე მდგომარეობა იყო სიღნაღის მაზრაში, თელავში და სხვაგან [4, 84-85].

რეპრესიები თავს დაატყდა თბილისს, რომელიც ანტისაბჭოურად განწყობილი პარტიების ცენტრს წარმოადგენდა. მთავარ სამიზნედ, პირველ რიგში, უნივერსიტეტი და შემოქმედებითი ორგანიზაციები შეარჩიეს. იმ ხანებში დააპატიმრეს და დახვრიტეს ვაჟა ფშაველას შვილი, რომელიც არ ეწეოდა არავითარ ანტისაბჭოურ საქმიანობას. როცა ორჯონიკიძეს მოახსენეს, რომ ვაჟას შვილის სოცცხლე საფრთხეშია და იქნებ ვიხსნათო, მან არაორაზროვნად მიუგო: ჩვენ დავხვრეტდით ვაჟა ფშაველასაც, იგი რომ ცოცხალი ყოფილიყო და ჩვენს წინააღმდეგ ემოქმედაო.

1924 წლის სექტემბერში დააპატიმრეს და ადგილზე დახვრიტეს კორნელი კეკელიძის ვაჟი. მამა იძულებული გახადეს გაეკეთებინა საჯარო განცხადება, რომ მისი შვილის დახვრეტა სავსებით სამართლიანი იყო [24, 11].

აჯანყებისა და ანგარიშსწორების მოწმე, გერმანელი პროფესორი ე რ ი ხ ო ბ ს ტ ი წერდა: „თბილისში რომ ჩავედით, მთელი ქალაქი გლოვობდა. განსაკუთრებით თბილისის ქართული ნაწილი. უამრავ ქალს ძაძები ეცვა და სახეზე ღრმა წუხილი აღბეჭდვოდა. სამგლოვიარო სამკლავურები მამაკაცებსაც ეკეთათ, მაგრამ ისინი ცდილობდნენ, უფრო ფრთხილად ყოფილიყვნენ, ეჭვი მათზეც რომ არ მიეტანათ. თითქმის არ იყო დარჩენილი ოჯახი, რომელსაც ახლობელი არ დაეკარგა ან ეს გლოვა არ შეხებოდა. აჯანყება წარმოუდგენელი სისასტიკით ჩაახშვეს... შურისმაძიებელ ჯარისკაცებს ათასობით ადამიანი შეეწირა; მათ სასამართლოს გარეშე ხვრეტდნენ, მაშინაც კი, როდესაც სრულიად აშკარა გახლდათ, რომ ეს თუ ის პიროვნება აჯანყებაში საერთოდ არ მონაწილეობდა. დიახ, იყო უკიდეგანო სისასტიკე, უკანონობა, ადამიანური ღირსების შელახვა, ტერორი. ხალხს ასახლებდნენ, ხვრეტდნენ და ცოცხლად მარხავდნენ“ [1, 506].

დიდი უკმაყოფილება იყო მორწმუნეთა შორის. „იმნაირი სისასტიკე, როგორც ჩვენში გამოიჩი-

ნა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, არ ყოფილა არც სხვა ფედერაციის რესპუბლიკებში. რუსეთიდან ჩამოსულები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც გაიგებენ ეკლესიის მდგომარეობას საქართველოში“ – აღნიშნავდა უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია.

მართლაც, დახურულ და დანგრეულ იქნა 1400-ზე მეტი ეკლესია, რომელთა ნაწილი კლუბებად და ქოხ-სამკითხველოებად გადააკეთეს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ორჯონიკიძე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „ამ საკითხში ჩვენ გადავაჭარბეთ... ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გლეხს არ უნდა ეკლესია, რომ ის ნებაყოფლობით დათანხმდა მის დახურვაზე, – ეს თავის მოტყუებაა“. ორჯონიკიძე იქვე რჩევას იძლეოდა: „საშუალება მივცეთ თითოეულ გლეხს ისარგებლოს ეკლესიით, მიუხედავად იმისა, რამდენი ისეთი გლეხია: ათი თუ ასი. ერთი სიტყვით, ჩავაბაროთ მათ ეკლესიის გასაღები და, როგორც უნდა ისე ილოცონ“. თუმცა ეს რჩევა დემაგოგიურ მოწოდებად დარჩა და არ განხორციელებულა [4, 86-87].

საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ საქართველოში დაწყებული აჯანყებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ევროპის ქვეყნების მთავრობები, პოლიტიკური და დიპლომატიური

წრეები. დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ემიგრანტული მთავრობა ერთა ლიგაში. 1924 წლის 11 სექტემბერს ერთა ლიგამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც 1924 წლის აჯანყება შეაფასა როგორც „ომი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველო ცხადდებოდა მეომარ მხარედ და იგი ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. აღნიშნული რეზოლუცია იმის მაუწყებელი იყო, რომ ერთა ლიგა მხარს უჭერდა ქართველი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ერთა ლიგის მხარდაჭერის მოპოვება ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ამ ფაქტმა საბჭოთა კავშირის პროტესტი გამოიწვია. ასეთი სახის რეზოლუციის მიღება „სსრ კავშირის საქმეებში უხეშ ჩარევად“ მიიჩნია [20, 633]. თუმცა ამ მოვლენას საქართველოს ბედზე, არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

მაინც რამდენი ადამიანი შეეწირა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას? ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. სასტიკმა ანგარიშსწორებამ სტალინიც კი შოკში ჩააგდო და 2 სექტემბერს სამხრეთ კავკასიის კომუნისტურ პარტიას რეპრესიების შეწყვეტა უბრძანა [1, 507].

1924 წლის ოქტომბერში საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ორჯონიკიძე აცხადებდა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება“ [30, 359]. მისივე აღიარებით, აჯანყების ჩაქრობის პირველივე დღეებში ფიზიკურად გაანადგურეს 1000 ქართველი თავადი და აზნაური [8, 54-55]. იმავე პლენუმის მასალებში დაფიქსირებულია 980 კაცი. ნოე ჟორდანია კი 5 ათას ადამიანს ასახელებს [24, 11].

კოტე ანდრონიკაშვილის დაანგარიშებით ბოლშვიკურ რეპრესიებს, სულ მცირე 4 ათასი კაცი შეეწირა [1, 506]. ზოგიერთი შეფასებით ორი ათასი აჯანყებული დასაჯეს სიკვდილით, 20 ათასამდე საქართველოდან გადაასახლეს [31, 176-179]. აღნიშნულის ფონზე ორჯონიკიძის სიტყვით „ბოლშევიკებმა აჯანყების დროს დაკარგეს მხოლოდ 150 კაცი“ [3, 2].

სამწუხაროდ, დაღუპულთა დიდი ნაწილის საფლავები უცნობია. დახვრეტილებს ფარულად, საერთო საფლავებში „ყრიდნენ“. არის მოსაზრებები სავარაუდო საფლავების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საფუძვლიანი მოსაზრების მიხედვით ადგილი, სადაც მოხდა აჯანყებულთა მასობრივი დახვრეტა და შეიქმნა საერთო საძვალე, უნდა მდებარეობდეს არა ვაკის პარკის ქვედა ნაწილში, არამედ პარკის

ჩრდილოეთით ყოფილი ფიზიკური კულტურის ინ-სტიტუტისა (ახლანდელი სპორტის აკადემია) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მასობრივი დახვრე-ტის ფართობს დასავლეთიდან საზღვრავს საცუ-რაო აუზი და მძლეოსნური მანეჟი, ჩრდილოეთით – მდინარე ვერე, აღმოსავლეთით – ვერეს ხეობის ერ-თი შევიწროებული ადგილი, ხოლო სამხრეთით – ჭავჭავაძის პროსპექტი საცურაო აუზიდან ვაკის პარ-კის მთავარ შესასვლელამდე.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გადაწყდა ინსტი-ტუტის ახალი კორპუსის მშენებლობა ვაკის ტერი-ტორიაზე (სწორედ იქ, სადაც იგი ახლა მდებარე-ობს). მუშები შეუდგნენ საძირკველის გათხრას და როგორც მშენებლები, ისე სამუშაოდ მოსული მოხა-ლისენი საშინელი სურათის მოწმენი გახდნენ: მუ-შების იარაღს, ბარსა თუ ნიჩაბს თან მოჰყვებოდა ადამიანთა ჩონჩხის ნაწილები, დაფლეთილ ტანი-სამოსში გახვეული ძვლები; მუშებმა სხვა ადგილზე გადაინაცვლეს, იქაც იგივე განმეორდა. მეორე დღი-დანვე მუშები სადღაც გაქრნენ და შეშინებულნი აღ-არ გაკარებიან სამუშაოებს. ინსტიტუტის ხელ-მძღვანელობამ ამის შესახებ მთავრობას აცნობა. მეორე დღესვე მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინის-ტროს რაზმები, მუშაობა მთლიანად შეწყვიტეს, სა-მუშაო ადგილს ჯერ ალყა შემოარტყეს, მერე შემო-

ღობეს და ახლოს არავინ გააკარეს. დირექციას კი დაპირდნენ: ინსტიტუტის საძირკველს ჩვენ თავად გავთხრითო. მათ მართლაც უსასყიდლოდ შეასრულეს ეს სამუშაო. თვითმხილველები აღნიშნავდნენ, რომ დილიდან საღამომდე საძირკვლის თხრასთან ერთად, მანქანებით გაჰქონდათ ადამიანთა ძვლები და დაფლეთილი ტანისამოსი. ფაქტია, რომ აკადემიის მთავარი სასწავლო კორპუსი და სპორტული ბაზები ამჟამად ადამიანთა მასობრივი დახვრეტის ადგილზე დგას. მაგრამ გვამები ამოღებული იქნა მხოლოდ იმ ადგილებიდან, სადაც აუცილებელი იყო საძირკვლის გათხრა. ვინ იცის გარშემო კიდევ რამდენი გვამია მიწაში ჩატოვებული.

70-იან წლებში, როცა გურამიშვილის ქუჩის მარჯვენა ფერდობზე დაიწყეს კოოპერატიული ბინების მშენებლობა (მათ შორის შენდებოდა ინსტიტუტის საცხოვრებელი სახლებიც) და ბულდოზერები შეუდგნენ საძირკვლების გათხრას, ისევ შემზარავი სანახაობა გადაიშალა მშენებლების თვალწინ: ბულდოზერების „ხორთუმს“ თან მოჰყვებოდა უზარმაზარ საერთო საძვალეში ოდესღაც ჩამარხულ ადამიანთა ძვლები და ტანისამოსი. ამ ადგილზე დღეს სასწავლებლის თანამშრომლების ოჯახები ცხოვრობენ, რომელთა უფროსი თაობა იგონებდა, რომ „ხშირად უნახავთ ეზოში მოთამაშე ბავშვები, რომლებიც გრძელ ჯოხზე წამოაცვამდნენ

ხოლმე ხევში ჩაგორებულ ადამიანთა თავის ქალებს და დაარბენინებდნენ აქეთ-იქითო“.

დადგენილია, რომ ამ ადგილზე არასოდეს ყოფილა ოფიციალური სასაფლაო. და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გვამები კუბოს გარეშეა დამარხული, გასაგები გახდება, რომ აქ ერთ დროს საერთო საფლავში ფლავდნენ მასობრივად განადგურებულ ადამიანებს [32, 10].

1924 წლის აჯანყებას შეეწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე. სამხარეო და რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ მიმართა უმკაცრეს ანგარიშსწორებას. რეპრესიები ხორციელდებოდა თვითნებურად, წინასწარი ძიებისა და სასამართლო პროცესების გარეშე, რესპუბლიკის საგანგებო ორგანოების პირადი შეხედულების მიხედვით. ამდენად, ავტორიტარიზმის, განუკითხაობის და ადამიანთა სოცოცხლისადმი აგდებული დამოკიდებულების ის მეთოდები, რაც საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის დამახასიათებელი გახდა 1937-1938 წლებში, საქართველოში სათავეს იღებს თხუთმეტი წლით ადრე, ჯერ კიდევ 1922-1924 წლებში [33, 10].

სათანადო მოუმზადებლობისა და სხვა ფაქტორების გამო, მართალია ეს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული ტკივილი ქართველ ხალხს არ განელებია. სხვადასხვა ფორ-

მით იგი თავის სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავ-ნებდა უმკაცრესი რეპრესიების წლებშიც. შეფასები-სას არ უნდა მივანიჭოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, რომ აჯანყება განწირული იყო დამარცხები-სათვის.

დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა ისტორიაში არ ფასდება მხოლოდ გამარჯვება-და-მარცხებით. დამარცხება იწვნია პოლონელი ხალ-ხის ორმა აჯანყებამ XIX საუკუნეში, ასევე დამარცხე-ბით დამთავრდა უნგრელი ხალხის განმათავისუფ-ლებელი მოძრაობა 1849 წელს, მაგრამ ამშვენებს უნგრელი ხალხის ისტორიას. აღარაფერს ვამბობთ საქართველოში მიმდინარე აჯანყებებზე XIX საუკ-უნის პირველ ნახევარში [24, 11].

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აჯანყება უთუოდ შეიცავდა ემიგრაციის რეალურ მხარდაჭე-რას, ძირითადად მაინც მომწიფდა საქართველოში შექმნილი ვითარების შედეგად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეიარაღებული გამოსვლა წარმო-ადგენდა ხალხის რეაქციას, მის პროტესტს ოკუპაც-იის მიმართ.

ახალი ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების თესლი ქართველ მოსახლეობაში ღვივდებოდა 1921 წლის თებერვლიდანვე, როცა საბჭოური რეჟი-მი მოევლინა ქვეყანას [33, 10]. ამიტომ, აჯანყება იყო ემბრიონული საბჭოთა რეჟიმის მოკლევადიანი

წარმატებებისა და მარცხთა მოწმობა. გარკვეულწილად კი ბოლშევიკების მხრიდან ქართველების გრძნობებისა და მისწარაფებებისადმი ტლანქი დამოკიდებულების მოსალოდნელი შედეგი [16, 355].

აჯანყების მზადებისა და განხორციელების დროს მასობრივად დაღვრილმა სისხლმა მსოფლიოს უჩვენა საქართველოს ანტიიმპერიული, საუკუნოვანი ბრძოლის აპოთეოზი. მან ჩვენს ერს მოუპოვა საერთაშორისო თანაგრძნობა და აღიარება. მეორე ინტერნაციონალის ლიდერების გამოთქმით, მათ დროშას აქამდე თუ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლონეთის სახელი ეწერა, ახლა იგი საქართველოს სახელით დამშვენდა [34, 76].

„აჯანყება აუცილებელი იყო, – ამბობდა სასამართლოზე მ ი ხ ე ი ლ ი შ ხ ნ ე ლ ი, – ქართველი ხალხი ვერ დამშვიდდებოდა, სანამ დაგროვილი ოთხი წლის ბოღმას არ ამოანთხევდა...“

აჯანყებამ განამტკიცა აზრი, რომ არ არსებობს სხვა გზა გადარჩენისა, თუ არა ეროვნული სუვერენიტეტი და თავისუფლება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დონალდ რეიფილდი, საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე, თბილისი, 2019

2. ლ. კერესელიძე, 1922 წლის 26 მაისი საქართველოში, „უშიშროების არქივი საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I ტომი, თბილისი, 2015
3. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 19 თებერვალი
4. ა. სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში, კრ. „დიდგორი“, თბილისი, 1991
5. პ. სურგულაძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში, გაზ. „თბილისი“, 1990, 28 აგვისტო
6. ა. დაუშვილი, თბილისი 1937, თბილისი, 1997
7. ჟურნ. საქართველოს კომუნისტი“, 1989, №3
8. ა. დაუშვილი, საქართველოს II რესპუბლიკა, თბილისი, 2021
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (შემდეგში სშსსა), ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 40
10. გაზ. „კომუნისტი“, 1923, 23 მაისი
11. ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1989
12. Д. Митюрин, Красный бонапарт, журн. „Загадки истории“, 2024, №12
13. დ. ჯაფარიძე, საბჭოთა ეკონომიკა, თბილისი, 2018

14. Л. Троцкий, Моя жизнь, том 2, М., 1990
15. ია თუთაშვილი, საკონცესიო პოლიტია 1921-1928 წლებში, „ანალები“, 2003, №19
16. რონალდ გრიგორ სუნი, ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბილისი, 2022
17. გ. სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბილისი, 2010
18. ლ. ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბილისი, 1927
19. რ. გაჩეჩილაძე, საქართველო რეგიონულ კონტექსტში, თბილისი, 2023
20. ქართული დიპლომატიის ისტორია, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2022
21. ო. ჯანელიძე, 1924 წლის გაკვეთილები, კრ. „1924 წლის ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, თბილისი, 2016
22. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 7, 40
23. საქართველოს სამხედრო ისტორია, II ტომი, თბილისი, 2013
24. ა. სურგულაძე, 1924 წლის აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 12 ივლისი
25. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 45
26. კ . გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბილისი, 1991

27. გ. კლდიაშვილი, საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება გარე-კახეთში და სასულიერო პირები, „უშიშროების არქივი საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I ტომი, თბილისი, 2015
28. ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 6
29. უ. ბლუაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი, თბილისი, 2016
30. ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება იმერეთში, „უშიშროების არქივი საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I ტომი, თბილისი, 2015
31. რ. გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მეორე განახლებული გამოცემა, თბილისი, 2017
32. ა. ციბაძე, ალბათ აქ არის „საგოდებელი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 14 ივლისი
33. ა. სურგულაძე, 1924 წლის აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 5 ივლისი
34. გ. ციციშვილი, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო („ჩეკა“) ქართული ანტისაბჭოთა ბრძოლისა და 1924 წლის აჯანყების მესვეურთა წინააღმდეგ, კრ. „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, თბილისი, 2016

THE AUGUST 1924 UPRISINGS AND BOLSHEVIK REPRESSIONS IN GEORGIA

Summary

Black February of 1921 brought occupation and de facto annexation to Georgia. Everything that took three years in Russia, the Bolsheviks “accomplished” in a few weeks in Georgia. In March 1922, Georgia was named Soviet Socialist Republic of Georgia.

The 1921-1922 revolts in Svaneti and Khevsureti were mercilessly suppressed by the regime. In 1923, as a result of treason, the members of the “Military Cente”" were arrested and executed on May 19.

Despite this, the government in exile and remaining patriotic forces in Georgia decided to organize a rebellion in 1924, but they selected wrong time. Hopes that Western countries would help the Georgians in their struggle against Russia also turned out to be vain. Involving the peoples of the Caucasus in the uprising also proved unrealistic. The defeat of the uprising resulted in heavy casualties. According to N. Zhordania, the Bolsheviks massacred 5 thousand people. The officials spoke of only 980. According to Orjonikidze, 150 Bolsheviks were killed.

The Soviet government mercilessly punished the “class enemy”, mainly the former nobility, a few of whom took part in the uprising; the rebels were mostly

peasants. People were arrested for their aristocratic background and non-communist party affiliation and then executed in groups, certainly, without any judgment. About 20 thousand people were exiled from Georgia.

Main reason for the uprisings was establishment of Soviet power in Georgia by force of arms in February-March 1921. However, the government in exile certainly also played a role in the organization of the uprising. A large part of the population participated in the uprising, which is why the anti-Soviet struggle acquired public character.

ქართული ენის სტატუსი და ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 70-იან წლებში

მსოფლიოში 5 500-მდე ენაა. ჭირს ზუსტი რაოდენობის დასახელება, რადგან ბევრი ენა არაა სათანადოდ შესწავლილი და ძნელი სათქმელია, დამოუკიდებელი ენაა ის თუ დიალექტი. ზოგჯერ ენათა დაყოფას პოლიტიკური ან რელიგიური საფუძველი აქვს და არა ლინგვისტური. მაგალითად, ძალიან ჰგავს ერთმანეთს ჩეხური და სლოვაკური, რუსული და ბელორუსული, სერბიული და ხორვატული, მაგრამ მათ მიიჩნევენ არა დიალექტებად, არამედ ენებად [1, 13]. ე რ ნ ს ტ გ ე ლ ნ ე რ ი შენიშნავს, რომ დედამიწაზე არსებობს 8000-ზე მეტი „ბუნებრივი“ ენა, მათ შოროს 700 მთავარი, ერი კი 200-ზე ნაკლები. ზოგიერთი შედარებით ძველი ეროვნული სახელმწიფო, რომელშიც ორი ან მეტი ენობრივი ჯგუფი ერთიანდება, ვთქვათ, ესპანეთი თავისი ბასკური უმცირესობით, დღეს ზეწოლას განიცდის, რათა ყოველი ცალკეული ჯგუფის მეობა აღიაროს [2, 278].

საერთოდ, ხალხი მშობლიურ ენას რომ ჰკარგავს, ამით ის ჰკარგავს სიცოცხლეს, თავის ადგილს ისტორიაში. მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, ქართველი ერი იცავდა დედა ენას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამ-

დე. რამდენი მაგალითი ახსოვს გაყვითლებულ ფოლიანტებს, როცა კაცი საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს, ოღონდ გადაერჩინა წიგნები და ხელნაწერები, ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლები.

ჯერ კიდევ გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა, რომ ეროვნული ფენომენის სრულყოფა ენაში ხდება. ეროვნება, როგორც კერძო, ინდივიდუალური სახე სწორედ ენაში პოულობს თავისთვის საჭირო სულიერ ენერგიას. მისი თქმით, ერთი მხრივ, ერის თითოეული წევრი ჰქმნის ენას, ხოლო მეორე მხრივ, ენაში ცხადდება ერის არსი [3, 133].

პირველი რესპუბლიკის პერიოდში, კერძოდ, 1918 წლის 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი დედაენის შესახებ, რის საფუძველზეც ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. თანამდებობაზე მყოფ ყველა პირს ექვსი თვის ვადა მიეცა ქართული ენის შესასწავლად. ვინც არ ისწავლიდა, სამსახურიდან განთავისუფლდებოდა [4, 222]. მაგრამ, სამწუხაროდ ამ კანონს აღნიშნულ ეტაპზე სრული განხორციელება არ ეღირსა, რადგან სულ მალე პარლამენტმა გამოსცა „წესი ენის ხმარებისა“, რომლის მიხედვით დეპუტატებს, ვინც ქართული ენა არ იცოდა, შეეძლოთ გამოეყენებინათ რუსული ენაც. რუსული ეროვნული უმცირესობის ენად იქცა და სომეხი დეპუტატები ქართულად არც

არასოდეს გამოდიოდნენ. ეს შეცდომა კონსტიტუციამ გაასწორა, როდესაც ერთმნიშვნელოვნად დაკანონდა სახელმწიფო ორგანოებში ქართული ენის გამოყენების აუცილებლობა [4, 245].

საბჭოთა რეჟმის პერიოდში საქართველოზე ზეწოლა ქართული ენით დაიწყო. განსაკუთღებით 50-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად იგრძნობოდა ქართული ენის შევიწროების ფაქტები. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქართული ენის იგნორირებას, სხვადასხვა ორგანიზაციებში ამახინჯებდნენ ქართულ ენას. დედაქალაქის ქუჩებში კინოთეატრების როგორც რეკლამები, ისე წარწერები, მხოლოდ რუსულ ენაზე სრულდებოდა [5, 163].

კომპოზიტორთა ყრილობაზე, მხატვართა შეკრებაზე ქართულად ხმას არავინ იღებდა და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართული ენა გადაიქცა ოჯახური ურთიერთობის გამომხატველ ენად [5, 178].

60-იან წლებში საკავშირო მთავრობამ მოითხოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას წიგნები დაებეჭდა ქართულის ნაცვლად რუსულ ენაზე. ასევე შეუმცირა დაფინანსება ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეროვნული განსხვა-

ვებულობის წასაშლელად შემოიტანეს ახალი ცნება – „საბჭოთა ხალხი“]6, 43].

ქართველი ერი არ შერიგებია იმპერიულ პოლიტიკას და მის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორუმებზე, ყრილობებზე გამოდიოდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ქართული სამეცნიერო ინტელიგენცია. აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა მტკიცე პროტესტი გამოხატა და თავის გამოსვლებსა და წერილებში ამხილა ანტიეროვნული პოლიტიკა. ამისათვის ნიკო კეცხოველს აკადემიის პრეზიდიუმი დაატოვებინეს. ცნობილმა ქართველმა მათემატიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ, როცა გაიგო, რომ აკადემიის ქართველოლოგიურ დარგებს მკვეთრად შეუმცირდა დაფინანსება, მოითხოვა მათემატიკოსებს, საერთოდ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტებს, მათზე გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცათ ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტებისათვის. ვინაიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კვლევა-ძიებითი მუშაობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოებდა, ხოლო ქართველოლოგიურ დარგებში ძირითადად მხოლოდ საქართველოში.

მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, რომელიც 60-იან წლებში გაიმართა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა გაილაშქრა ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წაინააღმდეგ და საჯაროდ დაგმო

მცდელობა, ეროვნული მწერლები გადასულიყვნენ რუსულ ენაზე. მან მოითხოვა რუს გამოჩენილ მწერლებს ეჩვენებინათ მაგალითი ფრანგულ და ინგლისურ ენებზე თავიანთი ლექსებისა და მხატვრული ნაწარმოებების წერისა.

პუბლიცისტი და მეცნიერი ოთარ ეგაძე გამოვიდა რუსული შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის გამო იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორობიდან გაათავისუფლეს [6, 43-44).

საკავშირო მასშტაბით გამოიკვეთა ის რეალობა, რომ 70-იან წლებში ეროვნულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მხოლოდ თბილისსა და ერევნის უნივერსიტეტებში იყო შესაძლებელი. სხვა რესპუბლიკებში ეროვნული ისტორიის კათედრებიც კი იშვიათობას წარმოადგენდა. სხვადასხვა შეკრების დროს კიევის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები არც იჯერებდნენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები ქართულად იკითხებოდა [7, 58]. საქმე იმაში იყო, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გააჩნდა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ენას. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იმისთვის, რომ საქართველო არ ყოფილიყო ერთადერთი გამონაკლისი, ასეთივე სტატუსი მიენიჭათ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების

ეროვნულ ენებსაც. ყველა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის – რუსეთის ფედერაციაშიც, სახელმწიფო ენის სტატუსი არ არსებობდა. ქართული ენის განსხვავებული სტატუსი, ხელს არ უშლიდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, ისევე მოპყრობოდა მას, როგორც ლიეტუვურ, ესტონურ და ა. შ. ენებს. ეს სტატუსი არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა ქართულ ენას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ ენებთან შედარებით. თუმცა კანონით მინიჭებულ უფლებას ჩვენი მოსახლეობა განსხვავებული რაკურსით ხედავდა.

რაც შეხება ამა თუ იმ ენის სახელმწიფო სტატუსის საკითხისადმი კომუნისტების დამოკიდებულებას, შემდეგში მდგომარეობდა: ჯერ კიდევ 1903 წელს, ლენინის მიერ დაწრილ და რსდმპ II ყრილობაზე მიღებულ პარტიის პირველ პროგრამაში ეროვნულ საკითხზე ორი განმსაზღვრელი პუნქტი იყო დაფიქსირებული: 1. ყველა ენის თანასწორუფლებიანობა და 2. ერთა თვითგამორკვევის უფლება. 1918 წელს მიღებულ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“, შემდეგ კი რსფსრ კონსტიტუციაშიც ეს მუხლები უცვლელი სახით შევიდა. ლენინი თვლიდა, რომ რომელიმე ერის ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების მოთხოვნა არის „ბურჟუაზიული“ მოთხოვნა და იგი ლახავს სხვა ერებისა და ენების უფლებებს. მისი აზრით, რუსეთის

ფედერაციაში მცხოვრებ ხალხებს შორის რუსული ენის საურთიერთო ენად აღიარება მოხდებოდა ბუნებრივად, ნებაყოფლობით და ამისთვის საჭირო არ იყო მისი განსაკუთრებული სტატუსი.

რსფსრ-ს შემდეგ წარმოქმნილი ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციას საფუძვლად ლენინური რუსული კონსტიტუცია დაედო. „საბჭოთა საქართველოს“ კონსტიტუციაზე მუშაობა 1922 წლის დასაწყისიდან მიმდინარეობდა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობას მემარცხენე ფედერალისტებიც ღებულობდნენ. სწორედ მათი წარმომადგენელი – ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე გამოვიდა წინადადებით – კონსტიტუციაში შეეტანათ მუხლი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესახებ. ეს სტატუსი ქართულ ენას გააჩნდა დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. თუ ჩვენ უარს ვიტყვით ამ სტატუსზე, ამით სერიოზულ არგუმენტს მივცემთ ემიგრაციაში მყოფ მენშევიკურ ოპოზიციას ამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლების არაეროვნულობა, – განაცხადა მან კომისიის სხდომაზე. ხუნდაძის ეს არგუმენტი ქართველ ბოლშევიკებსაც ჭკუაში დაუჯდათ. ბუნებრივია, მათ ამ საკითხის გადასაწყვეტად კრემლს, ლენინს და სტალინს მიმართეს. ლენინის აზრით, კონიუნქტურის გათვალისწინებით, საბჭოთა ხელისუფლება უნდა წასულიყო ის-

ეთ კომპრომისებზე, რომლებიც მოცემულ მომენ-ტში ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა წყობილების გან-მტკიცებას. კონსტიტუციიდან მცდარი მუხლების ამოღება კი მერეც შეიძლებოდა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ფეხზე მყარად დადგებოდა. ანალ-ოგიური მიზეზებით დარჩა ქართული ენის სახელ-მწიფო სტატუსი 1927 წლის კონსტიტუციაშიც.

1937 წელს ეგრეთ წოდებული გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის-ას, იურისტებმა ქართული კონსტიტუციიდან სა-ხელმწიფო ენის ამოღება მოითხოვეს, თუმცა სტა-ლინმა ეს ნაბიჯი მაშინ ნაჩქარევად მიიჩნია [8, 36-37].

დავუბრუნდეთ კვლავ 70-იანი წლების დასაწ-ყისს, როდესაც მსოფლიოში განხორციელდა კარ-დინალური ძვრები, რომლებმაც მოითხოვეს რადი-კალურად შეცვლილიყო საშინაო თუ საგარეო პო-ლიტიკა სოციალისტურ ქვეყნებშიც. გარდატეხა მოხდა ევროპის მრავალ სოციალისტურ თუ მუშათა პარტიის ცხოვრებაშიც – წარმოიშვა „ევროკუმუნიზ-მი“, რომელიც სოციალიზმის ახალ პრინციპებს და ბრძოლის ახალ ფორმებს სთავაზობდა საზოგადო-ებას. საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის გავლენი-ანი კომუნისტური პარტიების ლიდერები უკვე აშკა-რად აკრიტიკებდნენ საბჭოთა პარტიული ხელ-მძღვანელების ზოგიერთ გადაწყვეტილებას. კვლავ

გრძელდებოდა დაძაბულობა ჩინეთისა და ალბანეთის კომუნისტურ პარტიებთან, რომლებიც კრემლის ლიდერებს „რევიზიონიზმში“ ადანაშაულებდნენ [9, 242-243].

1973 წელს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ დაიწყეს არალეგალური ჟურნალის „ოქროს საწმისის“ გამოცემა: მასში გამოქვეყნებული სტატიები სუკ-ის დანაშაულებს ამხელდა და მკითხველს 1920-იანი წლების ინტელიგენციის მწარე ხვედრის შესახებ მოუთხრობდა. ჟურნალის ფურცლებზე ზვიადი და მერაბი, მხოლოდ საკუთარ მასალებს კი არ ბეჭდავდნენ, სოლჟენიცინის არქიპელაგ გულაგს აქვეყნებდნენ. ეკოლოგიის სავალალო მდგომარეობასა და ქართული კულტურის ძეგლების ხელყოფას ამხელდნენ (მაგალითად, აღწერდნენ, წითელი არმია საარტილერიო სწავლებებით დავითგარეჯისა და გელათის მონასტრებს როგორ ანადგურებდა). დისიდენტებმა შეძლეს შავი ზღვის სანაპიროზე ატომური ელექტროსადგურისა და ჯვრის უღელტეხილის ქვეშ რკინიგზის მშენებლობის შეჩერება, თუმცა ე წ. „სამხრეთ-ოსეთის“ „ჩრდილოეთ ოსეთთან“ დამაკავშირებელი როკის გვირაბის გაყვანა ვერ აღკვეთეს [10, 553-554].

ახლა ნამდვილად ვიცით, რომ პატრიოტი თავისი ერის მოყვარული ადამიანია. XX საუკუნის 70-იან წლებში კი „გახურებული“ კომუნისტური იდე-

ოლოგიის პირობებში, ნაციონალიზმი ერის სიძულვილს ნიშნავდა და კანონითაც ისჯებოდა.

სიკვდილმისჯილისათვისაც ცდილობდნენ, ნაციონალიზმი აეკიდებინათ და სათანადო მუხლიც მზად ჰქონდათ. ასეთი ვითარება იმითაც იყო განპირობებული, რომ იმ დროში ხმამაღლა განცხადება აზრისა – საქართველო რუსეთის მიერ არის დაპყრობილი – ანტისაბჭოთა გახლდათ და ჩვეულებისამებრ ცხადდებოდა, როგორც რუსი ერისადმი სიძულვილის გამომჟღავნება. ბოლშევიკები ხომ ტრადიციულად ასე მსჯელობდნენ – 1921 წელს წითელმა არმიამ მენშევიკთა დიქატატურისაგან გაანთავისუფლა საქართველოო. ამიტომ საქართველოს განთავისუფლების იდეით გატაცებულ ადამიანს, უბრალოდ, ხალხის სიძულვილი ამოძრავებდა, თორემ განმათავისუფლებელთა განდევნაზე რატომ უნდა ეფიქრა. ასეთი იყო იმ დროისათვის შეუვალი „რკინისებური კომუნისტური თეორია“ საქართველოს მდგომარეობის შესახებ და მას, ვისი აზრიც ამ თეორიაში ვერ თავსდებოდა, ნაციონალისტი, ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტი, მტერი ან ყველაფერი ერქვა [11, 18-19].

ერთის მხრივ, დემოკრატიის სუსტი ნიავის, მეორეს მხრივ კი ცენტრის მიერ იმპერიაში წაქეზებული აშკარა ანტიქართული, შოვინისტური განწყობილების ფონზე, ქართული ეროვნული სულისკვეთე-

ბა კიდევ უფრო მძაფრდებოდა. ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრმა, მისი მიღწევის გზების ძიებამ ერის უკეთესი ნაწილის გონება მოიცვა. მოაზროვნე ქართველთა ცნობიერებაში ეროვნულმა პრობლემამ ყველა სხვა გადაფარა. ამიტომ ქართველ შემოქმედთა მოღვაწეობაში სოციალური, პიროვნული თუ სხვა სახის ღირებულებები დაიჩრდილა და ეროვნული მოტივი გაბატონდა. საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყებოდა [12, 17].

პარალელურად, როგორც წინა ათწლეულებში, თეორიულად დეკლარირებული იყო, რომ „განვითარებული სოციალიზმისათვის“ დამახასიათებელია ერების დიალექტიკური აყვავება და დაახლოება. რეალურად კი პოლიტიკურ პრაქტიკაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა დაახლოების ტენდენციაზე ან უბრალოდ ასიმილაციაზე [13, 15].

მრავალი ხელმძღვანელი მუშაკი ადგილებზე შიშის გამო მშობლიურ ენაზე სიტყვით ვერ გამოდიოდა მოხსენებით, რათა ნაციონალიზმში არ დაედანაშაულებინათ. მრავალ მათგანს სწორედ ასეთი ბრალდებით აშინებდნენ, უთვალთვალებდნენ... [14, 16].

1974 წელს, თბილისში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საინიციატივო ჯგუფი (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვ.). მაგრამ

მთავარი მოვლენა, რამაც იმპულსი მისცა ანტისაბ-ჭოთა დაჯგუფებების ორგანიზებას, შემდეგში მდგომარეობდა: აღნიშნულ პერიოდში დასავლეთის დიპლომატიურ წარმატებად ითვლება ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის მოწვევა 1975 წელს ფინეთის დედაქალაქში – ჰელსინკში. თათბირში მონაწილეობა მიიღო ოცდათხუთმეტმა სახელმწიფომ. თათბირის შედეგს წარმოადგენდა ჰელსინკის დასკვნითი აქტი. ამ აქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ე. წ. „სამი კალათი“. პირველი და მეორე „კალათები“ ეხებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, მესამე „კალათი“ ავალდებულებდა ყველა მასზე ხელისმომწერ ქვეყანას განეხორციელებინა ცხოვრებაში და უზრუნველეყო განსაზღვრული, კონკრეტულად ჩამოთვლილი ადამიანის ძირითადი უფლებები, რომელიც შეაკავებდა საბჭოთა რეპრესიებს დისიდენტებისა და გარდაქმნების მომხრეების მიმართ. როგორც აღმოჩნდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა აღმოსავლეთ ევროპაში მართლაც გამოიყენეს „მესამე კალათი“, როგორც შემაკავშირებელი საძირკველი თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში საბჭოთა უღლისაგან. ვაცლავ ჰაველმა ჩეხოსლოვაკიაში, ლეჰ ვალენსამ პოლონეთში, ზვიად გამსახურდიამ საქართველოში უზრუნველყვეს თავისი ადგილი თავი-

სუფლების მებრძოლთა პანთეონში. მათ „მესამე კალათის“ დებულებები გამოიყენეს არა მრტო საბ-ჭოთა წყობილების, არამედ საერთოდ კომუნისტუ-რი რეჟიმებისათვის ძირის გამოთხრის საქმეში [15, 416].

ჯერ კიდევ 1972 წელს აშშ პრეზიდენტმა რი-ჩარდ ნიქსონმა საბჭოთა კავშირში ყოფნის შემდეგ განაცხადა: „მე ვნახე ქვეყანა, რომელსაც ადამიანე-ბი მართავენ და არა კანონები. ასეთ ქვეყანას დიდი ხნის არსებობა არ უწერია“. ძალიან მალე ახდა წი-ნასწარმეტყველება [16, 47].

რადგან საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ევ-როპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შე-სახებ ჰელსინკის დასკვნით აქტს, „მეორე მსოფ-ლიო ომის პოლიტიკური და ტერიტორიული შედე-გების განმტკიცების“ სანაცვლოდ იძულებული გახ-და, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ვალ-დებულებები აეღო. კონკრეტულად, ჰელსინკის აქ-ტის მეშვიდე თავი ადამიანის უფლებებს და ძირი-თად თავისუფლებებს, მათ შორის აზრის, სინდისი-სა და სხვა თავისუფლებების აღიარებას და პატი-ვისცემას ეძღვნებოდა. მიუხედავად ამისა, ზოგ ქვე-ყანაში, უპირველეს ყოვლისა კი საბჭოთა კავშირში, ადამიანის უფლებები აქტის ხელმოწერის შემდე-გაც ირღვეოდა. თუმცა, ამიერიდან მთელ სოციალ-ისტურ სამყაროში დისიდენტებს კომუნისტური

პარტიის სადამსჯელო ზომებისაგან სამართლებრივად დაცვა უკეთესად შეეძლოთ.

აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავისი წვლილი შეიტანა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. 1975 წლისთვის ზვიად გამსახურდიამ გარკვეული პოლიტიკური წონა შეიძინა. მან „საკუთარი“ „ჰელსინკის ჯგუფი“ ჩამოაყალიბა და საერთაშორისო ამნისტიის მოსკოვის ოფისს დაუკავშირდა. ზვიადმა დაითანხმა ამერიკელი კონგრესმენი ვ ა გ ო ნ ე რ ი (ლუიზიანას შტატიდან), კონგრესისთვის წაეკითხა საქართველოს პატრიარქის – ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციისადმი და შემდეგ კონგრესმენები დაერწმუნებინა, რომ აშშ ვალდებული იყო, დამოუკიდებელი საქართველო დე იურე ისევე ეღიარებინა, როგორც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები აღიარა [10, 553].

„ჰელსინკის ჯგუფმა“ გამოსცა ახალი, არალეგალური პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. მართალია ეს გამოცემები ვრცელდებოდა ერთგული ადამიანების ძალიან ვიწრო წრეში, მაგრამ დიდ გამოძახილს პოულობდა სტუდენტ-ახალგაზრდებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული დისიდენტური მოძრაობა აშკარად განსხვავდებოდა საბჭოთა

დისიდენტური მოძრაობისაგან. ქართველი დისიდენტები აქცენტს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვაზე, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციაზეც აკეთებდნენ. მთელ საბჭოთა კავშირში დისიდენტები ამაყობდნენ იმით, რომ ისინი კანონის დამცველები იყვნენ, კანონისა, რომელსაც სახელმწიფო არღვევდა. ქართველი დისიდენტები კი ქართველი პატრიოტები იყვნენ, რომელთაც დამოუკიდებლობის იდეა უტრიალებდათ თავში, რაც, კაცმა რომ თქვას, გამორიცხავდა „სუფთა“ კლასიკურ დისიდენტობას [17, 227-228]. ასე, რომ ქართველი დისიდენტები უფრო მეტად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე აკეთებდნენ სწორებას, ვიდრე ეს დამახასიათებელი იყო „სხვაგვარად მოაზროვნეთათვის“.

აღნიშნულ პერიოდში დისიდენტებს შეძლებისდაგვარად ტოლს არ უდებდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავის შემოქმედებაში მკვეთრად ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, აქტიურად იღვწვოდნენ ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებისათვის. რამდენადაც მათი საქმიანობა ძირითადად ლეგალური იყო – ისინი იბეჭდებოდნენ, დგამდნენ სპექტაკლებს, იღებდნენ მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებს, მათი

მოღვაწეობის მასშტაბები და შედეგებიც უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა [9, 245].

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შეამზადა მსოფლმხედველობითი საფუძვლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის. ამ პერიოდში მისი რეალური ჰეგემონი და საჭეთმპყრობელი, აშკარად, საქართველოს ინტელიგენცია ჩანს, რომელიც საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის რადიკალური ფორმების გამორიცხვით, ცდილობდა საზოგადოების ევოლუცია მოეხდინა სულიერი განწმენდის გზით. ამ საქმეში ისინი სრულ თანხვედრაში იყვნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის საგანმანათლებლო სულიერ მოღვაწეობასთან – ორივე ეს ძალა ერთი მიზნისკენ ამზადებდა ქართულ საზოგადოებას [9, 246-247].

კრემლი კვლავ ვერ ეგუებოდა ქართული ენის სტატუსს. მორიგმა შეტევამ ქართულ ენაზე, 70-იანი წლების მეორე ნახევარში ახალი ძალით იფეთქა, რასაც პირველ რიგში ქართველი ინტელიგენცია გამოეხმაურა. კერძოდ, 1976 წლის აპრილში ქართველ მწერალთა VIII ყრილობაზე, რევაზ ჯაფარიძე გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლების მინისტრის წინადადებას, რომ ისტორია, გეოგრაფია და სხვა საგნები რუსულად ესწავლებინათ. ის აღშფოთებული იყო მოსკოვის ბრძა-

ნებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა სახელმძღვანელო რუსულ ენაზე გამოქვეყნებულიყო; დისერტაციებიც რუსულად უნდა დაწერილიყო და დაბეჭდილიყო. ჯაფარიძის გამოსვლას ლამის თხუთმეტწუთიანი აპლოდისმენტები მოჰყვა და დამსწრეები უმაღლესი განათლების მინისტრს, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს მისთვის პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევდნენ. როდესაც შევარდნაძე რუსიფიკაციის შიშის გაქარწყლებას შეეცადა, გამოსვლა შეძახილებით შეაწყვეტინეს [18, 481].

ბუნებრივია ქართველი ინტელექტუალები უკმაყოფილო იყვნენ 1975 წელს სსრკ განათლების სამინისტროს მიერ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების რუსულ ენაზე წარდგენის მოთხოვნით. შევარდნაძეს და ბრეჟნევს 365 გამოჩენილი ინტელექტუალისა და მწერლის შუამდგომლობა გაეგზავნა. ქართველობა ორენოვნების იძულებით შემოღებას ეწინააღმდეგებოდა, რაც საბოლოოდ ქართული ენის როლისა და მნიშვნელობის თანდათანობით შემცირებას გამოიწვევდა. ასეთი მოთხოვნა მათი აზრით, ქართული სამეცნიერო აზროვნებისა და ქართული ენის განვითარებას შეაფერხებდა და არღვევდა სსრკ-ს ყველა ხალხის თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. შევარდნაძე მაინც არაერთხელ და ხაზგასმით აღნიშნავდა რუსული ენის

სწავლისა და საქართველოში მისი სწავლების დახვეწის მნიშვნელობას და აცხადებდა, რომ ამას ქართველი ხალხის თვალსაწიერის გაფართოება ჰქონდა მიზნად. „საქართველოსთვის მზე ამოდის არა აღმოსავლეთში, არამედ ჩრდილოეთში, რუსეთში... ლენინური იდეების მზე“ – ასე განუცხადა მან მოსკოვში XXVI ყრილობის დელეგატებს [18, 482-483].

1977 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებამ საქართველოს მწერალთა კავშირს ზვიადის გარიცხვა უბრძანა ... უნივერსიტეტიდან გააგდეს და დააპატიმრეს. სუკ-მა 56 ტომიანი დოსიე შეადგინა და ზვიადსა და მერაბს ბრალად სამშობლოს ღალატი წაუყენა. აგვისტოში ზვიადი სერბსკის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში დააწვინეს, საიდანაც ჰონოლულუს მსოფლიოს ფსიქიატრთა ყრილობამ და ფრანგ ფსიქიატრთა კავშირმა დაიხსნეს [10, 554].

მოსკოვი მაინც არ ისვენებდა! 1977 წელს მიღებული იქნა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. 1978 წელს დღის წესრიგში დადგა „მოკავშირე“ რესპუბლიკების ძირითადი კანონის მიღება. იურისტებმა კვლავ დააყენეს საქართველოს კონსტიტუციიდან სახელმწიფო ენის მუხლის ამოღების საკითხი. ისინი აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საკავშირო კონსტიტუციები უცვლელად იმეორებდნენ ყველა ენის თანასწორობის ლენინურ დებულებას,

რომელ დებულებასთანაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტუტუცია.

საბჭოთა ხელმძღვანელობას ესმოდა, რომ კონსტიტუციიდან ქართული ენის სტატუსის ამოღებას საქართველოში ვითარების დაძაბვა მოჰყვებოდა. ამის მიუხედავად მისი გაუქმება მაინც გადაწყვიტა. ქართველი ხალხის მოსალოდნელი აღშფოთების გასანეიტრალებლად კი სახელმწიფო ენის ნაცვლად კონსტიტუციის პროექტში ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ყველანაირად შეუწყობდა ხელს ქართული ენის განვითარებასა და აყვავებას.

ამან საქმეს ვერ უშველა. როდესაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ეს ღონისძიება მომწიფებულად და კანონზომიერ მოვლენად მიიჩნია და რესპუბლიკის მთავრობაც ამას დათანხმდა, საქართველოს ინტელიგენციამ, სახელდობრ თბილისის მეცნიერებმა და სტუდენტობამ გაანალიზა, თუ რას ნიშნავდა უწინდელი კონსტიტუციიდან ქართული ენის სტატუსის ამოღება და შენიღბულად „მისი ხმარების უფლების დატოვება“ – ყველაფერი გასაგები გახდა. ამიტომ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთო კრებამ შესაბამისი ხმაური ატეხა. კრებაზე გამომსვლელებმა დაასაბუთეს, რომ კონსტიტუციიდან ქართული სახელმწიფო ენის სტატუსის ამოღება ნიშნავდა ქართველი ხალხისთვის

მეტყველების წართმევას: ე. ი. თავისი განათლების, საქმის წარმოების, საკუთარი სწავლების ქსელის, მეცნიერული კვლავწარმოების ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური თვითშგნების, წარსულისადმი პატივისცემის საუკუნოებრივი ლიტერატურის და ა. შ. აკრძალვას. კრებაზე რვა მეცნიერის ხელმოწერილი 35 გვერდიანი ოქმი შედგა, რომელიც უმალ ცეკამ მოითხოვა მისი მდივნის ვიქტორია სირაძის მეშვეობით. ამის შემდეგ ცეკამ მწერალთა კავშირს საქმის განხილვის ოქმის შედგენა აუკრძალა. საქმის განხილვამ მწვავე დებატები გამოიწვია აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და თბილისის მრავალ სახელმწიფო დაწესებულებაში, საერთოდ მთელ ინტელიგენციაში. ამას მოჰყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფრსორ-მასწავლებელთა ქუჩაში გამოსვლა [19, 36].

1978 წლის 12 აპრილს სტუდენტთა ინიციატივით, დედაქალაქში დემონსტრაცია მოეწყო. ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა მთავრობის სასახლესთან მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა. 14 აპრილს მუშაობა დაიწყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია (რომლის პროექტი-

დან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის მუხლი ამოღებული იყო).

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის მიერ შემზადებული თბილისის ახალგაზრდობა რუსთაველის გამზირზე გამოიშალა და მთავრობის სასახლის წინ გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. აქ შეკრებილი საზოგადოება პოლიტიკურ პროცესებში საკმაოდ გარკვეული და შეგნებული აღმოჩნდა. ისინი ერთმანეთს აფრთხილებდნენ, რომ კონცენტრირებული ყოფილიყვნენ მხოლოდ ენის სტატუსზე [20, 49]. აქციაზე გოგონებს სახელდახელოდ შექმნილი პლაკატები ეჭირათ, რომელზეც პომადით იყო გაკეთებული პატრიოტული ხასიათის წარწერები, „ჩვენი დედა ენა“, „ჩვენი სამშობლო“ და ა. შ. [20, 58].

ქართული ენის დასაცავად გამოსულ სტუდენტებს, ძველი თაობის წარმომადგენლები ახსენებდნენ 1956 წლის მოვლენებს, და აფრთხილებდნენ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ. აქციის მონაწილეებს, რომ დარბევის საფრთხე ემუქრებოდათ, მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. კერძოდ, „ა ქ ც ი ი ს დ რ ო ს რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს გ ა მ ზ ი რ ი ს პ ე რ პ ე ნ დ ი კ უ ლ ა რ უ ლ ვ ი წ რ ო ქ უ ჩ ე ბ შ ი, ი დ გ ა მ ე – 8 პ ო ლ კ ი ს ტ ა ნ კ ე ბ ი დ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს ე ლ ო დ ა (ხაზგსამა ჩემია ა. ს.)“ [20, 59].

მომიტინგეები აცხადებდნენ, რომ სისხლით დაიცავდნენ ქართული ენის სახელმწიფო უფლებებს. მღელვარების ექომ კრემლამდე მიაღწია. როცა მომხსენებლი ე. შევარდნაძე დარწმუნდა, რომ ქუჩაში გამოსული ხალხი არ ხუმრობდა და პროტესტმა საშიში ხასიათი მიიღო – იკადრა და სუსლოვს დაუკავშირდა. როდესაც მისგან სანუგეშო ვერაფერი მიიღო, იძულებული გახდა ბრეჟნევისათვის მიემართა (ამ დროს მშფოთვარე ინტელიგენციამ ალყაში მოაქცია მთავრობის სასახლე და მის პირველ სართულზე კიდევაც შეიჭრა, სადაც სესია მიმდინარეობდა). საკავშირო მთავრობა შედრკა, რადგან განვითარებულმა მოვლენებმა საშიში ხასიათი მიიღო, ბრეჟნევმა ნება დართო საქართველოს ხელისუფლებას ძალაში დაეტოვებინათ უწინდელი კონსტიტუციის ფორმულირება ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის თაობაზე.

დაახლოებით 2 საათი იქნებოდა, როდესაც შევარდნაძემ მოხსენების კითხვისას გამოაცხადა, რომ საკონსტიტუციო მუხლის შინაარსი არ იცვლებოდა და სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული ენა. ის ვინც ტელეეკრანზე ადევნებდა თვალს მიმდინარე პროცესს, დაინახა ამ სიტყვების შემდეგ, როგორ წამოიჭრა ფეხზე დარბაზი. ტაში არ ცხრებოდა. ბედნიერი სახეები აპლოდისმენტებს არ იშურებდნენ ... [20, 90].

მტკნარი სიცრუეა თითქოს შევარდნაძემ რაიმე მოინდომა და გადაწყვიტა. მაშინ არც მე-8 პოლკი იქნებოდა გამზადებული. მას, როგორც კრემლის მარიონეტს, თანამდებობისათვის და კარიერისათვის თავდადებულ პირს, თუნდაც ამ შემთხვევაში არაფერი მოუსურვებია და გადაუწყვეტია. ინტელიგენციის (რა თქმა უნდა სტუდენტობასთან ერთად) მრისხანე პროტესტმა აიძულა ის და მისი მოსკოველი ფავორიტები კონსტიტუციაში ძველი მუხლი აღედგინათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის წინააღმდეგ კრემლის შეტევა იქამდე იყო მისული, რომ საქართველოს განათლების სამინისტროში უკვე მიღებული იყო დირექტივა – რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართულის ადგილზე რუსულად წარმართულიყო ლექციები ყველა ძირითად საგანში [19, 37].

1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ახალგაზრდებმა დაამტკიცეს ეროვნული იდეალებისადმი თავიანთი ერთგულება. ანბანური ჭეშმარიტებაა, საბჭოთა რეჟიმს „არაფერი არ აჩერებდა არც მანამდე და არც ამის შემდეგ...“ „ქართულ საზოგადოებას ახსოვდა მუდმივი მარცხი საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მდგომს – მუდმივი დათრგუნვა, მუდმივი ტერორი, შიშზე დაფუძნებული ურთიერთობა და სისტემა ... და მოულოდნელად... სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნება“ [20, 30). ეს იყო პირველი

პრეცენდენტი, როდესაც ხელისუფლებამ ვერ გაბედა იარაღით დაპირისპირებოდა დემონსტრანტებს. ამ თვალსაზრისით, ქართველი სტუდენტების გამარჯვება იყო საბჭოთა ხელისუფლების კუბოში ჩაჭედებული პირველი ლურსმანი. 14 აპრილმა გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ხალხებსაც. მან ცხადყო, რომ ახლოვდებოდა საბჭოთა იმპერიის აღსასრული [8, 38].

საყურადღებოა, რომ ქართული ენის ოფიციალურ სახელმწიფო ენად გამოცხადების შემდეგ, რუსულენოვანი ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა (მათ შორის სექტანტი მოლოკნების მოზრდილმა წევრებმა), რუსეთის ქალაქებს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად და სამუშაოდ [21, 146-147].

საქართველოს მიბაძვით 14 აპრილს იგივე პუნქტი ამოქმედდა სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში. იგივე განმეორდა აზერბაიჯანშიც [18, 594, სქოლიო 47].

ამდენად, 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს რჩეულმა საზოგადოებამ დაიცვა სახელმწიფო ენის სტატუსი. მალევე, ხელისუფლებამ ეს თარიღი გამოაცხადა „დედაენის დღედ“. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ, რადგან საქართველოში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ცხოვრობს, რო-

მელთაც სხვა დედა ენა გააჩნია, სასურველი იქნებოდა 14 აპრილი თავიდანვე სახელმწიფო ენის დაცვის დღედ გამოცხადებულიყო.

სამართლიანად აღნიშნავდა პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, რომ „14 აპრილი საქართველოს ყველა მოქალაქემ (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) ერთნაირად უნდა იზეიმოს, როგორც თავისი სახელმწიფო ენის დღე“ [22, 152].

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ფერეიდნელმა ახალგაზრდებმა 2003 წლის 14 აპრილს (დიახ, 14 აპრილს ქართული ენის დღეს) ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი) ქართული ენის დაცვისადმი მიძღვნილი პირველი კონგრესი ჩაატარეს. კონგრესის მიზანი იყო ფერეიდნელ ქართველთა მიერ მარტყოფის ენად ქართული ენის შენარჩუნების პრობლემაზე მსჯელობა. ფერეიდნელ ქართველთა ეროვნულ თვითშგნებაზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წერილის ფრაგმენტი, რომელიც ფერეიდნელ ქართველს გაუგზავნია თურქეთში მცხოვრები მისი თანამემამულისათვის 2004 წელს. მოზღვავებულ ნოსტალგიურ გრძნობათა ემოციური სიმძაფრით წარმომსახველი ეს წერილი მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ მისი ავტორი ისტორიული ავბედობის გამო მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი და უცხო გარემოში მცხოვრები ჩვენი თანამე-

მამულეების ეროვნულად შემკავშირებლის როლ-
შიც გამოდის. ამ ადამიანების ზოგადად აღმნიშ-
ვნელ ტერმინად მან ერთი გასაოცარი სიტყვაც იხ-
მარა პირველად – თ ა ნ ა ფ ე ს ვ ი, რითაც ზუსტი
ადეკვატურობით გამოხატა უმთავრესი არსი მათი
ერთობისა და განუყოფლობისა.

„ფერეიდუნ შაჰრი. 2004 წელი (სტილი დაცუ-
ლია). ძვირფასო ძმაო რეჯებ, სალამ ალეიქუმ ვა
რაჰმალაჰ! გაუმარჯოს თურქეთის ყველა ქარ-
თველს!

არ ვიცი, როგორ გითხრა, რასა ვგრძნობდი და
როგორ ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი შენს წე-
რილსა. როგორც ფრინველი ზეცაში ფრინავდეს,
ისე ვიყავ, ტყავში და ქერქში ვდგებოდი სიხარუ-
ლით. თვალზე ცრემლი და გულში დარდი მქონდა.
ნეტავ რატომ ძმები ასე შორს იყვნენ...“

ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების
ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში
მნიშვნელოვან როლს ასრულებს იქ დაფუძნებული
საზოგადოება – „ირანელი ქართველები“. მათ მიერ
გამოქვეყნებელ ნაბეჭდ პროდუქციას აწერია: „არსე-
ბითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენ-
აა!!!“ გვხვდება ასეთი პრეამბულაც: „ქართულ ენის
დამკარგავსა დამმარხველი არა ჰყავდეს“ [23, 87-88].

ტერმინი – ერის განმარტების მრავალი ვერსია
არსებობს. უმრავლესობა წინა პლანზე ენის ერთო-

ბას მიიჩნევს. არიან ერები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ასევე, სხვადასხვა ერი ერთ ენაზე ლაპარაკობს. ქართველის იდენტიფიკაცია, ერის კოდი სწორედ ენის მეშვეობით განისაზღვრება. ამიტომ ჩვენს მთავარ საუნჯეს დიდი გაფრთხილება სჭირდება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რ. ზექალაშვილი, ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, თბილისი, 2003
2. ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბილისი, 1999
3. ი. რობაქიძე, ქართველთა „მსოფლსახე“ გრ. რობაქიძის შემოქმედების მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია, 2023, №2
4. დ. ჭუმბურიძე. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში 1918-1921 წლები, თბილისი, 2003
5. შ. ნოზაძე, 1956 წ. ტრაგედია 9 მარტი, თბილისი, 1992
6. ე. ქვათაძე, ეროვნული მიძრაობის თავისებურებანი XX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2003, № 3

7. ნ. ჯაფარიძე, ნამდვილი ამბები მარიკა ლორთქიფანიძისგან, ჟრნ. „ისტორიანი“, 2011, №5
8. უ. ბლუაშვილი, საქართველო გამოწვევების წინაშე, თბილისი, 2010
9. ა. დაუშვილი, საქართველოს II რესპუბლიკა, თბილისი, 2021
10. დონალდ რეიფილდი, საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე, თბილისი, 2019
11. ე. თავბერიძე, რატომ დახვრიტეს ვლადიმერ ჟვანია, თბილისი, 1991
12. მ. სამსონაძე, საქართველო 1921-1991 წლებში, თბილისი, 2001
13. Ю. И. Римаренко, По следам „Снежного человека“, М., 1989
14. Ч. Айтматов, Цена прозрения, сб. „Говория откровенно“, М., 1989
15. ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შერთებული შტატების 100 წლის ისტორია XX საუკუნე, თბილისი, 2002
16. ა. სონღულაშვილი, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2004
17. ლ. ბერძენიშვილი, 1921-1990 ერთი კაცის და ქვეყნის ამბავი, თბილისი, 2022
18. რონალდ გრიგორ სუნი, ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბილისი, 2022
19. გ. გასვიანი, თ. გასვიანი, აფხაზეთის ომი, თბილისი, 2005

20. უნივერსიტეტში დაწყებული პროტესტების ზეპირი ისტორიები (1978 და 1989 წლები), მ. მაცაბერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2018
21. ლ. ხუციშვილი, მოლოკნები (სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), „კლიო“, 2000, №7
22. ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბილისი, 2019
23. ა. ნიკოლეიშვილი, ფერეიდენლ ქართველთა ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, 2011, №1

THE STATUS OF GEORGIAN LANGUAGE AND THE NATIONAL MOVEMENT IN THE 1970S

Summary

1. There are about 5,500 languages in the world, including 700 major ones. There are less than 200 nations. Nationality finds spiritual energy in language. The essence of a nation is also manifested in language.
2. On 1 October, 1918, the National Council adopted a law declaring Georgian language the state language, which was later reflected in the Constitution of the Democratic Republic.
3. During the Soviet regime, pressure on Georgia started

with Georgian language. The books were demanded to be published only in Russian. Despite this, it happened so that in the 1970s in the Soviet Union it was possible to receive education in national languages only at the universities of Tbilisi and Yerevan.

4. For certain reasons, Georgian language received the status of the state language in the Soviet constitutions of Georgia, which was later opposed by Moscow.
5. In the mid 1970s, cardinal changes took place in the world politics, which were associated with convening the OSCE Meeting in Helsinki in 1975. According to the adopted act, control over the protection of human rights was strengthened, which contributed to dissident movement, including in Georgia.
6. The Georgian intelligentsia played an important role in the national movement, which, excluding radical forms, tried to evolve the society through spiritual purification.
7. In 1978, the protests of Georgian youth and intelligentsia flared up with renewed vigor, which was associated with the abolition of Georgian language status as the state language in the Constitution of Georgia.
8. The protests yielded results. The Kremlin backed down. The status of Georgian language was restored in the constitution. This victory meant that the end of the Soviet empire was near.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინაპირობები და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

ისტორიამ კატეგორიულად უარყო ისეთი ხელოვნური ერების შექმნის შესაძლებლობა, როგორიც იყო „საბჭოთა ხალხი“. ასეთი ქმედებები მხოლოდ დაპყრობილი ქვეყნების დენაციონალიზაციისა და განადგურების პრიმიტიულ ტენდენციას წარმოადგენდა.

XX საუკუნის 80-იანი წლები კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც ტოტალიტარიზმის მსხვრევისა და ანტისაბჭოური გარდაქმნების ეპოქა. ტოტალიტარიზმმა შეწყვიტა არსებობა, თუმცაღა დაგვიტოვა ყალბი დოქტრინებისა და იდეოლოგიის ნანგრევები, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

საბჭოთა კავშირის დაშლას პირველ რიგში ხელი შეუწყო ეკონომიკის არასწორმა მართვამ და მისგან გამოწვეულმა კრიზისმა. ხრუშჩოვისა და მისი მემკვიდრეების ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად 80-იანი წლების დასაწყისში მივიღეთ სასურსათო პროგრამა. ფაქტიურად „საბჭოთა ეკონომიკა“ სულს ღაფავდა. მაღაზიის თაროებიდან უნგრული ბატი და კუბის კარტოფილი შემოგვცქეროდა. თვის ბოლოს დასავლეთ გერმანული ქათამი და კარაქი იყიდებოდა. ზამთარში პოლონეთის სტაფილოს შეექცეოდა რუსეთი... [1, 394]. აი, ასეთ სისტემაში

მოხვდა საქართველო და ათეული წლების განმავლობაში მისი შემადგენელი ნაწილი იყო...

შეიძლება ითქვას, რომ არსად, მთელს მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ ჰქონდა საბჭოთა კავშირის მსგავსი ბიუჯეტი. აქ ყოველი რესპუბლიკა, მხარე, ოლქი მთხოვნელის როლში გამოდიოდა, ხოლო კმაყოფაზე ყოფნა – ინიციატივის დაღუპვას იწვევდა. უკეთ მუშაობას აზრი ეკარგებოდა, სამაგიეროდ აქტიურდებოდა წერილების შედგენა დახმარებისათვის. მთავარია გცოდნოდა როგორ გამოგეთხოვა, სულ ერთია ფული იქნებოდა ეს, პროდუქტი, პირუტყვის საკვები, საქონელი თუ სხვა. უფრო მნიშვნელოვანი იყო გცოდნოდა როგორ მიგეღო, ვიდრე შენ თვითონ გაგეკეთებინა.

ამ საოცარი ბიუჯეტის პირობებში ქალაქს არ შეეძლო თვითონ მიეღო გადაწყვეტილება, აეშენებინა თავისთის საავადმყოფო თუ არა; სოფელს – აეშენებინა თუ არა სკოლა; ადგილობრივ საბჭოებს ისიც კი არ შეეძლოთ, რომ თვითონ განესაზღვრათ საკუთარი მუშების ხელფასი. ყველაფერი წყდებოდა ცენტრში [2].

ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო წარმოებული მზა პროდუქცია, არამედ დაკომპლექტებული ნაწილები, დეტალები, ნახევარფაბრიკატები და სხვ. მაგალითად, მინსკის საავტომობილო ქარ-

ხანაში თვითმცლელის შექმნაში მონაწილეობას იღებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის 1240-ზე მეტი ქარხანა, რუსეთის ფედერაციის ათობით ქალაქი. უკრაინა ქარხანაში გზავნიდა მანქანის მზა დეტალებს, ლატვია – რადიო და ელექტროხელსაწყოებს, ლიტვა – კომპრესორებს, საქართველო – პლასტმასისა და რეზინტექნიკურ ნაწარმს, აზერბაიჯანი ლითონებს, ყაზახეთი – სათბობს და ა. შ. თავის დროზე მინსკის საავტომობილო ქარხანას სხვადასხვა დაკომპლექტებულ დეტალებს აწვდიდა რსფსრ, უკრაინისა და ბალტიისპირეთის 55 საწარმო [3, 81]. მთავარი იყო, რომ თვითონ ბელორუსიას არ ჰქონოდა შესაძლებლობა საკუთარი ძალებით ავტომობილი გამოეშვა.

საბჭოთა ეკონომიკის ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა კიდევ ერთი გარემოება: იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როცა რესპუბლიკიდან შორეულ რესპუბლიკაში იგზავნებოდა ნედლეული, იქ მზადდებოდა ნახევარფაბრიკატები და უბრუნდებოდა იმავე რესპუბლიკას პროდუქციისათვის საბოლოო სახის მისაცემად, მაშინ როცა რესპუბლიკაში ნედლეულსა და ქარხანას შეიძლება რამდენიმე კილომეტრი აშორებდა ერთმანეთისაგან. საბოლოოდ ეს პროდუქცია მესამე რესპუბლიკაში იგზავნებოდა. ასეთ, ერთი შეხედვით უაზრო განლაგებას მილიონობით ზარალი მოჰქონდა, მაგრამ ერთ საქ-

მეს აკეთებდა –რესპუბლიკებს ისეთი ძაფებით აკავშირებდა ერთმანეთთან, რომ თვითგამოყოფის კონსტიტუციური უფლება ფიქცია ხდებოდა [4, 76].

მრავალიდან მოვიტანოთ საქართველოს მაგალითი: გორში მუშაობდა ბამბის მძლავრი კომბინატი მაშინ, როცა საქართველოში გრამი ბამბა არსად მოჰყავდათ, ნედლეული კი შემოდიოდა თურქმენეთიდან, რათა ღმერთი არ გამწყრალიყო და თურქმენეთს თვითონ არ დაემუშავებინა საბოლოოდ თავისი პროდუქტი. საქართველოდან გაჰქონდათ ჩაის ნედლეული და რუსეთის ქალაქებში ფუთავდნენ, ქართული ღვინო ცისტერნებით მიჰქონდათ მოსკოვში და იქ ღვინის ქარხნებში ასხამდნენ... უფრო დიდი კურიოზი იყო ჭიათურის მანგანუმის საბადოს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ურთიერთობა. ეს ორი ქართული ქალაქი ერთმანეთისაგან რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრითაა დაცილებული. ამ დროს ჭიათურიდან მანგანუმის მადანი დასამუშავებლად გაჰქონდათ საზრღვარგარეთ და დონეცკში, ხოლო იგივე მადანი შემოჰქონდათ ბრაზილიიდან და დონეცკიდან. ცდება თუ ვინმე ფიქრობს, რომ არავის ესმოდა ასეთი ეკონომკის უვარგისობა, ზარალიანობა. მაგრამ თუკი საბჭოთა კავშირი მართლაც „შეგნებულად“ მიდიოდა რაიმე მსხვერპლზე, ეს სწორედ ის მსხვერპლი იყო, გაღებული იმისთვის, რომ რესპუბლიკები ისე

ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დამოკიდებულნი, არავის სცოდნოდა, ვინ რას ქმნის, ვინ რის მაქნისია და, რაც მთავარია, არავის შეძლებოდა დამოუკიდებლად არსებობა [4, 188-189].

აღსანიშნავია, რომ რიგის საკონდიტრო ფაბრიკა 30 წელი იბრძოდა იმისათვის, რათა მოსკოვს დაემტკიცებინა ტორტის ახალი რეცეპტი [5].

1985 წელს საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ხელისუფლებაში მოვიდა ახალი ძალა მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით. ახალმა ლიდერმა და მისმა გუნდმა ადრევე გაიაზრა საბჭოთა კავშირში არსებული სოციალიზმის სუროგატის უპერსპექტივობა, მაგრამ მაშინ კომუნისტურ ხელმძღვანელობაში ძალზე ძლიერი იყო სოციალიზმისა და დემოკრატიის შეთავსების ილუზია. სწორედ სოციალიზმის დეფორმირებული მოდელის გაჯანსაღების (და არა მისი შინაგანი აფეთქების) მიზნით დაიწყო ქვეყანაში ფართო და ყოვლისმომცველი „პერესტროიკა“ [6, 9].

1985 წლის 23 აპრილს გაიმართა სკკპ ცკ აპრილის ცნობილი პლენუმი, სადაც გორბაჩოვმა წამოაყენა თავისი მომავალი კურსის – გარდაქმნის კურსის ძირითადი მომენტები. ხალხმა იმ დროს მისი ირწმუნა და მიიღო ახალი აზროვნების პოლიტიკა. ბორის ელცინის შეფასებით „ყველასათვის ცხადი

იყო, რომ ასე ცხოვრება, მუშაობა, როგორც ეს წლების მანძილზე ხდებოდა, აღარ შეიძლებოდა, ქვეყნისათვის ეს თვითმკვლელობას ნიშნავდა. გადაიდგა სწორი ნაბიჯი. რა თქმა უნდა ეს იყო რევოლუცია ზემოდან [7, 102]. ამ დროიდან კომუნისტურმა დოგმებმა დაკარგეს ძალა ადამიანთა გონებაზე. საბჭოთა იმპერია, რომელიც ამ დოგმებზე იყო დაფუძნებული, იშლებოდა. მართლაც, აღნიშნული პროცესი ფაქტიურად რევოლუციას წარმოადგენდა [8, 7].

დაიწყო სისტემის მექანიზმის ნგრევა. ქვეყანა უცბად აღმოჩნდა ანარქიის პირობებში, ეკონომიკის არაკონტროლირებად სიტუაციაში [9, 260]. განსაზღვრული ძალები, რომლებსაც დასახული ჰქონდათ არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დაშლა, არამედ, მთლიანად „დერჟავას“ მოსპობა მთელი ძალებით გააქტიურდნენ [9, 264].

ცნობილია, რომ მსოფლიოში პურის ფასი ყველაზე იაფი იყო საბჭოთა კავშირში. შემთხვევითობას არ წარმოადგენდა, რომ 7 მილიონი ტონა გამზადებული პურფუნთუშეული ყოველ წელს იყრებოდა ნაგავში. 10-12 ტონა პურის მარცვლეული საქონლის საკვებად გამოიყენებოდა. 40-45 ტონა კი წელიწადში საზღვარგარეთ გაჰქონდათ [9, 272].

საზოგადოება შოკირებული აღმოჩნდა „გარდაქმნის“ შედეგებით. მათ კარგად ახსოვდათ, რომ 1985 წლამდე და 1988 წლამდეც კი ქვეყანაში ეკონ-

ომიკური თვალსაზრისით არცთუ ცუდად იყო საქმე. მაღაზიის თაროები არ იყო ცარიელი. კვების პროდუქტები და სამრეწველო საქონელი ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის. 100-200 მანეთიანი ხელფასით შეგეძლო გეცხოვრა. მილიონობით ადამიანი ყოველ წელს დასასვენებლად მიდიოდა სამხრეთ რაიონებში [10, 145].

საბჭოთა კავშირის დამანგრეველ პროცესს თან სდევდა დანაშაულის არნახული ზრდა, მათ შორის ორგანიზებული დანაშაული მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაიზარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის რიცხვი პიროვნების მიმართ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ძარცვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, გაორმაგდა პირადი ქონების ქურდობის რაოდენობა. დიდი და პატარა ქალაქების ქუჩებში, სოფლებში, მუშათა დასახლებებში, როგორც კი შებინდდებოდა საშიში ხდებოდა ქუჩაში გამოსვლა. მოქალაქეები აშკარად დაუცველი აღმოჩნდნენ. სამართალდამცავი ორგანოები ფაქტიურად თავს ვერ ართმევდნენ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლას. ციხეები და ბანაკები პატიმრებით გადაივსო. გახშირდა თავდასხმები სამართალდამცველებზე. ნათლად გამოიკვეთა სახელმწიფო ჩინოვნიკების კავშირი დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებთან [10, 89].

ამავე დროს მთელ საბჭოთა კავშირს ერთბაშად მოედო არაფორმალური გაერთიანებების ბუმი. ტრადიციული განმარტებით „არაფორმალები“ იყვნენ ნებაყოფლობით გაერთიანებული თვითმოქმედი ფორმირებები, რომლებიც აღმოცენდნენ „ქვევიდან“ დაწყებული ინიციატივით და შემდეგ იქნენ ცნობილი არსებული ხელისუფლების მიერ.

აღნიშნული მოძრაობიდან გამოირჩეოდა „სახალხო ფრონტი“, რომლის ფორმულირება პირველად მოხდა ე. წ. „გარდაქმნის“ საწყის ეტაპზე ესტონეთში. მოგვიანებით „სახალხო ფრონტი“ მოქმედებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში [11, 9-10].

რესპუბლიკური სახალხო ფრონტი, როგორც წესი აბორიგენი ერის მოძრაობას წარმოადგენდა. მის წინააღმდეგ ხშირ შემთხვევაში აღმოცენებას იწყებდა ინტერმოძრაობა ანუ ინტერფრონტი, რომელიც ძირითადად აერთიანებდა რესპუბლიკის რუსულენოვან მოსახლეობას. ასე მოხდა ბალტიისპირეთის თითქმის ყველა რესპუბლიკაში. ასევე განწირულის უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავდა პოლიტიკურ არენაზე სოციალისტური ორიენტაციის არაფორმალური ჯგუფების გამოჩენა (მეცნიერული კომუნიზმის ასოციაცია, ნოვატორთა სოციალური ფრონტი, მუშა-მარქსისტთა ჯგუფი, „მუშათა გზა“ და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ყოფილ საბჭოთა რეს-

პუბლიკებში ასეთი ჯგუფები ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირდნენ [11, 11].

80-იანი წლების მეორე ნახევარში ჩვენს რეს-პუბლიკაშიც შეიქმნა არაფორმალური გაერთიანებები, რომლებმაც მოგვიანებით პოლიტიკური პარტიების სტატუსი შეიძინა. მათ შორის აღსანიშნავია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელმაც თავდაპირველად კულტურულ-საგანმანათლებლო ამოცანები წამოაყენა. ცოტა ხნის შემდეგ ეს საზოგადოება პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული იდეების მქადაგებელი გახდა.

1988 წელს აღნიშნულ საზოგადოებას გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ პარტიად გაფორმდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, რომლის ლიდერები გახდნენ გ. ჭანტურია, ი. ბათიაშვილი და ი. წერეთელი. უკვე 1989 წლის დასაწყისში წერეთელი და ბათიაშვილი გამოეყვნენ ჭანტურიას და შექმნეს „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“, რომელსაც ასევე ეწოდებოდა საქართველოს დემოკრატიული პარტია. ყველა ამ პარტიას საპროგრამო და საწესდებო პრინციპები ერთმანეთის მსგავსი ჰქონდა და მიმართული იყო საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

ეროვნული მოძრაობის გაძლიერების კვალდაკვალ მოსკოვმა უკვე 1989 წელს „მოკრძალებუ-

ლად“ ჩაგვიტარა ეკონომიკური ბლოკადის პირველი გაკვეთილები (ნავთობის, ენერგეტიკის, პურის და სხ.) – შეზღუდვა. გაჩნდა რიგები, დაძაბულობა, გაღიზიანება... მომრავლდა საქართველოში შემოსული ცარიელი ვაგონები, რომლებზეც ცარცით ეწერა: „Это вам за свободною Грузию!“, „Свободную Грузию стройте без русского леса!“ და ა. შ. შედეგმაც არ დააყოვნა. საქართველოში მეტნაკლებად იწყო გავრცელება „ცენტრისათვის“ სასურველმა განწყობილებამ. დაფიქსირდა დიალოგები: „ეს გინდოდათ?“ აი, თქვენი თავისუფლება და დემოკრატია!“, „რას ჭამთ აწი არ შეგხედავთ?“, „ხომ ხედავთ ურუსეთოდ არ შეიძლება! სადაა ბენზინი, შაქარი, კარაქი... უარეს გვიზამენ!..“ [12, 81, 82].

პოლიტიკური პროცესები კიდევ უფრო მძაფრდებოდა. ანტისაბჭოთა გამოსვლებით გამოირჩეოდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. 1988 წლის 16 ნოემბერს ესტონეთის უმაღლესმა საბჭომ რესპუბლიკის სუვერენიტეტი გამოაცხადა [13, 6]. 1989 წლის 23 აგვისტოს ბალტიის რესპუბლიკების მოსახლეობის მეოთხედმა – თითქმის ორმა მილიონმა ადამიანმა – ცოცხალი ჯაჭვი შექმნა ვილნიუსიდან ტალინამდე, რაც დაახლოებით 670 კილომეტრს შეადგენდა [13, 7].

შეიძლება ითქვას, რომ 1989 წლისათის მოსკოვის წინაშე რჩებოდა არჩევანი – ან უნდა ეხმარა

უკანასკნელი გაბედული ძალისხმევა თავისი ბატონობის აღსადგენად მასობრივი სისხლისღვრის მეშვეობით, რასაც შეეძლო მოჰყოლოდა არა მარტო მძლავრი შიდა და გარე აფეთქება, არამედ, ალბათ, გამალებული შეიარაღებისა და ამერიკასთან მტრობის გაძლიერება, ან უნდა დანებებულიყო. გორბაჩოვის რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ეპირფერებოდა, თავს ევლებოდა და ქრთამავდა კიდეც დასავლეთი, ხოლო ბოლო ეტაპებზე, რომლითაც მარჯვედ მანიპულირებდნენ პირადად პრეზიდენტი ბუში და გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, აირჩია მეორე კურსი. ამის შედეგი იყო ქაოსი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, შემდეგ კი კაპიტულაცია [14, 17-18].

1990 წლის 11 მარტს ლიტვის უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რის შედეგადაც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შეუქცევადი პროცესი [15, 184]. მანამდე ლიტვაში ყოფნის დროს მ. გორბაჩოვს მასპინძელთა მხრიდან მიღების გულთბილი ფონი საუბრებში მკვეთრი ტონის დაკავების საშუალებას არ აძლევდა და საბოლოო ჯამში მ. გორბაჩოვმა ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც კი განაცხადა – თუ თქვენ ფიქრობთ უჩვენოდ უკეთ იცხოვრებთ, ნება თქვენიაო. რასაკვკრველია მოსკოვისათვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ თა-

ვისუფლებისათვის მებრძოლი ხალხისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური სტიმული იყო.

ამ პერიოდისათვის, რაც ბალტიისპირელთა ტაქტიკისა და სტრატეგიის დამახასიათებელ მომენტად იქცა (განსხვავებით საქართველოსა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკისაგან), იყო ცენტრთან ბრძოლის მოქნილი, უმთავრესად ნაკლებად კონფრონტაციული, სამართლებრივი ხასიათი. უპირველეს მიზნად იქნა აღიარებული მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის არსებობის დამტკიცება და მისი ოფიციალური დაგმობა მოსკოვის მიერ. ეს ამოცანა ბრწყინვალედ სრულდებოდა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ა. იაკოვლევის კომისიამ დაადასტურა სტალინის მოსკოვსა და ჰიტლერის ბერლინს შორის არსებული სამარცხვინო გარიგება და დაგმო იგი. სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ოფიციალურად დაედასტურებინა კომისიის გადაწყვეტილება. ეს უკვე „ბალტიური გზის“ პირველი სერიოზული, შეიძლება ითქვას ეტაპობრივი მნიშვნელობის გამარჯვება იყო. მოსკოვმა მთელი მსოფლიოს გასაგონად აღიარა, რომ მან სუვერენულ სახელმწიფოთა ანექსია მოახდინა. ამის შემდეგ სრული დამოუკიდებლობის მიღწევა უკვე დროის საკითხად იქცა [16, 13].

არაფორმალური ჯგუფების ლიდერებმა ქართველი ხალხის გამოფხიზლებისათვის დიდი შრომა გასწიეს. მათი ორიენტაცია დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, რადგან ის არსებითად შეესაბამებოდა ერის ინტერესებს. არაფორმალების გავლენით ბევრ მოვლენას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავისი სახელი დაერქვა და სწორად შეფასდა. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ხალხის თვითშეგნების ზრდა, ისტორიული წარსულისადმი მიბრუნება, სათუთი დამოკიდებულება ერის სულიერი და კულტურული მიღწევებისადმი.

აღნიშნულ პერიოდში ას ტაძარზე მეტი გადაეცა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს დაუბრუნდა ძველი ისტორიული სახელები. მუშავდებოდა ქართული ეროვნული კონცეფცია [17, 21].

შეიძლება ითქვას, რომ „გარდაქმნის“, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესმა საქართველოში საზოგადოებრივი აქტიურობის დიდი აღმავლობა გამოიწვია. ჩვენი ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა სამართლიანი სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული მოთხოვნები წამოაყენეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მიჩვეული იყო ქვეყნის ავტორიტარულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვას და ამიტომ მოუმზადებელი შეხვდა ხალხის უჩვეულო მოთხოვნებსა და აქტიურობას. რესპუბ-

ლიკის ხელმძღვანელობამ ვერ გამონახა საზოგადოების მართვის ახალი ფორმები და ადმინისტრაციული მეთოდებითა და ძალის პოლიტიკით სცადა მის წინაშე დასმული პრობლემების გადაწყვეტა. ამ გზით საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობამ ერთ ხანს თითქოს მოახერხა კიდეც საზოგადოების აქტიურობის შენელება და მწვავე პრობლემების თავიდან აცილება, მაგრამ პრობლემების ნაწილობრივი გადაწყვეტის გზით ბოლომდე ძლიერდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური საქმიანობისა და მუშაობის სტილის მიმართ. იგი აღარ შეესატყვისებოდა არც საჯაროობისა და გარდაქმნის პროცესებს, რომელიც ჩვენში მკვიდრდებოდა, და არც ეროვნულ მოთხოვნებს, რომლებიც სრულიად სამართლიანად აღმოცენდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

მწვავე ეკოლოგიური და ეროვნული პრობლემების მიმართ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არასწორ პოზიციას განსაკუთრებით მკვეთრად არაფორმალური ჯგუფების ლიდერები დაუპირისპირდნენ. პარტიის ხელმძღვანელობისა და არაფორმალების პოზიციათა მკვეთრი პოლარიზაციის გამო, მალე მათ შორის გაძნელდა დიალოგი და ყოველგვარი ურთიერთობა. ხელმძღვანელი ორგანოების არასწორი პოზიციიდან გამომდინარე, რაც საზოგა-

დოების მოთხოვნათა უგულებელყოფაში და იძულებით დათმობებში გამოიხატებოდა, ხალხი გაუცნობიერებლად და უნებურად სულ უფრო შორდებოდა მათ ორიენტაციას და უახლოვდებოდა არაფორმალური ჯგუფების პოზიციას. ყოველივე ამან მალე ხელისუფლების სრული იზოლაცია გამოიწვია, მან დაკარგა საზოგადოების მართვის შესაძლებლობა. ხალხის სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფას მოჰყვა მიტინგები და სამოქალაქო პროტესტის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა – შიმშილობა [17, 70-71].

კრემლის მესვეურნი და სამხედროები კარგად ხედავდნენ, რომ საბჭოთა იმპერიის რეჟიმი სულს ღაფავდა, ამიტომ ყველა ღონეს ხმარობდნენ როგორმე შეეჩერებინათ ბოროტების იმპერიის ნგრევა. შემთხვევითი დამთხვევები არ უნდა ყოფილიყო მ. გორბაჩოვის გამგზავრება უცხოეთში და დასავლეთ გერმანელი „მოყვარული“ პილოტის „იდილიური“ შემოფრენა წითელ მოედანზე. კიდევ ერთი ვიზიტი და ნინა ანდრეევას სტალინისტური პოლიტიკური პლატფორმის გამოქვეყნება ცენტრალურ გაზეთში. გენერალური მდივნის პატივით მიღება დიდ ბრიტანეთში და უპრეცენდენტო კაცისკვლა თბილისში.

სწორედ მოდერნიზებული იმპერიის დამცველთა ძალებს აძლევდა ხელს ნაციონალისტური

შუღლის გაღვივება სომხეთსა და აზერბაიჯანში და შემდეგ მათ დედაქალაქებში კომენდანტის საათის დაწესება. რა უცნაურად დაემთხვა მიწისძვრის შემდეგ პოლიტიკური კრიზისის ჩაცხრობა სომხეთში, ახალი დაძაბულობის კერის შექმნას აფხაზეთში... [18].

9 აპრილის შემდეგ საქართველოში ფაქტიურად მოისპო კომუნისტური დიქტატურა, მაგრამ დემოკრატია არ დამყარებულა. იგი რადიკალთა დიქტატურამ შეცვალა. ამავე პერიოდში გავრცელდა ხმები, რომ არაფორმალურ ორგანიზაციათა და ჯგუფთა ლიდერები იმუქრებოდნენ მთავრობის, როგორც უკანონოსა და თვითმარქვია ხელისუფლების განადგურებაზე. დასახელებული იყო რიცხვი, როცა ისინი აპირებდნენ კომუნისტებთან ანგარიშსწორებას. ასეთი ხმები მართლა გავრცელდა და ხელი შეუწყო ქართველი ერის იმ ნაწილის გარკვეულ დაცილებას ეროვნულ მოძრაობასთან. ეს იყო არაფორმალთა ლიდერების შეცდომა, რადიკალებთან ურთიერთობა გაუჭირდა ინტელიგენციის დიდ ნაწილს, რომელმაც გარკვეულწილად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

1990 წლის 14 მარტს შედარებით რადიკალურად განწყობილმა ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ეროვნულ ძალთა საგანგებო კონფერენცია –

ეროვნული ფორუმი მოიწვიეს. ფორუმზე მარტის არჩევნების ჩაშლის მოთხოვნასთან ერთად კომუნისტური ხელისუფლების ალტერნატიული კოალიციური მთავრობის შექმნის საკითხიც დაისვა.

1990 წლის ოქტომბრისათის ახალი, ამჯერად უკვე მრავალპარტიული არჩევნები დაინიშნა. ეროვნული მოძრაობის ნაწილმა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ ახალ არჩევნებში, მათი მეორე ნაწილი კვლავ ბოიკოტის ტაქტიკის ერთგული დარჩა. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს ფორუმი. არაფორმალებს შორის დაპირისპირება აშკარა ბრძოლაში გადაიზარდა.

დაუმორჩილებლობის ტაქტიკის ერთგულმა ძალებმა უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების იდეას ეროვნული კონგრესის არჩევნების იდეა დაუპირისპირეს. მათი აზრით კონგრესი არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლების ალტერნატიული ორგანო, მას მხოლოდ ეროვნული ძალების მაკოორდინებელი ლეგიტიმური ორგანოს ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

კონგრესის არჩევნები 30 ოქტომბერს დაინიშნა. დაპირისპირებული ეროვნული ძალები „კრემლის აგენტის“, „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყებით აჯილდოებდნენ ერთმანეთს. საქმე შტაბბი-

ნების ტყვიებით დაცხრილვამდე და ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეც კი მივიდა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული დემოკრატიული ძალებისა და დისიდენტური მოძრაობის დაუოკებელ სურვილს წარმოადგენდა, არამედ, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების, კაპიტალისტური სისტემის თანამეგობრობის ოცნებაც იყო. ის რაც ვერ შეძლო გარეშე და შიდა მოძრაობამ (თუმცა დააჩქარა ეს პროცესი), როგორი ბანალურიც არ უნდა იყოს რუსეთის მოდერნიზებული საბჭოური იმპერია დაამსხვრია თავად კომუნისტური პარტიის მმართველმა ჯგუფმა – გორბაჩოვისა და იაკოვლევ-შევარდნაძის ტანდემის სახით (ბუნებრივია ამას ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და ზნეობრივმა კრიზისმა).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი კლაუზევიცი აცხადებდა, რომ რუსეთი არ იყო ის ქვეყანა, რომელსაც „გარედან“ დაიმორჩილებდი. მისი აზრით საჭირო იყო ამ კოლოსის შიგნიდან დაცემა.

საბჭოთა რუსეთში, უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომში განცდილი მარცხის შემდეგ, 20-იანი წლების დასაწყისში რუსი კადეტების ლიდერმა პ. მილიუკოვმა ანტისაბჭოურ ოპოზიციას

მოქმედების ახალი ტაქტიკა შესთავაზა, რომელიც გათვლილი იყო საბჭოთა საზოგადოების „შიგნიდან“ დასანგრევად [19, 79]. ეს იდეა კიდევ უფრო განავითარა XX საუკუნის 50-იანი წლების ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჟოზეფ მაკარტიმ. მისი აზრით სოციალისტურ ქვეყნებში საჭირო იყო კომპარტიის ისეთი ლიდერები, რომლებიც თვითონ დაანგრევდნენ არსებულ სისტემებს.

1990 წლის 28 ოქტომბერი – არჩევნების დღე დიდმნიშვნელოვან თარიღად შევიდა საქართველოს უახლეს ისტორიაში. პირველად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩატარდა მრავალპარტიული, არასაბჭოური, დემოკრატიული არჩევნები. ჩამოყალიბდა საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა კორპუსი 246 კაცის შემადგენლობით. ამათგან 155 დეპუტატი – „მრგვალი მაგიდა“ – თავისუფალი საქართველო, 64 – საქართველოს კომპარტია, 12 – საქართველოს სახალხო ფრონტი, 4-დეპუტატი – „დემოკრატიული საქართველოს ბლოკი“, თითო-თითო დეპუტატი ბლოკებიდან „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ და „სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება“ – 9 დამოუკიდებელი დეპუტატი.

კომუნისტებს, შეიძლება ითქვას, არავითარი წინასაარჩევნო კამპანია არ ჩაუტარებიათ. თუ მოვლენებს დღევანდელი გადასახედიდან შევხედავთ,

მათი მოქმედება სწორიც იყო. შექმნილი ვითარების საერთო ფონზე კომუნისტების გამარჯვების შემთხვევაში ანარქია, ქაოსი და, ალბათ, სისხლისღვრაც გარდაუვალი იქნებოდა. პროცესების ამგვარ განვითარებას ყველა მოერიდა. საბჭოთა კავშირის დაშლის ორგანიზატორები უკვე აშკარად მუშაობდნენ. მექანიზმი მოქმედებდა. სწორედ ამიტომ გენერალი გუმბარიძე გამოიყურებოდა ვითარცა დათრგუნული, გამსახურდია კი მისი მთელი პარტიის დამმარცხებელი. სინამდვილეში, გუმბარიძეს და საერთოდ ხელისუფლებას ხელთ ეპყრა უმძლავრესი საბჭოთა სტრუქტურები. ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა საქართველოს მილიციას კრემლი აძლევდა წლიწადში 150 მილიონ მანეთს, სუკ-ს – 140 მილიონს, პროკურატურას – 7 მილიონს. აი ეს ორგანოები იცავდნენ მას, და არავის არ უნდა ჰგონებოდა, რომ კრემლის ინტერესების საზიანოდ [20, 336]. საბჭოთა სტრუქტურებს, რომ „მრგვალი მაგიდის“ სასარგებლოდ არ ემუშავა, არჩევნების შედეგები იქნებოდა ისეთი, როგორც მოესურვებოდათ მის ორგანიზატორებს [20, 389]. ამიტომ იყო, რომ ბლოკი „მრგვალი მაგიდა“ არჩევნებამდე უზენაეს საბჭოს სხვადასხვა მეთოდებით კარნახობდა თავის სურვილებს – არჩევნების ვადის გადაწევას, მისთვის ხელსაყრელი საარჩევნო კანონის მიღებას და სხვ. ბევრი მათგანისათვის, ოღონდ კომუნისტებს

არ გაემარჯვათ, სულ ერთი იყო, ხელისუფლების სათავეში ვინ მოვიდოდა. როგორც გარეშე, ისე შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორიც „მრგვალი მაგიდის“ სასარგებლოდ მუშაობდა. ხალხი სამოცდაათწლიანი მძიმე ისტორიიდან გამოსავალს ეძებდა [21, 250].

30 ოქტომბერს ეროვნული კონგრესის არჩევნებმა ამომრჩეველთა საკმარისი რაოდენობა – 50%-ზე მეტი ვერ შეაგროვა. არჩევნების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა. ბოლოს როგორც იქნა გამოცხადდა არჩევნების შედეგები, რომელიც მისი ორგანიზატორების მიერ კანონიერად იქნა ცნობილი.

არჩეულმა ეროვნულმა კონგრესმა დაადასტურა, რომ არ მიისწრაფვის ძალაუფლების თავის ხელში აღებისაკენ და კმაყოფილდება მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლეგიტიმური ორგანოს სტატუსით [6, 25, 26].

მოგვიანებით ეროვნული კონგრესისა და ხელისუფლებაში მოსული „მრგვალი მაგიდის“ გაერთიანების ცდა მარცხით დამთავრდა.

1990 წლის 14 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია.

დეპუტატებმა ამავე სესიაზე მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის კანონი. სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ატრიბუტიკა: სახელმწიფო დროშა და ეროვნული ჰიმნი.

მომაკვდავის უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავდა, როდესაც 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ რეფერენდუმი დანიშნა. მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ კითხვაზე: „თვლით თუ არა საჭიროდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა უფლებები და მოვალეობები“. ახალ ფედერაციაში „ნებისმიერი ეროვნების“ უფლების დაცვას საბჭოთა ხელმძღვანელობა ავტონომიური წარმონაქმნების დამოუკიდებლად შესვლის გზით ფიქრობდა. ეს გარემოება წინააღმდეგობას მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში არ იწვევდა. ასეთი პერსპექტივა თვით რუსეთის ფედერაციაშიც ბევრისთვის მიუღებელი იყო.

რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი ექვსმა რესპუბლიკამ – ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდოვამ, სომხეთმა და საქართველომ განაცხადა. ცხრა რესპუბლიკაში რეფერენდუმი მაინც ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 80 პროცენტმა, რომელთა 76 პროცენტმა მხარი და-

უჭირა განახლებული სახით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, 21 პროცენტმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

17 მარტის საპირისპიროდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა. ჩატარებული რეფერენდუმით მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, რის საფუძველზეც 9 აპრილს მიიღეს დამოუკიდებლობის აქტი. ამავე წლის 26 მაისს კი საყოველთაო არჩევნების შედეგად ქვეყნის პირველი პირი გახდა პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდიას სახით, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობამდე ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა, დისიდენტობიდან-პრეზიდენტობამდე [22, 293, 295-296].

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირი, ანუ რუსეთის დიდი იმპერია დაიშალა 1991 წლის დეკემბერში. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირი შეიქმნა 1922 წლის 30 დეკემბერს. იმპერიაში შემავალი ყველა რესპუბლიკა დამოუკიდებლობის გზას დაადგა და მათ შორის ქართველმა ხალხმაც დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება მოიპოვა.

საქართველო და ქართველი ხალხი დიდი გამოცდის წინაშე დადგა. მას უნდა დაემტკიცებინა, რომ შესწევს საიმისო ძალა, დამოუკიდებლად იარსებოს და დაფუძნდეს როგორც სახელმწიფო [23, 210].

პარალელურად, კომუნისტურ სახელმწიფოთა ბლოკის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების დომინირება საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული ფაქტი იყო; ისტორიის კუთვნილებად ქცეული საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ აღიარებული რუსეთის ფედერაცია გეოპოლიტიკურ ნოკდაუნში იმყოფებოდა და დროებით პროიმპერიული ბარბაცით ცდილობდა ეპოვა ასე თუ ისე შესაფერისი ადგილი უნიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში. მაგრამ რუსეთმა, რომელიც საბჭოთა კავშირის არა მხოლოდ სამართალმემკვიდრე იყო, არამედ კიდევ უფრო მეტად თავისი დიდმპყრობელური წარსულის მიმართ აგრესიული ნოსტალგიით შეპყრობილი, იმპერიული აზროვნების საკმარისზე მეტი გამოცდილების მქონე აქტორი, რომელიც ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში ყველაზე გაფართოებული იმპერია გამოდგა და რომლისთვისაც ტერიტორიული ექსპანსია პოლიტიკურ იმპერატივად იყო ქცეული; ხოლო სივრცობრივი გაფართოება მისი განვითარების ატრიბუტად [24, 210].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ერთი მთავარი ფაქტორი იყო გასათვალისწინებული. კერძოდ, როდესაც „მოიპოვებ დამოუკიდებლობას, ესე იგი ვიღაც შენზე გავლენას კარგავს და ის უსათუოდ გებრძვის მისთვის მისაღები ყველა გზით და საშუალებით“ [23, 140].

P.S. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ქვეყანა სამ ნაწილად დაიშალა. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“) გასულია საქართველოს იურისდიქციიდან და მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარებულია რუსეთის ფედერაციისა და რამდენიმე ეგზოტიკური სახელმწიფოს მიერ. რუსეთს ამ „რესპუბლიკებთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, როგორც აფხაზეთის, ასევე „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიებზე განთავსებულია რუსეთის სამხედრო ბაზები. დანგრეულია ქვეყნის ეკონომიკური და სამრეწველო პოტენციალი; მოსახლეობა ხუთ-ნახევარი მილიონიდან დავიდა სამ მილიონამდე. პარალიზებულია მეცნიერებისა და განათლების სისტემა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ჩვენ სამშობლოს კი არ ვანთავისუფლებთ, არამედ სამშობლოსაგან ვთავისუფლდებით“. ამდენად, ჩ ვ ე ნ ს ს ა ს ი ც ო ც ხ ლ ო ი ნ ტ ერ ე ს ებ შ ი ა ა მ მ ძ ი მ ე რ ე ა ლ ო ბ ი ს შ ე ც ვ ლ ა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Л. Пияшева, „Тяжелая колесница проехала по нашему поколению...“ сб. „Суровая драма народа“, М., 1989

2. Литературная газета, 1988, 16 ნოემბერი
3. Национальные отношения в развитом социалистическом обшестве, М., 1977
4. რ. მიმინოშვილი, რამდენი მტერი ჰყავს საქართველოს?! თბილისი, 1990
5. Известия, 1988, 19 ივნისი
6. უ. ბლუაშვილი, პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წწ. თბილისი., 1994
7. Б. Ельцин, Исповедь на заданную тему, Ленинград., 1990
8. Джордж Сорос, Советская система к открытому обшеству, М., 1991
9. В. Крючков, Личное дело, часть первая, М., 1997
10. В. Крючков, Личное дело, часть вторая, М., 1997
11. ა. სონღულაშვილი, პანკები, ჰიპები, მეტალისტები... და ქალები, თბილისი, 1996
12. ა. კალაძე, ის მაინც ბრუნავს, თბილისი, 1991
13. С. Островский, Балтийский путь, журн. „Загадки истории“, 2021, №5
14. ზბიგნევ ბჟეზინსკი, „ცივი ომი“ და მისი შედეგები, ჟრნ. „პოლიტიკა“, 1994, №1-2
15. С. М. Червонная, Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея, М., 1993
16. ნ. ტატიშვილი, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა „ბალტიური გზა“, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1993, №9

17. ა. სონღულაშვილი, 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია, თბილისი, 1999
18. კომუნისტი, 1989, 16 აპრილი
19. Историки спорят, М., 1989
20. ვ. გოგუაძე, მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია, თბილისი, 1993
21. ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, 1993
22. ნატო სონღულაშვილი, საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა (1921-1991), თბილისი, 2018
23. ჯემალ გახოკიძე, ბეწვის ხიდზე, თბილისი, 2013
24. ნ. ხონელიძე, გეოპოლიტიკა – ტერმინი, ცნება, სამეცნიერო დისციპლინა, მსოფლმხედველობა... კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, VI, თბილისი, 2009

PRECONDITIONS OF THE COLLAPSE OF THE SOVIET UNION AND RESTORATION OF INDEPENDENCE OF GEORGIA

Summary

The first reason for the collapse of the Soviet Union was mismanagement of the economy and the crisis caused by it. In 1985, M. Gorbachev and his team, who were at the head of the government, began a series of transformations, which eventually put an end to the existence of the Soviet Empire.

In the second half of the 80s, in the footsteps of the national movement, political parties were created in Georgia and they managed to hold the first multi-party elections of the Supreme Council on October 28, 1990. The bloc "Round Table – Free Georgia" won the most seats. Based on the referendum held on March 31, 1991, the Act of Independence of Georgia was adopted on April 9 and Zviad Gamsakhurdia became the president of the country as a result of the general elections on May 26.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომ-ის შედეგები და შეფასებები

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომის წინ ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ არ გაითვალისწინა მერაბ მამარდაშვილის სიტყვები: „რუსეთი ეს არის ქვა, რომელიც ყოველ წუთას შეიძლება დაგეცეს თავზე. იყავით მზად სიკვდილისთვის. იყავით მზად, განსაკუთრებით, თუ თქვენი თავი ძალიან ახლოსაა ქვასთან“ [1, 451].

რუსეთის 2008 წლის სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს უშიშროების გარემო. ამ ომმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუებოდა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მის არჩევანს დემოკრატიის სასარგებლოდ, დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას [2, 502].

ომი დასრულდა. ყველაზე მძაფრად, სწორედ ნაომარი ქვეყანა ხვდებოდა, რას ნიშნავდა ცნობილი სიტყვები: „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ“. ოკუპირებული ტერიტორიიდან დაღუპული ქართველი მეომრების ცხედრებს დედაქალაქისკენ უჩუმრად მოასვენებდნენ – ყოველგვარი გაცილებისა და პროცესიის გარეშე... მანქანა მანქანას

მიჰყვებოდა მუხათგვერდის პანთეონისკენ... „შედეგების მომკა იწყებოდა“!

2008 წლის 12 აგვისტოს საფრაგნგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, ევროპის საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში, სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის მიზნით, მოსკოვსა და თბილისში ჩავიდა. ექვსპუნქტიანი შეთანხმება, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავდა საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და სამხედრო ძალების დაბრუნებას შეიარაღებულ კონფლიქტამდე დაკავებულ პოზიციებზე. მაგრამ რუსული და ოსური შეიარაღებული ძალები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღებიდან, რამდენიმე დღის განმავლობაში აგრძელებდნენ შეტევას ქართულ პოზიციებზე და დაიკავეს დამატებითი ტერიტორიები; მათ შორის ახალგორის რაიონი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე საქართველოს ხელისუფლების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.

22 აგვისტოს და 8 სექტემბერს მიღწეული შეთანხმების შედეგად, რუსი ჯარისკაცების ნაწილი გაწვეული იქნა დაკავებული პოზიციებიდან. ამის შემდეგ მოვლენების სცენარი სამხედრო მოქმედებებიდან პოლიტიკური და დიპლომატიური მოქმედებების სფეროში დაბრუნდა. მიმდინარეობდა

მწვავე განხილვები კონფლიქტის დაწყებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის შესახებ [3, 15].

2008 წლის აგვისტოში რუსეთთან გაფორმებული ექვსპუნქტიანი ხელშეკრულება, რომელიც სინამდვილეში შვიდპუნქტიანი იყო, მაგრამ სააკაშვილმა მეშვიდე პუნქტი ამოაღებინა. საქმე იმაში იყო, რომ მეშვიდე პუნქტში ეწერა: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსი უნდა გადაეწყვიტა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც უახლოეს მომავალში დასავლეთის ეგიდით ჩატარდებოდა. ამ მუხლის გაქრობით, სააკაშვილმა დასავლეთსა და გაეროს ხელ-ფეხი შეუკრა და რუსეთს სრული კარტ-ბლანში მისცა, რათა ცხინვალისა და სოხუმის „დამოუკიდებლობა“ ეღიარებინა [4, 10].

აღნიშნულთან დაკავშირებით გავიხსენოთ სარკოზის განცხადება – „სააკაშვილმა შთანხმების დოკუმენტიდან საკუთარი ხელით ამოშალა პუნქტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი ფართო საერთაშორისო დისკუსიის გარეშე ვერ განისაზღვრებოდა“. სააკაშვილის მიერ ამ პუნქტის ამოღებიდან ზუსტად ორ კვირაში რუსეთმა აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო [5, 11].

რაც შეეხება 12 აგვისტოს შემუშავებულ „ექვსპუნქტიან გეგმას“ შემდეგში მდგომარეობდა: 1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა; 2. საბრძოლო ქმე-

დებებზე უარის თქმა; 3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა; 4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში; 5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს; 6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.

საკითხის ექსპერტობა არ არის აუცილებელი იმის განსაჭვრეტად, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსეთისათვის მეხუთე პუნქტში მოცემული „ურთიერთობის დამატებითი ზომების“ განხორციელების უფლების მინიჭებას. ის ცალსახად მეტყველებს ზოგადად დასავლური სამყაროსა და პირადად საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პოლიტიკურ კონფორმიზმზე რუსეთის მიმართ [6, 219],

ამავე დროს, ომის შედეგების შეფასების დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირიბად მიანიშნებს სარკოზი მემუარებში, რომ მეშვიდე პუნქტი სააკაშვილმა, ჩვენდა საბედისწეროდ, საკუთარი ხელით ამოშალა: „სააკაშვილისთვის მიუღებელი იყო

პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსი საერთაშორისო დისკუსიის საგანი უნდა გამხდარიყო“. ამდენად, შვიდპუნქტიანი დოკუმენტი გადაიქცა ექვსპუნქტიან დოკუმენტად და ფაქტობრივად, სააკაშვილმა თავად უბიძგა რუსეთს სოხუმისა და ცხინვალის აღიარებისაკენ [7, 26].

რუსეთმა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების შემდეგ „თანამოაზრეების“ ძებნა დაიწყო. პირველი ცდები ლათინური ამერიკის ქვეყნებზე განხორციელდა. იქ, თავისი წარმომადგენელი სეჩინი მიავლინა, რომელმაც დავალების შესრულება კუბიდან დაიწყო. მაგრამ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კუბასთან ურთიერთობები გართულებული იყო. ისინი „გაბუტული“ იყვნენ, მიაჩნდათ, რომ რუსეთმა მათ უღალატა. სეჩინს კი ძველი მეგობრობის აღდგენა, კავშირების დამყარება სურდა. მათ შორის იმისთვისაც, რომ ამერიკელებისთვის ძველებურად მოეღერებინათ მუშტი.

მძლავრმა რუსულმა დესანტმა 2008 წლის აგვისტოში ვერაფერს მიაღწია. ფიდელ კასტრომ რუსეთის დელეგაცია არც კი მიიღო. მაგრამ სეჩინი დაჟინებული იყო, განაგრძობდა ლათინურ ამერიკაში ფრენას ლამის ყოველდღიურად. მეორედ ჩასვლისას მან მოიარა კუბა, ვენესუელა და ნიკარაგუა. ყველას სთავაზობდა რუსულ იარაღსა და რუსეთის

ნავთობმომპოვებელი კომპანიების მომსახურებას, პირველ რიგში, რასაკვირველია „როსნეფტის“, რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თვითონ იყო.

შედეგად, მალე ნიკარაგუამ, შემდეგ კი ვენესუელამაც აღიარეს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. ეს სეჩინის პირადი მიღწევა იყო, მან დაიყოლია დანიელ ორტეგა და უგო ჩავესი. ასეთი დავალება სეჩინისთვის არავის მიუცია – მან თვითონ მოიფიქრა, რომ ეს სვლა სწრაფად დაარწმუნებდა პუტინს ახალ თანამდებობაზე მის ეფექტურობაში. არაღიარებული რესპუბლიკების აღიარება – სწრაფი და ეფექტიანი შედეგი იყო, ნავთობის შესახებ კონტრაქტების ხანგრძლივი და რთული ხელმოწერისაგან განსხვავებით.

ჩავესთან სეჩინმა საერთო ენა გაცილებით სწრაფად გამონახა ვიდრე ძმებ კასტროებთან: ვენესუელის პრეზიდენტი პირველივე შეხვედრაზე გადაეხვია რუსეთის მაღალი რანგის წარმომადგენელს და წამოიძახა: „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უკვე მარტო არ ვართ ამერიკულ იმპერიასთან ბრძოლაში! ახლა ჩვენთან უკვე რუსეთია!“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებაში რუსეთმა გულუხვად გადაიხადა: ვენესუელას მისცა მილიარდ დოლარიანი კრედიტი იარაღის შესაძენად. აგრეთვე შექმნა ნავთობის კონსორციუმი ვენესუელის ნავ-

თობსაბადოების ერთობლივად ათვისებისათვის [8, 277-278].

პარალელურად რუსებმა მუშაობა დაიწყეს წყნარი ოკეანის ეგზოტიკურ კუნძულოვან სახელმწიფოებთან. მათ აღიარება მიიღეს ნაუროსაგან (კუნძული 10 ათასიანი მოსახლეობით). ქვეყანას, რომელსაც „არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მთავრობის და სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციებში“ [9, 179]. ამას მოჰყვა ვანუატუ, შემდეგ ტუვალუ-ს ϫუϫა სახელმწიფო 12 ათასი მცხოვრებით, რომელიც იძირება ოკეანის დონის ამაღლების გამო. გადმოცემით ლავროვმა ტუვალუს პრემიერ-მინისტრს „ჩემოდნით გადასცა 2 მილიონი დოლარი „ქეშად“.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი. მიხეილ სააკაშვილი იგონებს, რომ ტუვალუს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს „გრიგოლ ვაშაძე დაიხარა მისკენ და ჰკითხა: სერ, მართალია, რომ სოხუმში ჩაფრინდით? ის პასუხობს: დიახ – დიახ, მართალია და თან იღიმება. „მართალია, რომ მათი დამოუკიდებლობა აღიარეთ?“ მან უფრო გამომწვევად გაიღიმა. მაშინ ვაშაძემ მისი ჰალსტუხი მუშტზე დაიხვია, ულვაშები სახესთან მიუახლოვა, თვალი თვალში გაუყარა და მოგუდვა დაუწყო, თან ეუბნებოდა: „სერ, თქვენ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვით“. ეკონომიკის მი-

ნისტრ ვერა ქობალიასთან ერთად, მათი გაშველება მომიხდა...“ [10, 231-232].

აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსეთის დიდ გავლენას სირიის რეჟიმზე მოწმობს ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს სეპარატისტული ნაწილის „დამოუკიდებლობის“ ცნობას 2018 წელს, რაც მხოლოდ კრემლის საამებლად (ან მისი ზეწოლის შედეგად) გადადგმული გაუზარებელი ნაბიჯია. ის დამასკოს არავითარ ეკონომიკურ სარგებელს არ მოუტანს და პოლიტიკურადაც წამგებიანია იმ პირობებში, როდესაც მთელი მსოფლიო საწინააღმდეგო პოზიციაზეა [11, 332].

ამდენად, აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ დე იურედ ცნო გაერო-ს წევრმა ხუთმა სახელმწიფომ: რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ და სირია. ვანუატუსა და ტუვალუს სახელმწიფოებმა 2011 წელს ჯერ აღიარეს აფხაზეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობა, ხოლო 2013-2014 წლებში უარყვეს აღნიშნული აღიარება. აფხაზეთის „სახელმწიფოებრივ სტატუსს“ მხარს უჭერს ასევე სამი არაღიარებული, გაეროს არაწევრი ტერიტორიული ერთეული – ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“, დნესტრისპირეთი და მთიანი ყარაბაღის ყოფილი „სომხური არცახის რესპუბლიკა“.

ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას ასევე მხარი დაუჭირა დასახელებულმა გაერო-ს ხუთმა ქვეყანამ: რუსეთმა, ნიკარა-

გუამ, ნაურუმ, ვენესუელამ და სირიამ. გარდა ამისა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა აფხაზეთის, დნესტრიპირეთის, მთიანი ყარაბაღის და საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკის არაღიარებული, ოფიციალური სახელმწიფოებრივი სტატუსის არმქონე ქვეყნებმა. ტუვალუს კუნძულებმა 2011 წელს აღიარა „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, ხოლო 2014 წელს უარყო აღიარება და მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

გამოდის, რომ რუსეთს „პატარა წარმატებული ომი“ სჭირდებოდა საკუთარ ქვეყანაში სოციალური პრობლემებიდან ყურადღების გადასატანად (2008 წლის ეკონომიკური კრიზისი უკვე კარზე აკაკუნებდა). წლების მანძილზე პერმანენტულად დამცირებული, საკუთარი უფლებების შელახვის შემყურე (როგორც რუსეთის ელიტას ეჩვენებოდა), საერთაშორისო საზოგადოების მიერ მისი სტრატეგიული ინტერესების უგულებელყოფით გაღიზიანებული რუსეთის პოლიტიკური ელიტა ცდილობდა დამეტკიცებინა თავისი ქმედითუნარიანობა და თანაც ამას თუ გააკეთებდა „პატარა ერებზე მამობრივი ზრუნვის“ საბაბით (ტრადიციული რუსული აგრესიის ერთ-ერთი სარჩული), მას განუმტკიცდებოდა თვითრწმენა, პირველსახოვანი სახელმწიფო იმიჯი.

ომი უნდოდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთ-ის“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას – ეს გადახა-ზავდა სახალხო დიპლომატისა და მსოფლიო თა-ნამეგობრობის ყველა მცდელობას კონფლიქტის სამართლიანი მოგვარების მიზნით, დიდი ხნით კა-რებს ჩაუკეტავდა საქართველოს პოლიტიკური გა-ერთიანების მოსურნეებს (ორივე მხრიდან), „სის-ხლის მდინარეს“ ჩააყენებდა ქართველ, აფხაზ და ოს ხალხებს შორის [12, 87].

ის, რომ რუსებმა თბილისი არ აიღეს – ეს მსოფ-ლიოს კეთილი ნების ადამიანების პროტესტის გამო კი არ მოხდა, არამედ იმიტომ, რომ რუსებს საქართვე-ლოში სწორედ სააკაშვილის ხელისუფლება სჭირდე-ბოდათ და კიდევ ის ორი სამხედრო ბაზა – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი [12, 87].

ომის შედეგებით რუსებმა მიიღეს სამხედრო ბაზები, „პატარა წარმატებული ომით“ აღიდგინეს შელახული თავმყოვარეობა, თავს იწონებენ იმით, რომ ხუთ დღეში გაანადგურეს ჯარი, რომელსაც ამ-ერიკელი ინსტრუქტორები წვრთნიდნენ და თან აი-არაღებდნენ, რომ დაეხმარნენ „პატარა დაჩაგრულ ერებს“. რუსეთმა დაიბრუნა ის დაკარგული „ხმის ტონალობა“ – რითაც მუდამ აოცებდა მსოფლიოს.

ომი საოცრად მომგებიანი აღმოჩნდა აფხაზე-თისა და ე.წ, „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური ელ-იტისათვის – აღიარებამ და რუსეთთან საგანგებო

ურთიერთობის დამყარებამ, ამ პოლიტიკური ელიტის ხელში თავი მოუყარა რუსეთიდან უანგარიშოდ წამოსულ მილიონებს, პრივილეგიებს და ბინაა-აგარაკებს. ის, რომ ისტორიული ქართული მიწებიდან უსირცხვილოდ, უკანონოდ აჰყარეს და გამოყარეს ქართველები – ამაზე ისინი ჯერ კიდევ არ ფიქრობენ და არც მსოფლიო თანამეგობრობას აღელვებს გამორჩეულად ეს საკითხი [12, 88-89].

ყოველივე ამას ზედ დაერთო საქართველოს ხელისუფლების აღიარება, რომ თითქოს მან დაიწყო ომი. ეს იყო დასავლეთის ზეწოლა თუ სხვა რამ, კიდევ გასარკვევია. ამ ფაქტს კარგა ხანს უმალავდნენ საქართველოს მოსახლეობას. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გავეცნოთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას №1633, რომლის მეხუთე მუხლში ვკითხულობთ: „2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო ძალების მიერ, ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებით, ესკალაცია ახალ, კერძოდ, ღია და სულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე გადავიდა. მძიმე არტილერია და კასეტური ბომბები, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მოსახლეობას, წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან.“

ხოლო მეექვსე პუნქტში წერია, რომ „რუსეთმა განახორციელა საპასუხო შტევა“.

საქართველოს მომაკვდინებელ ამ დოკუმენტს ხელს აწერენ: 1. გიორგი კანდელაკი; 2. გიორგი თარგამაძე; 3. დავით დარჩიაშვილი; 4. ჩიორა თაქთაქიშვილი; 5. გოკა გაბაშვილი.

ამდენად, სააკაშვილის მთავრობამ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას და აღიარა, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალში ომი თავად დაიწყო.

აქ, მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ 2022 წლის 16 დეკემბერს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კ ა რ ი მ ხ ა ნ მ ა 2008 წლის ომის ოთხი მონაწილე, კერძოდ, 3 ოსი სამხედრო და 1 რუსი გენერალი ადამიანების წამება-მკვლელობაში დაადანაშაულა.

ნაციონალებმა და მათმა ტელევიზიებმა ეს ფაქტი ისე „თარგმნეს“, რომ საქართველოს მიერ ომის დაწყების ვერსია „დამსხვრეულია“.

სინამდვილეში კი პროკურორ კარიმ ხანს რუსეთი არ დაუფიქსირებია არც მხარედ და არც ომის დამწყებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ ჰააგის პროკურორმა მხოლოდ ოთხი ადამიანის ბრალეულობაზე ისაუბრა [7, 26].

რეალურად კი პასუხს ომის დაწყებაზე და მის შედეგებზე, თავად რუსეთის პოლიტიკა ღაღადებს.

კერძოდ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მისი სტრატეგიული მდებარეობის, სატრანზიტო დერეფნის ხაზის მასზე გავლით, ზღვებზე გასასვლელების მხრივ, რომ რუსულმა სამხედრო ელიტამ დაიწყო მზადება უკვე სამხედრო ინტერვენციისათვის (მანამდე რუსეთის ხელისუფლება ძირითადად საპასპორტო პოლიტიკისა და მცოცავი ოკუპაციის მეთოდებით მოქმედებდა). სამხედრო ინტერვენციით რუსეთს არა მხოლოდ რეგიონზე კონტროლის გაძლიერება სურდა, მას უნდოდა ეპასუხა აშშ-ისა და ნატო-ს გაფართოების პოლიტიკისათვის, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა რუსეთის საზღვრებს.

რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ამ ომისათვის, რასაც თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებებიც ადასტურებს, რომელიც მან გააკეთა: „საიდუმლო არაა, რომ ჩვენ გვქონდა გეგმა. რუსეთი ამ გეგმის ფარგლებში მოქმედებდა. ჩვენ ამ გეგმის ფარგლებში მოვამზადეთ სამხრეთ ოსეთის არმია“ [13, 52-53].

აქვე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველო თავს ვერ დაესხმებოდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“, რადგან ეს იყო თავდაცვითი ომი რუსეთისა და სეპარატისეტების წინა-

აღმდეგ. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „თავდაცვით ომად უნდა განვიხილოთ ნებისმიერი ომი, რომელიც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში წარმოებს“ [14, 219].

და მაინც ქართველი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა საქართველოში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დამდგენი საერთაშორისო მისიის, ე. წ. ტ ა ლ ი ა ვ ი ნ ი ს კ ო მ ი ს ი ი ს დასკვნას, რომელიც აგვისტოს ომის გამომწვევ მიზეზებსა და შემდგომში განვითარებულ მოვლენებს სწავლობდა. მისიამ ანგარიში 2009 წლის სექტემბერში გამოქვეყნა.

ტალიავინის შემაჯამებელ დასკვნით ნაწილში აღნიშნულია: „2008 წლის 7 აგვისტოს ღამით (8 აგვისტოს გამთენისისას) ქალაქ ცხინვალს ინტენსიურად შეუტია ქართულმა მძიმე არტილერიამ. ქართული არმიის სხვა შენაერთები ასევე უტევდნენ ქ. ცხინვალსა და მის შემოგარენს. მალევე ბრძოლაში ჩაერთვნენ რუსული, სამხრეთოსური და აფხაზური სამხედრო შენაერთები და შეიარაღებული დანაყოფები. თუმცა, ქართული იერიშის შეჩერებას სამხრეთ ოსეთში დიდი დრო არ დასჭირვებია. საპასუხოდ, რუსული შიარაღებული ძალები, მათ შორის – საჰაერო დარტყმებითა და შავი ზღვის ფლოტის დანაყოფებით, ღრმად შეიჭრნენ საქართველოში, გადაკვეთეს ქვეყნის მთავარი, აღმოსავლეთ-დასავ-

ლეთის გზა, მიაღწიეს ფოთის პორტს და გაჩერ-
დნენ ქვეყნის დედაქალაქთან, თბილისის ახლოს.
შეიარაღებული დაპირისპირება განვითარდა და
მოიცვა შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფო-
თაშორისი კონფლიქტი: ერთი მხრივ, სამხრეთელი
ოსები და აფხაზები საქართველოს წინააღმდეგ და
ამავე დროს რუსეთისა და საქართველოს სამხედრო
დაპირისპირება; მეორე მხრივ, ერთდროულად ორი
ასეთი კონფლიქტის კომბინაცია, ძირითადად, მიდ-
რეკილია საერთაშორისო სამართლის დარღვევის-
კენ. სწორედ ოსეთის არალეგალური დაჯგუფებე-
ბის მიერ, რომლებსაც ადეკვატურად არ ან ვერ აკ-
ონტროლებდნენ რუსეთის რეგულარული შეიარაღ-
ებული ძალები. კიდევ ერთი საომარ მოქმედებათა
ფრონტი გაიხსნა ქვეყნის დასავლეთით, სადაც აფ-
ხაზურმა ძალებმა, რუსეთის ძალების დახმარებით,
აიღეს ზემო კოდორის ხეობა მცირე ქართული და-
სახლებით. 5-დღიანი ბრძოლის შემდეგ, 2008 წლის
12 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი
მედვედევმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ
სააკაშვილმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკო-
ლა სარკოზიმ, რომელიც ევრო კავშირის სახელით
მოქმედებდა, მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შესა-
ხებ შეთანხმებას. ამას მოჰყვა იმპლემენტაციაზე
(აღსრულებაზე ა. ს.) შეთანხმება 2008 წლის 8 სექ-
ტემბერს, ისევ პრეზიდენტ სარკოზის დაჟინებული

მცდელობის შედეგად. ეს წარმატებული პოლიტიკური ქმედება განხორციელდა საერთაშორისო საზოგადოების უმოქმედობის სანაცვლოდ, მათ შორის – გაეროს უშიშროების საბჭოსი, რომელსაც უნდა ემოქმედა მოქნილად და გადამწყვეტად, რათა გაეკონტროლებინა არნახული დაძაბულობა, რაც წინ უსწრებდა შეიარაღებულ კონფლიქტს. მას შემდეგ არავითარი პროგრესი არ მომხდარა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების რთულ პროცესში, გარდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაარსებისა და ჟენევის მოლაპარაკებებისა...“

სხვა ადგილას კომისიის დასკვნაში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ „2008 წლის 7 აგვისტოს ღამით ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვით დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში, რაც იყო კულმინაცია იმ მუდმივი დაძაბულობისა და ინციდენტებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა დიდი ხნის განმავლობაში“ [3, 8].

როგორც ვხედავთ ტალიავინის კომისია ომის დამწყებად ქართულ მხარეს ასახელებს. არაფერს ამბობს, რომ სამხედრო ოპერაცია საქართველოს ხელისუფლებამ თავის ტერიტორიაზე, განდგომილი რეგიონის წინააღმდეგ განახორციელა. თუმცა, რამდენად იყო დამწყები საბრძოლო ოპერაციისა

ქართული მხარე, ეს კიდევ საკითხავია. დასკვნაში არაფერია ნათქვამი, საიდან გაჩნდა უცბად რუსეთის შეიარაღებული ძალები ქართულ ტერიტორიაზე და ა. შ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კომისიის მასალებში არის საყურადღებო მინიშნებებიც. მაგალითად, კომისიის დასკვნით „მისიამ აღმოაჩინა მაგალითი ეთნიკური ქართველების იძულებით გადაადგილებისა, რომლებიც რჩებოდნენ თავიანთ სახლებში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ. ასევე, ცხადი იყო, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკური ქართული სოფლების სისტემურ ძარცვასა და განადგურებას სამხრეთ ოსეთში. შედეგად შეიძლება დავასკვნათ – აღნიშნულია კომისიის მასალებში – ეთნიკური წმენდა იყო ნამდვილად ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში, როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, ისე მის შემდეგაც“ [3, 20].

ეთნიკური წმენდა და გენოციდი საერთაშორისო სამართალში სხვადასხვა კატეგორიის ტერმინებია. ცხადია, ორივე დანაშაულია. ტალიავინის კომისიის დასკვნაში რუსების ქმედება შეფასებულია, როგორც დანაშაულებრივი უმოქმედობა და ხელის შეწყობაც კი ოსური ფორმირებებისათვის, რათა მათ განეხორციელებინათ ქართველთა ეთნიკური წმენდა.

ფაქტია, ტალიავინის კომისიამ დაადასტურა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, მაგრამ არ დაადასტურა გენოციდი. ისევე, როგორც კოსოვოში დადასტურდა სერბების მიერ ალბანელების ეთნიკური წმენდა, მაგრამ ალბანელების გენოციდი არ დადასტურებულა.

დღევანდელი გადმოსახედიდან ტალიავინის დასკვნა იყო ერთგვარი კომპრომისების შედეგი, რომელიც საქართველოს პოზიციებს ვერც გააძლიერებდა და ვერც დაასუსტებდა. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში შექმნილი ვითარება საქართველოსთვის არცთუ ხელსაყრელი აღმოჩნდა [3, 26].

სამწუხაროდ, კომისიამ ვერ ან არ „დაინახა“, რომ რუსული სამხედრო ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე 7 აგვისტოს დილით შემოვიდნენ. საერთოდ კი, რუსული 135-ე და 693-ე პოლკები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აგვისტოს დასაწყისიდან იყვნენ განლაგებული.

ეს ფაქტები საკმარისი არ აღმოჩნდა კომისიისათვის. მან ვერ შეძლო, უფრო სწორად არ მოინდომა იმის დადასტურება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, საომარი მოქმედების დაწყებამდე რუსეთის სამხედრო ნაწილები უკვე შემოსული იყო [6, 218].

საომარი მოქმედებების ვითარებაში საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობის ტესტი, ავად თუ კარგად, ჩააბარა, მაგრამ სოლიდური ზარალიც ნახა. პირდაპირ დანაკარგებს რომ თავი დავანებოთ (უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ დანაკარგებს), უამრავი ოდენობის სახსრები იქნა მიმართული იმ ინფრასტრუქტურის აღსადგენად, რომელიც რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გაანადგურა. ეს არის სამოქალაქო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა – გზები, კომუნიკაციები, სხვადასხვა ტიპის და მასშტაბის სამრეწველო თუ საწარმოო ობიექტები, რომლებზეც რუსულმა ტანკებმა და ავიაგამანადგურებლებმა არაერთი იერიში მიიტანეს...

რუსული აგრესიის დროს მრავალჯერ დაიბომბა ისეთი ობიექტები, რომელთა გამართულ მუშაობაზე დიდწილად იყო დამოკიდებული მთლიანად ქართული ეკონომიკის ფუნქიონირება. რუსული ჭურვები ჩამოიყარა თბილისის საავიაციო გაერთიანებაში, რომელიც წინა წლებში ქართული ექსპორტის დაახლოებით 10%-ს უზრუნველყოფდა. ავიაბომბების მსხვერპლი გახდა კასპის ცემენტის ქარხანა – გერმანული „ჰაიდელბერგ ცემენტის“ კუთვნილი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საწარმოო ობიექტი, რომლის პროდუქტიც როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იყო მიმართული.

სერიოზულად იზარალა საქართველოს რკინიგზამ. კასპთან დაზიანებულმა სარკინიგზო ხიდმა ორმხრივი ზარალი გამოიწვია: ერთი მხრივ, პირდაპირი ხარჯები (მის აღსადგენად გაწული), მეორე, ყოველდღიურად ტვირთების გაუტარებლობის შედეგად დაკარგული შემოსავალი (ფინანსურმა ზრდამ 30 მლნ. ლარს მიაღწია [15, 581-582].

ტურიზმის სექტორი აგვისტოში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა. პირდაპირი ზეგავლენა განიცადა იმ ძირითადმა ბუნებრივმა რესურსებმა (ბიომრავალფეროვნება, ბალნეოლოგიურ-კლიმატური პირობები, ესთეტიკური ღირებულებები), რომელიც ძირითადად ტურისტულ პოტენციალს წარმოადგენდა.

საომარი მოქმედებების დროს ფოთის პორტის ბლოკირებისა და საავტომობილო მაგისტრალების გადაკეტვის, ასევე სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანების და საავიაციო მიმოსვლის შემცირების, ასევე საბანკო და სხვა სექტორებში ამუშავებული დროებითი შეზღუდვების გამო, ქვეყანაში ტვირთების მოძრაობა და სავაჭრო ოპერაციების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

მშვიდობიანი მოსახლეობის და სამხედრო პერსონალის, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და განადგურების გარდა, 2008 წლის აგვისტოს რუსულმა სამხედრო აგრესიამ

საქართველოში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია. როგორც ოფიციალური, ისე სხვადასხვა საერთაშორისო საინფორმაციო წყაროს, თვითმხილველთა ჩვენებებისა და ექსპერტების შეფასების მიხედვით, რუსულმა სამხედრო ინტერვენციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კავკასიისა და შავი ზღვის ეკოსისტემებს.

საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აგვისტოს მეორე ნახევარში, რუსული შეიარაღებული ძალების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ასობით ჰექტარი უნიკალური ტყე განადგურდა. მაგლითად, ბორჯომის ხეობაში ვიზუალური დათვალიერებით, მთლიანად განადგურებულ იქნა ტყის მასივის 250 ჰექტარზე მეტი, ხოლო ატენის ხეობაში (შიდა ქართლის რეგიონი), დამწვარი ტყის მასივმა 50 ჰექტარი შეადგინა. გარდა ამისა, რუსული სამხედრო ავიაციის ქმედების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა კასპის რაიონის, დაბა სურამის, ხარაგაულისა და კოჯრის ტყეებს.

რაც შეეხება შავ ზღვას, ექსპერტთა შეფასებით, ზღვაში ჩაიღვარა დაახლოებით 50-70 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რაც საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის უპრეცენდენტო შემთხვევას წარმოადგენდა [15, 582-583].

ომის შედეგად დაიკარგა სოფლები, სასაფლაოები, სალოცავები, მატერიალური კულტურის ძეგლები... ლიახვის პირზე, ხეობის დასაწყისში მოზრდილ ქართულ სოფელ ვანათში ქართველების ნასახიც აღარ არის. არც პატარა ლიახვის ხეობის ზემო სოფლებში – ქსუისში, ერედვში, საცხენეთში, ხადურიანთკარში, ბელოთში, აწერისხევში...

თითქმის 30 წელიწადზე მეტია, ქართველი მოსახლეობა ვეღარ მიდის გერში მოსალოცად. ამიტომაც გორის მახლობლად, ბერბუკის დევნილთა დასახლებაში გერის წიმდა გიორგის ტაძარი ააგეს. შიდა ქართლის მოსახლეობის ნაწილი კი გერისთობის დღეებში არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მიდის [16, 79].

ქართველ პოლიტიკოსებში განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა აგვისტოს ომის შეფასებისადმი. ბუნებრივია ნაციონალურ მოძრაობას საკუთარი პოზიცია გააჩნდა ომის დაწყების და დასრულების შესახებ, თუმცა არსებობდა განსხვავებული, ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკული დამოკიდებულებაც. მაგალითისთვის საინტერესოა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის ბრალდებები ნაციონალური მოძრაობისადმი:

„1. ვინ ჩააბარა და ვინ გაყიდა კოდორი და ახალგორი? 200 დასახლებული პუნქტი, ქალაქი, სოფელი, დაბა და ამათგან უამრავში, თუნდაც იგივე

კოდორის ხეობაში, უამრავ დასახლებულ პუნქტებში საერთოდ არ ყოფილა საომარი მოქმედება, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა. ვინ უბიძგა სამხედროებს, პოლიციას, სპესამსახურებს, გამგეობებს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს – ვინ უბიძგა და ვინ დაატოვებინა ეს ტერიტორიები? ტექნიკაც დატოვეს, ყველაფერი დატოვეს და ეს ბრძანებები დღესაც დაცულია საიდუმლო აქრივებში!

2. ვინ გადასცა უბრძოლველად რამდენიმე მილიარდის ღირებულების შეიარაღება და სამხედრო ბაზები სენაკში, ფოთში, სხვაგან... ვინ ჩააბარა მოღალატეობრივად ეს შეიარაღბა რუსებს?

3. ვინ გადასცა დავითგარეჯი, მამისონის უღელტეხილი, შუშანიკის ციხე-კოშკი, 60-ზე მეტი სტრატეგიული პუნქტი ვინ გადასცა მეზობელ ქვეყნებს?

4. ვინ მიყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი ძირითადად რუსეთს და სხვა ქვეყნებს?

5.საქართველო-რუსეთი-ევროკავშირის შეთანხმებიდან ვინ ამოიღო მეშვიდე პუნქტი, როემლშიც მკაფიოდ ეწერა, რომ სოხუმს და ცხინვალს საერთაშორისო შეთანხმების გარეშე რუსეთი ვერ აღიარებდა?

6. ვინ მოაწერა ხელი სტრასბურგში რეზოლუციას, სადაც წერია, რომ ომი საქართველომ დაიწყო და კასეტური ბომბებიც საქართველომ გამოიყენა?

7. ვინ მიატოვა მშვიდობიანი მოსახლეობა? ვინ მიატოვა წვევამდელები? ვინ მიატოვა ბრძოლის ველზე დაღუპულები, რომლებიც პატრიარქმა გადმოასვენა?“ [7, 27].

ყველა უბედურებასთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ სუვერენიტეტი და ფუნქცია დაკარგა რეგიონში, რაც თვალნათლივ გამოჩნდა უკვე 2009 წლიდან. საქართველოს ბედი სხვა ქვეყნებში წყდებოდა. ჩვენს ზურგს უკან ლაპარაკობდნენ გეოპოლიტიკურ პრობლემებზე თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ევროპა და ამერიკა. ბჭობდნენ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს ბედი და განაწილებულიყო მისი ტერიტორიები.

საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ომის შედეგების უარყოფითი მიმართულება მიხეილ სააკაშვილის ქმედებებს მიაწერა და ამიტომ მათ ნაწილში გაჩნდა საპროტესტო განწყობა. 2009 წლის 9 აპრილს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით რუსთაველის პროსპექტზე ათიათასობით კაცი გამოვიდა, რაც 2007 წლის ნოემბრის შემდეგ უდიდესი ოპოზიციური საპროტესტო დემონსტრაცია იყო. მოქალაქეთა პროტესტის ჩასახშობად ძალოვანი სტრუქტურები იქნა გამოყენებული [3, 29].

ის, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ პოლიტიკური შეცდომები დაუშვა და მტრის ანკესზე წამოეგო,

ფაქტია. ამას მოჰყვა ის შედეგები, რასაც დღემდე ვიმკით. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები მარტივი შესაფასებელი არ არის იმ განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების ფონზე რაც საქართველოში არსებობს. თუმცა აღნიშნული საკითხის მიმართ ყველა განსხვავებული პოზიციის შესწავლა და ანალიზია საჭირო, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პოზიციების წარმოჩენა და შეფასება. ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა ახალი პოლიტიკური პროცესების დაწყებას უბიძგა საქართველოში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. ღოღობერიძე, რაც მაგონდება და როგორც მაგონდება, თბილისი, 2019
2. ჰ. კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, თბილისი, 2022
3. ჩვენი ეპოქა, ტომი V, თბილისი, 2015
4. გაზეთი, „ასავალ-დასავალი“, 2021, №36
5. გაზეთი, „ასავალ-დასავალი“, 2023, № 7
6. კ. ყალიჩავა, კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2021
7. გაზეთი, „ასავალ-დასავალი“, 2023, №15

8. მიხაილ ზიგარი, კრემლის ლაშქარი, თბილისი, 2019
9. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბილისი, 2006
10. მ. სააკაშვილი, ძალის გამოღვიძება, თბილისი, 2016
11. ა. სონღულაშვილი, ისტორია პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 2021
12. ა.დაუშვილი, ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს!... თბილისი, 2013
13. მ. მანჩხაშვილი, სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ორი თურქული მოდელი, თბილისი, 2021
14. ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019
15. ნ. ჩიტაძე, გეოპოლიტიკა, თბილისი, 2011
16. ნ. შოშიტაშვილი, გერის წმინდა გიორგის სალოცავი და გერისთობა, ჟურნ. „ისტორიანი“, 2023, №3

RESULTS AND ASSESSMENTS OF THE AUGUST 2008 WAR BETWEEN RUSSIA AND GEORGIA

Summary

After the August 2008 war, Georgia lost 20% of its territory. All this was accompanied by the Georgian government's admission as if it had started the war. Actually, it was a defensive war against Russia and separatists, because according to the Georgian constitution, "any war waged within the internationally recognized borders of Georgia should be considered a defensive war."

In addition to the damage and destruction of the civilian population and military personnel, and military and civil infrastructure, the Russian military aggression of August 2008 caused an ecological disaster in Georgia.

It is a fact that the government of Georgia made political mistakes and fell into the enemy's trap. This resulted in the outcomes we are still reaping and no progress is seen to regain the lost territories.

ესპანეთის ეროვნული უმცირესობა

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს 99 სახელმწიფოში ცხოვრობდა 291 განსხვავებული ეროვნების უმცირესობა, რაც 340 მილიონ ადამიანს შეადგენდა. აქედან 80 მილიონი ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი იყო. ამასთან, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობის პრობლემამ შრომითი მიგრანტებისა და ლტოლვილთა რიცხვის კვალდაკვალ ახალი დატვირთვა შეიძინა, რაც ახალ, პერმანენტულად ეთნიკურ უმცირესობებს აყალიბებს [1, 40].

ეროვნული სახელმწიფოები მოიცავენ უამრავ რელიგიურ, ენობრივ და რეგიონალურ დაჯგუფებებს, რომელთაგანაც რომელიმე მაინც გამოთქვამს პრეტენზიას „ერის“ სტატუსზე. ყოფილი იუგოსლავია, რომელიც თავის დროზე ვერსალელმა მშვიდობისმყოფელებმა განსაზღვრეს, ჩათვალეს, როგორც „სლავთა ქვეყანა“. სინამდვილეში ის ყოველთვის დასახლებული იყო სხვადასხვა რელიგიურ-ეთნიკური ერთობებით, რომელთაც გააჩნდათ საკუთარი ენა და ისტორია. ამას მოჰყვა ეთნიკური წმენდის საშიშროება და ეს მოხდა კიდეც ბოსნიელი სერბების მხრიდან [2, 94-95].

ეროვნული უმცირესობის საკითხი ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა. ცნობილია, რომ არსებობს

ეთნიკური საზღვრები და არსებობს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური საზღვრები. ეს ორი ცნება ერთმანეთს რომ ემთხვეოდეს, მაშინ სრულ ჰარმონიასთან გვექნებოდა საქმე. მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ეს საზღვრები ყოველთვის დაშორებულია. ამიტომ პოლიტიკური საზღვრები ერთ მთლიან სახელმწიფოს გამოხატავს და მასში მოხვედრილი ადამიანები უკვე ერთი უზარმაზარი სოციუმის ანუ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. ეროვნული უმცირესობები, რომლებიც, დომინანტ, ავტოქტონური ერის გვერდით ცხოვრობენ ერთ სახელმწიფოში, უკვე პოლიტიკურად დომინირებული ერის „საკუთრება ხდება“. სწორედ ეს პრინციპი აქვს აღებული დასავლეთ და, თუ გნებავთ აღმოსავლეთ ქვეყნებსაც, სადაც, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ყველა მოსახლე, ეროვნების მიუხედავად, ითვლება იმ სახელმწიფოს კუთვნილებად, მის შემადგენელ ნაწილად, რომელიც ავტოქტონური ერის სახელს ატარებს [1, 43-44].

ამ ფონზე აუცილებელია განვასხვავოთ მონოეთნიკური და პოლიეთნიკური სახელმწიფოები; აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად ერთგვაროვანი სახელმწიფო წარმონაქმნი რეალურად არ არსებობს. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ პირობითად მო-

ნოეთნიკურ სახელმწიფოდ ჩაეთვალათ ის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (უკიდურეს შემთხვევაში 95%) მიეკუთვნება ერთ ეთნოსს. ასეთებია, მაგალითად, ბანგლადეში, ბრაზილია, იორდანია, იტალია, მადაგასკარი, ნორვეგია, პორტუგალია, გერმანია, იაპონია, არაბული ქვეყნების უმარვლესობა [3, 300-301].

თუ მიმდინარე საერთაშორისო საზოგადოება ძირითადად ეროვნულ უმცირესობათა საერთაშორისო დაცვით იყო დაინტერესებული (პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში), მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გაერო-ს წესდებაში შეტანილ იქნა მოწოდება დაცულიყო ადამიანის ღირსება და ძირითადი უფლებები [4, 475-476, სქოლიო 27].

ეუთო-ში შემავალი ინსტიტუტებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა წინასწარი გაფართხილებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების სფეროში ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის (მდებარეობს ჰააგაში, ნიდერლანდები) საქმიანობა. უმაღლესი კომისარი, აფასებს და ცდილობს მოაგვაროს შეძლებისდაგვარად ადრინდელ საფეხურზე სიტუაციები, რომლებიც შეიცავენ ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს. რჩევისა და რეკომენდაციების გზით, იგი ხელს უწ-

ყობს მხარეებს არაკონფრონტაციული პოლიტიკის განხორციელებაში [5, 149].

ფაქტია, რომ XXI საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს სუვერენული სახელმწიფოების სამ მეოთხედზე მეტს ჰყავდა ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც შეადგენენ დედამიწის მოსახლეობის ერთ მეექვსედს [5, 149].

ერთ-ერთი კვლევის მონაცემთა მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით 8000-მდე დამოუკიდებელი კულტურაა, მაგრამ მხოლოდ 200-მდე სახელმწიფოა [6, 164].

როგორც ევროპის არაერთი სახელმწიფო, ესპანეთიც მრავალეროვანი ქვეყანაა და ჰყავს თავისი ეროვნული უმცირესობა. აქ საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ კასტილიის, კატალონიის, ბასკების, გალისელების და სხვა ეთნიკური ჯგუფები თავისი ენით, განსაკუთრებული ადმინისტრაციული სტატუსით, ფინანსური და სამართლებრივი პრივილეგიებით (ე. წ. „ფუეროსით“) [7, 65].

ქვეყანა არის აფრიკის კონტინენტთან ყველაზე ახლოს მდებარე დასავლური სახელმწიფო, რომლის კულტურაზე და ეროვნულ იდენტობაზე დიდი გავლენა იქონია საუკუნეობრივმა მაჰმადიანურმა ოკუპაციამ (არაბების ბატონობა რვა საუკუნე გაგრძელდა, 711 წლიდან 1492 წლამდე) [8, 127].

ქვეყნის სახელი ე ს პ ა ნ ე თ ი სავარაუდოდ სემიტური წარმოშობისაა და ითარგმნება, როგორც „დამალული“. სხვა ვერსიით იგი ფინიკიურიდან წარმოდგება და ნიშნავს „კურდღლების სანაპიროს“.

ანტიკურ პერიოდში პირენეის ნახევარკუნძულს ჰქონდა სხვა სახელწოდებაც. ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნეში ბერძენი გეოგრაფები ნახევარკუნძულს ი ბ ე რ ი ა ს უწოდებდნენ. ყოველ შემთხვევაში, სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც ცხოვრობდნენ მრავალრიცხოვანი ტომები და, რომლებსაც ბერძნები ერთობლიობაში იბერებს უწოდებდნენ, გამოირჩეოდნენ საოცარი მებრძოლი სულით...

პირენეის ნახევარკუნძულს იბერია პირველად უწოდა ბერძენმა ლოგოგრაფოსმა ჰ ე კ ა ტ ე მ ი ლ ე თ ე ლ მ ა, რომელიც ცხოვრობდა VI ს-ის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში.

ერთი ვერსიის თანახმად, ეს იბერები აფრიკული ბერბერების შთამომავლები არიან, ან ბასკების ახლო ნათესავები. მეორე ვერსიით – ებრაელების შთამომავლები, რომლებიც ვიდრე დაეუფლებოდნენ ივრითს, ლაპარაკობდნენ ფინიკიურის რომელიღაც კილოზე. აი, მესამე ვერსიისათვის კი – დიდი მადლობა ბერძნებს. განსაკუთრებით გეოგრაფოს მ ე გ ა ს თ ე ნ ე ს, რომელიც ცხოვრობდა IV-III საუკუნეებში ჩვენს ერამდე. მეგასთენე წერდა, რომ

დიდმა მეფემ ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ მ ა დაიპყრო პირინეის ნახევარკუნძული და ტყვედ წაიყვანა იქაური მოსახლეობა, რომლებიც დაასახლა შავი ზღვის სანაპიროზე. მეორე ავტორი დ ი ო ნ ი ს ე აზუსტებს: „შავსა და კასპიის ზღვას შორის“.

გარდა ამისა, საქართველოს ბერძნები უწოდებდნენ ასევე იბერიას. გამოვიდა, რომ არსებობს ორი იბერია – დასავლეთში და აღმოსავლეთში. ზოგიერთები დიდი ხანია მწვავედ კამათობენ, საიდან და როდის გადასხლდნენ იბერები – დასავლეთიდან აღმოსავლეთში თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთში. კამათი გაგრძელდა ქრისტიანობის ეპოქაშიც. XI საუკუნეში ივერიის მონასტრის დამაარსებელი იოანე გაემგზავრა ესპანეთში, რათა შეხვედროდა „ესპანელ ქართველებს“. თუმცა მოგზაურობა სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლომდე ვერ განხორციელდა.

ესპანეთი მდებარეობს ევროპის სამხრეთ-დასავლეთით პირენეის ნახევარკუნძულზე. ჩრდილოეთით აკრავს ბისკაის ყურე, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ატლანტის ოკეანე. სამხრეთით და აღმოსავლეთით – ხმელთაშუა ზღვა. ჩრდილო-აღმოსავლეთით პირენეის მთები ქმნიან 677 კმ. სიგრძის ბუნებრივ საზღვარს საფრანგეთსა და ანდორასთან. დასავლეთით ესაზღვრება პორტუგალია, სამხრეთით – გიბრალტარი.

ფლობს პიციუზისა და ბალვარის კუნძულებს ატ-ლანტის ოკეანეში [9, 65-66]. ქვეყნის კლიმატი ხასი-ათდება მკვეთრი ცვალებადობით. ცენტრალურ ნა-წილში ზაფხული იმდენად მშრალია, რომ ყველა პატარა მდინარე შრება. სევილიაში ზაფხულის ტემპერატურა 49 გრადუსს აღწევს, ყველაზე რბილი კლიმატი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეა. აქ იან-ვრის საშუალო ტემპერატურა 14 გრადუსია [9, 69-70].

სახელმწიფოს ფართობი 508. 800 კმ- ია. 2006 წლის მონაცემებით აქ ცხოვრობდა 40 მილიონ 270 ათასი ადამიანი. მოსახლეობის 75% ესპანელია, 5, 3 მილიონი – კატალონიელი, 2, 6 მილიონი გალისე-ლი, 800 ათასი ბასკი. არიან ბოშები და პორტუგა-ლიელები. ქვეყნის გარეთ 2, 7 მილიონი ესპანელი ცხოვრობს [10, 32-33].

ესპანეთის ისტორია რამდენიმე ათეულ საუკ-უნეს მოითვლის. რომაელები სიტყვა ესპანეთს მრავლობით რიცხვში იყენებდნენ და ამ ტერმინში მთელ პირენეის ნახევარკუნძულს გულისხმობდნენ. ვარაუდობენ, რომ ადამიანი პირენეის ნახევარკუნ-ძულზე 35 ათასი წლის წინათ დასახლდა.

ძვ. წ. აღ. – ის I ათასწლეულის დასაწყისში ეს-პანეთის ამჟამინდელ ტერიტორაზე უძველესი სა-ხელმწიფო ტ ა რ ტ ე ს ო ს ი არსებობდა. ძვ. წ. აღ. – ის III-II საუკუნეებში ეს ტერიტორია ჯერ კართაგენ-

მა, შემდეგ რომაელებმა დაიკავეს, ხოლო ახ. წ. – ის V საუკუნეში ვესტგოთებმა დაიპყრეს.

VIII-XV საუკუნეებში აქ არაბები და ბერძნები ბატონობდნენ. მიუხედავად ამისა ესპანეთის ცალკეული პროვინციები თავგანწირვით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის [9, 67-68].

ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი გაშენებულია პირინეის ნახევარკუნძულის ცენტრში, მ ე ს ე ტ ი ს პლატოზე, მდინარე მ ა ნ ს ა ნ ა რ ე ს ი ს ორივე ნაპირზე. ქალაქი წარმოიშვა მ ა ვ რ ე ბ ი ს ციხე-სიმაგრე მ ა χ ა რ ი ტ ი ს გარშემო. წყაროებში პირველად ნახსენებია 932 წელს. 1083 წელს გაათავისუფლეს არაბებისაგან. რ ე კ ო ნ კ ი ს ტ ა შ ი (ომით, ბრძოლით დაბრუნება) მისი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობისათვის მიიღო ქალაქის პრივილეგიები. XIV-XV საუკუნეებში იყო კასტილიის მეფეების სატახტო ქალაქი და კორტესის სხდომების ადგილი. 1561 წელს ფილიპე II-მ მადრიდი დედაქალაქად აქცია [9, 70-71].

ზოგადად, XV ასწლეული მნიშვნელოვან მოვლენად იქცა პირენეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებისადმი. ამ პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებობდა ხუთი სახელმწიფო: ყველაზე ვრცელი სამფლობელო გააჩნდა კასტილიას. ტერიტორიის სიდიდით შემდეგი იყო ა რ ა გ ო ნ ი ს, ნ ა ვ ა რ ა ს სამეფოები და გ რ ა ნ ა დ ი ს ემირატი, რომე-

ლიც იმ დროს არაბი-მუსულმანების ხელისუფლებას ემორჩილებოდა. ცალკე იყო პ ო რ ტ უ გ ა ლ ი ი ს პოლიტიკური ერთეული. ესპანელებს მოუწიათ განეხორციელებინათ რეკონკისტა და ამგვარად შექმნილიყო გაერთიანებული, ძლიერი სახელმწიფო. ფერდინანდ არაგონელსა და იზაბელა კასტილიელს ესპანეთში დღემდე წმინდანებად მიიჩნევენ. თვლიან, რომ მათი მმართველობის დროს ქვეყანამ არნახულ აყვავებას მიაღწია. მაგრამ, მხოლოდ ამით არ გაუთქვამს სახელი აღნიშნულ წყვილს: ფერდინანდისა და იზაბელას ქორწინება ისტორიაში შევიდა, როგორც ბედნიერი და სიყვარულით შექმნილი კავშირი [11, 30].

როდესაც 1474 წელს იზაბელა გახდა კასტილიის დედოფალი, ხოლო ფერდინანდი არაგონის მეფე (1479 წელს) – ფაქტიურად შეიქმნა ერთიანი ესპანეთის სამეფო. მაგრამ ერთია „შექმნა“ ერთიანი სახელმწიფო ქაღალდზე – საჭიროა ქვეყნის რეალური გაერთიანება. სწორედ ამ მიზნით, იზაბელამ 1483 წელს კასტილიისა და არაგონის დიდი ინკვიზიტორის თანამდებობაზე დანიშნა თავისი სულიერი მოძღვარი ტ ო მ ა ზ ო დ ე ტ ო რ კ ვ ე მ ა დ ა. ამ შემთხვევაში ეს იყო არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ პოლიტიკური თანამდებობა.

ამ ადამიანის სახელი საზოგადოების მახსოვრობაში საშინელ მოგონებებთან არის დაკავშირე-

ბული; ადამიანების კოცონზე დაწვა, ინკვიზიციის დღეებში ადამიანების წამება, ბნელეთის მოციქულთა და ფანატიზმის ზეიმი. ამავე დროს თანამედროვენი მას უწოდებდნენ „ერეტიკოსების ურროს“, „ესპანეთის სინათლეს“, „თავისი ქვეყნის გადამრჩენს“ და ა. შ. [12, 16].

1470-იან წლებში ესპანეთის მეფეებს არ ჰქონდათ ძირითადი რეზიდენცია. ამიტომ იზაბელა და ფერდინანდი მუდმივად მოგზაურობდნენ ქვეყნის მასშტაბით. სამეფო წყვილმა ევროპაში პირველად დააფუძნა პოლიციური უწყება, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდა და ფართო უფლებები გააჩნდა. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად იკლო დანაშაულის რიცხვმა. მოსახლეობა მადლიერებას გამოხატავდა მმართველი წყვილის მიმართ. სწორედ ამ დროს დაიწყო მეფე-დედოფალმა ტერიტორიების გაერთიანება და გარკვეულწილად მიაღწია კიდეც რომის პაპისგან დამოუკიდებლობას. იზაბელა და ფერდინანდი ცდილობდნენ სასულიერო ხელისუფლების კონცენტრაციას საკუთარ ხელში.

1492 წლის იანვარში გრანადის ემირატმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ეს იყო არაბების მიერ ოკუპირებული ტერიტორია პირენეის ნახევარკუნძულზე.

ესპანეთში, ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ ეთნიკური უმცირესობები. რას ნიშნავდა „ყოფილიყავი ებრაელი“ შუა საუკუნეებში

საერთოდ, და კერძოდ ესპანეთში? მათი მდგომარეობა იყო საშინელი. ებრაელებისათვის ერთდერთი საშუალება თავი დაეღწიათ დამცირებისა და შევიწროებისაგან, სიკვდილით დასჯაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლა იყო (ასეთ მონათლულ ებრაელებს ესპანეთში უწოდებდნენ მ ა რ ა ნ ე ბ ს) [12, 16].

1492 წლის 31 მარტს იზაბელამ და ფერდინანდმა ხელი მოაწერეს ედიქტს, რის გამოც დედოფალს ყველაზე მეტად კიცხავდნენ შთამომავლები. ეს იყო ბრძანება ორივე სამეფოდან – კასტილია და არაგონი – გაეძევებინათ ებრაელები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ესპანეთის ტერიტორიაზე. მათ უფლება მიეცათ წაეღოთ, რასაც ხელში დაიკავებდნენ, ხოლო ოქრო და ვერცხლი მთლიანად ჩამოართვეს. ნათელია, რომ ესპანეთმა დაკარგა განათლებული და საქმიანი ხალხი, რომელთა ყოფნა ქვეყანაში კეთილად მოქმედებდა მის განვითარებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარჩენა შეეძლოთ მხოლოდ იმ ებრაელებს, რომლებიც ქრისტიანად მოინათლებოდნენ. ახლად „რჯულმოქცეულებს“ თვალყურს ადევნებდა ინკვიზიცია – საიდუმლოდ ხომ არ ატარებდნენ იუდაიზმის რიტუალებს? ასეთ შემთხვევაში მათ სასტიკი სასჯელი ელოდათ [11, 31].

ლეგენდის თანახმად ებრაელებმა შესთავაზეს ხელისუფლებას გამოსასყიდი (30 ათასი დუკატი) – რათა არ გაეძევებინათ ქვეყნიდან. ამასთან დაკავშირებით ტორკვემადამ შემდეგი განმარტება მისცა მეფე-დედოფალს: „იუდამ ქრისტე 30 ვერცხლად გაყიდა და თქვენ გსურთ ის გაყიდოთ 30 ათასად?!“ ასეთი არგუმენტის შემდეგ იზაბელამ და ფერდინანდმა დეკრეტს ხელი მოაწერეს [12, 17].

მუსულმანებს თავიდან რბილად ექცეოდნენ, მაგრამ თანდათან მათ აუკრძალეს აღმსარებლობა და სიმდიდრის ქონა. ცოტა ხანში ისინიც ებრაელების გზას გაუყენეს; ქვეყანამ დაკარგა მრავალი უნარიანი და შრომისმოყვარე გლეხი და ვაჭარი. თუმცა, შემდგომი ორი ასწლეულის განმავლობაში მათი რაოდენობა კვლავ გაიზარდა.

XV საუკუნის ბოლოს ესპანეთი ჩაერთო „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ პროცესში. ამავე დროს გააფართოვა თავისი ტერიტორიები და შექმნა კოლონიური იმპერია. 1519 წელს ესპანეთის მეფე კარლოს I „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორი გახდა.

XVII საუკუნის ბოლოს ესპანეთში მცხოვრები არაბებისადმი, უარყოფითი დამოკიდებულება კვლავ გაიზარდა. ესპანელები, და საერთოდ ევროპელები მავრებს უწოდებდნენ, ვინც ოდესღაც ქვეყანა დაიპყრეს და რვა საუკუნე ბატონობდნენ. უმ-

რავლესობა მაჰმადიანი იყო. არაბები იბრძოდნენ უფლებების მოსაპოვებლად, რადგან ესპანეთში მათ მონებივით ექცეოდნენ. ისინი აქტიურობით გამოირჩეოდნენ განსაკუთრებით გრანადასა და ვალენსიაში, რის გამოც ხელისუფლებამ განაიარაღა. ხელისუფლება შიშობდა, რომ „მავრები“ ქვეყნის შუაგულში ომს გააჩაღებდნენ. რეალური საფრთხისაგან თავის დასაცავად გადაწყდა არაბების ესპანეთიდან განდევნა. მათ ნება მისცეს, ერთი თვის განმავლობაში გაეყიდათ თავიანთი ავლა-დიდება, მიღებული თანხით შეეძინათ ის საგნები, რისი გატანაც ქვეყნიდან დასაშვები იყო [13, 44-45].

ესპანეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები (ბასკური, კასტილიური, კატალონიური, გალისური და სხვ.) თავიანთი ენითა და განსაკუთრებული ადმინისტრაციული წესებით, ფინანსური და სამართლებრივი პრივილეგიებით, თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე სარგებლობდნენ. მოგვიანებით კატალონიელებს, ბასკებს და გალისელებს ყველა უფლება ჩამოერთვათ და ისინი ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარნენ. შემდეგში ქვეყანაში ოთხი ეროვნული ჯგუფიდან აღიარება მხოლოდ ერთმა – კასტილიურმა მიიღო. ასე წარმოიშვა ნაციონალური პრობლემა ესპანეთში [14, 96].

1923-1930 წლებში ესპანეთში დამყარდა სამხედრო-მონარქიული დიქტატურა. 1931 წელს დამ-

ხობილ იქნა მონარქია, ხოლო 1936 წელს გაიმარ-ჯვა სახალხო ფრონტმა. ამავე წლის ივლისში დაიწ-ყო სამოქალაქო ომი, რომელიც ფ რ ა ნ კ ო ს დიქ-ტატურის დამყარებით დასრულდა 1939 წელს.

ფრანკოს მიერ ეროვნული უმცირესობების მი-მართ გატარებულმა უგუნურმა პოლიტიკამ კატას-ტროფული შედეგები გამოიღო და ზიანი მიაყენა ქვეყანას. ყოველივე ამან გამოიწვია ტერორისტუ-ლი დაჯგუფებების წარმოშობა, რომლებიც რეგიონ-ალური დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ [8, 49].

ომის პერიოდში ფრანკომ ქვეყნიდან გააძევა ყველა რადიკალური ელემენტი: ესპანელი ფაშის-ტებისა და ფალანგისტებისაგან შექმნა „ცისფერი დივიზია“ და ჰიტლერელებთან ერთად გაუშვა აღ-მოსავლეთის ფრონტზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც ნაცისტების მხრიდან კულმინაციას მიაღწია ანტისემიტიზმმა და მრავალი ებრაელი თავის გადასარჩენად ესპა-ნეთში აღმოჩნდა კ ა უ დ ი ლ ი ო მ უარი განაცხადა ებარელთა დევნაზე [15, 17].

მეორე რესპუბლიკის პერიოდში (1931-1939 წ.წ.) კატალონიამ და ბასკების ქვეყანამ მიიღო ავ-ტონომია, თავისი მთავრობითა და პარლამენტით, რაც შეიცვალა ფრანკოს დიქტატურის პერიოდში. მთელი 36 წლის განმავლობაში კატალონიელების,

ბასკების, გალისელების მიერ ეროვნული გრძნობის ნებისმიერი გამოვლინება განიხილებოდა, როგორც დანაშაული და მკაცრად ისჯებოდა. ოფიციალური საქმის წარმოება და სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ კასტილიურ (ესპანურ) ენაზე. ხელისუფლებამ აკრძალა გამოეფინათ კატალონური (ს ე ნ ე რ ა) და ბასკური (ი კ უ რ ი ნ ი ა) დროშები, ეცეკვათ ნაციონალური ცეკვები. ეროვნული პრობლემა გამოცხადდა არარსებულად [7, 65-66].

ამავე დროს ფრანკომ გამოსცა დეკრეტი, რომელსაც საფუძვლად დაედო მუსოლინის მიერ შემოღებული კანონი ენის დაცვის შესახებ. დეკრეტის მიხედვით იკრძალებოდა „ეროვნულ უმცირესობათა დიალექტი“ (ბასკური, გალისიური, კატალონიური) და „უცხოური ნასესხობანი“. ადამიანთა სახელები, დასახლებათა, რაიონების, ოტულების და სხვათა სახელწოდებანი უნდა „გაესპანურებულიყო“. მიცვალებულებიც კი არ მოასვენეს. საფლავის ქვები, ბასკურ ენაზე წარწერებით, უნუგეშოდ დარჩენილ ოჯახის წევრებს უნდა გამოეცვალათ. აკრძალეს კომიქსები რეგიონალურ დიალექტებზე, განსაკუთრებით მკაცრი ცენზურის ქვეშ მოექცა საბავშვო ლიტერატურა. „წითელქუდა“ გადაიქცა „ცისფერქუდად“, რუსულ სალდათს დაერქვა „იმპერიული“, ან „ნაციონალური“ [16, 230].

სეპარატიზმთან ბრძოლის მიზნით ფრანსისკო ფრანკომ, საფეხბურთო კლუბებს არაესპანურენოვანი სახელწოდებებისა და სიმბოლიკის გამოყენება აუკრძალა. მისი ძალისხმევით, „ბარსელონას“ გერბიდან გაქრა კატალონიის დროშა, ხოლო „ატლეტიკო კლაბ დე მადრიდ“ გახდა „ატლეტიკო ავიასიონ დე მადრიდ“.

იმავდროულად ფრანკო ფეხბურთელთა ნატურალიზაციის წინააღმდეგი არ ყოფილა. მან წარმოშობით არგენტინელ დ ი ს ტ ე ფ ა ნ ო ს თა ნ, პარაგვაელ მ ა რ ტ ი ნ ე ს ს ა და ურუგვაელ ს ა ნ ტ ა მ ა რ ი ა ს თ ა ნ ერთად, „გააესპანელა“ ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი ფ ე რ ე ნ ც პ უ შ კ ა შ ი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ესპანურ კულტურასთან [17, 68].

საინტერესოა, რომ 1960 წლის მაისის დამლევს შიშის გარკვეული სინდრომიდან გამომდინარე, პოლიტიკური მოტივით ფრანკომ აკრძალა გასვლითი და საშინაო მეოთხედფინალური მათჩები ფეხბურთში ევროპის თასის პირველ გათამაშებაში ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის, რამდენადაც კომუნისტთა მხარდამჭერ დემონსტრაციებს უფრთხოდა. ეს პირწმინდად პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიუღებული იყო იმ დროს, როცა მადრიდის „რეალი“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრები თავიანთი დიდების ზენიტში იმ-

ყოფებოდნენ. ესპანელ გულშემატკივრებს, ცხადია, არ მოეწონათ.

ფრანკო იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „სპორტული ემოციების გაკონტროლება ძნელია“ და შემდგომში ფეხბურთს იყენებდა, რათა ხალხის ყურადღება პოლიტიკური და სოციალური პრობლემებიდან სპორტზე გადაეტანა [16, 329].

მოგვიანებით, მოტეხილი და სიბერეში შესული ფრანკო უფრო ლმობიერი გახდა, რაც თვალნათლივ გამოვლინდა 1964 წელს, როდესაც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მადრიდში უნდა ჩატარებულიყო, ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ფრანკომ არათუ აკრძალა მატჩი, არამედ გადაწყვიტა, რომ თამაშს თვითონაც დასწრებოდა. მინისტრები ამ იდეას თავშეკავებით შეხვდნენ იმის შიშით, რომ თუკი საბჭოთა კავშირის ნაკრები გაიმარჯვებდა, კაუდილიო თასის გადაცემაზე უარს იტყოდა. აი, ასოცი ათასი გულშემატკივარი კი სტადიონზე მას აღფრთოვანებით მიესალმა, ერთხმად გაჰყვიროდნენ: „ფრანკო! ფრანკო! ფრანკო!“ ესპანეთმა რეჟიმის საბედნიეროდ, გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. სიამაყით აღვსილმა მწვრთნელმა ეს გამარჯვება მიუძღვნა „გენერალისიმუს ფრანკოს, რომელმაც თავისი დასწრებით პატივი დასდო და

ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვება შთააგონა“ [16, 336].

XX საუკუნის მეორე ნახევარში ესპანეთი გახდა ეთნიკურად ყველაზე დაპირისპირებული ქვეყანა დასავლეთ ევროპაში. ბასკები, რომლებიც იბრძოდნენ ეროვნული თვითგამორკვევისათვის, სახელმწიფო სტრუქტურებს ნამდვილი ომი გამოუცხადეს. ხელისუფლების პასუხი აღმოჩნდა მოულოდნელი, არაკანონიერი, მაგრამ გადამწყვეტი.

უაღრესად შევიწროებული ეროვნული უმცირესობიდან ფრანკოს რეჟიმის დროს, ზოგადად, ყველაზე მეტად პროტესტის გრძნობას ბასკები გამოხატავდნენ. ამიტომ, სანიმუშოდ მათზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1958 წელს სამას ოცდაცხრამეტმა ბასკმა მღვდელმა წერილი გაუგზავნა ესპანელ ეპისკოპოსებს, რომელშიც გაკრიტიკებული იყო „აზრის თავისუფლებისა და ასოციაციების არარსებობა, პოლიციის მიერ გამოყენებული მეთოდები, სახელმწიფო კონტროლი, ბელადის უცოდველობის დოქტრინა, ბრმა კონფორმიზმი და ოფიციალური პროფკავშირების სისტემა“ [16, 325].

ბასკი ხალხის შედარებით რადიკალურმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ესპანეთის ჩრდილოეთსა და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, 1959 წელს შექმნეს მემარცხენე-

რადიკალური ორგანიზაცია „Euskadi ta Askatasuna“ („ეტა“) „ბასკების ქვეყანა და თავისუფლება“.

ბრძოლის ტაქტიკა, რომელიც „ეტა“-მ აირჩია შორს იდგა მშვიდობიანი ქმედებისაგან – ტერორი პოლიტიკოსების, სამხედროების, პოლიციელების, სპეცსამსახურების წინააღმდეგ. ბოევიკების პირველი წარმატებული თავდასხმა განხორციელდა საიდუმლო პოლიციის კომისარზე – მ ე ლ ი ტ ო ნ მ ა ნ ს ა ნ ა ს გ ო ნ ს ა ლ ე ს ზ ე. ის იყო წარმოშობით ბასკი, მაგრამ „სეპარატიზმის“ აშკარა მოწინააღმდეგე. მისი მკვლელობა გახდა საჩვენებელი – ბოევიკები გონსალესს დარაჯობდნენ სახლის სიახლოვეს და დაცხრილეს შვიდი ტყვიით.

აღნიშნულმა თავდასხმამ გამოიწვია საპასუხო ნაბიჯები – ხელისუფლებამ 1968 წელს მიიღო ახალი ანტიტერორისტული კანონი და ჩაატარეს მთელი ესპანეთის მასშტაბით ანტიტერორისტული კამპანია, რომლის შედეგად დააპატიმრეს 1963 კაცი. იმავე წლის დეკემბერში ჩატარდა სასამართლო პროცესი, რომელზეც გაასამართლეს „ე ტ ა“-ს 19 ბოევიკი. ექვსს მიუსაჯეს დახვრეტა, რაც ბოლოს პატიმრობით შეუცვალეს. მოგვიანებით გაასამართლეს „ეტა“-ს რამდენიმე ლიდერი. ტერორისტებმა ტაიმ-აუტი აიღეს... [18, 18]. თუმცა რეპრესიები გრძელდებოდა.

ესპანურ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ბასკების გამოსვლები და მანიფესტაციები ექსტრემისტულ, ტერორისტულ და სეპარატისტულ გამოხდომებად არის კვალიფიცირებული. როგორც ცნობილია ისტორიული კატაკლიზმების შედეგად XVI საუკუნეში ბასკების განსახლების ჩრდილოეთი რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთი რაიონები კი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე – ერთიანი ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში. ამდენად, არსებული ვითარების გამო ბასკეთი ორად გაიხლიჩა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში აღმოჩნდა. ბასკების მოთხოვნები ავტონომიისათვის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებებისათვის საერთაშორისო სამართალს არ ეწინააღმდეგებოდა.

ბასკები შეეხნენ განსაკუთრებით მგრძნობიარე ნევროტულ სიმს კაუდილიოს სულში. მისი შეუბრალებელი დამოკიდებულება ბასკი კათოლიკეებისადმი უკვე გამოვლინდა გ ე რ ნ ი კ ა შ ი. და კიდევ ერთხელ იქნა დემონსტრირებული 1970 წლის 18 სექტემბერს, „ბასკურ პელოტაში“, სკვოშის ესპანურ ვარიანტში მსოფლიო ჩემპიონატის დროს. საერთაშორისო პრესის თავზარდასაცემად, კაუდილიო აუღელვებლად უყურებდა იმას, რომ იმ კაცმა, რომელიც ერთადერთ სამხედრო ნაწილს მეთაურობ-

და გერნიკაში სწორედ იმ დღეს, როდესაც ქალაქი უმოწყალოდ დაბომბეს, პირდაპირ მის თვალწინ შეძახილით „გაუმარჯოს ბასკონიას!“ თავი დაიწვა. ამის შედეგად, მემარჯვენე ექსტრემისტებს არმიიდან დიდად აღარ გასჭირვებიათ დაერწმუნებინათ ფრანკო, რომ უაღრესად უდროო და მავნე სასამართლო პროცესი წამოიწყო თექვსმეტი ბასკი პატიმრის წინააღმდეგ, რომელთა შორის ორი მღვდელი იყო. სწორედ ამ დროს ესპანეთს ეწვივნენ მაღალი რანგის სტუმრები: პრეზიდენტი ნიქსონი და ჰენრი კისინჯერი, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ მათ არანაკლებ ბრწყინვალედ დახვდებოდნენ, ვიდრე 1959 წელს ეუზენჰაუერს. ისინი ჩავიდნენ ესპანეთში ამერიკული ბაზების ბედის განსახილველად. შეხვედრის ცერემონიაზე პრეზიდენტი მასპინძლებს ვერაფერს დაუწუნებდა, მაგრამ მოლაპარაკების დროს ხანდაზმულ ფრანკოს და გადაქანცულ კისინჯერს ჩაეძინათ, ნიქსონი კი ლოპეს ბრავოს შეატოვეს.

ამერიკულმა ვიზიტმა მაინცდამაინც ვერ შეუწყო ხელი უთანხმოების შენელებას ესპანეთის შიგნით ანდა კაუდილიოს შურისმაძიებლობის შერბილებას. როგორც კი ბურგოსში, დეკემბრის თვეში „ეტა“-ს ბოევიკთა პროცესი დაიწყო, საერთაშორისო პრესა და ზომიერი მინისტრები ემუდარებოდნენ ფრანკოს, თავშეკავება გამოეჩინა. მისი ძმა ნი-

კოლასიც კი გაცხარებული არწმუნებდა, სასიკვდილო განაჩენზე ხელი არ მოეწერა. „ეს შენს ინტერესებში არ არის. ამას იმიტომ გეუბნები, რომ მიყვარხარ. შენ – კეთილი ქრისტიანი ხარ და შემდგომში, უსათუოდ ინანებ ჩადენილს“. მთელი მსოფლიო შეძრწუნებული ადევნებდა თვალს სასამართლო პროცესს, სადაც საჯაროდ გახდა ცნობილი დატუსაღებული ბასკების წამების ფაქტები. მემარცხენეები აღშფოთებული იყვნენ თავად სასამართლო დევნით, ხოლო მემარჯვენეები – იმით, რომ დიდი ხანია, სამაგალითოდ არავინ დასჯილა. სასამართლომ „ეტა“-ს სამი ბოევიკიდან თითოეულს ცალ-ცალკე ორ-ორი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. გეგონებოდა, რომ ესპანეთი, რაღაც მეოთხედი საათის განმავლობაში, ოცდაათი წლით უკან დაბრუნდაო [16, 345-346].

ბასკმა ტერორისტებმა „ტაიმ-აუტი“ დაარღვიეს 1973 წლის 20 დეკემბერს. ამ დღეს დანიშნული იყო საჩვენებელი პროცესი იატაქვეშა პროფკავშირების, ე. წ. „მუშათა კომისიების“ ათ ლიდერზე. დილის ათის ნახევარზე, სასამართლოს დაწყებამდე, „ეტა“-ს ბოევიკთა გუნდმა ფრანკოს შემცვლელი პრემიერ-მინისტრის, ადმირალ ლ უ ი ს კ ა რ ე რ ო ბ ლ ა ნ კ ო ს ბრონირებული ავტომობილი მადრიდის ცენტრში ააფეთქა. მანქანა ჰაერში ავარდა. მთავრობის თავმჯდომარე სახლს „გადააფრინდა“

და მონასტრის სიახლოვეს აივანზე „ჩამოვარდა“. ბლანკოს ყველა თანამგზავრი და ასევე დაცვის მანქანაში მყოფი თანამშრომლები დაიღუპნენ. აქტი განხორციელდა „ეტა“-ს ბოევიკთა ლიდერის ხ ო ს ე მ ი გ ე ლ ბ ე ნ ი ა რ ა ნ ი ს მეტსახელად (ა რ გ ა ლ ა) ხელმძღვანელობით [18, 18].

1975 წლის ზაფხულში „ეტას“ წევრობაში ეჭვმიტანილი სამი ადამიანის სასიკვდილო განაჩენის გამოტანამ ბასკთა ქვეყნის უკიდურესი პოლიტიზირება მოახდინა. მიუხედავად რეპრესიებისა, 1975 წლის 11 ივნისს სოლიდარობის მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა. საყოველთაო გაფიცვებმა აგვისტოსა და სექტემბერში რეგიონის პარალიზება გამოიწვია. აგვისტოში ახალი დრაკონული კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ მთელ ქვეყანაში გავრცელდა. 12 სექტემბერს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს სამ ტერორისტს „ფრაპი“-დან, ხოლო ექვსი დღის შემდეგ – ამ ორგანიზაციის კიდევ ექვს აქტივისტს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის პარლამენტი, გაერო, რომის პაპი, დონ ხუანი და თავად ესპანეთში მრავალი ეპისკოპოსი შეწყალებას ითხოვდნენ, და მასობრივი გაფიცვები და უზარმაზარი დემონსტრაციები იმართებოდა, „ეტას“ სამი ტერორისტი და „ფრაპის“ ორი წევრი 27 სექტემბერს დახვრიტეს. ცამეტმა ქვეყანამ ესპანეთიდან ელჩები გაიწვია, ხოლო ესპანეთის ოთხ საელჩოს ცეც-

ხლი წაუკიდეს. ძნელია, იპოვო უფრო თვალსაჩინო სიმპტომი რეგრესიული რეჟიმის დასასრულისა [16, 356-357].

1975 წლის ნოემბერში ფრანკოს სიკვდილის შემდეგ მეფედ გამოცხადდა ხ უ ა ნ კ ა რ ლ ო ს ი. დაიწყო დემოკრატიული გარდაქმნები. 1976 წელს შემოიღეს საპარლამენტო სისტემა. ლეგალიზებული გახდა პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები. 1977 წელს დაიშალა მმართველი პარტია – ესპანური ფალანგა [9, 67-68].

„ეტა“, რომელსაც დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ იარაღი არ დაუყრია, შეუდგა ნაციონალისტური პოლიტიკის დამუშავებას, რომლის მიზნები ესპანეთის დანარჩენი ნაწილის დემოკრატიულ მისწრაფებებზე გაცილებით შორს მიდიოდა. ბასკების ამგვარი საბრძოლო სულისკვეთება მაინცდამაინც არ უწყობდა ხელს რადიკალურ ფრანკისტთა შერიგებას პოლიტიკურ ცვლილებებთან [16, 362]. 1976 წელს ა დ ო ლ ფ ო ს უ ა რ ე ს ი ს მთავრობა ფაშიზმის დემონტაჟის ჩარჩოებში და დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე ცდილობდა მოლაპარაკებას ეტა-სთან, თუმცა უშედეგოდ [18, 19]. ფრანკოს მემკვიდრეობა – მუდმივად მზარდი ინფლაცია, უმუშევრობა, ტერორიზმი და სამხედრო გადატრიალების საფრთხე – მოუღონიერებელ დემოკრატიას ტანჯავდა მთელი ხუთი წლის განმავ-

ლობაში, ვიდრე სუარესი პრემიერ-მინისტრის პოსტზე იმყოფებოდა. კატალონიის და ბასკთა ავტონომიაზე ლაპარაკიც კი ცოფს ჰგვრიდა გენერლებს, მემარჯვენე ფრთას რომ მიეკუთვნებოდნენ. ისინი დაუფარავად ამჟღავნებდნენ თავიანთ მზადყოფნას საომარი მოქმედებისათვის, რომელიც ცენტრალიზებული სახელმწიფოს დასუსტების ნებისმიერი მცდელობის მოსპობისაკენ იქნებოდა მიმართული [16, 363].

1978 წელს დაფუძნდა „ეტა“-ს ლეგალური ფრთა (ე რ ი ბ ა ტ ა ს უ ნ ა – „სახალხო ერთობა“). ხელისუფლებას ბასკი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარე ძალად მოევლინა ნაცისტი დივერსანტი ო ტ ო ს კ ო რ ც ე ნ ი, რომელმაც ჩამოაყალიბა ორგანიზაცია „პალადინი“. გერმანელების გარდა ორგანიზაციაში შევიდნენ ფრანგები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. „ესპანელ ბასკებს მხარს უჭერდნენ „ფრანგი ბასკები“ (გასკონელები). ამ დაპირისპირების შედეგად მსხვერპლი კიდევ უფრო იზრდებოდა... [18, 19].

ქვეყანაში დაძაბულობის მიუხედავად, სუარესის მთავრობამ კურსი აიღო დემოკრატიული წესრიგის დამყარებაზე. აღიარეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. 1977 წელს შეიქმნა რეგიონების საქმეთა სპეციალური სამინისტრო, რომელსაც მოგვი-

ანებით ეწოდა – ტერიტორიული ადმინისტრაციის სამინისტრო.

ფორმულა – „ეროვნებები და რეგიონები“, საზოგადოების მიერ მიღებულ იქნა, როგორც ფრანკისტული კონცეფციის – ერთიანი და ერთადერთი ესპანელი ერის – უარყოფა. ესპანეთის ისტორიაში 1978 წლის კონსტიტუციამ აღიარა, რომ ესპანეთი შედგება ეროვნებებისა და რეგიონებისაგან [7, 66].

ტერმინი „ეროვნებები“, კონსტიტუციაში შეიტანეს მწვავე დაპირისპირების შემდეგ; ხელისუფლება ამ ფორმულირების წინააღმდეგი გამოდიოდა. ოპოზიცია კი საპირისპიროს აიძულებდა. 1978 წლის თებერვალში მიღწეული იქნა შეთანხმება: კატალონიელების, ბასკებისა და გალისიელებისთვის მიეღოთ ტერმინი „ეროვნებები“ და მიეცათ მათთვის ფართო ავტონომია [7, 66, სქოლიო 2]. ამავე წლის დეკემბერში ბასკების წმინდა ქალაქ გ ე რ ნ ი კ ა შ ი გამოქვეყნდა ბასკეთის ავტონომიის საბოლოო პროექტის სტატუსი. პროექტი განიხილავდა კასტილიური და ბასკური ენების თანასწორობას. სტატუსი ხელმოწერილ იქნა მეფე ხ უ ა ნ კ ა რ ლ ო ს ი ს მიერ 1979 წლის 1 მაისს [7, 77].

ამ აქტის შემდეგ მთელი ქვეყანა „ავტონომიზაციის ციებ-ცხელებამ“ მოიცვა. ავტონომიას მოითხოვდნენ არა მხოლოდ განსხვავებული ენისა და კულტურის მქონე ხალხები, არამედ ასევე იმ რეგი-

ონის მცხოვრებლებიც, რომელთა ესპანურობაში ეჭვი არავის არასოდეს შეუტანია. ის ფაქტი, რომ დეცენტრალიზაციის შედეგად ავტონომია მოიპოვა არა მხოლოდ კატალონიამ, ბასკების ქვეყანამ [8, 50], გალისიამ, ასევე, (მართალია მცირე დოზით) ისეთმა მხარეებმა, როგორიც იყვნენ ანდალუზია, ესტრამადურა, კანარისა და ბალეარის კუნძულები. ამავე დროს მსგავს პრეტენზიას აცხადებდა ესპანეთის ბირთვი – კასტილია, რომელიც არის მკაცრი ცენტრალისტური ტენდენციების მატარებელი.

ჩვეულებრივ, ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონები, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით განეკუთვნება შედარებით ჩამორჩენილ მხარეებს და წარმოადგენს შიდა კოლონიზაციის ობიექტებს. ესპანეთში ჩამოყალიბდა განსხვავებული ვითარება: სამი ნაციონალური რაიონიდან ორი – კატალონია და ბასკეთი – წარმოადგენენ ქვეყნის შედარებით განვითარებულ მხარეებს. სწრაფი ეკონომიკური განვითარება შეიმჩნეოდა ფრანკოს რეჟიმის დროსაც. მხოლოდ გალისია რჩებოდა ტრადიციულად ჩამორჩენილ ტერიტორიად [7, 67].

1978 წლის ესპანეთის ახალი კონსტიტუციის თანახმად ქვეყანაში შეიქმნა 17 ავტონომიური გაერთიანება. შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთი ერთ-

ერთი რეკორდსმენია კონსტიტუციების მიღების რაოდენობით. კერძოდ, XIX-XX საუკუნეებში კონსტიტუცია მიღებულ იქნა: 1812, 1834, 1837, 1845, 1869, 1876, 1931, 1978 წლებში [7, 41].

ეროვნულ უმცირესობათა ნაწილს ავტონომიური მმართველობა აღარ აკმაყოფილებს და სრული დამოუკიდებლობისათის იბრძვის, მაგალითად, 2006 წელს კატალონიამ ფინანსური დამოუკიდებლობა გაიფართოვა, მაგრამ ეს მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. კატალონია სუვერენიტეტის მოპოვებას ენობრივი, კულტურული და ეკონომიკური მიზეზებით ცდილობს. აქ ქვეყნის მოსახლეობის 16% ცხოვრობს, მაგრამ საერთო შიდა პროდუქტის 23%-ს სწორედ კატალონია აწარმოებს და კატალონიელებიც ლოგიკურად ასკვნიან, რომ მშვენივრად იცხოვრბდნენ, თუ მათ მიერ გამომუშავებული ფული ესპანეთის სხვა პროვინციების შესანახად არ დაიხარჯებოდა. ამიტომ, ლოზუნგი „გვეყოფა, ეპანეთის გამოკვება“, მათთვის ძირითადი ლოზუნგია. 2012 წელს რეგიონული არჩევნების შედეგების მიხედვით, პარლამენტში სადეპუტატო მანდატების დიდი უმრავლესობა კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეებმა მოიპოვეს და ესპანეთიდან კატალონიის გამოყოფის დეკლარაცია გამოაქვეყნეს. 2014 წლის იანვარში კატალონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა რეფერენდუმის ჩატარებას დამოუკიდებ-

ლობის საკითხზე. თუმცა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ პლებისციტი უკანონოდ მიიჩნია.

ესპანეთის სოციორელიგიური კვლევების ცენტრის მონაცემებით, კატალონიის დამოუკიდებლობას ამ 7 – მილიონიანი ავტონომიური ოლქის მოსახლეობის 55% უჭერს მხარს.

კატალონიის მაგალითით შეგულიანებულმა ბასკებმა 2014 წელს სრული დამოუკიდებლობის შესახებ გააკეთეს განაცხადი. მათი პროგრამის მიხედვით, ის უნდა შედგებოდეს სამი პროვინციისაგან, რომლებიც ესპანური ბასკების ქვეყანას ქმნიან და ასევე – ეთნიკური ბასკებით დასახლებული ესპანური პროვინცია ნავარასა და სამხრეთ საფრანგეთის დეპარტამენტებისაგან.

რაც შეეხება ანდალუზიურ ნაციონალიზმს. ის ფრანკოს მმართველობის შემდეგ გაჩნდა, როდესაც ესპანელი დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ მიღებულმა კონსტიტუციამ ყველა რეგიონს საშუალება მისცა, მიეღო თვითმმართველობა, მაგრამ ანდალუზიელებს ეს არ აკმაყოფილებს, მათ სურთ, კანონმდებლობით გაიმყარონ ნაციის სტატუსი.

გალისია მიისწრაფვის დიდი ავტონომიისაკენ, „გალისიონისტების“ რადიკალური ნაწილი კი საერთოდ დამოუკიდებლობას ითხოვს. ეგრეთწოდებული ვალენსიონალიზმი გახლეჩილია ორ ნაწილად

ვალენსიელთა ნაციონალურ იდენტობასთან დაკავშირებული შეხედულების გამო. ერთი ნაწილი თავს კატალონიელად მიიჩნევს და მხარს უჭერს კატალონიის დამოუკიდებლობას, მეორე კი კატალონიელებს მეხუთე კოლონად მიიჩნევს და ვალენსიის განვითარებისკენ მიისწრაფვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. სონღულაშვილი, საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, თბილისი, 2018
2. ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე, მ. პაპაშვილი, ნ. ღუდუშაური, პოლიტოლოგია, თბილისი, 2010
3. Ю. Бромлей, Р. Подольный, Челавечество – Это народы, М., 1990
4. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2006
5. ქ. ჯიჯეიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა, თბილისი, 2010
6. ჯეიმს მაიალი, ნაციონალიზმი და საერთაშორისო წესრიგი, კრ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბილისი, 2004
7. Современная Испания, М., 1983
8. ვ. მოდებაძე, ესპანეთის საგარეო პოლიტიკა (1939-2011), თბილისი, 2012

9. თ. გრიგოლია, მ. ამირგულაშვილი, ევროკავშირის სახელმწიფოთა ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური რუკა, თბილისი, 2012
10. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბილისი, 2006
11. О. Соколовская, Влюбленные правители, Журн. „Загадки истории“, 2022, №52
12. Д. Орлов, Великий инквизитор, Журн. „Загадки истории“, 2022, №35
13. არმან ჟან დიუპლესი დე რიშელიე, მემუარები, ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. ჯაოშვილმა, თბილისი, 2011
14. დ. ხაჩიძე, ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციაში, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №15
15. Е. Филимонова, Фашист с Пиренеев, Журн. „Загадки истории“, 2023, №3
16. გაბრიელა ეშფორდ ჰოჯესი, ფრანკო, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ნატროშვილმა, თბილისი, 2011
17. გ. ურუშაძე, დიქტატორების კლუბი, ჟურნ. „ისტორიანი“, 2012, №14
18. О. Тарасов, Террор против террористов, Журн. „Загадки истории“, 2021, №

SPANISH NATIONAL MINORITY

Summary

Spain is a multinational country. Franco's reckless policy towards national minorities had disastrous results and harmed the state. All this led to the emergence of terrorist groups that fought for regional independence.

After Franco's death, Spain was gripped by the fever of autonomization. According to the new Spanish constitution of 1978, 17 autonomous associations were created in the country. Part of the national minorities is no longer satisfied with the autonomous government and is fighting for complete independence.

ნეიტრალიტეტი თუ მილიტარიზმი? (შვეიცარიის მაგალითზე)

XX საუკუნეში რვა სახელმწიფო დაიშალა. პირველი მსოფლიო ომის შედეგად არსებობა შეწყვიტა ოთხმა იმპერიამ: რუსეთმა, გერმანიამ, ოსმალეთმა და ავსტრია-უნგრეთმა. ამავე საუკუნის 90-იან წლებში ოთხი ქვეყნის – საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, ეთიოპია მოდერნიზაციის შედეგად წარმოიშვა 22 ახალი სახელმწიფო [1, 133], რომელთაც არსებითად შეცვალეს მსოფლიოში ძალთა განლაგების პრინციპი.

საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ შეერთებული შტატები მსოფლიოში ერთადერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ გამოიკვეთა, მაგრამ მან ვერ შეძლო დაემყარებინა მსოფლიო წესრიგი, რომელსაც მხოლოდ თვითონ გააკონტროლებდა. ამ ფონზე ყველგან აქტიურდებოდა განწყობა ამერიკის მსოფლიო ბატონობის წინააღმდეგ. არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთის საომარ კერებში, არამედ ლათინურ ამერიკასა და ევროპაშიც. ამერიკის მცდელობა, გარე სამყაროსათვის თავს მოეხვია საკუთარი ხედვა სამართალსა და მორალზე, ისეთივე კრახით დამთავრდა, როგორც ევროპელი კოლონიზატორების ჰეგომონიისკენ სწრაფვა XIX საუკუნეში [2, 42].

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში 200-მდე სახელმწიფო იყო. აქედან, ევროპაში – 43; აზიაში – 48; აფრიკაში – 52; ჩრდილოეთ ამერიკაში – 24; სამხრეთ ამერიკაში – 12; ავსტრალია და ოკეანეთში – 14;.

საერთაშორისო ურთიერთობები შეცვლილ პირობებშიც სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების მოსაპოვებლად გამართული მარათონი. პოლიტიკა და ეგოიზმი ისევ განუყოფელია. წინააღმდეგობა და შური უფრო მეტად წარმართავს ისტორიას, ვიდრე კეთილშობილური მოტივები. ბრძოლა ძალაუფლებისა და სიმდიდრისათვის კვლავაც თავს უყრის ნაციონალურ ინტერესებს და დამცავ ჯებირებს ქმნის გლობალიზაციის სარისკო გზაზე.

ზოგიერთი პატარა სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში წარმოქმნილი საფრთხეებისაგან თავის დაღწევას ნეიტრალიტეტის, ან მიუმხრობლობის პოლიტიკის გატარებით ცდილობს. ეს ორი ტერმინი მსგავსი შინაარსის მატარებელია, თუმცა ბოლომდე იდენტური მაინც არ არის. „ნეიტრალობა“ ნებისმიერ სიტუაციაში განზე ყოფნას გულისხმობს, მაშინ, როდესაც „მიუმხრობლობა“ ზოგადად არავის მხარეზე ყოფნაა, თუმცა არა ყველა შემთხვევაში [3, 267-268].

ნეიტრალიტეტი თვითონ არის მშვიდობის აუცილებელი სტრუქტურული ელემენტი. ყველა სა-

ხელმწიფო რომ ნეიტრალური ყოფილიყო და თავიანთი ვალდებულებები დაეცვა, ომის საფრთხე აღარ იარსებებდა.

ნეიტრალური სახელმწიფოები წინასწარ იღებდნენ ვალდებულებას, რომ ნებიესმიერ ომში ნეიტრალური იქნებოდნენ, მაშინ როცა სხვა სახელმწიფოები პირობას დებდნენ, რომ პატივისცემით მოეკიდებოდნენ ამ პრივილეგიას. ბუნებრივია, ნეიტრალურ სახელმწიფოს არც ერთ სამხედრო კავშირში გაერთიანების უფლება არა აქვს. „მუდმივი ნეიტრალიტეტი კრძალავს არა მხოლოდ ომის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც უცხო სახელმწიფოებს არ გამოაყენებინოს ტერიტორია სამხედრო მიზნებით“ [4, 107].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ეხება მხოლოდ სახელმწიფოს, და არა – კერძო პირებს. ნეიტრალურ სახელმწიფოს ეკრძალება კერძო პირთა ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება. ასევე, ხელშეუხებელია პრესის თავისუფლება ან მოქალაქის თავისუფალი გამოხატვის უფლება ნეიტრალური სახელმწიფოს მხრიდან: არ არსებობს მრწამსის ნეიტრალიტეტი.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარება ადვილი არ არის. ომის გაუსაძლის პირობებში მრავალი სახელმწიფო სიამოვნე-

ბით ისარგებლებდა ნეიტრალიტეტის უფლებით, მშვიდბიანობისას კი არავის სურს საკუთარი მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა. მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარება იშვიათად არის პოპულარული [2, 219-220].

ნეიტრალიტეტის ცნება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა და ახალ-ახალ თავისუბურებებს იძენდა. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ლეგალური (მუდმივი) და ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი. ამჟამად ლეგალური ნეიტრალიტეტის სტატუსი მხოლოდ სამ ქვეყანას: შვეიცარიას, ავსტრიას და თურქმენეთს აქვს. თურქმენეთს ეს სტატუსი 1995 წელს გაეროს საიუბილეო 50-ე სესიაზე მიენიჭა. თუმცა, ბევრი სპეციალისტის აზრით, თურქმენეთი თავისი ნავთობით იმდენადაა რუსეთზე მიბმული, რომ მის ნეიტრალიტეტს ფორმალური ხასიათი აქვს [3, 269].

აქვე აღვნიშნავთ, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე ქვეყანა პირველ რიგში შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფლებდეს:

1. არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესის მნიშვნელოვან ობიექტს და გეოგრაფიულად „მარგინალურ ზონაში“ უნდა მდებარეობდეს;
2. შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა;

3. უარი თქვას ყოველგვარ ექსპანსიონიზმზე;
4. საჭიროა ახასიათებდეს შიდა შეკავშირებულობის მაღალი დონე;
5. საგარეო პოლიტიკა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი იდეოლოგიისაგან;

ნეიტრალიტეტი მშვიდობიან პერიოდში საომარ ბლოკებში მონაწილეობაზე უარის თქმასაც ნიშნავს. საერთაშორისო სამართალი შეიცავს სამ შეზღუდვას ომის დროს ნეიტრალური ქვეყნის მოქმედებაზე სხვა სახელმწფიოებთან მიმართებაში:

1. არ მიაწოდოს შეიარაღება მეომარ მხარეებს;
2. არ დაუთმოს ტერიტორია ომში ჩართულ სახელმწიფოებს (ბაზირება, ტრანზიტი და ა. შ.)
3. არ გაუწიოს დისკრიმინაცია რომელიმე მხარეს სამხედრო დანიშნულების იარაღისა და საქონლის მიწოდებისას.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი საქართველოსთვის საუკეთესო გარანტია იქნებოდა, თუმცა ამისთვის ჩვენი სურვილი საკმარისი არ არის. საჭიროა, აგრეთვე, ზემოჩამოთვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე კი ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ეჭვის ქვეშ დგება. უფრო მეტიც, საქართველოს სეპა-

რატისტულ რეგიონებში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობის პირობებში საქართველოს რელაურ სუვერენიტეტზე საუბარიც კი არარელევანტურია. და საერთოდ, რუსეთის ვერც ერთი მეზობელი სახელმწიფო ვერ განახორციელებს რეალურ ნეიტრალიტეტს. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც აღვნიშნეთ არ გვაძლევს ნეიტრალობის საშუალებას. საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი, არსებითად, ევროპისგან და ზოგადად გარე სამყაროსგან მოწყვეტას და რუსეთის პირისპირ დარჩენას ნიშნავს. ამიტომაც ის დღეს, მხოლოდ მიმზიდველ ზღაპრად შეიძლება ჩაითვალოს [3, 273].

ნეიტრალიტეტი გამოაცხადა მოლდოვამაც, თუმცა ამ ქვეყანაში რუსული ჯარის ყოფნის პირობებში რეალურ ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი მხოლოდ თავის მოტყუებაა. ასევე, ვიდრე აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამხედრო ბაზები გვაქვს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მთავარი მაგისტრალიდან სულ რაღაც რამდენიმე მეტრში და ქვეყნის დედაქალაქიდან 40 კილომეტრში მტრის ტანკები დგანან, მანამდე ჩვენი ქვეყნის სრულყოფილ სუვერენიტეტზე საუბარიც კი ზედმეტია.

XXI საუკუნეში ნეიტრალიტეტმა დაკარგა ის ისტორიული ხიბლი, რომელიც მას თავის დროზე შვეიცარიამ შეუქმნა. ამის მიუხედავად ნეიტრალიტეტის თემა დროდადრო მაინც აქტუალური ხდება

ხოლმე ქართულ პოლიტიკაში, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილის პოლიტიკური უმწიფარობა, მეორე მხრივ კი რუსეთის პოლიტიკური ისთებლიშმენტის მცდელობები – შეცდომაში შეიყვანოს ქართული მხარე.

1955 წელს დიდი სახელმწიფოების მიერ ავსტრიის ნეიტრალური სტატუსის აღიარებამ, აშშ სერიოზულად შეაშფოთა. მას გაუჩნდა შიში, რომ ავსტრიის ასეთი სტატუსი გერმანიასაც გაუხსნიდა მადას. საქმე ის იყო, რომ სტალინი გერმანიის გაერთიანების წინაპირობად მის ნეიტრალურ სტატუსს ასახელებდა, რაც აშშ-თვის კატეგორიულად მიუღებელი იყო.

არაერთი ქვეყანა წლების განმავლობაში იცავდა ნეიტრალიტეტის კურსს, თუმცა მათი ეს კურსი არ იყო აღიარებული წამყვანი სახელმწიფოების მიერ. სხვადასხვა ფორმით ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებდნენ ნიდერლანდები, ბელგია, კოსტა-რიკა, ლაოსი, კამბოჯა, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი, ირლანდია და თურქმენეთი. შვედეთისა და ფინეთის ნეიტრალიტეტი სამართლებრივად არ იყო აღიარებული, მაგრამ ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახორციელებდნენ „მიუმხრობლობის“ პოლიტიკას. მათი ნეიტრალიტეტი სინამდვილეში მიუმხრობლობა იყო. შვედეთი ამ კურსს საუკუნენახევრის განმავლობაში ატარებდა.

არც ფინეთის ნეიტრალიტეტი იყო აღიარებული საერთაშორისო სამართლით, თუმცა, საბჭოთა კავშირთან დადებული 1948 წლის ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ „ფინეთი იღებს ვალდებულებას არ მიიღოს მონაწილეობა ძლიერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებში“. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია ფინეთისათვის 2023 წელს შესულიყო ნატოში. ხანგრძლივი ნეიტრალიტეტის (მიუმხრობლობის) შემდეგ შვედეთმაც ჩათვალა, რომ მისი უსაფრთხოებისათვის ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში შესვლა აჯობებდა. 2024 წლის თებერვალში შვედეთიც ნატოს წევრი გახდა [3, 270-271].

როცა ნეიტრალიტეტზე იწყება ლაპარაკი, მთელ მსოფლიოში ყველას მყისვე შვეიცარია ახსენდება. ის ნეიტრალური სახელმწიფოს საუკეთესო განსახიერებაა. ეს პატარა ქვეყანა ოთხ განსხვავებულ კულტურას აერთიანებს და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალების გადაკვეთაზე მდებარეობს. შვეიცარიელებს უყვართ თავიანთი სახელმწიფოს შემდეგი ლოზუნგით დახასიათება: „ერთი სახელმწიფო, ორი რელიგია, სამი კულტურა, ოთხი ენა“. მართლაც, შვეიცარიას ოთხი ოფიციალური ენა აქვს: გერმანული, ფრანგული, იტალიური და – რეტრორომანული. ამით შვეიცარია მკვეთრად განსხვავდება უმეტესი ევროპული სახელმწიფოებ-

ისაგან, რომელთაც მხოლოდ ერთი სახელმწიფო ენა აქვთ. ოთხ ოფიციალურ ენას ოთხი ენობრივი გაერთიანება შეესაბამება. თუმცა, ბელგიისგან განსხვავებით, ისინი სახელმწიფო ინსტიტუციებში ფიქსირებულნი არ არიან [2, 232].

შვეიცარიული კონფედერაცია წარმოადგენს ფედერაციულ სახელმწიფოს 23 კანტონითა და 2 700-ზე მეტი თემით. აქვე უნდა ითქვას, რომ სრულიად განსაკუთრებულია შვეიცარიული ფედერალიზმი, რომელიც თემს მძლავრ ავტონომიურ უფლებებს ანიჭებს და განსხვავებულ ენობრივ გაერთიანებებს მშვიდობიანად თანაცხოვრების საუკეთესო პირობებს უქმნის.

ტერიტორია – 41. 290 ათას კვ. კმ.-ს მოიცავს. მოსახლეობა – 7 230 000. დედაქალაქი ბერნი. ფულის ერთეული – შვეიცარიული ფრანკი. მოსახლეობის 74% მშობლიურ ენად მიიჩნევს გერმანულს, 20% – ფრანგულს, 4, 5% – იტალიურს. მოსახლეობის 50% კათოლიკე ქრისტიანია, 48% – პროტესტანტი [5, 61]. 23 კანტონიდან 14 გერმანულენოვანია, 4 – ფრანგულენოვანი, 1- იტალიურენოვანი. მხოლოდ 3 კანტონს აქვს ორი – ფრანგული და გერმანული – ოფიციალური ენა და ერთადერთ სამენოვან კანტონ გრაუბიუნდენში აქვს გერმანულს, რეტრორომანულსა და იტალიურს ოფიციალური ენების სტატუსი [2, 233-234].

ნეიტრალურმა შვეიცარიამ ორასზე მეტი წლის წინათ იკისრა ვალდებულება, არც ომი წამოეწყო და არც დაპირისპირებულ მხარეებს შორის წარმოებულ ომებში ჩაბმულიყო. მან ეს ვალდებულებები სერიოზულად აღიქვა. შვეიცარიამ თავის ისტორიულ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ნეიტრალიტეტს, რამაც ქვეყნის ძალზე თავშეკავებული საგარეო პოლიტიკური კურსი განაპირობა და შვეიცარიას მკაცრი, შეუვალი და სანდო სახელმწიფოს სახელი მოუტანა. სხვა ფაქტორებთან ამ სწორხაზოვნებამაც არამარტო სამუდამო მშვიდობა დაუმკვიდრა ქვეყანას, არამედ შვეიცარია თავად იქცა მთელი მსოფლიოს მშვიდობის სიმბოლოდ [2, 350].

ამავე დროს, ძნელია დაეთანხმო შვეიცარიელ მეცნიერს პ ა უ ლ ვ ი დ მ ე რ ს, როდესაც აღნიშნავს, რომ „შვეიცარიას ერგო ბედნიერება, მანამდე მოეხერხებინა ერად ჩამოყალიბება, ვიდრე საერთოდ გაჩნდებოდა ეროვნული სახელმწიფოს ცნება“ [2, 73]. ჯერ ერთი, შვეიცარია ერი სახელმწიფო არასდროს ყოფილა. ეს არის ოთხი ენის, ამდენივე სხვადასხვა თვითშეგნების მქონე ეთნოსების გაერთიანება კონფედერაციის საფუძველზე. ასეთი ტიპის გაერთიანება ერი სახელმწიფო ვერ იქნება ისე, როგორც არ იყვნენ ერი სახელმწიფოები საბჭოთა კავშირი და აშშ „ცივი ომის“ პერიოდში. მეორეც, საყო-

ველთაოდ გაზიარებულია, რომ ევროპაში ერი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო ვესტფალიის ზავის შემდეგ XVII საუკუნეში. აღნიშნულ პროცესებში კი შვეიცარიის როლი მაინცდამაინც არ იკვეთება. ამიტომ, საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის, საჭიროა მოკლე ისტორიული ვითარების განხილვა.

დღევანდელი შვეიცარიის ტერიტორიაზე მრავალი არტეფაქტია აღმოჩენილი, რაც მოწმობს რომაელთა ექსპანსიას. აქ ცხოვრობდნენ კელტური ტომები ჰ ე ლ ვ ე ტ ე ბ ი. ტომის სახელიდან ეწოდა ქვეყანას ჰ ე ლ ვ ე ც ი ა. ჩვ. წ. აღ.-მდე 58 წელს ჰელვეტები და კელტები რომაელებმა დაიმორჩილეს. იმპერიის დაცემის შემდეგ თანამედროვე შვეიცარიის ტერიტორია ბურგუნდიელებმა დაიქვემდებარეს, რომლებიც საფრანგეთიდან მოვიდნენ. ახ. წ. აღ-ის V-VI საუკუნეებში აქ გაბატონდნენ გერმანელი ტომები – ა ლ ე მ ა ნ ე ბ ი და ო ს ტ გ ო თ ე ბ ი. ალემანებისაგან წარმოიშვა ქვეყნის ერთი ნაწილის მოსახლეობა (ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი). რაც შეეხება დასავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, ადგილობრივმა მოსახლეობამ თავად მოახდინა კულტურული გავლენა დამპყრობლებზე: შეერივნენ რა მომხდურებს, ამ რაიონის მოსახლეობამ ლაპარაკი დაიწყო რეტორომანულ, იტალიურ და გერმანულ ენებზე [4, 7].

მოგვიანებით, შვეიცარიის მოსახლეობა ჰაბსბურგებთან ბრძოლაში თანდათან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. საქმე იმაშია, რომ ეს მთიანი ქვეყანა ევროპის შუაგულში იმთავითვე ჰაბსბურგთა საჰერცოგოს ექსპანსიის ობიექტი გახდა, რამაც ჯერ კიდევ XIII საუკუნის მიწურულში შვეიცარიულ თემებს – კანტონებს – გაერთიანებისაკენ უბიძგა. 1291 წლის 1 აგვისტოს ტყის სამი კანტონი – ურ ი, შ ვ ი ც ი და უ ი ტ ე რ ვ ა ლ დ ე ნ ი, რომელთაც ავსტრიელი ჰაბსბურგები თავის ფეოდალურ დომენად თვლიდნენ, ხელი მოაწერეს „საუკუნო ხელშეკრულებას“ ვ ა ლ შ ტ ე დ ე -ს. შვეიცარიის ეს უძველესი სახელწოდება გამოიყენებოდა XV საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამ კავშირმა სათავე დაუდო შვეიცარიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას. საინტერსოა, რომ სახელი შვეიცარია მომდინარეობს ერთ-ერთი კანტონის სახელიდან. რაც შეეხება შვეიცარიის ლათინურ სახელწოდებას – ჰელვეციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ უკავშირდება დღევანდელი შვეიცარიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საუკუნეების წინ მოსახლე ჰელვეტთა ტომებს. ჰელვეცია ჰქვია ქალის ალეგორიულ ფიგურასაც, რომელიც შვეიცარიის სიმბოლოს წარმოადგენს. მისი გამოსახულება წარმოდგენილია თანამედროვე შვეიცარიულ ფულად ნიშნებსა და საფოსტო მარკებზე. დღესაც სიტყვა „H e l v e t i a“-ს იყენ-

ებენ შვეიცარული სახელმწიფოს აღსანიშნავად, რადგან ამით გამოირიცხება ქვეყნის ოთხი სახელმწიფო ენიდან რომელიმეს უპირატესობა. ამავე მოსაზრებიდან გამომდინარე ქვეყნის კოდად გამოყენებულია აბრევიატურა CH, რომელიც Confederatio Helvetica -ის (ჰელვეციური კონფედერაცია) შემოკლებას წარმოადგენს) [2, 16, სქოლიო 1).

ჰაბსბურგები შეეცადნენ კვლავ დაემორჩილებინათ თავისუფლების მოყვარე კანტონები, მაგრამ განიცადეს მარცხი. ურის, შვიცის და უიტერვალდენის კავშირს პერიოდულად უერთდებოდნენ სხვა კანტონებიც: 1332 წელს შეუერთდა ლიუცერნი, 1351 – ციურიხი, 1352 – ცუგი და გლაურსი, 1353 – ბერნი.

ჰაბსბურგების უმთავრესი ინტერესის საგანი სენტგოტარდის უღელტეხილი იყო, რომელზედაც ჩრდილოეთ იტალიიდან ალპებზე გავლით ევროპის შუაგულისაკენ, უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა გადიოდა. ეს გზა ალპებში შვეიცარიის კანტონებს სერავდა. ამიტომაც იყო, რომ ავსტრიის ჰაბსბურგები შვეიცარიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას ძველთაგანვე ცდილობდნენ.

1499 წელს შვეიცარიელებმა დაამარცხეს გერმანიის იმპერატორი და საღვთო რომის იმპერიისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს. შვეიცარიის კავშირმა (უკვე 10 კანტონი) ყოველგვარი კავშირი გაწ-

ყვიტა იმპერიასთან და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც სუვერენული სახელმწიფო.

სენტ-გოტარდზე გამავალმა დიდმა სავჭრო არტერიამ ხელი შეუწყო ამ მაღალმთიან რეგიონში ფულისა და პირველადი კაპიტალის დაგროვებას და კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას. ამგვარად, შვეიცარიის მოსახლეობა, ძირითადად, პირველყოფილი თემური წყობილებიდან, შეიძლება ითქვას, ფეოდალიზმის გაუვლელად, პირდაპირ კაპიტალისტურ ურთიერთობებში აღმოჩნდა. შვეიცარიის დიდი ქალქები, როგორიც იყო ციურიხი, ჟენევა, ბაზელი, ბერნი XVI საუკუნის ევროპაში რეფორმაციის ცენტრებად იქცნენ. აქ მოღვაწეობდნენ რეფორმაციის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ულრიჰ ცვინგლი და ჟანკალვინი. მათი მეთაურობით შვეიცარიაში XVI საუკუნის 30-40-იან წლებში განხორციელდა კათოლიკური ეკლესიის რეფორმა [6, 47, 48].

ქვეყანაში პროტესტანტების ბრძოლა ერთდროულად გახდა ფეოდალური ურთიერთობების წინააღმდეგ გამოსვლა. კანტონების ნაწილი: ლიუცერნი, ვალე, ცუგი, შვიცი, ური, ტიჩინო და სხვა კათოლიკურ აღმსარებლობაზე დარჩნენ. XVI-XVII საუკუნეებში პროტესტანტულ კანტონებში თავშესაფარი პოვეს რელიგიური ნიშნით დევნილებმა, კერძოდ, ფრანგმა ჰუგენოტებმა, ინგლისელმა, ჰოლან-

დიელმა პროტესტანტებმა. მათ შორის იყვნენ ხელოსანი ოსტატები (მაგლითად, მესაათეები), ასევე ვაჭრები, ბანკირები. ემიგრანტებმა დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში [4, 8].

გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული შვეიცარია დიდი ხნის მანძილზე უცხო სხეულივით გამოირჩეოდა მთელ ევროპაში თავისი ფედერაციული მოწყობის გამო. თუმცა, თავიდან, დროთა განმავლობაში შვეიცარია კონფედერაციად ჩამოყალიბდა. ისტორიული გამოცდილებით კონფედერაცია ან იშლება, ან ფედერაციად გარდაიქმნება. და მართლაც შვეიცარია, რომელიც ოფიციალური სახელწოდებით კონფედერაციაა, დღესდღეობით ფედერაციას წარმოადგენს [6, 93].

საუკუნეების განმავლობაში მის გარშემო ამაყი და აგრესიული ეროვნული სახელმწიფოები ბატონობდნენ. შვეიცარია კი არასოდეს ისწრაფვოდა ცენტრალისტური, ადმინისტრაციულად მკაცრად დალაგებული ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ. ის უფრო მეტად იმას ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთ დაეკავშირებინა ერთმანეთთან პოლიტიკურ-ეთნიკური მრავალფეროვნება და სახელმწიფოებრივი ერთობა. XIX საუკუნიდან მოყოლებული, ყველა ევროპული ტენდენციის საპირისპიროდ, შესაძლებელი გახდა სამი დიდი კულტურის მქონე ერს თანაბარ პირობებში, ერთმანეთის გვერდიგვერდ

ეარსება ერთიანი შვეიცარული სახელმწიფოს საზღვრებში [2, 187].

შვეიცარიის განსხვავებულობიდან გამომდინარე, ერის დეფინიციის განსხვავებულ პოზიციას გვთავაზობს ზოგიერთი ავტორი. მათ მიაჩნიათ, რომ „ერი აუცილებლად არ მოიცავს ერთ ენაზე მოლაპარაკე ან მსგავსი ადათების მქონე ინდივიდებს. მაგალითად, შვეიცარია არსებობს იმიტომ, რომ გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და რეტორომანულ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობისაგან შემდგარმა კანტონებმა, რომლებიც ამავე დროს, პროტესტანტული და კათოლიკური რელიგიითა გაყოფილი, წლების მანძილზე თავიანთი ბედის ერთმანეთთან დაკავშირება გადაწყვიტეს, თავდაპირველად კონფედერაციაში, შემდეგ ფედერაციაში. საბოლოო ჯამში, სწორედ სოციალიზაციის პროცესები მოიცავენ და ანვითარებენ რწმენების, ღირებულებებისა და პოზიციების ერთობლიობას, რომელსაც ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფა შეუძლია“ [7, 27].

შვეიცარიელები საერთო ენის არარსებობის მიუხედავადაც აღქივამენ საკუთარ თავს ერად, რომელსაც დემოკრატიისა და სახელმწიფოებრიობის საერთო გაგება უდევს საფუძვლად. სხვადასხვა კულტურულ-ნაციონალური კუთვნილების მიუხედავად ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თავის – რო-

გორც შვეიცარიელის – იდენტიფიცირება, ისე რომ არ მოუხდეთ შესაბამისი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის მსხვერპლად გაღება. ამიტომ შეძლო შვეიცარიამ განვითარებულიყო თანამედროვე, ქმედითუნარიან სახელმწიფოდ და ამ მხრივ არაფრით ჩამორჩენოდა იმ ეროვნულ სახელმწიფოებს, რომელთა საფუძველს ერთი სახელმწიფო ენა ქმნის. თუმცა, შვეიცარიული მოდელი ადვილად გადასაღები არ არის [2, 187-188].

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ შვეიცარია, როგორც ოთხენოვანი სახელმწიფო 1798 წელს ჩამოყალიბდა. მაშინ ჰელვეციამ წმინდად ფრანგული და წმინდად იტალიურენოვანი კანტონები შექმნა, როგორიც იყო, „ლემანი“, „ბელინცონა“ ან „ლუგანო“ [2, 237-238], რაც შეეხება რეტოროომანულ ენას, საზოგადოებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე 1938 წელს იქნა აღიარებული ეროვნულ ენად [4, 145].

ზოგიერთი ადგილობრივი მეცნიერი მიიჩნევს, რომ „ნეიტრალიტეტი გასდევს შვეიცარული სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების პროცესს გვიანი შუა საუკუნეებიდან დღემდე“. პაულ ვიდმერის შეხედულებით ნეიტრალიტეტის გამოცხადება ოფიციალურად პირველად დოკუმენტურად დადასტურდა 1674 წელს, როცა კანტონების წარმომადგენელთა კრებამ შეფიცულთა საზოგადოება (შვეიც-

არული კონფედერაცია) „არსებული სახიფათო კონიუნქტურების“ გამო ნეიტრალურად გამოაცხადა. ეს თარიღი შვეიცარიული ნეიტრალიტეტის პირველმა მკვლევარმა, ციურიხის არქივარიუსმა და პროფრსორმა პ ა უ ლ შ ვ ა ი ც ე რ მ ა დააფიქსირა.

1515 წელს მარინიანოს მწარე მარცხის შემდეგ, გართულებულ საგარეო პოლიტიკურ სიტუაციებში სულ ურფო ხშირად იყენებდნენ ნეიტრალიტეტს, განსაკუთრებით ოცდაათწლიან ომში. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ იყო პრინციპული პოზიცია, მას მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა პოლიტიკური მდგომარეობა ამის აუცილებლობას მოითხოვდა.

პერიოდულად გატარებულ ნეიტრალურ პოლიტიკასა და ნეიტრალიტეტის, როგორც შვეიცარიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპის დანერგვას შორის ქვეყანამ ნამდვილად გრძელი გზა გაიარა. ცალკეულ სიტუაციებში დაგროვილმა გამოცდილებებმა თანდათანობით მოიყარა თავი იმ მთავარ პრინციპთან, რომელსაც, მიუხედავდ პოლიტიკური კონსტელაციებისა, პრინციპულ აღიარებაზე ჰქონდა პრეტენზია. ამ მხრივ გამორჩეული როლი ითამაშა ნ ი კ ლ ა უ ს ფ ო ნ დ ე რ ფ ლ ი უ ე მ. მან მოქალქეებს ორი რჩევა-დარიგება მისცა: „სხვის ჩხუბში არ ჩაერიოთ“ და „ღობეს მეტისმეტად შორს ნუ გადასწევთ“. უფრო აბსტრაქტულ ენაზე თუ ვთარგმნით, დავინახავთ, რომ გაფრთხილე-

ბები მუდმივი ნეიტრალიტეტის მარცვალს შეიცავ-ენ. სახელდობრ, გულისხმობენ ვალდებულებას, ერთის მხრივ, არ მიიღონ მონაწილეობა მესამე მხა-რის მიერ გაჩაღებულ არანაირ ომში და მეორე მხრივ, თავად არასოდეს წამოიწყონ ომი. ეს მიმარ-თვა მაშინვე მთელი სიგრძე-სიგანით იქნა გათავი-სებული [2, 206-207].

საუკუნეების განმავლობაში პატარა სახელმწი-ფოების უმრავლესობა საერთოდ გაქრა მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან. 1803 წელს ერთი ხელის მოსმით გააუქმეს 112 პატარა სახელმწიფო,რომელ-თა უმრავლესობას გერმანული იმპერიის სუბიექტე-ბი წარმოადგენდა. არც ვენის კონგრესზე დაინდეს რამდენიმე ყოფილი სახელმიწიფო, მათ შორის ის-ეთი დიდი რესპუბლიკები, როგორიც იყო გენუა და ვენეცია და დამოუკიდებლობის აღდგენაზე უარი განუცხადეს. XIX საუკუნეში აპენინის ნახევარკუნძუ-ლის უამრავი ქვეყანა და სამფლობელო ჩაიკარგა იტალიის ნაციონალურ სახელმწიფოში. და ბო-ლოს, XX საუკუნის ორ გიგანტურ ომში იყო მცდე-ლობა, პოლიტიკური რუკა ევროპაშიც და მის ფარ-გლებს გარეთაც ახლად დახაზულიყო, და, ცხადია, არა მცირე სახელმწიფოების სასარგებლოდ. დიდი ქვეყნები ცდილობდნენ, და ისინი ისედაც მუდმი-ვად ამისკენ ისწრაფვიან, კიდევ უფრო გააფართო-ვონ საკუთარი ძალაუფლების არეალი.

პატარა სახელმწიფო მუდმივად საფრთხის ქვეშ იმყოფება და ნებისმიერ დროს ძალიან ადვილად შეიძლება თავისზე დიდი სახელმწიფოს ნადავლად იქცეს [2, 121].

1815 წელს ვენის კონგრესმა, აუწყა რა მსოფლიოს ნაპოლეონის ეპოქის დასრულების შესახებ, ამავე დროს სათავე დაუდო საერთაშორისო ასპარეზზე, თვისობრივად ახალი სუბიექტის – საერთაშორისო ორგანიზაციების გამოჩენას.

ვენის კონგრესის შემაჯამებელი აქტით გამოცხადებულ იქნა მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა. ეს იყო – „მდინარე რაინზე ხომალდების თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისია“ [8, 54-55].

შეიძლება ითქვას, რომ ვენის კონგრესზე დიდმა სახელმწიფოებმა ევროპის პოლიტიკური რუკა ახლად შექმნეს. ბევრი პატარა ქვეყანა საერთოდ გაქრა, რადგან ნაპოლეონოს ეპოქის არეულობების შემდეგ სახელმწიფოებრიობის აღდგენა ვეღარ შეძლეს. სამაგიეროდ, შვეიცარია გადარჩა, რაც მონარქიული რესტავრაციის ნიშნით უკვე წარმატება იყო. ამ წყალობას შვეიცარია ალექსანდრე პირველსაც უნდა უმადლოდეს, რომელიც შვეიცარიის დიდი მოტრფიალე იყო. მეფე მუდმივად მფარველობდა ქვეყანას, საიდანაც მისი აღმზრდელი ფ რ ე დ ე რ ი კ ს ე ზ ა რ დ ე ლ ა ჰ ა რ პ ე იყო [2, 107].

ამდენად, კონგრესმა აღადგინა შვეიცარიის დამოუკიდებლობა, გამოიკვეთა მისი ახალი საზღვრები, რომელიც ძალიან ახლოსაა დღევანდელთან. ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა.

ვენის კონგრესმა ნეიტრალიტეტის ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის სრული დაცვით მხარი დაუჭირა სახელწიფოს დესპანის ჩ ა რ ლ ზ პ ი ქ ტ ე რ დ ე რ ო შ მ ო ნ ი ს თხოვნას. კერძოდ, 1815 წლის 20 ნოემბერს მაშინდელმა წამყვანმა სახელმწიფოებმა გამოაცხადეს, „რომ შვეიცარიის ნეიტრალიტეტი და ხელშეუხებლობა, ასევე ყველა გარეშე გავლენისგან მისი დამოუკიდებლობა, მთელი ევროპული პოლიტიკის ჭეშმარიტ ინტერესს წარმოადგენს“. იმ დღიდან მოყოლებული შვეიცარია ნეიტრალური სახელმწიფოს მაგალითია. არც ერთ ქვეყანას ისე ხანგრძლივად არ შეუნარჩუნებია ნეიტრალიტეტი, როგორც ეს შვეიცარიამ მოახერხა.

1830 წლის რევოლუციებმა თვით პარიზსა და ბრიუსელშიც კონსტიტუციური მონარქიები წარმოშვა, შვეიცარია კი, საწინააღმდეგოდ ამისა, რესპუბლიკელთა ნამდვილ ცენტრად გადაიქცა... 1848 წლის გაზაფხულის რევოლუციურმა ტალღამ მთავარი მოქმედი პირები პარიზში, ვენასა და ბერლინში საკვანძო პოზიციებს ჩამოაშორა და ამით აღკვე-

თა სამხედრო ინტერვენცია, რომელსაც შეიძლება შვეიცარიის დასასრული გამოეწვია. გარემოებათა წყალობით კი შვეიცარია, რომელმაც იმავე წელს თანამედროვე კონსტიტუცია მიიღო, კიდევ უფრო გაძლიერებული გამოვიდა ამ ძირეული ცვლილებების პროცესიდან.ერთი რამ უდავოა, ალპების რესპუბლიკამ მონარქიული მსოფლიოს საპირისპირო მოდელი შექმნა [2, 81-82].

ევროპაში პირველი საპრეზიდენტო რესპუბლიკები 1848 წელს შეიქმნა შვეიცარიასა და საფრანგეთში. პრეზიდენტის ინსტიტუტის ერთდროული შემოღების მიუხედავად, ამ ქვეყნებში პრეზიდენტების უფლებამოსილება და სტატუსი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შვეიცარიაში აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო 7 მინისტრისაგნ შემდგარი ფედერალური საბჭო, რომელსაც ირჩევდნენ სამი წლით ფედერალური კრების ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე. საბჭო კოლეგიური ორგანო იყო, რომლის ერთ წევრს იმავე სხდომაზე ერთი წლით ირჩევდნენ შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტად. ერთი და იმავე პირის პრეზიდენტად არჩევა მრავალჯერ შეიძლებოდა, ოღონდ აუცილებელი იყო ერთწლიანი ინტერვალი ამ თანამდებობაზე არჩევნებს შორის. მისი კომპეტენცია არ აღემატებოდა საბჭოს წევრების კომპეტენციას, ხოლო პასუ-

ხისმგებლობა სახალხო წარმომადგენლების წინაშე იგივე იყო.

შვეიცარიაში არ იყო მინისტრებისგან ცალკე მდგომი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი პირი, რაც შესაძლებლობას იძლევა ვისაუბროთ იქ კოლექტიური პრეზიდენტის არსებობის შესახებ. რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის ფუნქციების გაერთიანება შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ ეს ქვეყანა არ იცნობდა უნდობლობის ვოტუმს პარლამენტის მხრიდან და პარლამენტის ვადამდელ დათხოვნას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, არ იგრძნობოდა ქვეყანაში ისეთი ცენტრის არსებობის აუცილებლობა, რომელიც არ იქნებოდა დამოუკიდებელი შემთხვევით და არამდგრადად საპრალამენტო უმრავლესობაზე [9, 245].

ხაზგასასმელია, რომ მთავრობაში პრეზიდენტი არის პირველი თანასწორთა შორის და იგი მთვარობის სპიკერისა და სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობის ფუნქციით არის აღჭურვილი. შესაბამისად, შვეიცარიას არ ჰყავს ერთპიროვნული პოლიტიური ლიდერი არც პრეზიდენტის და არც პრემიერ-მინისტრის სახით. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაურის სტატუსიც არა პრეზიდენტს, არამედ მთავრობას აქვს მინიჭებული [10, 116].

1919 წელს შვეიცარიამ თანხმობა მისცა ახლად შექმნილ ერთა ლიგას, რომ მისი რეზიდენცია ყოფილიყო ჟენევაში. აქ განთავსდა გენერალური სამდივნო. თითქმის 1939 წლამდე ჟენევაში სესიებს ატარებდა ასამბლეა და ლიგის საბჭო. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად აამაღლა „ალპიური რესპუბლიკის“ ავტორიტეტი. ბუნებრივია, ერთა ლიგის არჩევანი განსაზღვრა მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსმა. იმავე 1919 წელს ჟენევაში დაფუძნდა „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ შტაბ-ბინა.

აქ გამართულ კონფერენციებზე ჩამოსული ასობით დელეგატი და ჟურნალისტი, არცთუ მცირე შემოსავალს აძლევდა სასტუმროების, რესტორნებისა და მაღაზიების მფლობელებს.

ქვეყნის ტერიტორიაზე ერთა ლიგის ფუნქციონირების მიუხედავად, შვეიცარია თავს იკავებდა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლაზე. სხვადასხვა მიზეზთა შორიის გაწევრიანების მოწინააღმდეგეებს (ასეთები კი მრავლად იყვნენ პარლამენტში და მთავრობაში) მოჰყავდათ შემდეგი არგუმენტი: ლიგაში შესვლის შემთხვევაში, შვეიცარია ვალდებული იქნებოდა ორგანიზაციის წესდების მე-16 §-ის თანახმად დაეწესებინა სამხედრო ან ეკონომიკური საქნციები იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ჩაითვლებოდნენ აგრესორებად. ეს კი შეუთავსებელი იქნებოდა მუმდივი ნეიტრალიტე-

ტის სტატუსთან. მაშინ ერთა ლიგის საბჭო დათანხმდა (1920 წლის 13 თებერვალი) გამონაკლისის სახით შვეიცარიის კონფედერაციისათვის მიენიჭებინა უფლება, არ მიეღო მონაწილეობა სამხედრო სანქციების დაწესებაში აგრესორი ქვეყნის მიმართ. ეკონომიკური სანქციებისაგან კი არ თავისუფლდებოდა.

1920 წლის 16 მაისს ჩატარდა საერთო სახალხო გამოკითხვა: ამომრჩეველთა 417 ათასამა თანხმობა განაცხადა ერთა ლიგაში შესვლაზე; წინააღმდეგი იყო 324 ათასი. ერთა ლიგის წევრობამ ხელი შეუწყო ბ ე რ ნ ი ს მაღალი დონის ჩართულობას მსოფლიო პოლიტიკაში [4, 41-42].

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდიდან კონფედერაცია იმ ბრჭყალებისგან თავის დახსნას ცდილობდა, რომლის ტყვეობაში თავი ნებით ჩაიგდო. ესპანეთის სამოქალქო ომის დროს პრესაში ხშირად იწერებოდა, რომ შვეიცარიის ტერიტორიაზე მიედინებოდა სამხედრო აღჭურვილობა ფრანკისტებისათვის. ამავე დროს პოლიცია ხელს უშლიდა ესპანეთის ანტიფაშისტების დახმარების ფონდს ფუნქციონირებაში [4, 60]. ბუნებრივია, ეს იყო ნეიტრალიტეტის სტატუსის დარღვევა.

მოერე მსოფლიო ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე ქვეყანამ როგორღაც შეძლო დაბრუნებოდა ინტეგრალურ ნეიტრალიტეტს. 1938 წლის გა-

ზაფხულზე ეს ნეიტრალურ-პოლიტიკური ოდისეაც დასრულდა [2, 29].

ვისაც უნახავს მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, გაახსენდება უცნაური შეგრძნება შვეიცარიის პეიზაჟების ხილვის დროს: ცეცხლში გახვეული ევროპის ფონზე სიმშვიდისა და სიჩუმის „კუნძული“. მეორე მსოფლიო ომის დროს შვეიცარიამ შეინარჩუნა ნეიტრალური სტატუსი. არავის არ დაუბომბავს მისი ქალქები და არ „გაურეკავს“ მოსახლეობა საკონცენტრაციო ბანაკებში. მართალია ქვეყანა არ იყო ჩართული საბრძოლო მოქმედებებში, მაგრამ მისი მოსახლეობა საკმაოდ დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ომმა სერიოზული სიძნელეები წარმოქმნა პროდუქტებით მომარაგებაში. მშვიდობიანობის დროს სახელმწიფოს შემოჰქონდა 20-დან 60 პროცენტამდე საჭირო მარცვლეული, ხორცი, კვერცხი, ხილი და ბოსტნეული. უკვე 1940 წელს აღნიშნული იმპორტი მკვეთრად დაეცა [4, 71].

საყურადღებოა, რომ შვეიცარიაში არ აის შეიარაღებული ძალების სარდლის თანამდებობა. ასევე არ არსებობს გენერლის სამხედრო წოდება. მხოლოდ ქვეყნის ომში მოსალოდნელი ჩართვის შემთხვევაში, პარლამენტი ირჩევს არმიის უმაღლესი ოფიცრებიდან ერთ-ერთს აღნიშნულ პოსტზე [4, 63, სქოლიო 1].

1939 წელს შვეიცარიამ იარაღის ქვეშ დააყენა 430 ათასი ჯარისკაცი. 1940 წელს მისი შეიარაღებული ძალები აღმოჩნდნენ ჰიტლერის მოკავშირეთა ალყაში. თავს იცავდა მხოლოდ საფრანგეთი, მაგრამ, რაც უფრო უარესდებოდა ფრანგების საქმე, უფრო თავხედურად არღვევდნენ ლიუფთვაფეს მფრინავები კონფედერაციის სივრცეს. შვეიცარიის სამხედრო საჰაერო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ გერინგის წინააღმდეგ. ორივე მხარეს იყო მსხვერპლი.

ვერმახტის ნაწილებმა გადალახეს საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარი. გერმანიის სახმელეთო ძალების გეგმა „ელი“ ითვლისწინებდა შვეიცარიის სამ დღეში დაპყრობას. ამ დროს შვეიცარიის სატანკო ნაწილებს შეიარაღებაში გაჩნდათ, მხოლოდ 30 მანქანა, ხოლო 340 თვითმფრინავიდან ნახევარი მოძველებული იყო. შვეიცარიას გერმანიასთან საომარი დაპირისპირების შემთხვევაში, ბუნებრივია გამარჯვების შანსი არ ჰქონდა. ამიტომ, არმიის ხელმძღვანელობამ შეადგინა თავდაცვის გეგმა სახელწოდებით „რედუტი“. გეგმის კონცეფციის მიხედვით, არ უნდა შექმნილიყო ფრონტის ხაზი სასაზღვრო ტერიტორიის დასაცავად. სამხედრო ნაწილები დაიკავებდნენ ქვეყნის მთიან ნაწილს და განლაგდებოდნენ სატრანსპორტო არტერიების სიახლოვეს. მათ უნდა გაემაგრებინათ უღელტეხილე-

ბი, ხიდები და გვირაბები. მათი შენარჩუნების შეუძ-ლებლობის შემთხვევაში, დაცვის ობიექტები უნდა გაენადგურებინათ. მთებში აშენებდნენ ტყვია-წამ-ლის საწყობებს. იქვე ინახავდნენ ოქროს მარაგს, რომელიც საფრთხის დროს, ასევე ექვემდებარებო-და განადგურებას.

პარტიზანული გეგმის შესახებ ცნობილი გახდა მესამე რაიხისათვის, მაგრამ ჰიტლერმა თავი შეიკა-ვა აგრესიის განხორციელებისაგან, რომლის გახსე-ნება არ უყვართ შვეიცარიელებს [11, 3]. მაშინ რა მოხდა? ჰიტლერმა, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა დაიპყრო, არ დაიქვემდებარა პატარა ქვეყა-ნა შვეიცარია ხუთ მილიონიანი მოსახლეობით? შე-იძლება ვიფიქროთ, რომ გარკვეული როლი ითამა-შა ქვეყანაში მოქმედმა ბანკებმა და ფირმებმა, რომლებსაც გააჩნდა განშტოებული საერთაშორი-სო კავშირები. ამავე დროს საქმე იმაშია, რომ კონ-ფედერაციის ხელმძღვანელობა არა მარტო ქმნიდა პარტიზანული მოძრაობის გეგმებს, არამედ მოლა-პარაკებას აწარმოებდა რაიხთან. 1940 წლის აგვის-ტოში ჰიტლერს მიმართეს წინადადებით, რომლის მიხედვით შვეიცარია პირობას დებდა უზრუნველე-ყო გერმანული ტვირთების ტრანზიტი თავის ტერი-ტორიაზე და მიეცა ნაცისტებისათვის გრძელვადია-ნი კრედიტი 150 მილიონი შვეიცარული ფრანკის ოდენობით. გარდა ამისა, ვალდებულებას იღებდა

ვალუტაზე გაცვლით მიეღო ოქრო გერმანიისაგან და არ დაინტერესებულიყო მისი წარმოშობით. ბუნებრივია ეს უკვე ნეიტრალიტეტის დარღვევას ნიშნავდა. ჰიტლერი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ის იღებდა კრედიტს, რომელსაც დიდი ალბათობით არც დააბრუნებდა, უსაფრთხო სატრანზიტო გზას, რომლის დაბომბვა შეუძლებელი იყო ტერიტორიის ნეიტრალური სტატუსის გამო, და რესპექტაბელურ შუამავალს მოლაპარაკების შემთხვევაში [11, 3].

1943 წელს ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებმა მოუწოდეს შვეიცარიას (როგორც სხვა მეომარ ქვეყნებს), არ მიეცათ თავშესაფარი ფაშისტი დამნაშავეებისათვის, თუ ისინი შეეცდებოდნენ გაქცეოდნენ სასჯელს. ფედერალურმა საბჭომ თავი აარიდა პასუხის გაცემას. ოფიციალური ბერნი ასეთ მოწოდებას ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად აღიქვამდა. ასევე აღნიშნავდნენ, რომ შვეიცარია ყოველთვის აძლევდა თავშესაფარს დევნილებს. მოკავშირე სახელმწიფოებმა პასუხად მიუთითეს სხვაობაზე, პოლიტიკურ ემიგრანტებსა და „მესამე რაიხის“ მესვეურებს შორის, რომელთაც მილიონობით ადამიანის სისხლში ჰქონდათ გასვრილი ხელი [4, 72].

ომის პერიოდში შვეიცარიის დაპყრობის საკითხს ნაცისტები ორჯერ მიუბრუნდნენ: 1943 წლის გაზაფხულზე და 1944 წლის ზაფხულში. პირველი შემთხვევის დროს ინფორმაციამ გაჟონა (შესაძლოა

განზრახ) და მიაღწია ბერნამდე. ბერლინში სასწრაფოდ გაფრინდა დელეგაცია, რომელმაც გერმანელებს შესთავაზა ახალი კრედიტი.

1944 წელს, როდესაც გერმანიისა და მისი მოკავშირეების მდგომარეობა ფატალურად გაუარესდა, ესესელთა სამთო-მსროლელი არმიის გენერალმა ფ რ ა ნ ც ბ ი ო მ ე მ წინადადება წამოაყენა ალპებში აეშენებინათ ძნელად მისადგომ ადგილზე ციხე-სიმაგრე, რომელშიც ვერმახტი შეძლებდა თავდაცვას ვიდრე საიდუმლო ქარხნებში არ დასრულდებოდა ატომური იარაღის შექმნა. პროექტის განსახორციელებლად საჭირო იყო 11 დივიზია, მაგრამ ამ რაოდენობის სამხედრო შენაერთები გერმანიას აღარ გააჩნდა: შეტევაზე გადასული წითელი არმია მეტისმეტად ეფექტურად ანადგურებდა ფაშისტების რეზერვებს. სწორედ ამ რეალობამ გადაარჩინა ოკუპაციას „ალპების სამეფო“ და არა ოქრომ, პარტიზანებმა ან „რედუტის“ გეგმამ... [11, 3].

1989 წელს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა და გარდაქმნებმა, რაც სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლის შედეგებით იყო განპირობებული, შვეიცარიის კონფედერაციის სიმტკიცე გვარიანად შეარყია. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ქვეყანას უშუალოდ არ შეხებია, უეცრად აღმოჩნდა, რომ აღარ ფუნქციონირებდა ბევრი ისეთი რამ, რაც მანამდე ყველასთვის თავის-

თავად ცხადი იყო. აღმოსავლეთ-დასავლეთის კონ-ფლიქტის დასრულებამ კითხვები წამოჭრა შვეიცარიის ნეიტრალიტეტთან მიმართებაში, ხოლო ევროპული ინტეგრაციის ახალმა დინამიკამ – ქვეყნის თვითმყოფადობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საცნაური გახდა აღნიშნული ვითარება 1992 წელს, ევროპის ეკონომიკურ ზონაში შვეიცარიის გაწევრიანებასთან გამართული რეფერენდუმისას. ეს ინიციატივა როგორც მომხრეებმა, ისე მოწინააღმდეგეებმა ლამის ეგზისტენციური საკითხის სიმაღლეზე აიყვანეს, რაც სწორი არ იყო [2, 11].

შვეიცარიელთა უმრავლესობა კვლავაც უნდობლობით ეკიდებოდა საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუციების საჭიროებას, თუ საზოგადოდ არა, საკუთარ ქვეყანასთან მიმართებაში მაინც. 1986 წელს ხალხმა და კანტონებმა დიდი უმრავლესობით უარი თქვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლაზე. 2002 წელს კი ახალ შემოთავაზებაზე დათანხმდნენ [2, 31].

შვეიცარია დისტანციას ინარჩუნებს იმ ორგანიზაციებთნ ურთიერთობაში, რომელთა წევრობის წინაპირობაც მისი სახელმწიფოებრივი არსის შეცვლას ითხოვს. პირველ რიგში, იგულისხმება ევროკავშირი და ნატო. პირველ შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება პირდაპირი დემოკრატიისა და ფედერა-

ლიზმის პრინციპები, მეორე შემთხვევაში კი – ნეიტ-რალიტეტი [2, 34].

და ბოლოს ჩნდება რიტორიკული კითხვა: იცავს თუ არა ნეიტრალიტეტი ქვეყნის უსაფრთხოებას? ზოგიერთ მკვლევარს და პოლიტიკოსს ჰგონია, რომ სახელმწიფოს „ნეიტრალიტეტი“ ასევე გულისხმობს მის დაცვას აგრესორისაგან, რაც სრული ილუზიაა. რეალურად „ნეიტრალიტეტი ნიშნავს უნარს დაიცვა საკუთარი სახელმწიფო უცხოური ჯარების შემოჭრისა და მათ მიერ ქვეყნის ოკუპირებისაგან“ [12, 172].

გავიხსენოთ, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შექმნისთანავე გამოაცხადა „საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი“, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა დაუბრკოლებლად მოახდინა მისი ანექსია. ან კიდევ, ავსტრიის თვითგამოცხადებულ ნეიტრალიტეტს ხელი არ შეუშლია ჰიტლერისთვის 1938 წელს მოეხდინა ამ ქვეყნის ანშლუსი.

შვეიცარიას კარგად ჰქონდა და აქვს გაცნობიერებული, რამდენად იცავს ნეიტრალიტეტი ქვეყნის უსაფრთხოებას. ამიტომ ყველა მოქალაქე კბილებამდეა შეიარაღებული. ჟენევიდან დავოსამდე და ციურიხიდან ლუგანომდე გვირაბებით, ატომსაწინააღმდეგო თავშესაფრებით, იარაღის საცავებით ძირგამოთხრილი მთებია. სარაკეტო-საარტილე-

რიო საცეცხლე წერტილები კი პირდაპირ გრანიტ-შია ამოკვეთილი. სახელმწიფო, რომელსაც შეუძ-ლია, 22 – ათასიანი არმია ორ საათში 650 ათასიან-ად, ორ დღე-ღამეში – კი 1, 7 მილიონიან (შედარე-ბისთვის: აშშ-ის არმია 1, 3 მილიონიანია, ამდენი-ვეა რეზერვში, ხოლო ჩინეთის არმიაში 2, 4 მილიო-ნი ჯარისკაცი მსახურობს, რეზერვში 1 მილიონია) გაწვრთნილ, ორგანიზებულ და კარგად შეიარაღებ-ულ ძალად აქციოს.

ჯერ კიდევ 1817 წლიდან შვეიცარიის არმია ჩა-მოყალიბდა მილიციის პრინციპით. თუმცა მსოფ-ლიოში ერთადერთი ქვეყანა არ არის, რომელსაც საკადრო-მილიციური სტრუქტურის არმია ჰყავს. ზოგიერთი მიმართულებით ზუსტად ანალოგიური პრინციპითაა აგებული, მაგალითად, ბუნდესვერი, რომელიც საბჭოთა „კადრირებული“ დივიზიების რაღაც დიდი ანალოგია.

ხაზგასასმელია, რომ შვეიცარიის 7, 5 მილიონ-იანი მოსახლეობის სამხედრო ბიუჯეტი ხუთი მი-ლიარდი დოლარია. მოკლედ რომ ვთქვათ, სისტე-მა ასეთია; ცოტა ჯარისკაცი, ბევრი საკადრო ოფიც-ერი და უნტეროფიცერი, ბევრი რეზერვისტი, სას-წავლო შეკრებები და ჯარის შეკრებები მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს საჭიროა. შვეიცარიული იდეის თავისებურება ის არის, რომ „ხალხი და არმია ერ-თიანია“.

რეალურად ეს შემდეგნაირად გამოიყურება: ქვეყანაში სულ 9 000 საკადრო სამხედრო მოსამსახურეა, ძირითადად – ავიაციაში, ერთდროულად მსახურობს ან გადამზადების პერიოდი დაახლოებით 10-15 ათას ჯარისკაცს უწევს. ჯარისკაცებს 90-დღიანი გაწვევები აქვთ, რომლის დასრულების შემდეგაც სახელმწიფო მებრძოლს აძლევს პირად იარაღს ორი სავსე სავაზნით, სამხერო ფორმის სამ კომპლექტს წლის ნებისმიერი დროისთვის, აღჭურვილობას, ჯავშანჟილეტსა და ჩაფხუტს. გაწვევის შემდეგ ჯარისკაცი სახლში ამ ყველაფრით დაზურგული ბრუნდება და შემდეგ ინახავს, როგორც სურს, ინვენტარს და იარაღს არავინ შეუმოწმებს.

32 წლის ასაკამდე ჯარისკაცი არის „ა უ ს ც უ გ“ მდგომარეობაში, 42 წლამდე – „ლ ა ნ დ ვ ე რ ი“, ხოლო 50 წლამდე – „ლ ა ნ დ შ ტ უ რ მ ი“. „აუსცუგის“ რიგითი ათი წლის მანძილზე თავის ნაწილში სამკვირიან რვა შეკრებას გაივლის, „ლანდვერი“ – ორკვირიან სამ შეკრებას, „ლანდშტურმი“ კი – ორკვირიან ერთ შკრებას. როგორც კი ჯარისკაცს 51 წელი შეუსრულდება, მას ოფიციალურად გაათავისუფლებენ არმიიდან, ჩამოართმევენ შაშხანას, პისტოლეტს და მთელ აღჭურვილობას. სამაგიეროდ აჩუქებენ სხვა იარაღს და სამობილიზაციო მიწერილობას ტოტალური მობილიზაციის შემთხვევისთვის.

შვეიცარიის არმიის თავისებურება რეზერვისტი ოფიცრების გაძლიერებული მომზადებაა. ოფიცრობის მსურველები გადიან დამატებით შეკრებებს. ერთი რანგით წინ წაწევა დაახლოებით უდრის შეკრებების 100 დღეს ჯამში. ამ შეკრებებისას თავისუფლად შეიძლება ტყვიამფრქვევის გვერდით იწვე და შენს მომავალ უფროსს, ცნობილ პოლიტიკოსს ან სულაც მეზობელს, ესაუბროთ, რადგან შეკრებებიდან ვერავინ დაიხსნის თავს, აბსოლუტურად ვერავინ – ვერც სტუდენტი და ვერც თავად პრეზიდენტი, ცხადია, თუ ქალი არ არის.

შეიარაღებაში მრავალი რამაა – 800-ზე მეტი ტანკი და ჯავშანმანქანა (420 ლეოპარდ -2, 150 ს-109). ქვეყანაში, რომლის სიგრძეც სულ 300 კილომეტრია, აქვთ 14 ესკადრილია 350-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავით, 120 სასწავლო თვითმფრინავითა და 100 ვერტმფრენით. პარკი მუდმივად განახლებადია და ისეთი შემთხვევები, როგორიც ამერიკაში ხშირად ხდება და რომლის დროსაც პილოტი ხშირად თავის თვითფრინავზე უფრო ახალგაზრდაა, აქ არ დაიშვება.

საგულდაგულოდ შერემონტებულ და აღდგენილ არმიულ იარაღს სახელმწიფო მოქალაქეებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ყიდის, განსაკუთრებით კი მას ქალებს სთავაზობს. რეგისტრაცია უმარტივესი პროცესია, ისიც ახალი იარაღის მაღაზი-

იდან შეძენისას, თორემ ხელზე შეძენილს რეგისტრაცია საერთოდ არ ესაჭიროება. ყველაზე ფრთხილი შეფასებებით მხოლოდ არმიის იარაღიდან დაახლოებით მილიონ-ნახევარი კარაბინი, ნახევრად ავტომატური იარაღი და სანადირო იარაღი მოსახლეობის საკუთრებაშია. შვეიცარია მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე იარაღის რაოდენობის მხრივ და მეორეზე – იარაღის მქონე მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის მხრივ.

ქვეყანაში მოქმედებს უამრავი სასროლი კლუბი და დაახლოებით იმდენივე ტირი, რამდენიც კაფე.

როგორ მსახურობენ ჯარისკაცები? მათ კვირაში ორი დასვენების დღე აქვთ. საპირფარეშოებს არ აშენებენ, კარტოფილს არ თლიან, ჭურჭელს არ რეცხავენ, ღობეებს არ ღებავენ – ამ ყველაფერს კერძო ფირმები აკეთებენ. და ბოლოს, რაც ყველაზე საოცარია, ჯარისკაცი საყარაულოდაც კი არ დადის. მთელ შავ სამუშაოს ჯარში კერძო ფირმები ასრულებენ. ერთი შეხედვით არსებული ვითარება კურორტზე ყოფნას ჰგავს. მაგრამ რეალური სურათი სულ სხვა მდგომარეობას წარმოაჩენს:

დავიწყოთ იმავე „კურორტიდან“. ჯარისკაცები დილის ხუთ საათზე დგებიან და იწყება სირბილი. შესვენებები მხოლოდ ჭამის და სხვა ბუნებრივი

მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის არის გათვალისწინებული. დანარჩენი დრო ეთმობა ფიზიკურ მომზადებას, სროლას, ხელჩართულ ბრძოლებს, საბრძოლო ტექნიკის მართვას, ალპინიზმს და ამ ყველაფერს შორის, ისევე, როგორც ამ ყველაფრის ბოლოსაც, კვლავ სირბილი. ასე გრძელდება მთელი დღე – დილის 5 საათიდან ღამის 12 საათამდე. 12-ზე ჯარისკაცები იძინებენ, დილის 5-ზე კი ყველაფერი თავიდან იწყება.

ჯარისკაცებს ისე ავარჯიშებენ, რომ მათგან „ტ ე რ მ ი ნ ა ტ ო რ ი ს ა“ და „რ ე მ ბ ო ს“ ნაზავი გამოდის. ჯარში გაწვევისთვის თავის არიდება ნებისმიერი „საპატიო“ მიზეზით (სესია, ქორწილი, შვებულება და ასე შემდეგ) ისჯება ჯარიმითა და ციხეში გამწესების ისეთი სასტიკი მუხლით, რომ ნებისმიერ რიგითს შეუძლია, ამის შემდეგ თავის კარიერას სამუდამოდ დაუსვას ჯვარი. მას წესიერ სამსახურში აღარავინ მიიღებს... თეთრი ბილეთი? ბრმა, ავადმყოფი ან ემიგრანტი ხარ? მაშინ გადაიხადე 3-პროცენტიანი გადასახადი არმიის შესანახად. პაციფისტი-ალტერნატივისტი ხარ? მიიღებ იმავე უწყებებს, ოღონდ მუნიციპალიტეტისგან და ერთნახევარჯერ მეტი სიხშირით. საზღვარგარეთ მუშაობ და უმიზეზოდ დაგავიწყდა ან ვერ ჩააღწიე საკუთარ ქვეყანაში გაწვევის დროისთვის? მაშინ შენი სახლი დღეიდან ციხეა.

მშვიდი და წყნარი ქვეყანა – ეს მითია. შვეიცარიას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში მშვიდობიან ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე ცეცხლსასროლი იარაღით დახოცილთა რაოდენობის მხრივ. თუმცა, სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხალხში იარაღის ზეკონცენტრაციის გამოა [13, 22].

როგორც დავინახეთ, ეს არის კლასიკური ნეიტრალიტეტის ქვეყანა, რომელიც ასევე ერთ-ერთი ლიდერია მილიტარისტულ სახელმწიფოებს შორის. შვეიცარიის გამოცდილება აჩვენებს, რომ ნეიტრალიტეტის სტატუსი არ ნიშნავს უსაფრთხოების გარანტიას და საჭიროა თავად შეგეძლოს სახელმწიფოს დაცვა აგრესიისაგან.

თანამედროვე სახელმწიფოების წინაშე სხვადასხვა პრობლემა და გამოწვევაა, რომელთა გადალახვა მარტივ საკითხს არ წარმოადგენს. დღევანდელ მსოფლიოში შვეიცარია მართალია ინარჩუნებს ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსს, თუმცა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პირობებში შვეიცარიას ასევე უწევს მოერგოს ახალ მოთხოვნებს და ამიტომ ხშირ შემთხვევაში, ასეთი ტიპის სახელმწიფოებს და მათ შორის შვეიცარიას უწევს ანგარიში გაუწიოს არსებულ რეალობას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ნ. გალახვარიძე, ზ. ნასარაია, ეთნომენეჯმენტი, თბილისი, 2023
2. პაულ ვიდმერი, შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, თბილისი, 2012
3. უ. ბლუაშვილი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში და ნეიტრალიტეტის პრობლემა, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2024, №28
4. Г. П. Драгунов, Швейцария: история и современность, М., 1978
5. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბილისი, 2006
6. მ. სანაძე, ცივილიზაციები და კაცობრიობის განვითარება, თბილისი, 2017
7. პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი, საერთაშორისო პოლიტიკა, ფრანგულიდან თარგმნა ნანა ცქიტიშვილმა, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 2014
8. ზ. მარშანია, საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონული თანამშრომლობა და საქართველო, თბილისი, 2018
9. მ. მაცაბერიძე, საქართველოს პოლიტიკური სისტემა და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია, თბილისი, 2024

10. ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019
11. Э. Шауров, Золотые редуты Женевы, журн. „Загадки истории“, 2021, №43
12. გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX-XXI ს.-ის დასაწყისი), თბილისი, 2011
13. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2013, №6

NEUTRALITY OR IMPARTIALITY? (ON THE EXAMPLE OF SWITZERLAND)

Summary

The notion of neutrality and associated practices underwent changes over time. Currently, only three countries have the status of legal neutrality: Switzerland, Austria and Turkmenistan. The Swiss like to describe their country with the following slogan: "One state, two religions, three cultures, four languages. “

Over two hundred years ago neutral Switzerland pledged not to start a war or become involved in wars between opposing sides. Along with other factors, such straightforwardness not only established lasting peace in

the country, but Switzerland itself became a symbol of peace throughout the world.

Rhetorical question: Does neutrality protect a country's security? There is only one answer: neutrality means protection from aggression, which is a complete illusion. That is why Switzerland can turn an army of 22,000 into a well-armed force of 650,000 in two hours, and into a well-armed force of 1.7 million in two days and nights.

The experience of Switzerland shows that neutrality does not guarantee security and that the state itself must be able to defend itself from aggression.

კამბოჯის ტრაგედია

XX საუკუნე მრავალი საშინელების მოწმეა. სისხლი იღვრებოდა არა მხოლოდ ევროპაში. პოლიტიკური იდეალისტები არ ინდობდნენ ადამიანებს მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებშიც. ერთ-ერთი ასეთი იყვნენ „წ ი თ ე ლ ი ქ ხ მ ე რ ე ბ ი“, რომლებმაც გენოციდი მოუწყვეს საკუთარ ხალხს. ერთ დროს აყვავებულ და მშვიდობიან კამბოჯაში მათ შექმნეს „ბოროტების სამეფო“.

უძველესი სახელმწიფო კამბოჯა მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, მის შუაგულში. ტერიტორია 181 ათასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა 1923 წლის მონაცემებით 16 მილიონს შეადგენს. დედაქალაქი პნომპენი. სახელმწიფო ენა ქხმერული. ქვეყნის მცხოვრებთა 85% ქხმერია. დანარჩენი ვიეტნამელები, ჩინელები, მალაიზიელები. წამყვანი რელიგიაა ბუდიზმი. არიან კათოლიკეები, მუსულმანები და სხვ. [1, 80-81].

დღევანდელი კამბოჯის ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული სახელმწიფო ჩამოყალიბდა მდინარე მ ე კ ო ნ გ ი ს აუზში, ახ. წ. აღ-ის I საუკუნეში და არსებობდა თითქმის VII საუკუნემდე. ერთ-ერთი ტრანსკრიფციით მას უწოდებდნენ ფ უ ა ნ ს, სხვა

მონაცემებით ბ ა პ ნ ო მ ს, ასევე – ბ უ ი ნ ა მ ს, რაც თარგმანში „მთების მეფეს“ ნიშნავს.

ჩინელები კამბოჯის სამეფო ბ ა პ ნ ო მ ს მოიხსენიებდნენ, როგორც ფ უ ა ნ ს. სწორედ ამ უკანასკნელი სახელით არის დაფიქსირებული ჩინურ რუკებზე.

კამბოჯის სამეფოს შესახებ ისტორიული წყაროებიდან არაფერია შმორჩენილი. ისიც კი არ ვიცით რა ენაზე ლაპარაკობდა ადგილობრივი მოსახლეობა, ან აბორიგენ ეთნოსად მიჩნეულნი თავიდანვე აქ ცხოვრობდნენ თუ მოგვიანებით მოვიდნენ?

გვიან შუა საუკუნეებში კამბოჯის ტერიტორიაზე, როგორც აზიის სხვა ქვეყნებში მეტროპოლიები იცვლებოდნენ. 1884 წელს ფრანგებმა საბოლოოდ დაიქვემდებარეს კამბოჯა და მეფე ნ ო რ ო დ ო მ ი, სირცხვილნაჭამი და უუფლებო, მხოლოდ აკვირდებოდა, როგორ ეცლებოდა ძალაუფლება ხელიდან. ფრანგები მას აბუჩად იგდებდნენ, ხოლო ფრანგული ადმინისტრაციის ჩინოვნიკები პარიზს მოახსენებდნენ, რომ მეფე იტანჯება ოპიუმზე დამოკიდებულებით. მიდრეკილია ქალებისადმი, უყვარს ბინძური ხუმრობები და არის ძველი მოდის თაყვანისმცემელი.

XX საუკუნის დასაწყისში არც ახალი მეფე ს ი ს ო ვ ა ტ I გამოირჩეოდა დადებითი თვისებებით.

მეფეს ყოველ წელს განკუთვნილი ჰქონდა 113 კილოგრამი (250 ფუნტი) ნარკოტიკის წილი, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეეძლო [2, 9].

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1953 წლის 9 ნოემბერი) კამბოჯის სამეფოს მშვიდი არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. „ცივი ომის“ გამწვავების პერიოდში მეზობელი ჩინეთიდან და ვიეტნამიდან ქვეყანაში გავრცელდა სამოქალაქო ომი, რომელიც გაგრძელდა ათი წელი.

1964 წლიდან შეერთებული შტატები იბრძოდა ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტური მმართველობის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდა ხ ო შ ი მ ი ნ ი. სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელებმა შექმნეს მარიონეტული რესპუბლიკა დედაქალაქით ს ა ი გ ო ნ ი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს ადგილობრივ პარტიზანებს. ხშირად ეს პარტიზანები თავს აფარებდნენ მეზობელ კამბოჯას, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა, როგორც დასავლეთთან, ასევე აღმოსავლეთთან.

რაც შეეხება ჯერ კიდევ მცირერიცხოვან კამბოჯელ კომუნისტებს, მათში გამოირჩეოდა ს ა ლ ო ტ ს ა რ ი, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა პ ო ლ პ ო ტ ა-ს სახელით. 1965 წელს სალოტ სარი ესტუმრა ვიეტნამს. ხოშიმინმა და მისმა გარემოცვამ კამბოჯელ კომუნისტთა ლიდერი შეაფასეს, როგორც ავანტიურისტ-რადიკალი [3, 22]. მისი ინიცი-

ატივით მუშათა პარტიას, რომელიც 1951 წელს შეიქმნა შეუცვალეს სახელი და უწოდეს კამპუჩიის კომუნისტური პარტია. 1966 წელს ის ეწვია პეკინს და პირადად იხილა „კულტურული რევოლუციის“ შედეგები. ნანახით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტა მსგავსი ღონისძიებანი გაეტარებინა სამშობლოში. და გაატარა კიდეც...

რა ისწავლა და რა გამოიყენა პოლ პოტამ ჩინეთის „კულტურული რევოლუციის“ გაკვეთილებიდან? რევოლუციონერების უბედურება ის არის, რომ მათ მშვიდად ცხოვრება და სტაბილურად სახელმწიფოს მართვა არ შეუძლიათ, მათი სტიქიაა პერმანენტული კატაკლიზმები. ხაზგასასმელია, რომ ჩინეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული „დიდი ნახტომის“ კატასტროფული შედეგები, როდესაც მაომ 1966 წელს ახალი კამპანია, ამჯერად „კულტურული რევოლუცია“ წამოიწყო. ამ კამპანიის მიზანი მაოს ძალაუფლების შემდგომი გაძლიერება, კომპარტიასა და საზოგადოებაში ოპონენტების განადგურება იყო.

იმისათვის, რომ ახალი რევოლუციური იდეოლოგია დაამკვიდრო, დაამტკიცო, რომ ისტორია შენით იწყება, ჯერ ტრადიციული საზოგადოების საფუძვლები უნდა დაანგრიო. ეს არახალი ვერაგობა კარგად იცოდა მაომ. ამიტომ, აღმოსავლურად „ჩახლართულ“ სტილში, შეტევა ჯერ ჩინეთის ერთ-

ერთ ყველაზე დიდ ავტორიტეტზე – კონფუციზე მიიტანა, რომელიც დაახლოებით 2 500 წლის წინ ცხოვრობდა. კონფუციანელობა უძველესი ჩინური ტრადიციების, ზნეობრივი ფასეულობებისა და ცხოვრების წესის ერთ-ერთი მყარი სვეტია. მაო დაუნდობლად შეუდგა მის მორყევას. კონფუცი და მისი მიმდევრები რეაქციონერებად გამოაცხადეს, მათ წინააღმდეგ ფანატიკოსი ხ უ ნ ვ ე ი ბ ი ნ ე ბ ი („წითელი დამცველები“) და ძ ა ო ფ ა ნ ე ბ ი („შფოთისთავები“) დარაზმეს.

როგორც დიდი კონფუცი ამბობდა, „რ ა ც უ ფ რ ო უ ვ ი ც ი ა ა დ ა მ ი ა ნ ი, მ ი თ უ ფ რ ო დ ა უ ნ დ ო ბ ე ლ ი ა ი გ ი“. სწორედ ასეთი უვიცების მრავალრიცხოვანმა რაზმებმა დაიწყეს სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების დარბევა, „შენიღბული მტრების“ გამოაშკარავება. ახალი რევოლუციის დაუნდობელმა ტალღამ საზოგადოების ყველაზე მოაზროვნე ნაწილს გადაუარა. ფიზიკურად უსწორდებოდნენ მეცნიერებს, მასწავლებლებს, ცნობილ პიროვნებებს, ყველას, ვისაც სახეზე ამჩნევდნენ „ღალატს“. ის ვინც ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, სოფლად გადაასახლეს და „აღმზრდელობითი“ მიზნებით კომუნებში შერეკეს.

ერთადერთი ნაშრომი, რომლის წაკითხვა და ზეპირად ცოდნა ახალგაზრდებს მოეთხოვებოდა, მაო ძედუნის ცნობილი „წითელი წიგნი“ იყო. ამ

წიგნს ხუნვეიბინები ყველგან აფრიალებდნენ, ის იყო მათი მთავარი ცოდნის წყარო და იარაღი [4, 71-72].

ფაქტია, რომ მაო ძედუნმა „კულტურული რევოლუცია“ ძირითადად იმ მიზნით წამოიწყო, რათა მტრები გაენადგურებინა და საკუთარი ძალაუფლება განემტკიცებინა. მან საზოგადოებას იდეოლოგიით გაბრუებული ახალგაზრდობა დაუპირისპია და თავის წიგნში შეტანილი აფორიზმებითა და კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ მოქმედების ინსტრუქციებითაც შეაიარაღა.

კლასობრივი მტრების ოფიციალურ ჩამონათვალში შედიოდნენ: მოღალატეები, ჯაშუშები, კაპიტალისეტბი, ბურჟუაზიული წარსულის გადმონაშთად ქცეული მემამულეები, მდიდარი გლეხები, კონტრრევოლუციონერები, საზოგადოებისგან გარიყულები და მემარჯვენეები. არავის შემოუღია ამ ცნებათა ობიექტური განსაზღვრებები – მაოს მხურვალე მხარდამჭერები მხოლოდ იარლიყებს იყენებდნენ. ყველაფერმა პრაქტიკულად, სიგიჟემდე მისული „ხულიგანთა კულტურის“ სახე მიიღო. ტრადიციების, განათლებისა და უფროსი თაობისადმი ჩინელთა ოდინდელი დამოკიდებულება ფაქტობრივად, თავდაყირა დადგა. თვით წარსული იქცა მტრად. აქედან გამომდინარე, ყველა და ყველაფერი, ვინც და რაც მას განასახიერებდა – თუნდაც გა-

რეგნულად, – სამიზნეში ხვდებოდა და ან უნდა „გარდაქმნილიყო“, ან, არცთუ იშვიათად, განდაგურებულიყო. არავის აწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ შეიძლებოდა, ვინმე შეცდომით დაეხვრიტათ. როგორც ერთ-ერთ ოფიციალურ განცხადებაში იყო ნათქვამი – „უმჯობესია, შეცდომით ასი ადამიანი დავხვრიტოთ, ვიდრე ერთ დამნაშავეს გაქცევის საშუალება მივცეთ“.

ამ იდეოლოგიური სიგიჟის ვითარებაში, მეტად თუ ნაკლებად, ყველაფერი ნებადართული იყო. წლების შემდეგ ადამიანები სიამაყით ჰყვებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ კლავდნენ „მტრებს“. მაო მათ ეუბნებოდა, – ან ჩვენ, ან ისინი. თუ არ მოკლავ, თავად მოგკლავენ. მრავალმაც ირწმუნა და ამას ძველი ანგარიშების გასასწორებლადაც სიამოვნებით იყენებდა. თვით ბრალდების წაყენება იქცა მრავალი სიკეთის მიღების საშუალებად და ამასთანავე, სავსებით საკმარისი იყო საიმისოდ, რომ „ბრალდებული“ დაესაჯათ [5, 108].

„კულტურული რევოლუციის“ წლებში მსხვერპლის რაოდენობამ უთვალავ ციფრს მიაღწია. მხოლოდ 1968 წლის ზაფხულში ჩინეთის ერთ შედარებით მომცრო ბ ი ნ ი ა ნ ი ს პროვინციაში თერთმეტ დღეში 3681 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. მათი უმეტესობა სასტიკი ცემის ან ქვებით ჩაქოლვის შედეგად დაიღუპა. შეიძლებოდა ცეცხლსასრო-

ლი იარაღიც გამოეყენებინათ, მაგრამ ხელისუფ-ლება ამას მხარს არ უჭერდა. ხელკეტები, მუშტი და ქვა – ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდათ მაღალ ეშ-ელონებში – პოლიტიკური „განათლების“ დასანერ-გად უფრო შესაფერის იარაღს წარმოადგენდა. უც-ნობია თუ რა მასშტაბს მიაღწია ამ მოვლენამ „კულ-ტურული რევოლუციის“ ფარგლებში. თუმცა უშიშ-არმა ჟურნალისტმა ჟ ე ნ ი ი მ გუანჯის სამხრეთ პროვინციაში მომხდარი კანიბალიზმის შესახებ გავრცელებული ხმების გადასამოწმებლად გამოძი-ების ჩატარება გაბედა. ჯერ ამ პროვინციიდან, შემ-დგომ კი ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ მან გამოსცა წიგნი – „ალისფერი მემორიალი“, რომელშიც გა-მოძიების შედეგებია ასახული.

ნაშრომში მრავალი და ერთიმეორეზე უფრო შემაძრწუნებული ამბებია გადმოცემული. თუკი სა-მოქალაქო ომის დროს ჯაშუშის ღვიძლის ჭამა იყო მისაღები, მაშ, რატომ უნდა ყოფილიყო მიუღებე-ლი ე. წ. 23 კატეგორიის კლასის ადამიანთა (სწო-რედ ასეთი გახლდათ სოციალური ჯგუფების რა-ოდენობა, რომელიც „გარდაქმნას“ დაექვემდებარა და ან/კულტურულ რევოლუციას შეეწირა) ღვიძლის ჭამა 1968 წელს? მოწმეებმა გაიხსენეს, თუ როგორ ნახეს ერთხელ ქუჩაში პარტიული ჩინოსანი მხარზე გადებული ადამიანის ფეხით, რომელსაც შარვლის ტოტიც კი შერჩენოდა. სკოლის დირექტორს ცემით

ამოხადეს სული და მერე, სანამ ცეცხლს გააჩაღებ-დნენ, მის ცხედარს ხორცის ნაჭრებს აგლეჯდნენ.

სისასტიკემ ყველაზე საზარელი ფორმები მიიღო. მოძალადეები არ კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ „ხალხის მტრები“ მოეკლათ და მათი ხორცი შეეჭამათ, არამედ – ცოცხალ მსხვერპლს ღვიძლს ამოჭრიდნენ და მის თვალწინ ჭამდნენ. როგორც აცტეკებს სჩვეოდათ, ერთი მემამულის შვილის ამოჭრილი გული ვიწრო, თითისსიმსხო ნაჭრებად დაჭრეს და თავისი წილის მოსაპოვებლად ადამიანებს ერთმანეთი დაახოცვინეს. ქალაქ ვ უ ხ უ ა ნ შ ი, ადგილობრივი მეურნეობის შენობის წინ, ხეებს შორის თოკზე ორი სტუდენტი დაკიდეს და სკოლის გამგეობაში მოსახარშად წაიღეს, ხორცი კი იქ მყოფებმა ერთმანეთში გაინაწილეს.

ადამიანები შექმნილ მდგომარეობას საკუთარი გამორჩენის მიზნით იყენებდნენ. ქალაქ მ ე ნ-შ ა ნ ი ს დაწყებითი სკოლის მასწავლებლისთვის ვიღაცას უთქვამს, რომ ლამაზი ადამიანის გულის ჭამა სნეულებებისგან კურნავდა. მანაც, იმ დროს დამკვიდრებული წესისამებრ, თხუთმეტიოდე წლის ლამაზი გოგონა რაღაც ბრალდებით დააბეზღა. როცა ბავშვს ბრბო გაუსწორდა, მასწავლებელმა მის გვამს გული ამოაჭრა და სახლში სადილის მოსამზადებლად წაიღო. მოარული ხმებით, ქალი, რომელიც ვ უ ქ ს უ ა ნ ი ს რევოლუციური საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა, მამაკაცის სასქესო ორგანოებისაგან კერძების მომზადების ნამდვილი ოსტატი იყო.

მკვლელობა და კანიბალიზმი უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების ინიციატივით ხორციელდებოდა. ერთხელ ვუქსუანში სხვა ქალაქიდან ჩამოსულ გამვლელს ადგილობირვ მკვიდრთა თხუთმეტკაციანი ჯგუფი დაესხა თავს, მოკლა, დაანაწევრა და ყველამ ერთად მიირთვა. იყო შემთხვევები, როდესაც ქალაქის ქუჩებში სიკვდილმისჯილის ჩამოტარებისას, ქალები ცარიელი კალათებით ხელში ჩამწკრივებულიყვნენ იმ იმედით, რომ მალე ეს კალათები ადამიანის ხორცით აივსებოდა. სურსათისა და სხვა ნაწარმის დიდი მაღაზიით – „ჰუანგმოოთი“ ქალქის ყველა მკვიდრი სარგებლობდა, ამიტომ არავის გამოეპარებოდა რვა ფუტის დიამეტრის ქვაბი, რომელიც მის შესასვლელთან დაედგათ და „კუდიანებზე ნადირობის“ შედეგად მოკლულ მსხვერპლთა მოსახარშად იყენებდნენ. ქალაქის მოსახლეობის სულ ცოტა ოთხმოცი პროცენტი მონაწილეობდა ამ გზით ნაშოვნი საკვებით მოწყობილ ნადიმებში, ხოლო ვისაც ამის სურვილი არ ჰქონდა, ხმამაღლა თქმას ვერ ბედავდა.

იმავე ვუქსუანში გეოგრაფიის მასწავლებელს, ვ უ შ უ ფ ა ნ ს სიკვდილის პირამდე იმის გამო სცემეს, რომ „მეტისმეტად ბევრი იცოდა“. მის კოლე-

გებს უბრძანეს, ცხედარი მდინარის ნაპირთან გადა-ეტანათ, ერთ-ერთ მათგანს კი ღვიძლი და გული ამ-ოეჭრა და ბარძაყიდან ხორცის გრძელი ნაჭრები ჩა-მოეთალა. მერე ეს ყველაფერი პლასტიკურ ყუთებ-ში მოათავსეს და წაიღეს. ვუ შუფანის ხორცს სამ სხვადასხვა ადგილას შეექცეოდნენ: შვიდმა თუ რვა მოსწავლემ სკოლის სასადილოში ისადილა, საერ-თო საცხოვრებელში სხვა ჯგუფი მიუჯდა სუფრას, ხოლო მესამე „სატრაპეზო“ იქვე ახლოს, ღია ცის ქვეშ მოაწყვეს. ამ განსაკუთრებული შემთხვევის გა-მო ჩატარდა გამოძიება, რომლის შედეგადაც, ზო-გიერთი ადგილობრივი ფუქნციონერი პარტიიდან გარიცხეს – ეს იყო და ეს. ერთ-ერთმა მათგანმა თა-ვის მართლებისას წამოიძახა: „კანიბალიზმი? ეს ხომ მემამულის ხორცი იყო! ჯაშუშის ხორცი!“ მას იოტისოდენა სინანული ან სინდისის ქენჯნა არ დასტყობია [5, 110-111].

„კულტურული რევოლუციის“ პერიოდში ჩინე-თი იყო პარალიზებული. თითქმის არავინ მუშაობ-და. ბოროტებისთვის თითქოსდა ოქროს ხანა დამ-დგარიყო. ტრადიციულ ჩინურ, ე. წ. „ფეოდალურ კულტურასთან ბრძოლას მოჰყვა კულტურული მემ-კვიდრეობის განადგურება. თეატრებში იდგმებოდა მხოლოდ ძ ი ა ნ გ ც ი ნ გ ი ს მიერ შექმნილი რევო-ლუციური ოპერები. სახვითი ხელოვნება დავიდა პლაკატების დონეზე და მთელი სამეცნიერო საქმი-

ანობა უკავშირდებოდა „წარსულის გადმონაშთე-ბის“ კრიტიკას. დაახლოებით 20 მილიონი განათ-ლებული ახალგაზრდა იძულებით იგზავნებოდა შორეულ რაიონებში მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესასრულებლად [6, 593].

აი, რა გაკვეთილები მიიღო ჩინეთში პოლ პო-ტამ. ახალი „ცოდნით“ აღჭურვილი, მოგვიანებით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამშობლოში შეეცდება დაენერგა ჩინური გამოცდილება, რასაც წარმატებით განახორციელებს.

სალოტ სარი, იგივე პოლ პოტა დაიბადა 1925 წელს კამბოჯაში. მისი ბიოგრაფია სავსეა თეთრი ლაქებით. წყაროების ერთი ნაწილის მიხედვით ის იყო „უბრალო გლეხური“ ოჯახიდან, როგორც თა-ვად ლაპარაკობდა. დიახ, სალოტ სარის წარმოშო-ბა გლეხური იყო, მაგრამ საკმაოდ შეძლებული მშობლები ყავდა. უფრო მეტიც, სისხლისმიერი ნა-თესაობით უკავშირდებოდა სამეფო ოჯახს. ის ით-ვლებოდა ჭკვიან და ნაკითხ ახალგაზრდად. 1949 წელს 24 წლის ასაკში დაენიშნა სახელმწიფო სტი-პენდია და წავიდა ევროპაში, სადაც ცხოვრობდა. გაანთლება მიიღო ჯერ საფრანგეთში, შემდეგ ტ ი ტ ო ს იუგოსლავიაში. აქ ეზიარა მემარცხენე იდეებს [7, 10].

სხვა ვერსიის თანახმად ის იყო ნახევრად ქხმე-რი და ნახევრად ჩინელი. თუმცა ჩინური წარმოშო-

ბის კვალი აღარ ეტყობოდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში მშობლიური სოფლიდან გაგზავნეს ბუდისტურ მონასტერში. სწავლობდა ფრანგულ კათოლიკურ სკოლაში, მისდევდა სპორტს, უკრავდა ვიოლინოზე, მონაწილეობდა სასკოლო სპექტაკლებში. თუმცა ბუნებამ არ დააჯილდოვა მაღალი ინტელქტით. სკოლა მიატოვა. ლიცეუმში მოწყობა არ შეეძლო. იძულებული გახდა სწავლა განეგრძო კამბოჯის ინტერნატის მსგავს ტექნიკურ სკოლაში, რათა დაუფლებოდა დურგლის პროფესიას. სკოლის დაბალი მოსწრების მოსწავლეთა ფონზე სალოტ სარი „ბრწყინავდა“ – სწორედ ამიტომ მიიღო სამეფო სტიპენდია და გაგზავნეს საფრანგეთში რადიოელექტრონიკის სპეციალობის დასაუფლებლად. მაგრამ მისგან ინჟინერი არ გამოვიდა. სამაგიეროდ გაიტაცა პოლიტიკამ. ჩამოაყალიბა მარქსისტული უჯრედი, შევიდა კომუნისტურ პარტიაში, ჩაუღრმავდა კროპოტკინის, სტალინის, მაოს თხზულებებს. ოცნებობდა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რევოლუციას მოახდენდა... [8, 16].

სალოტ სარმა საფრანგეთში გაიცნო მომავალი მეუღლე ქ ხ ი ე უ პ ო ნ ნ ა რ ი. მათ დაახლოებას ხელი შეუწყო დასავლეთის კულტურისა და ლიტერატურის სიყვარულმა, ასევე მემარცხენე იდეებისადმი თანაგრძნობამ.

ქხიეუ დაიბადა 1920 წელს ინტელიგენტურ ოჯახში. ბავშვობიდან ამჟღავნებდა ცოდნისადმი მისწრაფებას. ამიტომაც ის გახდა ერთ-ერთი პირველი კამბოჯელი გოგონა, რომელმაც მიიღო ბაკალავრის ხარისხი. მან შეისწავლა მშობლიური ქხმერული ლინგვისტიკა. პარიზში სწავლის დროს ეზიარა მემარცხენე იდეებს. სისხლიანი დიქტაქტორის მომავალი მეუღლის ისტორიული იდეალები გახდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია და კარლ მარქსის „კაპიტალი“.

სწავლის დამთავრების შემდეგ ორივე დაბრუნდა კამბოჯაში. ქხიუემ მუშაობა დაიწყო კერძო ლიცეუმში ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლად. სალოტ სარმა ამ დროს აიღო ფსევდონიმი – პოლ პოტა. ერთი ვერსიით პ ო ლ-ი ქხმერულ ენაზე ნიშნავდა კოლონიზატორების პლანტაციებში მომუშავე მონებს და ამით სალოტ სარმა სოლიდარობა გამოუცხადა ჩაგრულ თვისტომთ. მეორე ვერსიით სახელი მომდინარეობს ორი ფრანგული შემოკლებული სიტყვისგან: Politique potentiele, რაც ქართულად ნიშნავს „შესაძლებლობის პოლიტიკას“.

ქხიეუს მიბაძვით პოლ პოტამ პედაგოგობა დაიწყო ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებაში. „დამრიგებელი“ მოწაფეებს სიამოვნებით უზიარებდა თავისი საყვარელი ფილოსოფოსის – ჟან ჟაკ

რუსოს აზრებსა და ციტატებს. მოუთხრობდა რემ-ბოსა და ვერლენის შესახებ.

ქხიეუ პონნარი და პოლ პოტა დაქორწინდნენ 1956 წლის 14 ივლისს – ბასტილიის აღების დღეს. პოლ პოტას ოდნავადაც არ ეუხერხულებოდა, რომ მეუღლე მასზე ხუთი წლით უფროსი იყო. მთავარია გვერდით ყავდა თანამოაზრე. ახალგაზრდა ოჯახი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა, რომელიც ორი მიმართულებით გამოირჩეოდა: ისინი კითხუ-ლობდნენ და აფასებდნენ დასავლეთის კლასიკო-სების თხზულებებს, ასევე ესწრებოდნენ მარქსის-ტული წრის მეცადინეობებს. უკვე იმ პერიოდში პოლ პოტამ გამოამჟღავნა ძალაუფლებისაკენ მიდ-რეკილების ამბიციები: მას გაუჩნდა სურვილი ეხ-ელმძღვანელა კომუნისტური ქვეყნისთვის [9, 30]. როგორც მაშინ ამბობდნენ ის ბეჯითად ეუფლებო-და კომუნიზმის პრინციპებს. ინდოჩინეთის კომპარ-ტიის მეთაური ახასიათებდა მას, როგორც „საშუა-ლო შესაძლებლობის ახალგაზრდა ადამიანს, მაგ-რამ ამბიციურს, ხელისუფლებაში მოსვლის წყურვი-ლით“. პარტიის სათავეში ის მოვიდა, მხოლოდ 1963 წელს, როდესაც კმპ-ის ლიდერი ტ უ ს ა მ უ ტ ი მოკ-ლეს, ხოლო მისმა იმედგაცრუებულმა მოადგილემ უარი განაცხადა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ეს მოვლენები დაემთხვა მოსკოვსა და პეკინს შორის დაპირისპირებას მსოფლიო კომუნისტურ მოძრა-

ობაში ლიდერობისათვის. „პაპა ხო“-მ, როგორც ხო-შიმინს უწოდებდნენ, აშკარად კრემლის ორიენტა-ცია დაიკავა, ხოლო პოლ პოტამ მაოს მომხრეობა არჩია. საყვარელი მეუღლე გახდა მისი მთავარი მხარდამჭერი და თანამებრძოლი. პარტიის ბირ-თვი, რომელიც შეურიგებელი იყო ქვეყანაში არსე-ბული მონარქიული წყობის წინააღმდეგ, წარმოად-გენდნენ პოლ პოტა ცოლთან ერთად, და ქხიეუს უმ-ცროსი და მეუღლითურთ. მათ უწოდებდნენ „კამ-ბოჯელ ოთხეულს“.

ზოგადად, კამბოჯის კომუნისტური რეჟიმის (არსებულს შორის ყველაზე ექსტრემალური), „ხალხსა და მათ ურთიერთმონაცვლე მმართვე-ლებს შორის ეფექტური შუამავალი სტრუქტურების არარსებობამ საზოგადოება ძალაუფლების შეუზ-ღუდავი გამოყენებისთვის წინასწარ განაწყო“ [10, 187].

წითელი ქხმერები უფრო შორსაც წავიდნენ: მათ აბსოლუტური თვითკმარობა სურდათ და ამ-ტკიცებდნენ, რომ კომუნიზმის მათ სახეობას არაფ-ერი ჰქონდა საერთო არც რუსულ და არც ჩინურ ნა-ირსახეობასთან [10, 243].

1960-იანი წლების ბოლოს კომპარტია არალ-ეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პოლ პო-ტამ შეძლო ორგანიზაციაში გადმოებირებინა უწიგ-ნური გლეხები, რომლებიც სიღარიბისაგან და მძი-

მე შრომისაგან იტანჯებოდნენ. ქვეყანაში კი ამ დროს იფეთქა მღელვარების ახალმა ტალღამ. სახელმწიფოს მეთაურის – სიანუკის მთავრობამ პნომპენში ჩააქრო გამოსვლები. სალოტ სარი თანამოაზრეებთან ერთად გაიქცა კამბოჯისა და სამხრეთ ვიეტნამის საზღვართან, სადაც ჯუნგლებს შეაფარა თავი. მოგვიანებით მას უყვარდა გახსენება, რომ სწორედ იქ გახდა ნამდვილი რევოლუციონერი.

სიანუკისთვის მიუწვდომელ ჯუნგლებსა და მთებში ჩამოყალიბდა „ჩაგრული ქხმერი გლეხების“ მეამბოხეთა ბანაკი. 1970 წელს განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება – ხელისუფლება მიიტაცეს სამხედროებმა ლ ო ნ ნ ო ლ ა-ს ხელმძღვანელობით. მათ ჩამოაგდეს კამბოჯის პრინცი ნოროდომ სიანუკი. თავის მხრივ ლონ ნოლას მხარს უჭერდნენ ამერიკელები და სამხრეთ ვიეტნამელები. წინა ხელისუფალმა უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, გააფორმა სამოკავშირეო ხელშეკრულება ჩრდილოეთ ვიეტნამთან და პოლ პოტასათან! დაიწყო სამოქალაქო ომი.

1971 წლის ბოლოს პოლ პოტას გლეხური არმია უკვე აკონტროლებდა კამბოჯის ნახევარს. „ოთხეულის“ მდგომარეობა კიდევ უფრო გაძლიერდა, რაშიც ლომის წილი მიუძღოდა ქხიეუს ქარიზმასა და ორატორულ ხელოვნებას. ის მოგზაურობდა

მთელი ქვეყნის მასშტაბით და მოუწოდებდა ხალხს შესულიყვნენ პარტიაში, როელსაც მისი ქმარი ხელ-მძღვანელობდა. 1973 წელს მომავალი დიქტატო-რის მეუღლე გხდა კამპუჩიის ქალთა ასოციაციის ლიდერი. თუმცა, ამავე დროს მომავალი პირველი ლედის საქციელში შეიმჩნეოდა მთელი რიგი უცნა-ურობები. მაგალითად, პოლ პოტას ერთ-ერთი გა-მოსვლის დროს ორატორმა დაცვის წევრს სთხოვა ჭიქით წყალი მიეწოდებინა. ქვეყნის კომუნისტების ლიდერმა ვერ მოასწრო ჭიქის პირთან მიტანა, რო-დესაც დარბაზი შეძრა ქალის კივილმა: „არ დალიო ეს წყალი! მანდ შხამია. ისინი არიან, ვიეტნამელე-ბი! ეს მათი ხრიკებია, მათ უნდათ შენი მოწამვლა! არ დალიო“. პოლ პოტასთვის აშკარად კარგად იყო ცნობილი მეუღლის ახირებები, მხოლოდ სევდიან-ად ამოიოხრა და მოითხოვა სხვა ჭიქით მოეტანათ წყალი. გამბედავი ქალი, რომელმაც გადმოიბირა ათასობით ადამიანი მეუღლის პოზიციაზე, ქვეყნის მასშტაბით გამოირჩეოდა მგზნებარე ლექციებით და ფლობდა გამორჩეულ ქარიზმას, დაავადდა პა-რანოიით. ღამით ხშირად წამოიჭრებოდა საწოლი-დან გაუფლილი და ყვიროდა: „ამხანაგებო! ადექ-ით! ვიეტნამის ჯარები ალყაში გვაქცევენ, მათ უნ-დათ ჩვენი განადგურება!“ [9, 31].

ჩრდილოეთ ზონაში, რომელიც პოლ პოტას გავლენის სფეროში აღმოჩნდა, ნათლად გამოიკვე-

თა რა ქვეყანასაც ააშენებდა მომავალი დიქტატორი. აღმოფხვრა კორუფცია, აკრძალა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა და გააუქმა კაზინოები. კამბოჯელების მიწა თავდაპირველად ღარიბებს გაუნაწილა, შემოიღო თავისებური უნიფორმა. იმის მიხედვით, თუ როგორი ტანსაცმელი ეცვა ადამიანს, შეიძლებოდა მიმხვდარიყავი: მხარს უჭერდა თუ არა წითელი ქხმერების იდეოლოგიას. ლოიალური მოქალაქეები გამოწყობილი იყვნენ უბრალო, შავ ტანსაცმელში, ყელზე თეთრ-წითელი შარფით და ფეხზე სანდლებით.

1973 წელს დაიწყო კამბოჯის ნაწილის კოლექტივიზაცია და სურსათის ჩამორთმევა. გასაკვირი არ არის, რომ უკმაყოფილო გლხები გარბოდნენ საცხოვრებელი ადგილებიდან. დარჩენილები მორჩილებით ითმენდნენ მძიმე ვითარებაში ყოფნას.

რა სამხედრო ძალას ეყრდნობოდა წითელი ქხმერების ხელისუფლება? 1965-1974 წლებში ამერიკელების ანტიპარტიზანული დაბომბვის შედეგად დაიღუპა 600 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე. ათეულ ათასობით ახალგაზრდა დაობლდა. პოლპოტელებმა სწორედ ეს ობლები შეარჩიეს, დაიპყრეს, გონება „გადაუტრიალეს“ და გადააქციეს პარტიის ფანატიკურ მომხრეებად. მათგან შექმნეს წითელი ქხმერების არმია, რომელთა 90% შედგებოდა 12-15 წლის ავტომატიანი ბოროტი ბიჭებისა-

გან. ისინი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ბრძანებას და ანადგურებდნენ უიარაღო თანამემამულეებს. თავიდან ეს ძალა არასერიოზულად აღიქმებოდა, მაგრამ, როდესაც ქვეყანაში ვითარება აიარია, სწორედ მას ერგო საბოლოო სიტყვა... [3, 22].

ზუსტად არავინ იცოდა, ვინ იდგა ამ ე. წ. ჯარისკაცების უკან. ყველას სჯეროდა, რომ ეს იყო რომელიღაც სასტიკი რევოლუციური ორგანიზაცია, მაგრამ არ გაეგონათ ხელმძღვანელების სახელები: მათ უწოდებდნენ „ძმა №1“, „ძმა №2“ და ა. შ. სიის მიხედვით...

პოლიტიკური პროცესები შემდეგნაირად განვითარდა: 1973 წელს აშშ-ის არმიამ დატოვა ვიეტნამი. კამბოჯაში სამოქალაქო ომი კვლავ გრძელდებოდა. 1975 წელს პოლ პოტასთვის დადგა ნანატრი დრო. მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ქვეყნის მოქმედ ხელისუფლებას შეუწყვიტეს დახმარება, ხუნტის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს სახელმწიფოს დედაქალაქი. ამის შემდეგ დაიწყო „საშინელებათა ფილმი“.

წითელმა ქხმერებმა ხელისუფლებაში მოსვლის დროს ნული წელიწადი უწოდეს. ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო 1975 წლის 17 აპრილის დილას. პნომპენის ერთ შენობაზე დამაგრებული საათი გაჩერდა. ისრები აჩვენებდა 9 საათსა და 40 წუთს. ამ დღეს შავხალათიანი პოლპოტელები შეეცადნენ გა-

ეჩერებინათ დრო, უკან შემოებრუნებინათ ისტორიის ბორბალი, ყველაფერი დაეწყოთ თავიდან. „ექსპერიმენტის“ ავტორებს ერთი მთავარი რამ დაავიწყდათ: შეიძლება გააჩერო საათი, მაგრამ დროს ვერ შეაჩერებ [11, 119].

შეიძლება ითქვას, რომ წითელი ქხმერების მოსვლას ხელისუფლებაში მნიშვნელოვნად დაეხმარა სამოქალაქო ომი. მრავალწლიანი კონფლიქტით სულის ამოხდამდე მისული კამბოჯის მოსახლეობა კომუნისტების მხარეს გადაიხარა. ახალ ძალას, ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა მართვის საადავეები ხელში ჩაგდებული, რომ პირველი საჩვენებელი გამოსვლა მოაწყვეს: სტადიონზე დახვრიტეს ლონ ნოლას დამხობილი რეჟიმის ყველა ცნობილი მომხრე, მისი ძმის ჩათვლით. თავად ნოლამ მოასწრო გაქცევა. პრინცი ნოროდომ სიანუკი არ დასაჯეს: ის ფორმალურად მართავდა ქვეყანას კიდევ ერთი წელი, თუმცა იმყოფებოდა მკაცრ შინაპატიმრობაში.

ქვეყანაში დიქტატურას ახორციელებდა ორგანიზაცია „ა ნ გ კ ა ლ ო უ ე“, რაც თარგმანში ნიშნავს „უმაღლეს ორგანიზაციას“. ბუნებრივია, ყველა სიბინძურის მოთავე, მხოლოდ პოლ პოტა არ იყო, რომელიც იწოდებოდა „ძმა №1“. ხელისუფლებაში ასევე იყვნენ სხვა პერსონებიც: ნ უ ო ნ ჩ ე ა – ძმა №2, ი ე ნ გ ს ა რ ი – ძმა №3, ტ ა მ ო კ ი – ძმა №4,

კ ხ ი ე უ ს ა მ ჰ ხ ა ნ ი – ძმა №5. კამბოჯას „დემოკ-რატიული კამპუჩია“ უწოდეს, სადაც ამკვიდრებ-დნენ სპეციალურ ენას ჯორჯ ორუელის „1984“-ის ანტიუტოპიის მსგავსად [7, 11].

პოლ პოტას ერთგულებით გამოირჩეოდა კ ი მ ჩ ა ნ გ ი, იგივე ი ე ნ გ ს ა რ ი (1925-2013). ეს იყო წითელი ქხმერების ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავლენიანი ფიგურა. პოლ პოტას დიქტატურის პე-რიოდში (1975-1979) ეკავა „დემოკრატიული კამპუჩი-ის“ პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. პრესაში იგი მო-ნათლეს, როგორც კამპუჩიის რეჟიმის „მეორე ადამი-ანი“, ხოლო საბჭოთა პრესაში კი გამოიყენებოდა ტერმინი „პოლ პოტასა და იენგ სარის რეჟიმი“. ფაქ-ტობრივად იენგ სარი იყო „ნომერი სამი“, რადგან, როგორც აღვნიშნეთ „ნომერ მეორის“, ნუონ ჩეას სა-ხელი პრაქტიკულად საზღვარგარეთ უცნობი იყო. კამბოჯაშიც ცოტამ თუ იცოდა მის შესახებ.

იენგ სარი დაიბადა სამხრეთ-დასავლეთ ვიეტ-ნამში. მამის ხაზით იგი ქხმერი-კომის ტომიდან იყო, ხოლო დედით ჩინელი. დაასრულა პნომპენში მდებარე მეფე სისოვატის კოლეჯი. მალევე გახდა წითელი ქხმერების ორგანიზაციის წევრი და თავი-სი ვიეტნამური სახელ კიმ ჩანგი, შეცვალა და დაირ-ქვა ქხმერული სახელი იენგ სარი. ის იყო პოლ პო-ტას სისხლით ნათესავი. მასთან ერთად სწავლობ-

და პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა სასწავლებელში, სადაც ისინი შეხვდნენ საფრანგეთის მემარცხენე მოძრაობის ლიდერებს (მათ შორის ჟან პოლ სარტრს). კამბოჯაში დაბრუნდა 1957 წელს და გახდა ისტორიის პროფრსორი მშობლიურ სისოვატის კოლეჯში. სამოქალქო ომის პერიოდში (1971-1975) იყო კამბოჯის ერთიანი ეროვნული ფრონტის სპეციალური ემისარი.

და მაინც, ყველა სოციალური საშინელების იდეოლოგი და სულისჩამდგმელი, უდავოდ იყო პოლ პოტა. ახალი სტატუსის მიღების შემდეგ, კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი შეუდგა აქტიურ მოქმედებას. როგორც სტალინიზმისა და მაოიზმის ერთგული გამგრძელებელი, ჯერ კიდევ საფრანგეთში სწავლის პერიოდში ირწმუნებოდა მაცდური ბურჟუაზიული ცივილიზაციის მოცილების აუცილებლობაზე.

თავდაპირველად სიტუაცია კამბოჯაში მოგვაგონებდა ბოლშევიკების პერიოდს სამოქალქო ომის დროს, როდესაც გამარჯვებულებმა დაიწყეს „თავისი ახალი სამყაროს“ მშენებლობა. მაგრამ, განსხვავებით ლენინისა და სტალინისაგან, პოლ პოტა კიდევ უფრო შორს წავიდა მარქსიზმის „შეცნობაში“. ცოტა ხანში გამოჩნდა, თუ როგორ უნდა აეშენებინა კომუნიზმი ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. პირველ რიგში გაუსწორდა გაუქმებული მონარ-

ქიის წარმომადგენლებს. ასევე გაანდგურა პოტენციური ოპოზიცია [12, 17].

ადამიანის თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები – ასეთი იყო ჰიტლერული გერმანიის სს-ის ქვედანაყოფის ემბლემა, რომელიც ნაცისტებს გამოსახული ჰქონდათ ქუდზე და მუნდირზე. „წითელი ქხმერების“ წევრები ემბლემას არ ატარებდნენ. ერთია, რომ მათ ეცვათ ისეთივე შავი ფერის ტანსაცმელი, როგორც ჰიმლერის ესესელებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობის ისტორიაში „წითელმა ქხმერებმა“ ერთ-ერთი ყველაზე საშინელი და ტრაგიკული ექსპერიმენტის განხორციელება გადაწყვიტეს – შეექმნათ საზოგადოება ქალაქებისა და სოფლების, წიგნისა და სკოლის, საკუთარი სახლისა და კოვზის გარეშე. მათი აზრით, ვისაც აქვს სახლი, ყავს ავტომობილი, – სასიკვდილო მტერია. ვინც სალოცავად დადის ბუდისტურ ტაძარში, კათოლიკურ ეკლესიაში ან ისლამურ მეჩეთში – უფლება არა აქვს იცოცხლოს. ვინც კითხულობს წიგნს – ისიც მტერია და უნდა მოკვდეს [11, 120].

მათი მიზანი იყო კამბოჯის მშვენიერი ქვეყანა დაებრუნებინათ პირველყოფილ ქაოსში. სალოცავების იატაკი თითქმის ყველგან ბავშვებისა და მათი დედების სისხლით შეიღება [11, 118].

პოლ პოტამ კამბოჯის მოსახლეობა დაყო სამ ჯგუფად: „ძირითადი ხალხი“ – სოფლის მცხოვრებნი; „ახალი ხალხი“ – პოტენციური მტრები, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ამერიკელებთან და რესპუბლიკელებთან; და „ხალხის მტრები“ – ინტელიგენცია, სასულიერო წოდება, წინა ხელისუფლების სამხედრო მოსამსახურეები. პირველი ჯგუფი უნდა გადმოებირებინათ, მეორე, ხელახლა აღეზარდათ, ხოლო მესამე – მთლიანად გაენადგურებინათ...

პარტიულ კრებაზე პოლ პოტა აცხადებდა, რომ რამდენიმე წელიწადში კამბოჯა გახდებოდა „ასპროცენტიანი კომუნისტური საზოგადოება“. ქვეყნის პირველ და ყველაზე მთავარ მტრად მიიჩნევდა ქალაქის მოსახლეობას. ბრძანება გასცა, რომ კამბოჯის ქალქების მცხოვრებნი გადასახლებულიყვნენ სოფლებში და კომუნიზმის სახელით განეხორციელებინათ შემტევი კომუნისტური შრომა. ამის შემდეგ ავტომატის ლულის თანხლებით აიძულებდნენ ადამიანებს დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები.

როდესაც 1975 წლის 17 აპრილს პნომპენის თავზე აღიმართა წითელი დროშა, მეორე დღეს, ადრიან დილით დედაქალქის და სხვა ქალაქების მოსახლეობას უბრძანეს მიეტოვებინათ მთელი ქონება და შიშვლები გასულიყვნენ მინდვრებში. ვინც

უარს იტყოდა დაეტოვებინა სახლი, ადგილზე ხვრეტდნენ.

ქალაქიდან გადასახლებულებს ძალის გამოყენებით აერთიანებდნენ „სასოფლო კომუნებში“, სადაც აიძულებდნენ ეშრომათ დღე-ღამეში 12 საათის განმავლობაში ერთი მუჭა ბრინჯის „ანაზღაურებით“. გაჩერება შეეძლოთ, მხოლოდ ჭამისა და ძილის დროს. ბავშვებს მუშაობას აწყებინებდნენ 7 წლის ასაკიდან, ან გადასცემდნენ პარტიას აღსაზრდელად, რათა „გამოეყვანათ“ მათგან „რევოლუციის ჯარისკაცები“.

პოლ პოტას წინადადებით, როგორც აღვნიშნეთ „თავისუფალ“ კამბოჯას ეწოდა დემოკრატიული კამპუჩია, რომელმაც თურმე შეადუღაბა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. რიგით კამპუჩიელს თავისი არაფერი დაუტოვეს, სამკაულიც კი, რასაც დიქტატორი უწოდებდა „ჯაჭვს, რომლითაც შებორკილია ხელები, ფეხები და რევოლუციური მოძრაობა“ [12, 16-17].

„სოფლის კომუნის“ წევრები უნდა ყოფილიყვნენ მორჩილი მონები. მათ ჩამოერთვათ უფლება კითხვის, წერის, ჰქონოდათ გვარი და საკუთარი თეფშიც კი.. ასეთი იყო ჭეშმარიტი და საბოლოო მიზანი გამოქვაბულის საზოგადოებისთვის. კამპუჩიის განადგურებულ მიწაზე – თეთრი ფურცლიდან უნდა დაწერილიყო ახალი ისტორია. ამიტომაც

ხალხის მტრებად გამოაცხადეს ყველა, ვინც სათვალეს ატარებდა, – პოლ პოტას აზრით მათ იცოდნენ წერა-კითხვა და წიგნებს კითხულობდნენ, რაც ... შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და საფრთხეს წარმოადგენდა.

„წითელი ქხმერები“ მოითხოვდნენ, რომ კომუნის წევრებს ერთნაირი ტანსაცმელი ჩაეცვათ. მათ წარსულის გადმონაშთად მიაჩნდათ ოჯახის ინსტიტუტი და ამიტომაც ქორწინება თავისებურად ტარდებოდა. ათობით გოგონასა და ვაჟს შეყრიდნენ დიდ ოთახში. ბუნებრივია, ახალგაზრდები ერთმანეთს არ იცნობდნენ. „დღეს თქვენი ქორწილია“ – განაცხადებდა „შავი ყვავი“ და დააწყვილებდა „ნეფე-დედოფალს“. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგან მცირედი უკმაყოფილების გამჟღავნების შემთხვევაში ნებისმიერი გაყავდათ ჯუნგლებში და ხვრეტდნენ [11, 117].

ამავე დროს მშობლებს ძალით ართმევდნენ შვილებს და აღსაზრდელად გადასცემდნენ ინტერნატებს. პარტიული პროპაგანდისტები ბავშვებს თავში უტენიდნენ სიყვარულს კომუნიზმისა და მემარჯვენე „ძმებისადმი“. ასევე ჩააგონებდნენ ზიზღს მშობლებისადმი. შედარებით მოზრდილ ბიჭებს იარაღს აძლევდნენ და პატრულირებას ავალებდნენ. მათ უნდა გამოევლინებინათ დეზერტირები, ხალხის მტრები, და ყოველგვარი გამოძიები-

სა და სასამართლოს გარეშე ადგილზე გაენადგურებინათ.

კომუნის წევრებს სიკვდილით სჯიდნენ მათთვის მიუღებელი ყველა ნაბიჯისათვის: წარსულის ნოსტალგიის, ბანანის მოწყვეტის, აკრძალული სიტყვის გამოყენების, კომუნის წევრებთან ინტიმური შეხვედრის ან ადგილობრივი პარტიული უჯრედის ნებართვის გარეშე ბავშვის გაჩენისთვის. როდესაც ადამიანების გასანადგურებლად ტყვიები არ ჰყოფნიდათ, მაშინ სიკვდილმისიჯილებს ცოცხლად მარხავდნენ, აყრიდნენ ჭურვებს, კლავდნენ თოხის დარტყმით, ჭყლეტავდნენ მძიმე ტექნიკით...

მკვლელობების რაოდენობა უფრო და უფრო მატულობდა იმ ორმოცდაორი თვის განმავლობაში, რაც წითელი ქხმერები კამბოჯას აკონტროლებდნენ. ჩადენილი სისასტიკე თავისი სადისტური ხასიათით ნაცისტების მიერ ჩადენილი დანაშაულების იდენტური იყო. მაგალითად, ვიეტნამის საზღვარზე: „წითელი ქხმერების ჯარისკაცებმა გააუპატიურეს ვიეტნამელი ქალი, შემდეგ კი სარი თუ ხიშტი გაუყარეს საშოში. ორსულ ქალებს მუცელს უჭრიდნენ, დაუბადებელ ბავშვებს იყვანდნენ და მომაკვდავ დედებს სახეში ახეთქებდნენ. ახალგაზრდებიც ერთობოდნენ დიდმკერდიანი ვიეტნამელი ქალებისთვის მკერდის მოკვეთით“. დაფიქ-

სირებულია შემთხვევები, როდესაც ბავშვებს საკუთარი მშობლების მოკვლა უბრძანეს [10, 214].

„ახალი საზოგადოების“ აშენებაში პოლპოტელებს ხელს უშლიდა ექიმი და მედიცინა. ისინი ცნობდნენ წამლის მხოლოდ ორ სახეს – ტყვია და დამცირება-შეურაცხყოფა, რომლითაც „მკურნალობდნენ“ თავის მონებს დაავადების დროს. სახელმწიფო ტერორის შედეგად ქვეყანაში აიკრძალა რელიგია, ოპოზიცია, თავისუფალი აზრის გამოხატვა, კერძო საკუთრება, სიყვარულით დაოჯახება და ადამიანის სხვა ძირეული უფლებები. ასევე აიკრძალა ეროვნული უმცირესობების ენებზე საუბარი [13, 49].

პოლ პოტა ჯერ კიდევ 1975 წლის მაისში გადასახლდა პნომპენში და დამკვიდრდა სახელგანთქმულ ვერცხლის პაგოდაში, ანუ ბუდას ზურმუხტოვან ტაძარში. ზაფხულში მან გააერთიანა ბანაკებში გაფანტული შეიარაღებული ფორმირებები რევოლუციური კამპუჩიის არმიად, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა რეფორმების მიმდინარეობისათვის. გაუგებრობის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მოეხდინა რეაგირება, ანუ დაესაჯა „შეუგნებელი“ მოქალაქეები.

დიქატატორის მითითებით მტრის ცხედარი ტყუილად რომ არ „დაკარგულიყო“, დაიწყეს გვამებით მინდვრების განაყოფიერება. მოსახლეობამ დაივიწყა სპორტი, შეწყვიტა წიგნების კითხვა. სამა-

გიეროდ იზუთხავდნენ გაზეთებს, სადაც მხოლოდ პარტიის მოწოდებები იყო განთავსებული. აიკრძალა ფულის მიმოქცევა. უკაცრიელ ქალაქებში, რაც სამყაროს დასასრულს ჰგავდა, ღრუბლებივით დაფრინავდნენ საჭიროებას მოკლებული ფულები. ქხმერული რევოლუციის მებრძოლები ფულებით ცეცხლს ანთებდნენ ან ტუალეტის ქაღალდათ იყენებდნენ.

კამპუჩიაში რეალიზებული იქნა „ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის“ კონცეფცია. ქვეყანამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გარე სამყაროსთან. გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ პოლ პოტას მსგავს დიქტატურებთან, როგორიც იყო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ალბანეთი და რუმინეთი. მსოფლიო სოციალიზმის ბურჯი საბჭოთა კავშირი ამ „საპატიო“ სიაში ვერ მოხვდა. უფრო მეტიც, როდესაც წითელმა ქხმერებმა დედაქალაქი დაიკავეს, მაშინვე გაანადგურეს საბჭოთა საელჩო (ისინი ძლივს დაითანხმეს გაენთავისუფლებინათ დიპლომატები, რომლებიც დასახვრეტად ყავდათ გამზადებული). მოგვიანებით ქხმერებმა უარი განაცხადეს მეგობრული ვიზიტით სწვეოდნენ მოსკოვს. სუკ-ის ყველა ცდა, შეექმნათ აგენტურული ქსელი კამპუჩიაში, მარცხით დასრულდა.

ზოგადად, წითელი ქხმერებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა საკმაოდ უცნაურად გამო-

იყურებოდა. თავდაპირველად მოსკოვმა მხარი დაუჭირა ქხმერების რევოლუციას. კრემლის უხუცესებმა დროულად გააცნობიერეს, რომ პოლპოტელები იყვნენ აბსოლუტურად პროჩინური ძალა, რომელიც ორიენტირებული იყო მოსკოვისადმი მტრულად განწყობილ მაოისტურ პეკინზე [7,11].

ახალი კამპუჩიიასათვის მთავარ მტრად გამოცხადდა მეზობელი ვიეტნამი, რომლის სასაზღვრო ქალაქებზეც ხორციელდებოდა რეგულარული თავდასხმები. სიტუაცია არ შეცვლილა არც მაშინ, როდესაც ვიეტნამი გაერთიანდა კომუნისტების ხელმძღვანელობით – ის მაინც სძულდათ და მოითხოვდნენ შთაენთქათ გეოპოლიტიკური კონცეფციის ჩარჩოში „დიდი ქხმერული იმპერიის“ შემადგენლობაში. ასევე იგეგმებოდა ტაილანდისა და ლაოსის ოკუპაცია. თუმცა ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

სრული იზოლაციის პირობებში პოლ პოტა აგრძელებდა თავისი მთავარი ჩანაფიქრის განხორციელებას – „ას პროცენტიანი კომუნისტური საზოგადოების აშენებას“. წითელი ქხმერების რეჟიმის არსი მსოფლოს ხალხებისათვის, ცნობილი გახდება მხოლოდ მისი დაცემის შემდეგ; უფრო სწორად რამდენიმე წელი იქნება საჭირო.

მანამდე კი ადგილობრივი კომუნისტები პოლ პოტას მითითებით არბევდნენ ქვეყანას. მცირეწ-

ლოვან ავაზაკთა ბრბო ქვეყნის მასშტაბით ანადგურებდა ავტომობილებსა და შენობებს. მთლიანად მოსპეს სატელეფონო კავშირი. ააფეთქეს ეროვნული ბანკის შენობა, რადგან ფული, როგორც აღვნიშნეთ – გააუქმეს. აკრძალვას დაექვემდებარა უცხო ენები. დახურეს სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. 725 ლექტორიდან, მხოლოდ 50 გადარჩა ცოცხალი. დახვრიტეს მასწავლებელთა 75, სტუდენტების 96 და საშუალო სკოლის მოსწავლეების 67 პროცენტი. უმაღლესი განათლების სისტემაში დასაქმებული რვა ათასი ადამიანიდან ცოცხალი გადარჩა 254. 683 ექიმიდან (მათ შორის ფარმაცევტები) სოცოცხლე შეინარჩუნა მხოლოდ 69 ... [11, 119].

-კამპუჩიის რვა მილიონი მოსახლეობიდან ჩვენ გვჭირდება მხოლოდ ერთი მილიონი – აცხადებდა პოლ პოტა საკუთარი ხალხის გენოციდის პერიოდში. საქმე იქმადეც მივიდა, რომ სათვალე გახდა არაკეთილსაიმედოობის სიმბოლო. კამპუჩიელებს, პოლ პოტას აზრით, საკმარისი იყო შეძლებოდათ მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ბრძანების წაკითხვა. წინა პერიოდის კამბოჯის უარყოფა იმდენად იდგა დღის წესრიგში, რომ გაანადგურეს ველოსიპედები და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები, სამართებლები და წვერის საპარსი „მანქანები“. ერთი წლის შემდეგ ეკონომიკიდან არაფერი აღარ

დარჩა. მხოლოდ მუშა-საქონელი შემცირდა 3 მილიონიდან 70 ათასამდე.

რეჟიმის პროპაგანდა ენერგიულად მუშაობდა, რიგით კამპუჩიელებს პრობლემებზე ფიქრის საშუალებას არ აძლევდა. მუშაობისას შესვენების დროს მათ განათლებაზე ზრუნავდნენ პოლიტმუშაკები. უკითხავდნენ ლექციებს მარქსიზმის უპირატესობის შესახებ. ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ „შესანიშნავ ქვეყანაში ბედნიერ ცხოვრებაზე“ – ნებისმიერ სხვა სახის შეხედულებაზე ოპერატიული დასმენის შედეგად მაშინვე იღებდნენ ინფორმაციას სპეცსამსახურები.

ცალკე უნდა აღინიშნოს რელიგიასთან გამოცხადებული „ომის“ შესახებ, რომელიც დაიწყეს წითელმა ქხმერებმა. 1975 წლის 18 აპრილს, პნომპენის დაკავების მეორე დღეს მოკლეს ბუდისტური ჯგუფის ხელკძღვანელი მ ა ჰ ა ნ ი კ ა ი ჰ უ ო ტ ა ტ ა ტ ა. ასევე ლიკვიდირებული იქნა ბუდიზმის ყველა მსახური. კომუნისტებმა მთლიანად გაანადგურეს ქრისტიანული თემი და სასულიერო წოდება – დაახლოებით 60 ათასი ადამიანი. ტ ა ი მ ე ბ ი (აზიური მაჰმადიანური ეროვნება) აიძულეს ღორები მოეშენებინათ. ვინც უარს იტყოდა მეღორეობის მეურნეობაზე, ადგილზე კლავდნენ. ქრისტიანული და ბუდისტური ტაძრები დაანგრიეს, მეჩეთები ააფეთქეს და მეღორეობის ფერმებად აქციეს [12, 17].

ყველაზე დიდ ოცნებასაც აქვს ნაპირი, ასევე ყველაზე დიდ სიბრიყვესაც კი გააჩნია საზღვარი. ქხმერი პოლიტიკოსები ჩქარა დაწრმუნდნენ, რომ XX საუკუნეში ფულის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი იყო. ამიტომ მათ დაიწყეს ფულის ბეჭდვა ჩინეთში, მაგრამ ბრუნვაში გაშვება ვერ მოახერხეს. დედაქალაქიდან გაქცევის დროს გადაწყვიტეს აეფეთქებინათ ბანკი. აფეთქების ძალამ მთლიანად ვერ დაანგრია შენობა, ყველა სეიფი. როდესაც შეწყდა აფეთქების ექო და ქარმა მიმოფანტა ძველი ბანკნოტები, მათ შორის აღმოჩნდა პოლპოტელების ფული, დაბეჭდილი სწორედ მათი დამარცხების წინ [11, 119].

კამბოჯის წითელი დიქტატორი პოლ პოტა და მისი ცოლი ქხიეუ პონნარი ქვეყანას მართავდნენ 3 წელი, 8 თვე და 20 დღე. ამ ხნის განმავლობაში წითელი ქხმერების ხელით დაიღუპა დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი [9, 30], ანუ ფიზიკურად გაანადგურეს მოსახლეობის თითქმის მესამედი [14, 115].

1979 წლამდე ქვეყანაში მომხდარი ტრაგედიის შესახებ, მსოფლიომ გაიგო კამპუჩიიდან ვიეტნამში გაქცეული მცირერიცხოვანი ლტოლვილებისაგან. თავიდან, მათი ნაამბობის არავის სჯეროდა, იმდენად საშინელ ამბებს ყვებოდნენ. წინააღმდეგობის მოძრაობა კი შემდეგნაირად განვითარდა: ბუნებრივია, წითელი ქხმერების არმია, მხოლოდ

მოზარდებისგან არ შედგებოდა. მრავალი მეთაური ხვდებოდა კატასტროფის მასშტაბებს და ცდილობდა არსებულ რეჟიმს დაპირისპირებოდა. შეიარაღებულ ძალებში ოპოზიციის ბირთვი ჩამოყალიბდა იმ ნაწილებში, რომლებიც ვიეტნამის აღმოსავლეთ ზონის საზღვარს ეკვროდა.

1978 წლის მაისში კომისარ ს ო პ ხ ი მ ი ს ხელმძღვანელობით მზადდებოდა აჯანყება, მაგრამ ის და მისი მომხრეები ალყაში მოაქციეს პოლ პოტას ერთგულმა ნაწილებმა, რის გამოც კომისარმა თავი მოიკლა. სო პხიმის თანამებრძოლი, მე-4 დივიზიის მეთაური, ხ ე ნ გ ს ა მ რ ი ნ ი ვიეტნამში გაიქცა, სადაც მიიღეს დიდი პატივისცემით. საქმე იმაში იყო, რომ პოლ პოტამ დაიწყო პრეტენზიების წამოყენება ვიეტნამის ტერიტორიებზე, რიმლებიც ადრე შედიოდა კამბოჯის ძველი სამეფოს შემადგენლობაში. ამიტომ ქხმერებმა დაიწყეს პერიოდული თავდასხმები ვიეტნამის სასაზღვრო სოფლებზე. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა თავდასხმა დასახლება ბ ა ტ ი უ კ-ზე. ბრძოლის დროს დაიღუპა სამი ათასი ადამიანი.

1978 წლის 2 დეკემბერს კამბოჯის საზღვართან ვიეტნამელების ორგანიზებით ჩატარდა 70 კამბოჯელი ემიგრანტის ყრილობა, რომელთაც განაცხადეს კამბოჯის გადარჩენის ერთიანი ეროვნუ-

ლი ფრონტის შექმნის შესახებ ხენგ სამრინის ხელ-მძღვანელობით.

საკუთარი არმია მათ პრაქტიკულად არ ჰყავ-დათ, თუმცა დახმარებისთვის მზად იყო ვიეტნამის ოთხო კოურპუსი (14 დივიზია) საიგონში დისლოცი-რებული გენერალ ვ ა ნ ტ ი ე ნ გ ზ ი ნ გ ი ს ხელ-მძღვანელობით. და მთავარი, ვიეტნამელებმა მოს-კოვიდან მიიღეს პრობლემის გადაწყვეტის სრული კარტ-ბლანში. პოლ პოტა, როგორც პეკინის მოკავ-შირე კრემლისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

პოლ პოტას მუდმივი შიში ჰქონდა, რომ მოკ-ლავდნენ. ატარებდა სხვადასხვა ფსევდონიმს, რადგან მისი აზრით მტრებს ასუსტებდა. დიქტატო-რი მიიჩნევდა, რომ დაწვრილებითი ბიოგრაფია და პირადი ცხოვრება არავინ უნდა იცოდეს. მაგრამ, მისდა სამწუხაროდ პოლ პოტა ანონიმი არ იყო. პი-რიქით, საკმარისი იყო ერთხელ გენახა, რომ სმუდა-მოდ დაგმახსოვრებოდა. მას ჰქონდა შთამბეჭდავი ღიმილი, ლაპარაკობდა წყნარად და ხმადაბლა, გა-მოიყურებოდა მრავლისმეტყველად. თავისი „მოღ-ვაწეობის“ მანძილზე, წითელი ქხმერების ლიდერ-მა მრავალი მტერი შეიძინა. ის განსაკუთრებით სძულდა კამბოჯის „დაბალ ფენებს“, ეზიზღებო-დათ ვიეტნამელებს.

წითელი ქხმერების 23 დივიზია შეიარაღებუ-ლი იყო უპირატესად ჩინური იარაღით, არტილერი-

ით, ავიაციით და ჯავშანტექნიკით. არმია შედგებოდა ძირითადად ახალგაზრდებისაგან, რომელთაც საბრძოლო გამოცდილება მიღებული ჰქონდათ კამბოჯის რეგულარული არმიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მათმა მოწინააღმდეგე ვიეტნამელებმა კი საბრძოლო წრთობა გაიარაეს ამერიკელებთან დაპირისპირების პერიოდში და საკმაოდ წარმატებით.

1978 წლის დეკემბრიდან გახშირდა სასაზღვრო კონფლიქტები ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის. წითელი ქხმერების პროვოკაციები ინსპირირებული იყო ჩინელების მიერ, რომელთაც სურდათ დაემცირებინათ ვიეტნამელები და შეურაცხყოფა მიეყენებინათ მოსკოველი მფარველებისათვის. ვიეტნამელები თავის მხრივ ამაგრებდნენ საზღვრებს ჩინეთთან, ხოლო კამბოჯის სიახლოვეს ამზადებდნენ დამრტყმელ ჯგუფებს.

მიჩნეულია, რომ კამბოჯაში ვიეტნამელთა მასობრივი შეჭრის მიზეზი გახდა სასაზღვრო ინციდენტი, რომელიც ცნობილია „თუთიყუშის ნისკარტი“-ს სახელით. ვიეტნამის შეიარაღებული ძალები შეტევაზე გადავიდნენ წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად. 1979 წლის 1 იანვარს მოქმედება დაიწყეს ბლიცკრიგის მეთოდით: ჯავშანტექნიკამ გაარღვია თავდაცვითი პოზიციები და ალყაში მოაქციეს

მტრის დაχგუფებები. ავიაციამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა და ჰაერიდან უტევდა მოწინააღმდეგეს. 7 იანვარს 150 კილომეტრიანი „რკინის მარში“ დასრულდა პნომპენში შესვლით. სამხედრო კამპანიაში დებიუტი იყო საზღვაო ქვეითების მონაწილეობა, რომლებმაც მოულოდნელი დარტყმით დაიკავეს ღრმაწყლიანი პორტი.

გავრცელებულმა ინფორმაციამ და მტკიცებულებებმა წითელი ქხმერების შესახებ, შეაძრწუნა მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომელიც თითქოს აპლოდისმენტებით უნდა შეხვედროდა ვიეტნამელთა განმათავისუფლებელ „ბლიცკრიგს“. მაგრამ არაფერი მსგავსი: დასავლეთმა ატეხა ხმაური სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შესახებ. პოლ პოტამ და გადარჩენილმა წითელმა ქხმერებმა თავი შეაფარეს მოკავშირე ტაილანდს და დასავლეთის მხარდაჭერით განაახლეს ბრძოლა. ინსტრუქტორების ნიღბით მათ შეუერთდნენ ამერიკელი და ბრიტანელი სპეცრაზმელები.

სიტუაცია გამოიყუებოდა უცნაურად: დასავლელი დემოკარტიები ეხმარებოდნენ ისეთ მემარცხენე რადიკალებს, რომლებსაც კრემლიც კი აღიქვამდა სრულიად მიუღებლად. ამ ვითარებაში ჩინელები უფრო თანამიმდევრულები აღმოჩნდნენ, რამ-

დენადაც თავად გამოიყურებოდნენ ულტრამემარ-ცხენეებად.

1979 წლსი 17 თებერვალს ჩინეთის შეიარაღ-ებული ძალები შეიჭრნენ ვიეტნამში, რადგან პოლ პოტას რეჟიმის სამხედრო ძალით გაუქმებამ ჩინე-თის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამდენად, დაიწ-ყო ისტორიაში პირველი ომი სოციალისტურ ქვეყ-ნებს შორის. ვიეტნამელებმა შეტევა მოიგერიეს და მტერს კონტრდარტყმა მიაყენეს. ერთ თვეში საბრ-ძოლო მოქმედებები შეწყდა.

ამავე წლის ზაფხულში პნომპენში გაიმართა სახალხო-რევოლუციური ტრიბუნალი, სადაც მოს-მენილი იქნა პოლ-პოტას საქმე. მას ბრალი წაუყენ-ეს გენოციდის ორგანიზებაში და მიუსაჯეს (დაუს-წრებლად) სიკვდილით დასჯა. ახალ ხელისუფლე-ბას ხენგ სამრინის ხელმძღვანელობით წილად ხვდა განადგურებული ეკონომიკა და წარმოუდგენე-ლი რეპრესიებით შემცირებული მოსახლეობა. ქვე-ყანაში დაიწყო აღმშენებლობა. კამბოჯის ერთ-ერთ სოფელში 136 ბავშვისთვის, რომელთა მშობლები პოლპოტელებმა დახოცეს გაიხსნა ბავშვთა სახლი. ბავშვებს საწოლები ვიეტნამელმა მებრძოლებმა აჩუქეს. ეს ბავშვები განმათავისუფლებელი არმიის კარისკაცებმა ჯუნგლებში იპოვეს [11, 116].

ქვეყნიდან გაქცეული დიქტატორი დაეხეტებოდა მთებსა და ჯუნგლებში წითელი ქხმერების ერთგულ არმიასთან ერთად. ჩინეთი, აშშ და ტაილანდი ცდილობდნენ პოლ პოტა გამოეყენებინათ ვიეტნამელების წინააღმდეგ. 1981 წელს დიქტატორს საბოლოოდ გაუცრუვდა იმედი კომუნიზმის იდეალებზე. დაშალა კამპუჩიის კომპარტია და უწოდა კამპუჩიის დემოკარტიული პარტია. ამის შემდეგ შემოიკრიბა თანამოაზრეები და 1982 წელს შეძლო მცირე ხნით დაებრუნებინა ხელისუფლება. 1985 წლის ზამთარში ვიეტნამელებმა კვლავ აღადგინეს კონტროლი კამბოჯის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ დიქტატორმა განაცხადა გადადგომის შესახებ. ლტოლვილობაში მეორედ დაქორწინდა. შეეძინა ქალიშვილი. ამავე დროს გაირკვა, რომ იტანჯებოდა ლიმფური დაავადებით. ორი წელი პეკინის საავადმყოფოს საწოლში გაატარა. აღმოჩნდა, რომ სიმსივნის გარდა აორტა აწუხებდა. მიღებულმა ინსულტმა მხარი წაართვა. 1990-იანი წლების შუა ხანებიდან მას უკვე აღარ შეეძლო სიცოცხლე ჟანგბადის აპარატის გარეშე, მაგრამ დიქტატორი არ ნებდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ქხმერ გენერლებს შორის მოხდა განხეთქილება, და ერთმა ყოფილმა თანამებრძოლმა, იმჟამად ოპოზიციონერმა პოლ პოტა ოჯახთან ერთად ტყვედ აიყვანა.

ცოტა ხანში „წმენდით“ უკმაყოფილო რიგითმა ქხმერებმა მოაწყვეს ტყვეების სასამართლო. პოლ პოტას მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა, რაც გაგრძელდა წელიწადნახევარზე ცოტა მეტ ხანს. 1998 წლის 15 აპრილს დიქტატორი გარდაიცვალა [8, 17]: ერთი ვერსიით გულის შეტევით – მეორე ცნობით – მოწამვლის შედეგად. მისი ყოფილი ცოლი ქხიეუ 2003 წელს გაშორდა წუთისოფელს [9, 31].

ვიეტნამის შეიარაღებული ძალების მიერ დამარცხებულმა წითელმა ქხმერებმა ჩინეთის მხარდაჭერით გააგრძელეს ბრძოლა კამბოჯის პროვიეტნამურ – პროსაბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. თუმცა, იძულებული გახდნენ ინდოჩინეთის ჯუნგლებისათვის შეეფარებინათ თავი. „კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის“ არსებობა გაგრძელდა 1989 წლამდე, და, როდესაც სოციალისტური სისტემა დაინგრა (ჩინეთისა და ნაკლებად მნიშვნელოვანი რამდენიმე ქვეყნის გარდა), კამბოჯა კვლავ სამოქალქო ომის ასპარეზად იქცა. სისხლისღვრა გაგრძელდა 1993 წლის დასაწყისამდე. დასრულდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში აღდგენილ იქნა მონარქია ნოროდომ სიანუკის გამეფებით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბილისი, 2006
2. Д. Купрянов, Заложник судбы, журн. „Загадки истории“, 2024, №13
3. Д. Митюрин, Железный Марш по джунглям, журн. „Тайны ссср“, 2021, №17
4. ზ. აბაშიძე, ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა? თბილისი, 2009
5. ნათან კონსტანტინი, კანიბალიზმის ისტორია, ინგლისურიდან თარგმნა გურამ აბაშიძემ, თბილისი, 2012
6. ჩინეთის ისტორია, მთავარი რედაქტორი და შემდგენელი მარინე ჯიბლაძე, თბილისი, 2022
7. А. Ярмадов, Царства на черепах, журн. „Загадки истории“, 2021, №15
8. Е. Филиппова, Безумный кхмер, журн. „Загадки истории“, 2022, №38
9. О. Соколовская, То, что неподвластно диктатору, журн. „Загадки истории“, 2020, №3
10. რიჩარდ პაიპსი, კომუნიზმი, ინგლისურიდან თარგმნა ლევან ღამბაშიძემ. თბილისი, 2023
11. Альбертас Лауринчюкас, Гнев тайфуна, М., 1986
12. С. Островский, Ужасные хмеры Камбоджи, журн. „Загадки истории“, 2019, №22

13. დ. სუჯაშვილი, საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო, თბილისი, 2018
14. უ. ბლუაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი, თბილისი, 2016

THE TRAGEDY OF CAMBODIA

Summary

Cambodia is located in Southeast Asia, on Indochina Peninsula. The capital city Phnom Penh. Cambodia restored its independence on 9 November, 1953. Maoist communists led by Pol Pot created an “Evil Empire” here in 1975- 1979. Pol Pot was supported by his wife Khieu Ponnary. With the help of the “Khmer Rouge”, the dictator started a terrifying experiment: he was to create a society without cities and villages, books and schools, without own home and spoon. Those who pray have no right to live. When there was not enough ammunition, the condemned were buried alive, shot with shells, killed with hoe blows and trampled with heavy machinery...

Cambodia's red dictator Pol Pot and his wife Khieu Ponnary ruled the country for 3 years, 8 months and 20 days. During this time, about 3 million people died at the

hands of the Khmer Rouge, that is, almost a third of the population was physically annihilated.

The Khmer Rouge were defeated by the Vietnamese. Until 1989 the power was taken over by Kheng Samrin and the monarchy was restored in the country in 1993.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4,
☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com;
gamomcemlobauniversali@gmail.com

ავთანდილ ვახტანგის ძე სონღულაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1993 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1995 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1986–2006 წლებში ლექციებს კითხულობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. 2005–2006 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის საპროგრამო მიმართულება ისტორიის ხელმძღვანელი. 2007 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი. 1976 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. 2006 წლიდან ხელმძღვანელობს ამავე ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებას. 2007 წლიდან კრებულის „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ რედაქტორი. მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სხვადასხვა სამეცნიერო გრანტი. 1986 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მედალი. არის ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობის ჯილდოს მფლობელი. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 36 ცალკე წიგნად.

ISBN 978-9941-521-32-4

ისტორიული-კულტურული ძიებანი

ავთანდილ სონღულაშვილი